

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
პრ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ლ. კვანტალიანი

ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხები



თბილისი
„მეცნიერება“
1990

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ზეპირი მეტყველების-
 სინტაქსის რამდენიმე ნაკლებად შესწავლილი თავისებურება და
 მათთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხები. საილუსტრაციო-
 მასალად გამოყენებულია ქართული მხატვრული ლიტერატურა-
 (X I—X X სს.) და ზეპირი (სასაუბრო) მეტყველების ნიმუშები.

რედაქტორი პროფესორი გ. რ ო გ ა ვ ა

რეცენზენტები ფილოლოგიის მეცნ. კანდიდატები:

დოც. შ. ა ფ რ ი დ ო ნ ი ძ ე, მ. ს უ ხ ი შ ვ ი ლ ი

შ ე ს ა ვ ა ლ ი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია სინტაქსის ზოგიერთი საკითხი, რომლებთანაც ჩვენ მიგვიყვანა სამწერლობო ენაში შემჩნეულმა არაერთმა თავისებურებამ, როგორცაა: ორზმნიანი მარტივი კონსტრუქციები, შემოკლებული რთული წინადადებები, ერთპრედიკატიანი ქვეწყობა, რთული წინადადების ნაწილების (პრედიკატული ერთეულების) სპეციფიკური განლაგება (მთავარი კომპონენტის დამოკიდებულში მოთავსება) და სხვ. სასაუბრო ენაზე სისტემატურმა დაკვირვებამ და მისი მონაცემების სამწერლობო ენის შესაბამის მასალასთან შედარებამ ცხადყო, რომ ამ თავისებურებათა წარმომქმნელი ზეპირი მეტყველებაა, საიდანაც არიან ისინი გადასული მწერლობაში, მხატვრული თხზულებების ენაში. ამის გამო ჩვენც მათ ზეპირი მეტყველების სინტაქსს ვაკუთვნებთ.

ქართული ზეპირი (სასაუბრო) მეტყველება ადრიდანვე იპყრობდა მკვლევართა ყურადღებას. ფრანცისკო-მარია მაჯოს „ქართული ანუ იბერიული ენის გრამატიკის“ (XVII ს.) ერთ-ერთი წყარო ზეპირი მეტყველება იყო. თვით ანტონ ბაგრატიონიც კი, რომელმაც სალიტერატურო ქართულის გრამატიკა შექმნა (XVIII ს.), გვერდს ვერ უვლიდა ზეპირი მეტყველების თავისებურებებს და შიგადაშიგ განიხილავდა „მდაბიური ენისთვის“ დამახასიათებელ მოვლენებს. მის ხაზს აგრძელებდნენ შემდეგი. საუკუნეების გრამატიკოსებიც, რომელნიც მეტ-ნაკლებად ეხებოდნენ ქართულ სასაუბრო მეტყველებას და, რაც მთავარია, სინტაქსის კვლევის ობიექტად მიიჩნდათ ზეფრაზული ერთეულიც — კითხვა-მიგება. ასე რომ, ზეპირი მეტყველების სპეციალურად შესწავლა არავის უცდია, მაგრამ სასაუბრო ქართულს სიტყვათა და შესიტყვებათა ფორმების სიუხვით, სემანტიკურ-სტილისტიკური მრავალფეროვნებით უნებლიეთ შეჰყავდა სალიტერატურო ენის მკვლევარი თავის მდიდარ წილში. შედეგად დაგროვდა საინტერესო, თუმცა ერთგვარად ფრაგმენტული ხასიათის მქონე მასალა.

ზეპირი მეტყველების თანამიმდევრული და სისტემატური კვლევა წერითს მეტყველებასთან ზეპირისპირებით დაიწყეს უცხოელმა ლინგვისტებმა და მისი ბევრი თავისებურებაც გამოავლინეს კონკრეტულ ენათა ანალიზის მეშვეობით, რაც შემდეგ განზოგადებული სახითაც გამოჩნდა მათსავე ნაშრომებში (მხედველობაში გვაქვს ე. ვანდრიესის, შ. ბალის, ფ. მარტინოს, ჰ. ფრეის, ი. ჰოფმანისა და სხვ. ნაშრომები)¹.

რუსი ენათმეცნიერები ჩვენი საუკუნის 50-60-იან წლებში, და უფრო ადრეც, ძირითადად, ზეპირი მეტყველების კვლევის ერთ გზას დაადგენენ: საჭირო მასალას იღებდნენ არა მარტო ცოცხალი ენიდან, არამედ წერილობითი ძეგლებიდანაც, რადგან მიაჩნდათ, რომ ეს ორი წყარო კი არ გამორიცხავს ერთმანეთს, არამედ ავსებს. ეს გზა ნაყოფიერი აღმოჩნდა აღწერის თვალსაზრისით და მან დიდად შეუწყო ხელი შემდგომ ძიებებს².

ბოლო ხანებში კი კვლევა წარიმართა მხოლოდ ზეპირ მეტყველებაზე უშუალო დაკვირვების გზით. მიღებულ იქნა, რომ ზეპირი მეტყველება არის სალიტერატურო ენის მომხმარებელთა წინასწარ მოუმზადებელი, არაოფიციალური საუბარი, რომელიც ბუნებრივად, ძალდაუტანებლად მიმდინარეობს. ზეპირი მეტყველება სალიტერატურო ენის ფუნქციური სტილი კი არ არის, როგორც ადრე ფიქრობდნენ, არამედ ცალკე სისტემაა, რომელსაც კვლევის სხვა კრიტერიუმები აქვს. ამგვარ კრიტერიუმად რუსული სასაუბრო მეტყველების სინტაქსისათვის გამოიყენეს ინტონაცია. გამოყვეს ორი ინტონაციური ერთეული — ფრაზა და სინტაგმა. ტექსტის ინტონაციური დანაწევრება ფრაზებად და სინტაგმებად დაუკავშირდა ტექსტის აგების გარკვეულ სინტაქსურსა და სემანტიკურ კატეგორიებს³.

ზეპირი მეტყველების ამგვარი შესწავლა კატეგორიულად გამოირიცხავს ლიტერატურულ მასალას, რაკი ა) მასში დაკარგულია ინტო-

1 ლიტერატურის მიმოხილვა და ბიბლიოგრაფია იხ. Н. Ю. Шведова, Очерки по синтаксису русской разговорной речи, М., 1960, გვ. 5—26.

2 იფულისხმება ა. პეშკოვსკის, ა. პოტებნიას, ა. შახმატოვის, ი. გვოზდევის, ნ. შვედოვასა და სხვ. შრომები, რომელთაგან ვასახელებთ ზოგიერთს: А. М. Пешковский, Русский синтаксис в научном освещении. М.-Л., 1935; А. А. Потеня, Из записок по русской грамматике, II, Харьков, 1874; А. А. Шахматов, Синтаксис русского языка, Л., 1941; А. Н. Гвоздев, Очерки по стилистике русского языка. М., 1965; Н. Ю. Шведова, დასახ. ნაშრომი.

³ Русская разговорная речь. М., 1973; О. А. Лаптева. Русский разговорный синтаксис. М., 1976.

ნაცია, რაც არსებითაა ზეპირი მეტყველებისათვის; ბ) იგი ზუსტი ასლი არ არის გამონათქვამისა, რადგან მეტ-ნაკლებად „დამუშავებულია“ და შეცვლილი.

და მიუხედავად ამისა, ჩვენ ვიყენებთ წერილობითი ძეგლების მონაცემებსაც შემდეგი მოსაზრებით: ისინი საშუალებას იძლევიან დავადგინოთ ამა თუ იმ ენობრივი მოვლენის გავრცელების არეალი, გავმიჯნოთ ზეპირი მეტყველება დიალექტურისაგან, დავაზუსტოთ სინტაქსურ კონსტრუქციათა ფუნქციები, მოდალურ-ექსპრესიული მნიშვნელობა. ამავე მიზნით მიემართავთ არა მარტო ახალი ქართული ლიტერატურის არამედ უფრო ადრინდელ, ე. წ. გარდამავალი პერიოდის (XI—XVIII სს.), საერო ძეგლებსაც, რომლებიც საკითხის ისტორიის გარკვევაში გვეხმარება. მაგალითად, დღეს ფრაზეოლოგიურ ერთეულად მიჩნეული შესიტყვება ის იყო ოდინდელი მთავარი კომპონენტია ჰიპოტაქსისა, რომელშიც ახალი ინფორმაციით დატვირთულმა დამოკიდებულმა კომპონენტმა მთავარი „დაიმორჩილა“; რთული წინადადება შეცვალა „გამარტივებულმა“ კონსტრუქციამ, რაც ერთი კერძო შემთხვევაა ზეპირი მეტყველებისათვის ნიშანდობლივი სინკრეტიზმისა.

ხშირად ვიმოწმებთ ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით დიალექტურ მასალასაც, შეძლებისდაგვარად — მეგრულ-ქანურისა და სევანურის მონაცემებსაც, რომ გამოვალინოთ განვითარების ზოგადი ტენდენცია. ვფიქრობთ, ესა თუ ის სინტაქსური მოვლენა აღმოსავლეთ თუ დასავლეთ საქართველოდან გამოსული ბევრი მწერლის თხზულებაში რომ გვხვდება, დიალექტების უმრავლესობაშიც არის და სხვა ქართველურ ენებშიც იჩენს თავს, ცოცხალი მეტყველების კუთვნილებაა, ე. ი. ტერმინ „ზეპირ მეტყველებას“. ჩვენ უფრო ფართო გაგებით ვხმარობთ, ეს არის არსებითად ხალხური მეტყველება.

ქართულ ზეპირ მეტყველებაზე დაკვირვება უამრავ საკითხს აჩენს. ამათგან ჩვენ მხოლოდ ზოგიერთს ვეხებით, ისიც ცალმხრივად, რამდენადაც ფრაზის (წინადადების) ინტონაციაზე ჩვენი მსჯელობა ეყარება მხოლოდ აკუსტიკურ შთაბეჭდილებას, რაც არამც და არამც არ მიგვაჩნია საკმარისად წინადადების ინტონაციური სტრუქტურის ექსპერიმენტული კვლევის თანამედროვე დონეზე.

ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის ზესეგმენტური ერთეულებით კვლევა უახლოესი მომავლის საქმედ გვესახება, რადგანაც სიტყვათგანლაგება და ინტონაცია ქართული სალიტერატურო ენის

მასალაზე მონოგრაფიულადაა შესწავლილი (მხედველობაში გვაქვს შ. აფრიდონიძის „სიტყვათგანლაგება ახალ ქართულში“. თბ., 1986 და ნ. კიზირიას „ქართული სალიტერატურო ენის ინტონაციის საკითხები“, თბ., 1987).

თუ წინამდებარე ნარკვევები ქართული ზეპირი მეტყველების სრული და მრავალმხრივი კვლევის სურვილს აღძრავს, ავტორის მიზანდასახულობა გამართლებული იქნება.

შეკვეცილი ჰიპოტაქსური კონსტრუქციებისათვის ქართულში

ჰიპოტაქსური კონსტრუქცია პოლიპრედიკატული ერთეულია. შასში რამდენი პრედიკატიცაა, იმდენივე კომპონენტია¹. მაგრამ არის შემთხვევები, როცა ეს შეფარდება დარღვეულია: ჰიპოტაქსს აკლია პრედიკატი. ამგვარ ჰიპოტაქსს ჩვენ, პირობითად, შეკვეცილს ვუწოდებთ. კვეცის შედეგად გაუჩინარდება ხან ერთ-ერთი კომპონენტის მხოლოდ პრედიკატი, ხანაც მთლიანად ესა თუ ის კომპონენტი; ან კიდევ: ჰიპოტაქსის მთავარი და დამოკიდებული ნაწილები ისე შეერწყმიან ერთმანეთს, რომ შედეგად მივიღებთ ნაჰიპოტაქსარ „გამართივებულ“ კონსტრუქციას. კვეცას იწვევს სხვადასხვა ფაქტორი: კონტექსტურ-სიტუაციური, ექსპრესიულ-ემოციური. კვეცის საფუძველი ყველა შემთხვევაში ეკონომიის პრინციპია: ენა ცდილობს, სადაც შესაძლებელია, აერიდოს განმეორებას, დაამოკლოს ნაწილები და ისე შეამჭიდროოს ისინი, რომ გაგებინება (კომუნიკაცია) არ დაზარალდეს.

ზოგი შეკვეცილი კონსტრუქცია საფუძვლიანადაა შესწავლილი², ამიტომ ჩვენ მათზე არ შევჩერდებით. განვიხილავთ კვეცის ისეთ შემთხვევებს, რომლებიც ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში სპეციალური მსჯელობის საგანი არ ყოფილა.

კვეცა, ძირითადად, სასაუბრო ქართულს ახასიათებს. აქედან,

1 მხედველობაში გვაქვს მარტივ კომპონენტთა შეერთებით მიღებული ჰიპოტაქსი. რაც შეეხება ერთგვარშემასწავლებიან შერწყმულ წინადადებებს, რომლებიც რთულში ერთიანდებიან, მათი სტრუქტურის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა (ამის შესახებ იხ. აქვე, გვ. 73).

2 აქ იგულისხმება მსგავსებითი და სხვაობითი შედარების, დადასტურებითი ბირობის გამომხატველი და ე. წ. ბივერბალური კონსტრუქციები. ვასახელებთ ძირითად ლიტერატურას: შ. ძიძიგური, კავშირები ქართულ ენაში, თბ., 1969; ლ. კვაპაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1966; ფ. ერთელიშვილი, რთული წინადადების ისტორიისათვის ქართულში, I, ჰიპოტაქსის საკითხები, თბ., 1962; თ. კვაპანტირაძე, მსგავსებითი შედარება ქართულში, თბ., 1978; ნ. კოტინოვი, ბივერბალური სინტაქსური კონსტრუქციის საკითხისათვის თანამედროვე ქართულში: კილოს კატეგორია და სინტაქსის ზოგიერთი საკითხი ქართულში, თბ., 1986.

ბუნებრივია, სამწერლო ენაშიც არის გადმოსული, გვხვდება პრესაშიც, პუბლიცისტიკაშიც, მეცნიერული სტილისათვის კი კვეცა ნიშანდობლივი არ არის.

ორკომპონენტიანი (მთავარი † დამოკიდებული) პინოტაქსო უფრო იშვიათად იკვეცება, რამდენიმე კომპონენტისგან შედგენილი — ხშირად. იკვეცება როგორც მთავარი კომპონენტი, ასევე — დამოკიდებულიც. კვეცისას მთავარი კომპონენტი ან სულ იკარგვის, ან პრედიკატს კარგავს. ჯერ განვიხილავთ მთავარი კომპონენტის კვეცის შემთხვევებს.

იკვეცება მთავარი კომპონენტი:

1. თუ მთავარ კომპონენტად იგულისხმება დამახასიათებელი (მყარი) გამოთქმები (სულერთია, ვინ იცის, რა ვქნათ, რა ვუყოთ...)-მაგალითები:

სულერთია

ეს ლეონ ცრუა თუ არა, ამისი სიტყვა მეფეს ეამბის და შენ რას პული? (სულხან-საბა, 69); ვინც უნდა იყვეს, დიდი კაცი ხომ იყო (ა. ფურც., 327); რა ეროვნების კაციც უნდა გამხდარიყო შაჰი, მას სპარსეთზე უნდა ეზრუნა (ა. ბაქრა., 334); შდრ. როგორი მსუყე ფერებიტაც უნდა დახატოს მისი პირადი გმირობა, სულერთია, თხზულების საერთო შინაგანი პათოსი მაინც პესიმისტური იქნება (იქვე, 318).

ვინ იცის

შვილმა იგრძნო დედის ხელი თავის გულზედ, თუ ხმამ დედისამ გამოაღვიძა, — ეს კი იყო, რომ თვალი გაახილა და უღონოდ მოატარა გარშემო (ილია, 288); კესომ ეს უეცარო კითხვა იწყინა თუ რა, დიდხანს პასუხი არ გასცა (იქვე, 297);

შდრ. არჩილმა გასწყვიტა ლაპარაკი და წინა და უკან მოჰყვა სიარულს ოთახში; ვინ იცის, კესო შეეცოდა, თუ დაიღალა (იქვე, 296).

რა ვქნათ

საქმელი რომ ვერ მოგისწარით! (რ. ინან, გაზ. „ლიტ. საქ.“ 28, II, 1986, გვ. 8); რომ ვერ ისწავლე, ამ ხალხთან როგორ უნდა დაიპირო თავი (დ. კლდ. 1, 320). შდრ. რა ვქნა, ...მაგათ ამნაირ ამბავს რომ ვუყურებ (იქვე, II, 39).

იქსპრესიული-ემოციური კონსტრუქციებში მთავრის გამოტოვების შემდეგ „რომ“-კავშირიანი დამოკიდებულია რჩება და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ეს კავშირი მხოლოდ ექსპრესიას

„აძლიერებს“ ამგვარი წინადადებები აღმავალი ინტონაციით წარმოითქმის³. ექსპერიმენტით დადგენილია, რომ აღმავალი მოტივი ინტონაციურად დაუსრულებლობას უკავშირდება⁴. ექსპრესიული „რომ“ გვხვდება სხვადასხვა სტრუქტურის წინადადებებში:

ილია რომ მოჰკლეს! — მითხრა ერთმა ჩემმა ნაცნობმა მწუხარე და თან გაკვირვების კილოთი (ვაჟა, VII, 294); უშენოდ რომ არაფერი გაკეთდება, რომ არაფერი ითქმება!... ყველას მესაიდუმლე რომ ხარ!.. (დ. კლდ., II, 17); ლოყებიც რომ ბროწეულივით აძლებია. ტანშიაც რომ აღარ ეტევა! (დ. შენგ., 165); ამინდიც რომ ხელს მიწყობს!.. (გ. ფანჯ., 228); რომ არ გაიხაროს ჩემმა მაზღმა! ...იმან გაურიგა ერთი კასპელი (რ. ინან., 67); ჰაი, შე ეშმაკო. შენა, კიდეცაც რომ გვწუნობს!... (გ. შატბ., 347); ლომის კვერცხი ტყუილად შემარქვი? რომ არ ვისკუბებ, რომ არ დავიდრიალებ?! (მ. ელიოზ., 424); ბალები კი სულ მრგვლები, ლამაზები არიან, აი პირს რომ იბანდნენ! (გურ. რჩეულ., 339), რაღაც ურიგოთა ტოკავს და ზმუის ეგ პირუტყვი და ერთბაშად რომ რამე დაემართოს!.. (მ. ელიოზ., 458); ერთად გავიზარდეთ, ერთად დავვყავოდით და ჩემი ამბავი მაინც რომ ვერ ისწავლა!.. (დ. შენგ., 157); მოვწყდებოდი და რომ აცვივდებოდნენ ცაში სასტარტო-სატერფულები უკუცემის ძალისაგან!... (მ. ელიოზ., გზ. „ლიტ. საქ.“ 18, X, 1985, გვ. 5).

ექსპრესიული რომ ზოგჯერ მაპირისპირებელი „მაგრამ“ კავშირის მომდევნო პოზიციას იჭერს და დაპირისპირებასაც აძლიერებს და ემოციასაც. „რომ“ კავშირის გარეშე ქვემოთ დასახელებული კონსტრუქციები კარგავენ ემოციურ მუხტს. მაგ.:

მეც ბევრი ვურჩიე ამ ჩემს ძმისწულსა და შვილობილს, მაგრამ რომ ვერა შეეასმინე რა! (აკაკი, 135); მინდა მალე ვისწავლო რუსული, მაგრამ რომ ვერ ვერევი? (დ. კლდ., II, 226); თითქოს კაცს სიცოცხლე ყველაზე მეტად უყვარს, მაგრამ რომ ხშირად სიკვდილში კაცი სიცოცხლეს კპოულობს?! (ვაჟა, VII, 196); ხუმრობა, ალბათ, მაგრამ რომ არ იცოდა ადრე ასეთი ხუმრობა! (ნ. ღუმბ., მზე, 116).

მაგრამ და რომ ზოგჯერ გათიშულია სხვა სიტყვებით, რომ-ის წინ მოთავსებულია ის სიტყვა, რომელზედაც ლოგიკური მახვილია, ე. ი. აქტუალიზებულია მაგ.:

იმან რაც უნდა თქვას, ვინ დაუშლის, მაგრამ მამასახლისმაც რომ, იმ გუშინდელმა ღლაბმა, საცინად აგვიგდო და ბიაბრუთ გაგვხადა!.. (აკაკი, 433); მართალია, საზრისით დიდად ვერ დაიკვეხნიდა, მაგრამ

³ შ. აფრიდონიძე ასეთ „რომ“-ს ნაწილაკთა რიგში განიხილავს. იხ. მისი, ნაწილაკების განლაგება „ზოგად“ კითხვებში, იკე, XXVI, 1987, გვ. 91.

⁴ იქვე.

⁵ ნ. ეზირია, სალიტერატურო ქართულის ინტონაციის საკითხები, თბ., 1987, გვ. 22.

ეშმაკობას მაინც რომ ახერხებდა წყეული!... (დ. შენგ., 147); ისინი ზინის პატრონის ასავალ-დასავალსაც აზუსტებენ, სახეზეც აკვირდებიან, მაგრამ მე რომ ვერ ვიცანი?! (გ. ფანჯ., 228); მე თავადაც ბრძოლის მომხრე გახლავართ, მაგრამ ბრძოლის გარდა ხანდახან დაბანაც რომ არის საჭირო?! (ნ. მგელ., გაზ. „თბილისი“, 10, III, 1986, გვ. 4); მალე მთელმა სოფელმა შეიტყო, რომ ღალატის მსახიობის ნიჭი აღმოაჩნდა, აბა ცოლის ყბაში რა გაჩერდებოდა, მაგრამ საწყალი კაციც რომ აღარ მოასვენა თავისმა ნიჭმა?! (ი. ტალიაშ., გაზ. „ლიტ. საქ.“ 9, 1, 1987, გვ. 8);

2. ორ თანადამოკიდებულ კომპონენტს შორის შეიძლება დაიკარგოს მთავარი კომპონენტი. თუ პირველ დამოკიდებულში იგივე ან სინონიმური მნიშვნელობის ზმნა წარმოდგენილი, ან კიდევ — პირველი ზმნის მიხედვით ადვილად აღსადგენია მთავარში საგულევებელი პრედიკატი. მაგალითად: ვიკითხვდით რა ამა მონასტრის შენებასა, მიზეზ-ქმნილ არს ღირსი პავლე დაყუდებულნი, ძე მეფეთა (ტ. გაბ., 499). აქ მთავარი კომპონენტი „გვეტყოდნენ“ გამოტოვებულია. სხვა შემთხვევაში იგი შეიძლება იყოს კონსტრუქციაში. მაგალითად: ვიკითხეთ რა აღმაშენებელი მისი. გვეტყოდნენ, ვითარმედ: ესე მონასტერი აღუშენებია წმიდასა მამასა ჩვენსა ქსენეფორესა (იქვე, 500). უნდა ვთქვათ, რომ ამგვარ ჰიპოტაქსს უპირატესად მთავრის გარეშე ვხვდებით. მაგ.:

ოდეს ჩავხედენით, მარტორქა იყო ესეთი, რომე სამისა პილოსა ოდენი (ამირდრჯ., 148); მიმო-რა-ვიზილევდით სენაკებსა დაყუდებულთასა, იყვნეს კლდეთა ზედან მიკრულ (ტ. გაბ., 481); სხვა ხეებს რომ უყუროთ, დატვირთული დგანან ბუნების მინიჭებულის სარჩოთი (ვაჟა, 352); რომ ვახედავ, სასიამოვნოდ ანათებენ ყველანი (რ. ინან., 64); შორიდან რომ დაგენახა, ყანიდან გამოსული დაღლილი მუშებით იწვნენ ხმელ ბალახებში — ორივე გულადმა, ორივე ზელებგაშლილი (იქვე, 101); თუ კარგად დააკვირდები, სახე სხარულით აქვს აღგზნებული (გ. ფანჯ., 648); სოფლის გზირისათვის რომ გეკითხათ, ოთარაანთ ქვრივის კარ-მიდამოში მზისა და წვიმის მეტს არავის შეეძლო გავლა ქვრივის უნებურათ (ილია, 157).

დასახელებული მაგალითებიდან ჩანს, რომ „ჩავხედენით“ ზმნის გვერდით არ არის მთავარში საგულევებელი ზმნა „დავინახეთ“, „უყუროთ“ ზმნის გვერდით — „დაინახავთ“, „დააკვირდების“ გვერდით — „შეამჩნევ“, „გეკითხათ“ ზმნის გვერდით — „გვიპასუხებდათ“... მაგრამ კონსტრუქციას „სინაკლულე“ არ ემჩნევა.

3. პრედიკატის კვეცა ზოგჯერ ხდება მისი განმეორების ასაცილებლად. ამ თვალსაზრისით საინტერესოა „თუ“-კავშირიანი პირობითი

დამოკიდებული კომპონენტის შემცველი ისეთი ჰიპოტაქსი, რომლის ნაწილებში ერთი და იგივე ზმნა (პრედიკატი) მეორდება. მაგ.:

თუ გამტეხავს, ამისი ნაღველი გამტეხავს (ილია, 256); ეგრე და-
ქერილი ლუარსაბი თუ გატყდება, ეხლა უნდა გატყდეს (იქვე, 155);
თუ ბატონი ართმევს რასმეს, სულ იმათისავე სიკეთისათვის ართმევს
(იქვე, 150): თუ დაგვიხსნის, ის დაგვიხსნის და გვასახელებსო (აკაკი,
61); თუ მიბოძებთ, მიბოძებთ ეგ რალაც „ბლადოვოლენიე“ არისო
(იქვე, 29): თუ ვინმემ იცის იმათი ამბავი, თვედორაანთ მელანომ უნდა
იცოდესო (იქვე, 160); თუ დავიხოცებით, ერთად დავიხოცნეთ (ვაჟა,
360); თუ გაზრდის. ფურმა გაზარდოს აი მისთანა ხარია! (ვაჟა. 248);
თუ წალება არის, ბარემ წალება იყოს (დ. შენგ., 121); თუ იმეტებ,
გაიმეტებ (გ. ლეონ., 219); თუ ამოდიხარ, ამოდი (ნ. ღუმბ., გლად.,
199): ამტკიოდეს, თუ ამტკივდება (რ. ჭეიშ., 10); თუ ვინმე ისარგებ-
ლებდა უარლამის გრამატიკით, უნდა ესარგებლნა მის თანამედროვესა
და მოწაფეს იოანე ქართველიშვილს (ალ. ფოცხ., 257).

ამგვარი კონსტრუქციები, ჩვეულებრივ, ემოციურია, მთავარი
კომპონენტიც ხშირად ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ი ა, ამიტომ პ რ ე დ ი კ ა ტ ე-
ბ ი ც ა რ ა კ ლ ი ა. მაგრამ თუ კონსტრუქციას ნაკლები ემოციუ-
რი მუხტი აქვს და მთავარი კომპონენტიც ბრძანებითი არ არის, მაშინ
მთავარ ნაწილში შეიძლება პრედიკატი ჩავარდეს და დარჩეს მხოლოდ
ის სიტყვები, რომლებზედაც ფრაზის მახვილია, მაგ.:

ნატკრა თუ ასრულდეს, — მაგეთი! (ილია, 89); აი ბატონყმობა
თუ იყოს, — ამისთანა (იქვე, 74); მეც სიცოცხლეს თუ ვისგანმე ვი-
ჩუქებდი, — მარტო შენისთანა ვაჟკაცისაგანაო! (იქვე, 231); თუ ჩა-
ვალთ. — ქალაქში (ვაჟა, VII, 408): შენ თუ გასძლებ, — შენიც სიტ-
ყვის იმედით (გ. ლეონ., 81); თუ რამეს გვაძლევდნენ და გვეხმარე-
ბოდნენ, — იმასაც მხოლოდ ჩვენი იარაღის შიშით (რ. ინან., 100); ამ
სახლში თუ ვინმე დადის. — შინაური, მოკეთე, ნათესავი (რ. ინან.,
გაზ. „ლიტ. „საქ.“, 20. IX, 1985, გვ. 10); თუ ვინმეს თბილისობა უყ-
ვარდა და უხაროდა, — პირველ რიგში გოგი ცაბაძეს (ბ. კიკ., გაზ.
„თბილისი“, 3. XII, 1986, გვ. 5).

ამგვარი კონსტრუქცია შეიძლება სამ- ან მეტკომპონენტიანიც
იყოს (თუ + მთავარი + თორემ; თუ + მთავარი + რომ). მაშინ თანა-
დამოკიდებულთა შორის ზოგჯერ არის მთავარი კომპონენტი. მაგ.:

თუ რას მეწვევი, მეწივე, თვარა მივკბნები ცნობასა (რუსთ., 1087);
თუ გვაკმევ, გვაკმამე. თორე ნაწლავები ჩივიან (ილია, 495); თუ შენი
ჯავრი ამოვიყარე, ხო ამოვიყარე, თუ არა და ვერც ბიჭი ვყოფილ-
ვარ (იქვე, 474).

ზოგჯერ მთავარ კომპონენტში პრედიკატი კი არ მეორდება,
არამედ მისი ტოლფარდი წევრი (კარგია, კარგი, ხომ კარგო...). მაგ.:

თუ შეიგნოს თვით, კ ა რ გ ი ა, თუ არა ხვალე დილეულამდე კი-
დევ მოვალ (შპსმ, III, 588); თუ შემიძლია ამისი ქნა, კ ა ი ა, თუ არა:
ამაზე უნდა წავეგო-მეთქი (რუსულ., 239); თუ გაათათრდები, დ ი ა დ:
კ ა რ გ ი, თუ არა და ეხლავ უნდა დაგბოცოთ (აღ. ორბ., 17); თუ
გაგონდები, კ ა რ გ ი ა, თუ არა და მინც ღმერთმა გილხინოს (ილია,
291); თუ ვიშოვნე სხვაგან ადგილი, ხ ო მ კ ა რ გ ი, თუ არა და შინ
გავუდგები გზას, გურიისაკენ (აკაკი, 413); თუ გაიგონა, ხ ო მ კ ა რ გ ი,
თუ არა და წიხლსაც ლამაზად ჩააზელს (ვაჟა, VII, 190).

უფრო ხშირად მთავარ წინადადებაში პრედიკატი სულაც აღარ
არის და მხოლოდ ის სიტყვებია დარჩენილი, რომლებიც გამორთვე-
ბული ზმნის წინ ივარაუდება, ე. ი. აქტუალიზებულია.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი: მე თუ რამ სიკეთე მაქვენ,—შენგან, თვარა ვინ
ნახა, ქვრიმა დათესოს და ებრენიკი მოიმკოს? (სულხან-საბა, 83); თუ
მარგო რამე, — ამანაო, თვარა სხვა კაცს ხოსროს ვერ ვანდობო
(რუსულ., 266); თუ იქნება, — ეგ, თუ არა გამოესალმე სიცოცხლეს.
(ა. ფურც., 484); თუ ვინმე გაძლებს მაგათთან, — ისე იმგვარივე ხა-
სიათის ქალი, თორემ მეოჯახე, მშვიდობიანი, ღვთისსიერი ქმნილება-
უკიდურესად გაწვალებულია და წამებული (დ. კლდ., II, 30).

ამგვარი უპრედიკატო მთავარი ნაწილი ადვილად ერწყმის წი-
ნამავალ დამოკიდებულს და მასში ერთიანდება, კერძოდ, პრედიკა-
ტის წინ დგება, რის შედეგადაც ვიღებთ თანადამოკიდებულ კომპო-
ნენტთა შეერთებას მთავრის გარეშე. მაგალითად: ადგილის კურ-
დღელს ადგილისავე მწევარი თუ დაიქერს⁽¹⁾, თვარა უცხო ვერას.
გახდებაო⁽²⁾ (აკაკი, 152). აქ ორი დამოკიდებული კომპონენტი: I—
„თუ“-კავშირიანი პირობითი, II — „თვარა“-კავშირიანი პირობით-
შედეგობითი. ორი ერთნაირი ფუნქციის მქონე დამოკიდებულის ამ-
გვარი შეერთება უპრედიკატო მთავარი კომპონენტის პირველ დამო-
კიდებულში გაერთიანების შედეგია. შეკვეცის გარეშე ეს კონსტრუ-
ქცია ასეთ სახეს მიიღებდა: ადგილის კურდღელს თუ დაიქერს⁽¹⁾, ად-
გილისავე მწევარი დაიქერს⁽²⁾, თვარა უცხო ვერას გახდებაო⁽³⁾. ორი-
დამოკიდებული კომპონენტის აზრობრივი დაკავშირების საფუძვე-
ლი დაპირისპირებაა (ადგილის მწევარი და უცხო მწევარი).

საილუსტრაციოდ დავასახელებთ კიდევ ერთ მაგალითს: ის თუ
გვიშველის,⁽¹⁾ თორემ ლამის ამ ურჯულთათარმა დედაკაცის ლეჩა-
ქი თავზე დაგვხუროს და ისე გაგვისტუმროს შინაო (ილია, 231). აქაც
დაპირისპირებაა (ის და ურჯულთათარი). პირველ კომპონენტში წარ-
მოდგენილი ნაცვალსახელი „ის“ დამოკიდებულშია გადასული მთა-
ვარი კომპონენტიდან (თუ გვიშველის, ის გვიშველის. ან შეკვეცით:
თუ გვიშველის, ის; გადაადგილებით: ის თუ გვიშველის...). ამგვარი-
ცვლილების შედეგად თუ + თორემ-კავშირებიანი ჰიპოტაქსი სავსე-
ბით სწორ მიმართებას გვიჩვენებს და „ნაკლული“ არ არის.

სხვა მაგალითები:

ფეხწმინდა ირემი თუ ლახავდა ამ მთა-ბარის არე-მარეს და გავლელი კოდალა თუ გაკვივლებდა ბედის მომდურავე კაცისებრ, თორემ სხვას არაეის შეეძლო წაებლწა ამ ტყის სიქალწულე (ვაჟა, VII, 401); დღეს თუ რას შავსკამთ, თორო ზვალ ვისლა სცალიან საკმელად, ერთურთის საპატიოდ ტბილის სიტყვების სათქმელად? (იქვე, 12, 225); ის თუ მოგვწერდა იმერეთიდან ამისთანა ფელეტონს, თვარა სხვა ვინ მოახერხებდაო (აკაკი, 100); ფული ქართველს საზანდრისათვის საჩუქრად ან ეკლესიების შესაწირავად თუ დასქირდება, თვარა სხვად რად უნდა? (აკაკი, 79); იმ ქუჩაში საქმისათვის თუ გავლის კაცი, თორემ ისე ძნელად მოხვდება ხოლმე (ილია, 368); ფრინველი თუ ჩაფრინდებოდა, თორემ კაცისაგან ჩასვლა ყოვლად შეუძლებელი იყო (ა. ყაზბ. 87); ან ღმერთი თუ გვიშველის, ან არსენა, თორემ მეტი მხსნელი აღარა გვყავს (მ. ჭავჭავ., 73); ვინმე სკამიანად თუ გამიტანდა გარეთ, თორემ ისე ვერაფრით ვერ ამაგლეჯდა ადგილიდან (ნ. დუმბ., მე..., 176), გვალვას ჭერჭერობით ნარი და ბირკა თუ უმკლავდება, თორემ მინდერის სხვა ათასი ჭურის ბალახ-ბულახს გამომწვარი მიწის სუნი და ფერი ადევს (ო. იოს., გაზ. „ლიტ. საქ.“, 13, IX, 1985, გვ. 8); ასეთი ქალი თუ გაუძლებდა ხრიკას, თორემ სხვას ყველას... გამოიყვანდა წონასწორობიდან (რ. დვ., გაზ. „კომუნისტი“, 11, I, 1985, გვ. 5); მამაპაპისეული ეზო-გარემოდან მკვდარს თუ გამიტანთ კუბოთი, თორემ ცოცხალს ფეხს ვერავინ მომაცვლევივინებსო (დ. კვიცი, ჟურნ. „განთიადი“, I, 1983, გვ. 64).

ზემოთ ნათქვამიდან ჩანს, რომ ენა თავს არიდებს მთავარ კომპონენტში იმ პრედიატის გამეორებას, რომელიც დამოკიდებულშია წარმოდგენილი, და კვეცს მას. უფრო მეტიც: თუ მეორე კომპონენტშიც („თორემ“-კავშირიანში) იგივე პრედიატია საჭირო, აქაც აღარ ჩანს იგი. მაგ:

ათასში ერთხელ, დღისით, როგორმე ჭიკჭიკა მერცხალი, როგორც ღვთის ქათამი, თუ მიბედავდა და ხანდახანაც ბნელ ღამეში „წმინდანინანი“ თუ შემოჯდებოდა ხოლმე, თვარა სხვა ვერავინ (აკაკი, 453); ჩემის ულუფიდან... მარტო მეხუთედს თუ აიღებდა, თორემ მეტს თავის ღლეში არა (ილია, 341); თქვენი პატივისცემა და სიყვარული თუ გამაბედვინებს თქმასა, თორემ სხვა არაფერი (იქვე, 342); ამისთანა გაკირვებაში თუ დაიყოლიებს ჩიხირთმის უკეთესობაზედ, თორემ სხვა დროს ველარა (იქვე, 155); შენგან გაჩენილს ადამიანსა მარტო შენი სახე თუ მისცემია, თორემ გული კი არა (იქვე, 90); მოხუცები თუ გამოისყიდნიან დიაკვნისა და ახალგაზრდების ცოდვათა, თორემ სხვა არავინ (ვაჟა, VII, 91); დღეს თუ იტირებს, თორემ როდისლა? (იქვე, 399).

დასახელებულ კონსტრუქციებში ორი ნაგულისხმევი პრედიკატი. სამი ერთნაირი ზმნისაგან მხოლოდ ერთია დარჩენილი. მაგალითად: შენგან გაჩენილს ადამიანს მარტო შენი სახე თუ მისცემია,⁽¹⁾ თორემ გული კი არა⁽²⁾. ამას თუ გავშლით, მივიღებთ: შენგან გაჩენილ ადამიანს თუ მისცემია, მარტო შენი სახე (მისცემია), თორემ გული კი არა (მისცემია).

მთავარი კომპონენტის უპრედიკატო ნაწილი, როგორც ზემოთ ითქვა, პირველი კომპონენტის ზმნის წინ დგება და წინადადებაც ამ ზმნის მიხედვით იქმნება. ზოგჯერ შესაძლებელია უპრედიკატო მთავარი დარჩეს თანადამოკიდებულ კომპონენტთა შორის. მაგ.: თუ: გალახავდნენ ხელით, ან მათარხით, ან ჯოხით, ისევე პატარა, ახალგაზრდა ფარეშებს, თორემ დაჯაყაცებულს არა. (აკაკი, 9,41). შედეგი ორსავე შემთხვევაში ერთია: სამი ერთნაირი პრედიკატისაგან დარჩენილია მხოლოდ ერთი.

კომპონენტთა შერწყმის პროცესი უფრო შორსაც მიდის: უპრედიკატო „თორემ“-კავშირიანი ბოლო კომპონენტი, რომელიც წინა ნათქვამის მხოლოდ უარყოფას იძლევა და ინფორმაციის თვალსაზრისით დიდად აუცილებელი არ არის, მთლიანად იკარგება და რჩება მხოლოდ ერთადერთი „თუ“-კავშირიანი დამოკიდებული, რომელიც შექუმშული სახით შეიცავს უპრედიკატო მთავარს. დაკარგული ბოლო კომპონენტის საკომპენსაციოდ დარჩენილ ნაწილში ჩნდება ნაწილაკი „მხოლოდ“ ან „მარტო“: თანამიმდევრულად ეს ცვლილებები ასე ხორციელდება: I. თუ გამაბედვინებს თქმასა,⁽¹⁾ თქვენი პატივისცემა და სიყვარული,⁽²⁾ თორემ სხვა არაფერი.⁽³⁾ მთავარი (II კომპონენტი) უპრედიკატოა. მისი გადასვლით I დამოკიდებულში მივიღებთ: II. თქვენი პატივისცემა და სიყვარული თუ გამაბედვინებს თქმასა,⁽¹⁾ თორემ სხვა არაფერი.⁽²⁾ „თორემ“-კავშირიანი კომპონენტის დაკარგვით რჩება: III: (მხოლოდ ან მარტო) თქვენი პატივისცემა და სიყვარული თუ გამაბედვინებს თქმას. ასე განმარტოებულ დამოკიდებულში „თუ“ უკვე კავშირად კი აღარ ჩანს, არამედ ეგებისობის, მიახლოებითობის ნაწილაკად. ამგვარი მაგალითები მრავლად გვხვდება სასაუბრო მეტყველებაშიც, მწერლობაშიც: მაგ.:

მხოლოდ მშიერი დინოზავრი თუ შთანთქავდა ასე სწრაფად და ასე ზედიზედ ამდენ კიტრსა და პამიდორს (შატბ., II, 418); (თორნიკეს) გამოცდილებით მხოლოდ ბონდარენკო თუ შეედრებოდა (ფანჯ.,

6 პანს ფოგტი ასახელებს ასეთ განმარტოებულ დამოკიდებულს იხ. H. Vogt, Grammaire de la langue géorgienne. Oslo, 1971, გვ. 210 (2, 187); ა. პ ა პ ი ძ ე, მყოფადის ხოლმეობითი თანამედროვე ქართულში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, VIII, თბ., 1988, გვ. 93.

394); მამაპაპური სახლების მემკვიდრეები... მხოლოდ ზაფხულობით თუ ეწვევიან ხოლმე აქაურობას (რ. ჯაფ., გაზ. „კომ.“, 9. VII, 1988, 3); მხოლოდ ნარკვევებში და პუბლიცისტურ წერილებში თუ გამოჩნდება ხოლმე სოფლის დაცლის საკითხი (ტ. კვანჭ., გაზ. „ლიტ. საქ.“, 30. IX, 1988, 4); მხოლოდ გაზეთებით თუ ვიგებთ თქვენს ამბავს (გაზ. „ლიტ. საქ.“ 30. IX, 1988, 15); მისმა ფეხისხმამ თუ გამოაღვიძა მერცხალი (რ. ინან., გაზ. „ლიტ. საქ.“, 30. IX, 1988, 9).

თუ+თორემ-კავშირებიანი კონსტრუქცია, თუ მასში ზმნები არ მეორდება, ჩვეულებრივ, არ იკვეცება. მაგ.:

[იობმა] ღვთის ქება-დიდებას თუ მოუმატა, თუ არა არ მოუკლია (აკაკი. 9.437); ამისთანაში, შვილო. ჩხრეკა-ძიება და რჩევა თუ; აზარალებს ქალიშვილს, თვარა სიკეთეს არ დააყრის (დ. კლდ., II, 68).

ამ შემთხვევაში ლოგიკური მახვილი აქვს პირველ ზმნას (მოუმატა, აზარალებს), რომელსაც მომდევნო კომპონენტში ანტონიმური მნიშვნელობის ზმნა შეეფარდება, ოღონდ უკუთქმითი ნაწილაკით (არ მოუკლია, სიკეთეს არ დააყრის). „არ“ ნაწილაკის მეშვეობით ზმნათა სემანტიკური დაახლოება ხდება. კონსტრუქციის შემქმნელი ზმნები თითქმის სინონიმურნი ხდებიან (აზარალებს — სიკეთეს არ დააყრის). სინონიმიზაცია ზოგჯერ განმეორების ტოლფარდად აღიქმება, რის გამოც რთული კონსტრუქცია იკვეცება: „თორემ“-კავშირიანი კომპონენტი ქრება, მის საკომპენსაციოდ „თუ“-კავშირიანი კომპონენტში ნაწილაკი „მხოლოდ“ ჩნდება. მაგ.:

საშუალო საუკუნეებში ეს ტენდენცია მხოლოდ თუ გაღრმავდა (არნ. ჩიქობავა, მარტ. წინ. პრობლ. 1968,8); [ეროვნული კულტურა] მხოლოდ თუ გამდიდრდება საერთო საკაცობრიო და... საკავშირო კულტურის მონაპოვრით (გაზ. „ლიტ. საქ.“, 16.VI.1989, გვ. 10).

ამგვარი კონსტრუქციები ხალხური მეტყველებიდან მომდინარეობენ. ამიტომ მათ ვხვდებით ქართული ენის დიალექტებშიც და ქართველურ ენებშიც. დავასახელებთ მაგალითებს დიალექტებიდან:

ორ- და სამკომპონენტიანი ჰიპოტაქსი განმეორებული პრედიკატით.

ნუ გვიგდებს ყურს მთავრობა, თუ არ გვიგდებს (ბ. გაბ., 191); ეპ. წაედით, თუ მიზლით (იქვე, 191); გაიცინიდივ, თუ გაგეცინებისავ (იქვე, 156); თუ შეჯდება მაგ ცხენზე. ის დეურში შეჯდება (დიალ., იმერხ., 387), სამ წლამდი თუ მოვიდეო, მოვიდე, თუ არა და სამ წელს იქით გათხოვდიო (დიალ., ქართლ., 292); ჩვენს მკვდარს თუ ტირისავ, ჩვენ მკვდარ იტირასავ, თუ არა და თავის მკვდართ გვაკვენხნებსავ, ჩვენ რა მაგის დროს-ჟამ გვადგასავ? (ა. ჰინჭ., 431); თუ მე

ამუელო, ხო ამუელო, თუ არა ამუელო, შენაო ეს ფული გაგზავნე ჩემ
კოლთანაო (დიალ., ფერეიდ., 261).

თანადამოკიდებულ კომპონენტები მთავრის
გარეშე.

მაგას სოლომონ ბრძენი თუ აგისნის, თორემ მე სად შემიძლია
მაგის ახსნაო (დიალ., ქართლ., 308); თუ წამოხვალ, თუ არა ჩვენ მი-
ვდივართ (იქვე, ჯავახ., 339); ისინი თუ დაიჭერენ და მოძკლავენ იმ
გველეშაპს, თუ არა სხვა ვერაფერიაო (იქვე, შიგნიკახ., 190).

როგორც დავინახეთ, თანადამოკიდებული წინადადებების გა-
დაბმა მთავრის გარეშე მაშინ შეიძლება, თუ ისინი ერთნაირი სინ-
ტაქსური ფუნქციისანი არიან. სხვადასხვა ფუნქციის ორ თანადამო-
კიდებულ კომპონენტს შორის კი აუცილებელია იყოს მთავარი; მთა-
ვარი ნაწილი, თუნდაც უპრედიკატო, დამოკიდებულ ნაწილს არ
შეერწყმის. მაგალითად: თუ რამეს ვინახავ.(¹) ისევ თქვენთვის,(²)
ჩემი დამარხვა ტვირთად რომ არ დაგაწვეთო(³) (გ. კეპელი., გაზ.
„ლიტ. საქ.“, 7, XI, 1985, გვ. 8). აქ მთავარს, მეორე კომპონენტს,
აკლია ზმნა, რომელიც პირველ კომპონენტში, პირობითშია წარ-
მოდგენილი. მესამე — „რომ“—კავშირიანი მიზნის გარემოებითი და-
მოკიდებული კომპონენტი — უპრედიკატო მთავარს უკავშირდება.
ასეთ შემთხვევაში მთავარში, სხვა სიტყვებთან ერთად, უთუოდ
იქნება საკორელაციო სიტყვები, რომლებიც, ჩვეულებრივ, მახვი-
ლიანია. მაგ.:

შვილი თუ აქამდინ არ ეყოლა, ის იმიტომ, რომ ლუარსაბმა
ზატს დაამუნათა და წააყვედრა (ილია, 185); თუ დანიშნულ ვადაზედ
იკრიბება აქაური საზოგადოება ამ სახლში, უფრო იმიტომ,
რომ ქალაღი ითამაშონ (ვაჟა, VII, 408); თუ რომელიმე ფიქრობს
და ცდილობს მუშათა ყოფა-მდგომარეობის გაუმჯობესებას, ეს
იმიტომ როდი, ვითომ უყვართ ისინი, ან ებრალებათ (იქვე,
250); თუ ის იმარჯვებდა ომებში, მხოლოდ იმიტომ, რომ თავ-
განწირული და ჭკუამახვილი იყო (ტ. ტაბ., 429); თუ ვსდუმდი,
იმიტომ, რომ ის ჩემთვის ყველაფერი იყო (იქვე, 330); თუ დაე-
ყოვნდი, ისიც იმიტომ, რომ მუხლების ცახცახი შემეჩერებინა
(გ. შატბ., 291); თუ ამის გამო არც ერთი და არც მეორე ხმას არ
იღებდა, მხოლოდ იმიტომ, რომ პაპა პეტრესათვის დაემა-
ლათ... იღუმალი შიში (იქვე, 421); თუ მაინც გადავრჩით და გავ-
მრავლდით კიდევ, ეს იმიტომ, რომ ჩვენ გლერტა ბალახივით
ვართ (ა. ბაქრ., სულის ზრდა, 314); თუ წინ ველარ გაგრძელდა სვლა,
ეს იმიტომ, რომ უთვალავი ალაფი ვერ ზიდეს (იქვე, 334).

4. მთავარ კომპონენტში შეიძლება არ იქნეს ზმნა „არის“

წ/ „იქნება“ // „იყო“), რომელიც კონტექსტის მიხედვით ადვილად სავარაუდებელია. მ ა გ.:

ეს — რაც ვნახე ხომალდიდამ, თვარე იქ მიწაზე არ გავსულვარ (სულხან-საბა, 289); რაც გინდა ღარიბი კაცის სახლში მოხვიდე, ძვირად, რომ არ შეხვდე ერთ ხელსაც არის სუფთა ქვეშაგებს (ა. ფურც., 496); იშვიათად, რომ გზაზე გადმოვიდეს (ზღარბი) (რ. ინან., გაზ. „ლიტ. საქ.“, 3, 1, 1986. გვ. 9); იშვიათად, რომ ასაკოვანი კაცი ამ ნაწარმოებებს მიუბრუნდეს ხელახლა (რ. თვარ., გაზ. „თბ.“, 22. VII, 1988, 4).

5. სასაუბრო მეტყველებაში ძალიან ხშირია პრედიკატის კვეცა ავტორისეულ წინადადებაში. რომელიც მოთავსებულია სხვათა ნათქვამის წინ, შემდეგ ან მასში. გამოტოვება შესაძლებელია იმის გამო, რომ კონტექსტით ადვილად აღსადგენია ზმნები, რომლებიც ძირითადად „თქმის“ სემანტიკურ ჯგუფს ეკუთვნიან (უთხრა, ჰკითხა, შემოუთვალა, მიუგო, დაუყვირა, დაუძახა, უპასუხა და მისთ.), ასეთ შემთხვევაში ავტორისეული წინადადების ქვემდებარე უპირატესად მოთხრობით ბრუნვაშია. მ ა გ.:

„დაიცაო, გოგო მ, ნუში ავკრიფო, ვერა ხედავ, ძირს ყრია გაშანშლულიო“. — „ჩვენ ავკრეფთ. ჩვენაო, ქალებმა, შენ ნუ დაიხრები, ცოდო ხარო!“ (ე. ზარ., გაზ. „ლიტ. საქ.“, 7.III, 1986. 8). რა იოანემ ხელი მიჰყო და დაუწყო ჭამა, ამ ბერმან: ბატონო, რასა იქმთ მაგას? (იოანე ბატონ, 222); დედა მ: რომელი ღვინო ამოვადებინოო (დ. კლდ., II, 42); განა ფიცრულის გარანდულ კარს ვერ შევაბამდით, მაგრამ ლაზარემ: ეს უფრო ლამაზიაო (კ. კობ., ყურნ., „მნათობი“, 2, 1985, გვ. 12); აქ არ არისო, — მ დ ი ვ ა ნ მ ა; მ ე ზ ო ბ ლ ე ბ მ ა: რას აკმევიანებთ ამხელა მიწას, მაგის ნაცვლად ხეხილი დაგერგოთ, არც ჩვენ გვაწყენდო (იქვე, 85); მალამო მაქვს ძალიან კარგიო, — მ ა ნ ა ნ ა მ (რ. ინან., გაზ. „ლიტ. საქ.“, I, 1, 1987, გვ. 9): რა შინ მივიდნენ, ბერი: ბატონო, მიბრძანეთ, რაგვარ არს იმ წყლის საქმე და რისგან თბება? (იოანე, ბატონ, გვ. 224).

ასეთი კვეცა ჩვეულებრივია ქართული ენის კილოებში. მაგალითად: სოლომონ ბრძენი შინ არისო, — და — შინ გახლამსო (დიალ., ქართლ., 304). ნიშანდობლივია იგი ანდაზებისთვისაც (მელა კვდებოდა და — საქათმეში დამმარბნეთო)⁷. დამასასიათებელია ქართველური ენებისთვისაც. ვასახელებთ მაგალითებს ლაზურიდან:

ამუშენ დიდი ჩქვა მუ მალოდაზ-მა, — ბ ა დ ი ქ (28.18) / ამაზე მეტი რა მომივაო, — ბერიკაცმა; კ ო ჩ ი ქ: „დოპილა“-მა (32.34)

⁷ დაწვრ. იხ. ლ. ლეჟავა, ქართული ანდაზების ენა, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, I, თბ., 1959, გვ. 163.

/კაცმა: მოგკლავო/; ხინიქ ხე-ნა უნკანუ, კოჩეფე — მჩხუი-
ეფ-ია,—ლო მთელი ცხონტეს წკაიშა (36, 100) / დედაბერმა რომ:
ხელი გააქნია, კაცები — ცხვარი არისო — და სუყველანი გადა-
ხტნენ მდინარეში/; ხინიქ მილეთიშ გრსფერდე — „ბაღიქ
დომაშვიდუ-ნა“ დო დოხედუ დო იმგაუ (113, 35) /დედაბერმა-
ხალხის გასაგონად — „ბერიკაცი დამედრჩოო“ და დაჯდა და იტირა⁸.

6. ზეპირ მეტყველებაში გვხვდება ისეთი ემფატიკური წინა-
დადებებიც. რომელთა მთავარი კომპონენტი უშემასმენლოა: არის-
ერთი სიტყვა, ან სახელური შესიტყვება (ენობრივი ფორმულა), ან
კიდევ ნაწილაკი, ან შორისდებული. მაგ.:

მტერს, რომ ჩვენ მაშინ ვიყვენით! (ვაჟა, 12,59); შენს მტერს, მე-
რომ ზაფრა შემომახდა! (დ. შენგ., 111); ყველა მოკეთეს, იმან რომ:
შვილი გაზარდა! კლდეო! განა, რომ შენ ხარ ჩემი დედ-მამა, ჩემი
მცველი და პატრონი! (ვაჟა, 12,370); ნეტავი შენ, რომ არაფერს ფი-
ქრობ! (აკაკი, 9,35); ქეიფის მეტი რომ არაფერი გაგონდება, ნეტავი
შენ, შე უბედურო! (დ. კლდ., 16, 114); ნეტავი იმას, ვისაც კი მად-
ლიერი ჰყავს ქვეყანა! (ვაჟა, 12, 293); ნეტავი იმ დღეს, ყველანი
რომ ერთად ვიყავით!

მთავარ კომპონენტად გამოყენებული შორისდებული ან მარტოა,
ან სახელები ახლავს⁹. მაგ.:

ვაი, თუ დედალი კრელი ვიდოდეს სადმე ფრთადაუქრელი!
(დ. გურ., 225); ვაი, თუ სეტყვა მოვიდეს, ყელი გამომჭრას დანითა!
(ვაჟა, 289): უი მაგ უბედური, რომ არ შეუძლია გარეშესთან არ მორ-
თოს თავისი ტრაბახობა! (დ. კლდ. II, 68); ვაი, რომ ცუდი ბევრია,
პოვნა ძნელია კარგისა! (ვაჟა, 63); ვაი იმათი ბრალი, თუ ერთი ბეწ-
ვიც არის რასმე შენიშნავდა (ა. ფურც., 375).

როგორც ვხედავთ, დაქვემდებარება გამოხატულია „რომ“; „თუ“
კავშირებით და მიმართებითი სიტყვებით. პირველნი უფრო ხშირად
გვხვდებიან ამგვარ კონსტრუქციებში.

აქამდე ჩვენ განვიხილეთ ის შემთხვევები, როცა ჰიპოტაქსურ
კონსტრუქციაში მთავარი კომპონენტი ან სულ არ არის, ან პრედი-

⁸ მაგალითები დამოწმებულია წიგნიდან: ირ. ასათიანი, კანური (ლაზური)
ტექსტები. თბ., 1974.

⁹ დაწვრ. იხ. ლ. კვაქაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ.
310; ი. გაჩეჩილაძე, შორისდებული ახალ სალიტერატურო ქართულში. თბ.,
1979, გვ. 118-120; ა. კიზირია, მარტივი წინადადების ტიპები წევრთა შემა-
დგენლობის მიხედვით და კომუნიკატივები, თბ., 1987, გვ. 79-85.

კატის გარეშეა. ახლა შევეხებით ისეთ შემთხვევებს, როცა მთავარი სრულია, ხოლო დამოკიდებულები კომპონენტები — შეკვეცილი (ე. ი. უპრედიკატი).

კვეცა ხდება გარკვეულ შემთხვევებში:

1. იკვეცება პირობითი დამოკიდებული, რომელშიც ნაგულისხმევია „ყოფნა“ ზმნა, რის შედეგადაც ვიღებთ ასეთ კონსტრუქციებს: მე რომ არა, შენ რომ არა, ის რომ არა...¹⁰ მ ა გ.:

მე რომ არა, ნიკას ვინ ობერი მისცემდა ქალს (დ. კლდ., 16, 23); შენ რომ არა, კრება დილამდე გასტანდა (ნ. დუმბ., მე, ბეზია... 38); /ამის ფასს/ ვერც გაიგებდა ვერასდროს, ეს ღამე რომ არა (ლ. ბრეგ., გაზ. „ლიტ. საქ.“, 25. X, 1985, 10); დღეს ჩვენ ხელთ არ გვექნებოდა ამ არქივის ნაწილი, ვასილ ჩაჩანიძე რომ არა (გაზ. „კომ.“, 17, IX, 1985, 4); სხვა რომ არა, სიზმარს მაინც ნახავდი (მ. ელიოზ., 69); შესაძლოა მკითხველის ყურადღება აღარ მიგვექცია ა. გნედინის მოგონებებისათვის, რომ ერთი გარემოება არა (გაზ. „ლიტ. საქ.“, 30, IX, 1988. 6).

2. დიალოგის მეორე რეპლიკაში, რომელიც კითხვითია ან კითხვით-ძახილისა, დამოკიდებული წინადადების ზმნა შეიძლება გამოტოვებულ იქნეს, რაკი პირველი რეპლიკის მიხედვით ადვილი საგულისხმებელია. დამოკიდებული ასეთ შემთხვევაში ოდენ კავშირით („რომ“) არის წარმოდგენილი. მ ა გ.:

„წიგნებს და რეეულებს არ დებ ჩანთაში, ბალოო?“ — „ე ტ ე ვ ა, რ ო ?!“ — გაკვირვებულმა მიუგო ბიჭმა (ზ. ცუცქ., გაზ. „თბ.“, 13, III, 1987. 6); „რომ არ გაიხაროს ჩემმა მაზლმა! იმან გაურჩია ერთი კასპელი, იმასთან მუშაობდა!... — „მ ე რ ე, რ ო ?! — „ბნედიანი, ქალო!“ (რ. ინან., 67); — „ათასგვარად ვუხატავ, როგორ მოაწყოს მეურნეობა, როცა სოფლად წავა!“ — „მ ი დ ი ს, რ ო ?! (საუბრიდან).

3. ძლიერი ემოციის გამომხატველ წინადადებებში ზოგჯერ მთელი ინფორმაცია საკორელაციო სიტყვის შემცველ კომპონენტშია მოცემული, დამოკიდებულში კი მხოლოდ „რომ“ კავშირია ან მასთან ერთად — შორისდებულები¹¹. მ ა გ.:

ისეთ დედალს დაგიკლავთ, რომა!... (გ. შატბ., II, 351); ისეთ სადღეგრძელოებს ვიტყვით, რომ!... (იქვე, 352); ისე გაგასუქო, რომ!... ისეთი მათრობელაა, რომ ჰო, ჰო, ჰო! (დ. კლდ., I, 235).

10 ასეთი შემთხვევები განხილულია. იხ. ლ. კვაკაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 410.

11 დაწვრ. იხ. ო. გაჩეჩილაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 120.

4. შეკვეცა მაშინაც ხდება, როცა დამოკიდებულში იგივე პრე-
დიკატია საპირო, რაც მთავარში. მაგ.:

გურამმა ცივი გონებით იმდენივე იცოდა სიკვდილზე, რაც იმან,
კურელამ, და მაინც განიცდიდა სიკვდილს (გურ. ჩხეულ., 201); ქმარ-
მაც ის თქვა, რაც ცოლმა; შვილმაც ის გზა აირჩია, რაც მამამ; საი-
ქიოს იმასვე მოქმედებენ, რასაც სააქოს (ვაჟა, VII, 16).

5. დამოკიდებულ კომპონენტად გამოყენებული დამახასიათებე-
ლი გამოთქმები კონსტრუქციიდან ამოვარდება ხოლმე. მაგალითად,
ენაში გავრცელებული პირობის აღმნიშვნელი გამოთქმა „მე რომ
შენ (თქვენ) ვიყო“ და მისთანანი, რომლებიც პირთა შენაცვლებაზეც
მიუთითებენ, ჩვეულებრივ, იკარგება. რთულ კონსტრუქციებში ამის
შედეგად ერთი შეხედვით „შეუსაბამო“ შეხამებებს ვიღებთ: II ან
III პირის სუბიექტი პირველი სუბიექტური პირის ფორმით აღინიშ-
ნება. მაგ.:

მეორე პირის სუბიექტი I სუბიექტური პი-
რის ფორმით

სხვაგან რომ დაყილობ, იქაც მივიდოდი¹² (დ. კლდ., I,
130): თუ არ გიშვებდა, გამოვიპარებოდი, მოვკლავდი
და ისე გამოვიქცეოდი (დ. შენგ., 45); „წყალი აღარ მაქვს!“...
და სპირიტონამ გამოაწოდა თუნგულა. — „დევიძახებდი და მე
მოგიტანდი!“ — „ვიძახე... მაგრამ ვერ გაგაგონე...“ — „მოვიტ-
მენდი ერთ წამს“... (დ. კლდ., 16, 341): ბაბუაშენმა გარეული
ტახი დაიჭირა ყურით და შენ კი ერთი შინაური წუწკი ღორიც ვერ
მოგიშორებია!. ავიღებდი ჯოხს და დაეკრავდი. თავშიო!
(აკაკი, 51): თვალეში რომ ჩამჩერებიხართ, რა მზეთუნახავი იშოკეთ;
გავიდოდით, მოვიარდით ამ ველს, ერთი მარჩილის სა-
ღირალს მაინც ვიშოვიდით (ნ. ლორთქ., 256); სწორ გზას და-
ვადგებოდი, ცუდლუტობას დეერიდებოდი და ასე არ გაგიხდე-
ბოდა საქმე (დ. კლდ., 16, 90); თუ გავვიანდებოდა, ადრე ავდგე-
ბოდი.

მესამე პირის სუბიექტი I სუბიექტური პი-
რის ფორმით

ვიქნებოდი თავისთვის მოსვენებით!... რა მიაბრენინებდა
ჯარში? (აკაკი, 390), რას ერეოდა სხვის საქმეში?! გავჩუმდებო-

¹² ამგვარ მაგალითებს პირველად ყურადღება მიაქცია პროფესორმა ანტონ
კიზირიამ განზოგადებულპირიანი წინადადების განხილვისას. იხ. მისი: მარ-
ტივი წინადადების ტიპები წევრთა შემადგენლობის მიხედვით და კომუნიკატივე-
ში, თბ., 1987, გვ. 58.

დი და არაფერს ვ ი ტ ყ ო დ ი (საუბრიდან): წინასწარ რომ დაუნაწილა ქონება შეილებს, ჩემთვისაც შე მ ო ვ ე ნ ა ხ ა ვ დ ი ორიოდ გროშს (საუბრიდან).

ხაზგასმული ზმნები აშკარად არ ეგუება ტექსტს, თუ გამოტოვებულ დამოკიდებულ კომპონენტს არ გავითვალისწინებთ. მაგალითად: „სხვაგან რომ დაყილობ, იქაც მივიდოდი“ — ეს კონსტრუქცია გამოტოვებული ნაწილის აღდგნით ასეთ სახეს მიიღებდა: „სხვაგან რომ დაყილობ, მე რომ შენ ვყოფილიყავ, იქაც მივიდოდი“. ახლა უკვე გასაგებია, რატომ აღმოჩნდა კანონიერი „დაყილობ“ ფორმის გვერდით „მივიდოდი“ (და არა „მისულიყავ“). სასაუბრო ქართულში იმდენად გავრცელებულია ეს გამოთქმა, რომ მისი გამოტოვება შინაარსობრივ შეუსაბამობას არ ქმნის. ან კიდევ ასეთი მაგალითი: „ვიქნებოდი თავისთვის მოსვენებით!.. რა მიაჩნებინებდა ჯარში?“ დამოკიდებულის აღდგენით: მე რომ ის ვყოფილიყავ, ვიქნებოდი თავისთვის მოსვენებით?.. რა მიაჩნებინებდა ჯარში?“.

ზემოთ დასახელებული კონსტრუქციები „სწორდება“, როცა შეკვეცილ დამოკიდებულ ნაწილს აღვადგენთ.

შეკვეცილი ჰიპოტაქსის გვერდით გვხვდება სრულიც, რომელშიც ზემოთ დასახელებული გამოთქმა გამოტოვებული არ არის. განსაკუთრებით ხშირია ასეთი სრული კონსტრუქციები აღმოსავლეთ საქართველოდან გამოსული მწერლების თხზულებებში. მაგ:

მე შენი ვიყვე¹³, სულ მაღლა ცაში ავიტანდი, იქიდგან ძირს ჩამოვადგებდი და ისე გავტეხდიო (ი. გოგ., 171); მე რომ თქვენი ვიყო, ამ სიცრუვისათვის ციმბირში დავაკარგვინებდი (ილია. 327); მე რომ თქვენი ვიყო, ციხეში ჩავასმევენებდი (იქვე, 326); მე რომ თქვენი ვიყო, იმას ერთი ლამაზად მივტყეპავდი რუსულის წკეპლითა, იმ საჩექმეს ერთი-ორად წაეართმევდი და მომიგდებდი მე საცოდავსა, ერთს ქერივ-ოხერს, ობლების პატრონს (იქვე, 327); მე რომ ბაბალესი ვიყო, ძალად გაგაგდებ დალისტანში (ნ. ბარ., 96); მე რომ შენ ვიყო, ხმასაც არ ამოვიღებდი (დ. კლდ., 16. 133).

ქართულისათვის ბუნებრივი ეს გამოთქმები უკანასკნელ ხანებში შეცვალა უფრო გავრცელებულმა გამოთქმამ „მე რომ თქვენს (მის) ადგილას ვიყო“ და მისთ. მაგ.:

13 გრამატიკოსი სილოვან ხუნდაძე წერდა, რომ გამოთქმა „მე შენი ვიყო“ და მისთ. კანონიერი არ არის. უნდა გასწორდესო ეგრე: „მე რომ შენ ვიყო“ და მისთ., რადგანაც აქ დაისმის კითხვა: ვინ ვიყო? შეიძლება ეს გამოთქმანი ასეც გამოვხატოთ: მე შენს ალაგას და მისთ. (იხ. სილოვან ხუნდაძე, ქართული მართლწერისა და სწორების ძირითადი საფუძვლები, ქუთაისი, 1927, გვ. 68).

მე რომ ვიყო ბახას ადგილას, იქნება უარესი საქმე ჩამედინა (ვაჟა, 509); მე რომ თქვენს ადგილზე ვიყო, ამ კედელს მივანგრევდი და ტიხარს იქით გადავიტანდიო (რ. ჭეიშ., 304); მე რომ თქვენს ადგილზე ვიყო, ამ ოთახს არ გავაქირავებდი (იქვე, 49); თქვენს ადგილზე რომ ვიყო, ქალბატონო, ულაპარაკოდ ვუჩივლებდი იმ ვილაც მინდიაშვილს (კ. კობ., ჟურნ. „მნათობი“, 2, 1985. გვ. 87); შენ რომ ჩემს ადგილზე იყო, რას იზამ? (ნ. დუმბ., მე... 128); შენ რომ ყოფილიყავი მის ადგილზე, იქნებ ისე არ მოიქცეოდი, როგორც შენი მეგობარი მოქცეულა? (გ. ფანჯ., 484).

ზემოთ ნაჩვენები კონსტრუქციები შეკვეცილიც გვხვდება: დამოკიდებულ კომპონენტში ზმნა და კავშირი იკარგება, სხვა სიტყვები კი, რომლებიც აზრობრივად აუცილებელია, უერთდება მთავარ კომპონენტს და რთულის ნაცვლად ვიღებთ ნაპიპოტაქსარ „გამარტივებულ“ კონსტრუქციას. მაგალითად: „მე რომ თქვენს ადგილზე ვიყო, ამ ოთახს არ გავაქირავებდი“. ეს პიპოტაქსის მოშლის შედეგად ასე შეიცვლება: „მე თქვენს ადგილზე ამ ოთახს არ გავაქირავებდი“. ეს უკანასკნელი კონსტრუქცია ჰგავს მარტივს, მაგრამ მარტივი არ არის. „თქვენს ადგილზე“ პირობის გარემოების როლს ასრულებს და ცვლის მთელ დამოკიდებულ კომპონენტს. თვითონ ზმნაც აქ მყოფადის ბოლმეობითის ფორმითაა. მარტივ თხრობითს წინადადებაში ზმნის ეს ფორმა (მრავალგზისობის გავების გარეშე) არ გვხვდება. ასეთ შემთხვევაში თუ რჩება, ეს იმიტომ, რომ ამგვარი „მარტივი“ ნაპიპოტაქსარი კონსტრუქციაა. დავასახელებთ სხვა მაგალითებს:

მე შენს (მის) ადგილას რომ ვიყო¹⁴

მე შენს ადგილზე ამ ეპიზოდს ასე გადავაკეთებდი (გ. ფანჯ., 335); თქვენს ადგილას მე ხმას არ ამოვიღებდი (ნ. დუმბ., მზ. ლამე, 127); მის ადგილზე სულაც არ ვიჭაგრებ მაგაზე! (დ. კლდ., II, 71); ბადრიას ადგილზე იმ ლამით არ დამეძინებოდა (ნ. დუმბ., მზე, 5).

შენ ჩემს (მის) ადგილას რომ იყო

მე მგონი ჩემს ადგილზე შენც ასე მოიქცეოდი (გ. ფანჯ., 337); მის ადგილზე შენ როგორ მოიქცეოდი? (იქვე, 263).

¹⁴ ამ კვეცას, ალბათ, ხელი შეუწყო რუსულმა. ენამაც, სადაც ჩვეულებრივია ასეთი წინადადებები: На вашем месте я бы иначе поступил — თქვენს ადგილზე სხვანაირად მოვიქცეოდი (იხ. გ. გოლე თიანი, ქართულ-რუსული სასაუბრო, თბ., 1982, გვ. 18).

ელიპტირებული პირობის შესახებ საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული ასმათ პაპიძეს. იხ. მისი, დასახ. ნაშრ., გვ. 184, 193—194.

ის ჩემს (შენს, მის) ადგილას რომ იყოს

ჩემს ადგილზე იმ სიტუაციაში ყველა ქართველი კაცი. ალბათ, ჩემსავით მოიქცეოდა (ს. ღურმ., 279): ქართველი, ალბათ, თავს მოიკლავდა მის ადგილას (გურ. რჩეულ., 188).

ზემოთ ნათქვამიდან ვასკვნით, რომ ჰიპოტაქსური კონსტრუქციების კვება ქართულში ხდება სხვადასხვა საშუალებით: ა) მყარი გამოთქმების გამოტოვებით, ბ) განმეორებული პრედიკატების რაოდენობის შემცირებით; გ) კონტექსტით ადვილად საგულისხმებელი ზმნების გაუჩინარებით; დ) ჰიპოტაქსური კონსტრუქციის ნაწილების (მთავარი და დამოკიდებული კომპონენტების) იმგვარი შერწყმით, რომლის შედეგადაც მიიღება მარტივის მსგავსი ნაჰიპოტაქსარი კონსტრუქციები.

ერთპარტიული კონსტრუქციის კარტულში

შევეცილი ჰიპოტეზური კონსტრუქციების შესახებ მსჯელობისას აღინიშნა, რომ რთული წინადადების ერთ-ერთ კომპონენტში იკარგვის პრედიკატი, რაც სხვადასხვა ფაქტორით არის გამოწვეული (კონტექსტური, სიტუაციური და სხვ.). განსხვავებული ვითარებაა მაშინ, როცა პრედიკატის კლება შეპირობებულია სინტაქსური მოდელით. ასეთი ერთპარტიული კვლევა გვაქვს მსგავსებითი და სხვაობითი შედარების გამომხატველსა და ზოგიერთი სახის პირობითის შემცველ წინადადებებში¹. ერთპარტიული კონსტრუქციაში, ჩვეულებრივ, დამოკიდებული ნაწილია უპრედიკატო. მასში იგივე ზმნა ივარაუდება, რაც: მთავარშია. კონსტრუქცია ერთ ზმნაზეა აგებული. დამოკიდებული ნაწილი ზოგჯერ ერთი სიტყვით არის წარმოდგენილი (მაგ., დედა უფრო უყვარს, ვიდრე მამა). ზოგი მკვლევრის აზრით, ასეთი წინადადება შერწყმულია და არა კვლეობილი², ზოგისთვის კი — პირიქით.

მსგავსებითი შედარება სპეციალურ ლიტერატურაში ფართოდ არის განხილული, სხვაობითი შედარება კი — ნაკლებად. არც ზოგი სახის პირობითი დამოკიდებულის შემცველ ერთპარტიული კვლევაზეა გამახვილებული სათანდო ყურადღება. ამის გამო საჭიროდ მივიჩნით ცალ-ცალკე წარმოგვედგინა: ა) ზოგი სახის პირობითი დამოკიდებულის შემცველი კვლევა და ბ) „ვიდრე“-კავშირიანი შედარებითი კონსტრუქცია.

§ 1. პირობითი დამოკიდებული წინადადების უმცველი ერთპარტიული კვლევა

ერთპარტიული კონსტრუქციის პირობითი დამოკიდებულის შემცველი ისეთი კვლევაში წინადადება, რომლის კომპონენტებსაც საერთო ზმნა სჭირდებათ. ეს ზმნა, ჩვეულებრივ, მთავარ წინადადებაშია წარმოდგე-

¹ მსგავსებითი შედარების შესახებ არსებობს სპეციალური გამოკვლევა: თ. კვაკატირაძე, მსგავსებითი შედარება ქართულში, თბ., 1978. ლიტერატურის მიმოხილვა და ბიბლიოგრაფია ამ საკითხზე იხ. აქვე.

² ნ. ბასილაია, სასენი ნიშნების ხმარების წესები ქართულში, თბ., 1966, გვ. 53.

ნილი, დამოკიდებულში კი არ ჩანს. დამოკიდებული მტკიცების მიხედვით უკუთქმითია, მასში ყოველთვის არის უარყოფითი ნაწილაკი „არა“, რომელიც შემასმენლის მაგივრობას სწევს; დაკავშირებულია მთავარ კომპონენტთან „თუ“ კავშირით. მთავარი კომპონენტი მტკიცების მიხედვით წართქმითია. მასში, ჩვეულებრივ, გვხვდება „მაინც“ ნაწილაკი. ე. ი. ამგვარი ქვეწყობის სტრუქტურული ელემენტებია: თუ არა... მაინც. დამოკიდებული წინადადება ფორმითაც უკუთქმითია და მნიშვნელობითაც. მასში გამორიცხულია სავარაუდო პირობა და ამ გამორიცხვის საპირისპირო მტკიცებაა მოცემული მთავარში. მაგ.: (ხევსური) ხატში თუ ორს არა(!) ერთ საკლავს მაინც მიიყვანს „სამსხვევრკლოდ“⁽²⁾ (ვაჟა, VII, 149). შემოკლებული დამოკიდებული წინადადება შეიძლება გაიშალოს ასე: (ხევსური) ხატში თუ ორს არ მიიყვანს... დამოკიდებულში „არ მიიყვანს“ წარმოდგენილია მხოლოდ „არა“ ნაწილაკით, იგივე ზმნა მთავარშია მოცემული დადებითი ფორმით და მართაც დამოკიდებული წინადადების წევრსაც („თუ ორს არა, ერთს მაინც მიიყვანს“). გამორიცხულ-დაპირისპირებული შეიძლება იყოს დამოკიდებული წინადადების ყოველი წევრი (ქვემდებარე, დამატება, განსაზღვრება, გარემოება). მაგ.:

თუ მთელს არა, ნახევარ სამეფოს მაინც შენს საქმროს დავუთმობდი (გრ. რჩ., 7,64); ნახევარი მოთხრობა თუ არა, მესამედი მაინც უნდა ამოვწეროთ (ნ. ნიკ., III, 374); სხვას თუ არა, ავადმყოფს მაინც მოერიდეთ (დ. შენგ., 337); ღონე თუ არა, ენა მაინც ხომ მოგცა გამჩენმა (ლ. ქიაჩ., 52); მათი ანგარიშით ახლა შუალამე თუ არა, კარგად შეღამებული მაინც უნდა ყოფილიყო (გ. შატბ., II, 446); ამგვარად მთელის საქართველოს წადილს ცოტად თუ ბევრად კმაყოფილება მიეცა სულიერად მაინც, თუ არ ხორციელად (ილია, II, 334); მათს რიცხვში ასამდი მაინც, თუ არა მეტი, სტუდენტები იქნებიან (აკაკი, 9, 608); კვირაობით დედასთან სავარჯიშოში ჩავდიოდი, ბაღა-ბაღში ხელი რომ შემეშველებინა და მომავალი ერთი კვირისა თუ არა, რამდენიმე დღის სამყოფი ლუკმა მაინც წამომეღო (რ. ჯანგ., ჟურნ. „მნათ.“, 2, 1985, 91); მეგონა ის იყო ყველაზე უზნესი, თუ ჩვენს ქალაქში არა, ჩვენს ქუჩაზე მაინც (რ. ჭეიშვი., 21).

სხვაგვარი აზრობრივი მიმართებაა კომპონენტებს შორის, როცა თუ არ (ა) აერთებს ფორმით უარყოფით. მნიშვნელობით დადებითს დამოკიდებულ წინადადებას მთავართან. დამოკიდებული კომპონენტი ამ შემთხვევაშიც უპრედიკატოა და ჰიპოტაქსი ერთ პრედიკატზეა აგებული. ამგვარი ქვეწყობა ორი სახისაა: 1. კითხვა-პასუხის შეერთებით მიღებული; 2. ორი უკუთქმითი კომპონენტის შეკავშირებით წარმოქმნილი.

კითხვა-პასუხის შეერთებით მიღებული ქვეწყობილი წინადადე-

ზის სტრუქტურული ელემენტებია: მთავარში კითხვითი სიტყვები (ვინ, რა, რომელი, როდის...), დამოკიდებულში კავშირი თუ და უარყოფითი ნაწილაკი „არა“. მაგ.:

/ყუთს თავს/ ვინ აბდიდა, თუ არა ჩემი დენშჩიკი (ილია, 8,25); ვინ გაღმერთოს ციურად მოცინარი, თუ არ მევე (აკაკი, 35); ვინ წააქეზოს გონება, თუ არა გულმა (ქ. ლომთ., 18); მაინც რა არის ჩვენი ყოფა, წუთისოფელი, თუ არა ოდენ საწყაული აღუესებელი (ნ. ბარ., 6,108); და რალა გაგვყრის ამიერიდან უკუნისამდე, თუ არ სიკვდილი (აკაკი, 290); თუ შენ არა, სხვას ვის უნდა ვუთხრა მართალი (ვაჟა, 546); თუ არ მაგ მიზეზს. სხვას რას შეეძლო, რომ ქვაბულიძე გამოეცვალა (აკაკი, 290); თუ არა ჯადოს წყალობით, რა გაგვაძლებინებდა აქამდე ამდენ ვაი-უშველებელში? (აკაკი, 9,171); თუ არა ამ ვითარებაში, როდის უნდა გაგვახსენდეს ჩვენი კლასიკური მწერლობის კონცეფცია? (ა. ბაქ., ურნ. „კრიტიკა“, იანვ.-თებერ., 1985, 57).

მთავარი წინადადება კითხვითი სიტყვის შემცველია, მაგრამ კითხვა რიტორიკულია, რაც საბოლოოდ ნეგატიურ შინაარსს იძლევა³. დამოკიდებულ ნაწილში, როგორც ვხედავთ, არ არის შემასმენელი. იგი გამოტოვებულია, რაკი მთავარშია წარმოდგენილი. სადაც განმეორება მოსალოდნელი არ არის, დამოკიდებულ კომპონენტს თავისი პრედიკატი აქვს. მაგ.:

რა არის ჩვენი სიცოცხლე, თუ არა საქმე კეთილი? თუ არ აღვადგენთ დაცემულს, არ ვექმნეთ ნუგეშმცემელი? თუ არა ვსდევნით ბოროტსა, მართლის არა ვართ მფარველი? სხვის კვნესა თუ არ გვაწუხებს, სხვისა არ გვესმის ტკივილი?! (გრ. ორბ., 6,4).

ამგვარი პერიოდები სამწერლო ენის კუთვნილებაა. რაც შეეხება ზეპირ მეტყველებას, აქ, ჩვეულებრივ, ერთპრედიკატიანი ქვეწყობა გვაქვს. ასეთ ქვეწყობაში დამოკიდებული ნაწილი უდრის მთავარში კითხვითი სიტყვით გადმოცემულ წევრს. მაგ., რა არის ჩვენი სიცოცხლე? — საქმე კეთილი, დაცემულის აღდგენა...

ერთი შეხედვით, დასახელებულ მაგალითებში კავშირად შეიძლება თუ არა მოგვეჩვენოს, რადგან თუ-ს ყოველთვის აბლავს არა ნაწილაკი, მით უმეტეს, რაკი ახალ ქართულში არის კავშირი თუ არა (დროისა) და თუ-სა და არა-ს შერწყმით მიღებული პირობით-შედ-

³ თუ კითხვითი სიტყვა პირდაპირი მნიშვნელობით არის ნახმარი, ე. ი. კითხვის გამოხატველია, მაშინ დამოკიდებული პასუხს კი არ იძლევა, არამედ ქვეწყობა მოლიანად კითხვითია და პასუხს მოითხოვს. მაგ.: მაშ რისთვის იყავ, თუ არ მივისთვის? (ილია, 98); მაშ, რას გეუბნებოდა მღვდელი... თუ არ ამასა? (იქვე, 108).

გობითი თორემ. მაგრამ არა! ჩვენს შემთხვევაში მაქვემდებარებელი კავშირია მხოლოდ თუ. არა ნაწილაკი დამოკიდებული წინადადების შემასმენელის კუთვნილებაა და ამხსნელ კომპონენტს უკუთქმითი ფორმით წარმოვიდგენს. იქ, სადაც თუ არა ერთი ოდენობაა. მისი შემადგენელი ნაწილების გათიშვა შეუძლებელია. დასახელებულ შემთხვევაში კი ეს ადვილად ხერხდება: თუ შენ არა, სხვას ვის უნდა ეუთხრა მართალი?! ვინ წააქეზოს გონება, თუ გულმა არა?! დამოკიდებულ წინადადებაში უარყოფითი ფორმით დადებითი პასუხია მოცემული. ეს პირობითი დამოკიდებული წინადადებისათვის არის ნიშანდობლივი, რაც ერთპრედიკატიანი პირობითის შემცველი ქვეწყობის მეორე ვარიანტშიც იჩენს თავს.

მეორე სახე თუ არა-ს შემცველი ქვეწყობისა მიიღება მტკიცების მიხედვით უკუთქმითი ორი კომპონენტის შეერთების გზით. ამგვარი შეერთება იძლევა საპირისპირო დადებით შინაარსს. სტრუქტურული ელემენტებია: მთავარში უარყოფითი სიტყვები (არავინ, ვერავინ, არაფერი, არაარა... ვერსად, არასდროს...) და უარყოფითი ნაწილაკები, რომლებიც ახლავს ზმნას. დამოკიდებულშია თუ არ(ა). მაგ.:

თუ არა მათა და სიმაგრეთა შინა, არღა იპოებოდენ მცხოვრებნი ერნი ქართველთანი (იოანე ბატონ., 6,490); ახლა შენ, თუ არ კვირით, დასტურსაც არ გვაძლევ ღვინის შესმისასა (იქვე, 469); თუ არ პატარაობისას, ამის თვალზედ ზაქროს ცრემლი არ ენახა (ილია, 8,413); ვერ მიხვდებოდა სხვა კაცი, თუ არ იმისი ხლებული (შქმ, I, 2374); თუ არ გამოთხოვების დროს... და ან ხანგრძლივ უნახაობის შემდეგ, ისე არ გვაკოცებდა ბავშვებს (აკაკი, 9,64); თუ სუფრაზე არა, ისე მასთან არ დაჯდებოდნენ (დ. კლდ., II, 120).

ორივე კომპონენტი, მტკიცების მიხედვით უკუთქმითი, იძლევა დადებით შინაარსს. ზემოთ დასახელებულ მაგალითებში მთავარი კომპონენტი მხოლოდ უარყოფითი ნაწილაკის შემცველია. შეიძლება მთავარში იყოს მხოლოდ უარყოფითი სიტყვა (უარყოფითი ნაცვალსახელი და უარყოფითი ზმნიზედა). მაგ.:

ხელმწიფესთან არა ითქმოდა რა ქვეყნიერი, თუ არ ზეციერი (რუსუდ, 255, 11—12); ამისთანა ადგილს, თუ არ მეფე, სხვა ვერვინ ინადირებდა (იოანე ბატონ., 6,244); თქვენს ბარგს, თუ არ ესე, ვერავინ ატარებს (იქვე, 140,12); თუ არ დიდძალი ჭარით, ცოტათი ვერაზ გავხდებით (აკაკი, 9,183); თუ არ დიდს ძალას, ამათი შველის ღონე არავისა ჰქონდა (ა. ფურც., 7,539).

შესაძლებელია მთავარ კომპონენტში უარყოფის გასაძლიერებლად უარყოფითი სიტყვაც იყოს და უარყოფითი ნაწილაკიც (ე. წ.

ორმაგი უარყოფა)⁴. მაგ.: თუ არ მას ადგილს, ჩემი დარჩომა არსად არ იქმნება (სულხან-საბა, 5, 79)⁵.

დამოკიდებული წინადადების ადგილი მტკიცედ განსაზღვრული არ არის:

თუ არ ღვთის ღირსი, სხვა ვერვინ თურმე ამ წმინდა ადგილთ ვერ შეეხება (ილია, 8,108); ქართლის ჰირსა ვერვინ მოთვლის, თუ არ ბრძენი, ენამქვერი (დ. გურ., 5,24); თუ არ ქარი, ისე ხორცშესხმული ვერავინ შეასწრებს (აკაკი, 9, 445); თუ არ პირმოთნეობით, მჰადსაც არავინ გაქმევთ (იოანე ბატონ., 6,738); მაშინდელი მათი შვება და ღბინი. თუ არ სამოთხის ხილვის სიტკობებასა, ვერას ვამსგავსე (რუსუდ., 500, 1—2); ათი მცნება სხვა არაფერია, თუ არა ათი ძირითადი ადამიანური თვისების აღმოჩენა (ო. კილ., 123); მწყემსი ქალი სხვა არა არის რა. თუ არა განდევილის მიერ უარყოფილი მიწიერი სინამდვილე (ა. ბაქრ., ი. კ., 102); თასმას... სხვა არაფერი გასწყვეტდა, თუ არა ფიჩხი (ვაჟა, 12,449); თუ არ ტვინსა, სხვას არას კამსო (სულხან-საბა, 5,39); თვისთა სამყოფთა გარეთ მათ კაცი ვერაოდეს ვერ ნახევდა, თუ არ ლოცვაზე და ანუ კვირასა დღესა მეფესთანა ანუ დედოფალთანა (რუსუდ., 249, 13—14); გიორგი იარაღს, თუ არ გაჭირვებაში. არასდროს არა ხმარობდა (ა. ფურც. 7.368); თითქოს ჰქუა, თუ არ წიგნში. სხვაგან არსად იყოს (ილია, 8,353); მე ეს სახე სხვაგან არსად მინახავს, თუ არ ამ სენაკში, თუ არა გაცრეცილ ეტრატებზე თავდახრილი, სანთლის შუქით გასხივოსნებული და უხმოდ მეტყველ ასოებს ჩაჩერებული (ყურნ., „განთ.“, 2, 1978, 40).

უსრულ (უშემასმენლო) დამოკიდებულ წინადადებაში იგულისხმება იგივე შემასმენელი, რაც მთავარშია. მაგ.: თუ არ ღვთის ღირსი, სხვა ვერვინ თურმე ან წმინდა ადგილთ ვერ შეეხება (ილია, 8,108). ეს ნიშნავს: თუ არ /შეეხება/ ღვთის ღირსი, სხვა ვერვინ თურმე ამ წმინდა ადგილთ ვერ შეეხება. ან სხვაგვარად: მხოლოდ ღვთის ღირსი თუ შეეხება ამ წმინდა ადგილთ; ან კიდევ: ქართლის ჰირსა ვერვინ მოთვლის, თუ არ ბრძენი, ენამქვერი. სხვაგვარად, ქართლის ჰირს მოთვლის მხოლოდ ბრძენი, ენამქვერი. ამგვარი დამოკიდებული წინადადება ზემოთ განხილულისაგან განსასხვავებლად მნიშვნელობის.

⁴ ვ. თ. ო. ფ. რ. ი. ა., ორმაგი უარყოფა ქართულში, წელიწადი, თბ., 1923; 127, 135.

⁵ საშუალო ქართულის ზოგ ძეგლში აქა-იქ ჩანს თუ არა-ს პარალელურად არა თუ როცა დამოკიდებული მოსდევს მთავარს (მაგ.: სხვა საქმელი ვერა გააძლობს რა, არა თუ იმისთანა დიდროვანი ზღვის თევზი: შპნმ, III, 409, 43). ეს ძველ ქართულშიც ვგვრევა. იხ. ლ. ბარამიძე, თუ კავშირისა და თუ-ს მონაწილეობით შედგენილი ზოგიერთი კავშირის ფუნქციებისათვის ძველ ქართულში: თსუ ძვ. ქართ. ენის კათ. შრ., 25, 1984, გვ. 154-157.

მიხედვით შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს, როგორც წართქმით-დადასტურებითი პირობითი დამოკიდებული.

თუ შევადარებთ ერთმანეთს თუ არა-ს შემცველ დამოკიდებულ წინადადებებს, დავინახავთ, რომ ერთნაირი შედგენილობის დამოკიდებული სხვადასხვაგვარ აზრობრივ მიმართებაშია მთავარ კომპონენტთან, იმისდა მიხედვით, თუ როგორი შედგენილობისაა თვითონ ეს მთავარი ნაწილი, თუ მთავარში უარყოფითი ან კითხვითი სიტყვებია, ან კიდევ უარყოფითი ნაწილაკია, მაშინ დადასტურებითი პირობითი გვაქვს: მაგ.: თუ მეგობარს არა. სხვას ვის ენდობა?! ან: თუ არ მეგობარს, სხვას არვის ენდობა (=მხოლოდ მეგობარს ენდობა). ე. ი. უკუთქმითი ფორმა საპირისპირო წართქმით შინაარსს გამოხატავს. თუ მთავარი წინადადება წართქმითია, თუ მასში ზემოთ დასახელებული სიტყვები არ არის და ჩანს ნაწილაკი „მაინც“, მაშინ დაპირისპირებას გამოხატავს და უარყოფითი ფორმით უარყოფითივე პირობაა ნაჩვენები დამოკიდებულ წინადადებაში. მაგ.: თუ მეგობარს არა, დედას მაინც უნდა ენდოს (=მეგობარს არ ენდობა, მაგრამ დედას მაინც უნდა ენდოს).

XIX საუკუნის ზოგი მწერალი თუ არა-ს ხმარობს იქ, სადაც ჩვეულებრივ, „რომ არა“ იხმარება ამავე პერიოდის ნაწერებში⁷. უფრო მეტიც, მე-20 საუკუნის მწერლებთანაც გვხვდება ამგვარი პირობითი დამოკიდებული, რომელიც ზოგჯერ უშემასმენლოა. მაგ:

თუ იმას არა, მარტო მე რას გავაწყობდი (აკაკი, 9,179); თუ ანგელოზები არა, აქამდის ცხრაჯერ დააქცევდა ღმერთი ჩვენს ქვეყანას (იქვე, 9,437); თუ პარიზის ტრაქტატს არა, ბატონყმობა ეგებ დღესაც არ ყოფილიყოს გადავარდნილი რუსეთში (აკაკი, 9,88); თუ ჩირიკი არა, შეიძლება მართლაც სამგლედ გამხდარიყო (გ. ლეონ.. 95).

§ 2. „ვიღრე“-კავშირიანი შუღარებითი კონსტრუქცია

ვიღრე საინტერესო სემანტიკური ევოლუციის მქონე სიტყვაა (ადგილი — დრო — შედარება)⁷. გარდამავალი ხანის მწერლობაში გვხვდება ვირე, ახალ ქართულში — ვინემ (ვიღრე//ვირე//ვინემ)⁸. ძველ ქართულში ეს კავშირი აერთებს მთავართან ადგილის, დროისა და ვითარების (ან შედარების) გარემოებითს დამოკიდებულ წი-

6 შ. ძიძიგური, კავშირები ქართულ ენაში, გვ. 373—374.

7 არნ. ჩიქობავა, ზოგი სიტყვის მნიშვნელობის განვითარებისათვის ქართულში (სიერცისა და დროის მომენტთა ურთიერთობის ასპექტში). ფსიქოლოგია, III, 1945, გვ. 3.

8 შ. ძიძიგური, დასახ. ნაშრ., გვ. 158—160.

ნადადეგებს⁹, ახალ ქართულში კი დროის გარემოებითსა¹⁰ და შედარებითს დამოკიდებულთ.

მთავარსა და დამოკიდებულ კომპონენტებს შორის აზრობრივი მიმართება ასეთია: შედარება-დაპირისპირება ხდება განსხვავების საფუძველზე. ამიტომ შ. ძიძიგური ამგვარ შედარებას სხვაობითს შედარებას უწოდებს¹¹. მთავარ წინადადებაში წარმოდგენილია შესადარებელი ლექსიკური ერთეულის მეტობა, უმეტესობა-უპირატესობა, დამოკიდებულ წინადადებაში კი — შედარებულის ნაკლებობა. ამის გამო კომპონენტების რიგს გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს: მთავარი, როგორც „საკლები“, პირველ ადგილზეა, დამოკიდებული — მეორეზე. „მეტობის“ აღნიშვნისათვის მთავარ კომპონენტში სხვადასხვა ლექსიკური საშუალებაა გამოყენებული: 1. ზედსართავი სახელის უფროობითი ხარისხის ფორმები (ორგანული და აღწერითი წარმოება). მაგ.: ქუეყანაა იგი სოდომისა და გომორისაა უმოლხინეს იყოს... ვიდრე შენ (მ. 11,24); ფარნაოზს ტანმა საფრთხე უგრძნო უარესი, ვიდრე გადაეტანა (ო. ჭილ., 366); გონებით ჰკერეტა უმეტესია, ვიდრე თვალითა (იოანე ბატონ., 6,394).

რაკი ქართულში უფროობითი ხარისხის ფორმა შედარებით ხარისხსაც აღნიშნავს (იშვიათად) და აღმატებითსაც, ამიტომ ახალი ქართული ამჟობინებს ამგვარ კონსტრუქციებში შედარებითი ხარისხის აღწერითს წარმოებას მისცეს გასაქანი. მაგ.: უფრო ღონიერი ხართ, ვიდრე ძველი გმირები და ყველა გოგოთური (გ. ლეონ., 62): უნივერსიტეტის შენახვა უფრო იაფი ჯდება, ვიდრე დივიზიებისა (ნ. ნიკ., V, 485); ფულის დამხარჯველი არანაკლებად კეთილ საქმეს აკეთებდა, ვიდრე ფულის დამგროვებელი (ო. ჭილ., ყოველმან..., 332); მისთვის ეს მიწა იმაზე უფრო მეტი იყო, ვიდრე რამდენიმე ქიმიურ ელემენტთა ერთობლიობა (ლ. მრელ., 695).

ზედსართავი სახელი „მეტი“ დადებითი ხარისხის ფორმითაც აღნიშნავს უპირატესობას:

ხომალდებიდან გადმოტვირთვისასაც ტვირთს მეტი ყურადღება ექცეოდა, ვიდრე ადამიანებს (ყურნ. „მნათ“, 1, 1974, 77).

მიუხედავად ამისა, მისი მნიშვნელობა გაძლიერებულია სხვა სიტყვების დართვით (უფრო მეტი, ცოტა მეტი, გაცილებით მეტი...): ნამდვილი მამა უფრო მეტი, ყოველთვის მეტი, იქნებოდა ფრი-

⁹ ა. კიზირია, რთული წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბ., 1969, გვ. 99, 107-108, 125, 135.

¹⁰ ლ. კვაჭაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 363.

¹¹ შ. ძიძიგური, დასახ. ნაშრ., გვ. 160-162. კ. დანელია, ვიდრე უღეტრიანი კონსტრუქციები ძველ ქართულში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1, 1978, გვ. 91-103.

ქსესათვის, ვიდრე აიეტი (ო. ჰილ., ყოველმან... 15); ვახს გაცილებით მეტის შემოტანა შეუძლია, ვიდრე მარცვლეულს (ლ. მრელ., 721).

2. მთავარ წინადადებაში მეტობა-განსხვავების აღმნიშვნელი ზმნისართებია: უფრო, უკეთ, უკეთესად, მეტად, არანაკლებად, სულ-უშალ... ამათგან „უფრო“ იხმარება უპირატესად ზმნასთან. მაგ.:

არსენას შენდობა უფრო ეხერხებოდა, ვიდრე დარბევა და დას-ჯა (მ. ჯაფაძ., 517); ეს უსამართლობანი განათლებულ ახალგაზრდებს კიდევ უფრო აღშფოთებდათ, ვიდრე ბნელ ხალხს (ნ. ნიკ., V, 483); ელფეთერი ღვინის კაცი უფრო იყო, ვიდრე სულისა (გ. ლეონ., 9).

„უფრო“ ახლავს ზოგჯერ მეორე გარემოებას და აძლიერებს მის ხარისხს:

ღვთისავარი კამეჩის რქას უფრო ადრე მოდრეკდა, ვიდრე პაპა მახარას (მ. ჯაფაძ., 349); თამარაშვილს მათი სიხარულისა უფრო მეტად შეეშინდა, ვიდრე მარაბდელის კრილობისა (იქვე, 463).

გამოყენებულია სხვა ზმნისართებიც. მაგ.:

შთვალება მალალომ უკეთესად იცოდა ინოს ფასი, ვიდრე ფარნაოზმა (ო. ჰილ., ყოველმან... 522); ჩვენში ქალების საქმე სულ სხვანაირად დგას და სხვანაირად უნდა განიხილოს ეურნალმა, ვინემ, მაგალითად, გერმანიაში, ინგლისში ან ამერიკაში (ნ. ნიკ., III, 52).

„უშალ“, საერთოდ, დროის ზმნისართია, მაგრამ „უფრო“-ს მნიშვნელობა შეიძინა ამგვარს შედარებითს კონსტრუქციებში. მაგ.:

უშალ გულს მისდევ. ვიდრე გონებას (თ. დონე., 437); გუმანი უშალ შეილის მოვლა-დამშვიდებას უბრძანებდა, ვიდრე უაზრო წიოკობის ატეხას (ო. ჰილ., 549); უშალ ჩვენ დავილევით, ვიდრე ეს გზა დაილეოდეს (გრ. აბ., უქრნ. „მნათ“, 12, 1974, 29).

3. მთავარი წინადადება შეიცავს ზმნას, რომელიც სემანტიკურად არჩევა-უპირატესობაზე მიუთითებს: მაგ.:

შეცოდებისა ნახვა და მალვა სჯობს. ვიდრე უნახაობა და წამე-ბაო (ვისრ., 121); მაშინ მღვდელმან მან კეთილგანმზრახველმან აღირ-ჩია სიკვდილი თვისი, ვიდრე განცემა მეფისა და მამულისა (იოანე ბატონ., 6, 432); მირჩევნია კარგი მუშა ან კოლმეურნე ვიყო, ვიდრე უხეირო ინტელიგენტი (ლ. მრელ., 804); ერჩივნა სხვათა თვალში შვილების მფარველად გამოსულიყო. ვიდრე უმწეო და უოჯახო ქა-ლად (ო. ჰილ., 138).

საკმარისია, ამგვარ რთულ წინადადებებში მთავარი კომპონენ-ტიდან მეტობა-განსხვავების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეული ამოვარდეს, რომ მთავარსა და დამოკიდებულ კომპონენტებს შორის აზრობრივი მიმართება დაირღვეს და კონსტრუქცია დაიშალოს. ზე-მთხ დასახელებული ლექსიკური საშუალებები, „ვიდრე“ კავშირთან ერთად, ასეთი შედარებითი კონსტრუქციის აუცილებელი ელე-

მენტებია. ე. ი. სხვაობითს შედარებას ქმნის რთული წინადადების ნაწილებში სიტყვათა გარკვეული შეფარდება: მეტი — ვიდრე, სულ სხვა — ვიდრე, უფრო — ვიდრე, უკეთ — ვიდრე...

მეტნაკლებობითი შედარება შეიძლება მთავარ და დამოკიდებულ წინადადებათა ყოველი წევრისა (შემასმენელი, ქვემდებარე, დამატება...). შედარებულ-შეპირისპირებულ წევრებს, ჩვეულებრივ, ფორმა ერთნაირი აქვთ. მაგ.:

ჰამბო გულს უფრო იოხებდა, ვიდრე მის გათვითცნობიერებას ცდილობდა (ეურნ. „მნ.“, I, 1974, 75); მთელი დღე „დიდებასთან“ ჰიდრით მოქანცული სტუმრები ახალ სუფრაზე უფრო ისვენებდნენ, ვიდრე სმასა და ჰამას განაგრძობდნენ (ლ. ქიაჩ., III, 15); /ნინიას სიკვდილი/ უფრო ეზარებოდა, ვიდრე ეშინოდა (გ. ლეონ., 76); კუსამ კი შესძლო, უფრო მეტი შესძლო, ვიდრე რომელიმე მისმა თანამოქალაქემ (ო. ჰილ., 358); ეს უსამართლობანი განათლებულ ახალგაზრდებს კიდევ უფრო აღშფოთებდათ, ვიდრე ბნელ ხალხს (ნ. ნიკ., V, 3); დიდი ბედნიერების მონელება უფრო ძნელია, ვიდრე დარდისა (მ. ჭავჭავ., 463); ეს ხმა უფრო კენესისა იყო, ვიდრე ჭუჭქუქისა და მხიარულებისა (ვაჟა. 12. 770); ხევში კიდევ უფრო ბნელოდა, ვიდრე მინდორზე (ეურნ. „მნ.“, I, 1974, 85).

დაპირისპირებული გარემოებები სხვადასხვა მეტყველების ნაწილითაც შეიძლება გადმოიცეს. მაგ.: გავარდნილები აქ უფრო მეტად ფრთხილობდნენ, ვიდრე თრიალეთზე (მ. ჭავ., 392).

თუ დამოკიდებული ერთ რომელიმე სიტყვას კი არ მიემართება მთავარში, არამედ მთელ მთავარ კომპონენტს, მაშინ შესაძლებელია წყვილ-წყვილ სახელთა შედარება-შეპირისპირება:

წყალი და ღვინო უფრო შეერგებისთ /გლეხთა/, ვიდრეა მდიდართა სხვადასხვა სასმელები და შარბათები (იოანე ბატონ., 260); ცხოვრებას ხშირად ჩვენ უფრო დავცინოდით, ვინემ ის — ჩვენ (ლ. ქიაჩ., III, 106); ბრმა უკეთ ხელავეს ძაფსა, ვიდრე შენ სიმართლეს (მ. ჭავ., 456).

რთული წინადადების კომპონენტებში ზმნები ხან დრო-კილოთა ერთნაირი ფორმითაა წარმოდგენილი, ხან — განსხვავებულით. მაგ.:

ეს სიცილი უფრო გულმკერდის სიღრმიდან ისმოდა ზღვის შორეული ბობოქარივით, ვინემ მის სახეზე იხატებოდა (ლ. ქიაჩ., III, 294); ბევრად უფრო მდარე აზრის არის თამარზე, ვიდრე ეს ემჩნევა (შ. დად., 85); ადამიანი საკუთარი რუასის ძალამ უფრო დააფრთხო, ვიდრე რწმენა და ენერგია შთაუწერგა (ა. ბაქრ., ეურნ. „კრიტ.“, იანვ.-თებ., 1985, 44); საჭირო გახდა უფრო მეტი ძალების დაძაბვა, ვიდრე ადრე ვარაუდობდნენ (ნ. ნიკ., V, 490); ამისთანა სახელის გაუ-

ქმებასა და დამდაბლებას პატარა მეტი საფანელი უნდა, ვიდრე ავტორს ჰქონია (ილია, II, 65); გახიზნულთა ბუნაგში დედაკაცს, ისიც ერთადერთს, გაცილებით მეტი საქმე უნდა ჰქონოდა, ვიდრე კნეინა ტასოს მოახლეს ჰქონდა (მ. ჭავჭავ., 170); /გოგონას შეეძლო/ თვალები დაეხუჭა და უფრო მეტი დაენახა, ვიდრე თვალხილული ხედავდა (რ. ინან., შორი... 32).

როცა დამოკიდებულ წინადადებაში იგივე ზმნაა საჭირო, რაც მთავარშია, მაშინ ამხსნელ კომპონენტში იგი აღარ ჩანს, ე. ი. დამოკიდებული უპრედიკატოა. მასში ზოგჯერ შედარებული სიტყვაა წარმოდგენილი¹². მაგ.:

მურვანს ახლა თავისი კითხვა უფრო აფიქრებდა, ვიდრე პასუხი (ეურნ. „მნ.“, 12, 1979, 76); სხვისას უკეთ მუშაობდა, ვიდრე თავის ოჯახში (გ. ლეონ., 18); დაცემული წამოაყენეს და წაიყვანეს გაბრუებული უფრო სირცხვილით, ვიდრე გალახულობით (აკაკი, 9, 156); დიდი ბედნიერების მონელება უფრო ძნელია, ვიდრე დარდისა (მ. ჭავ., 463).

უპრედიკატო დამოკიდებულ ნაწილში წარმოდგენილი დაპირისპირებულ — შედარებული სიტყვის მმართველი სიტყვა (ზმნა ან სახელი) მთავარ წინადადებაშია, რაც ერთი თავისებურებაა ამ ტიპის ქვეწყობისა¹³. მაგ.:

ზღვაზე მომხდარმა ამბავმა უფრო აღრე მიაღწია ნაპირამდე. ვიდრე ნავებმა /მიაღწიეს/ (ო. კილ., 12): უწინ ერეკლეს უფრო ხმალი უჭრიდა, ვიდრე ჭკუა /უჭრიდა/ (მ. ჭავჭავ.. 423); ამხანაგებს უფრო სჩვეოდათ ხოლმე კაცის აგდება ჩაუცმელობის გამო, ვინემ შორეულებს /სჩვეოდა/ (ლ. ქიაჩ., III, 108).

საყურადღებოა დაქვემდებარებული კომპონენტის ფუნქცია. იგი მიემართება მთავარში მეტობის აღმნიშვნელ ლექსიკურ ერთეულს (ზედსართავს, ზმნისართს, ზმნას). როგორც შედარების დამატება (უბრალო ან ირიბი). ეს ფუნქცია ხელშესახები ხდება, თუ ამგვარ რთულ კონსტრუქციას მარტივს შევეუნაცვლებთ (სადაც კი ეს მოსახერხებელია). მაგ.: ვაზს გაცილებით მეტის შემოტანა შეუძლია. ვიდრე მარცვლეულს. შდრ.: ვაზს მარცვლეულზე გაცილებით მეტის შე-

¹² რუსული ენის გრამატიკებში განსხვავებულია, ერთი მხრივ. ზმნის შემცველი შედარებითი დამოკიდებული წინადადება (Он оказался выносливее, чем вы думали) და, მეორე მხრივ. მარტივი წინადადება შედარებითი კონსტრუქციით (Он оказался выносливее, чем я). იხ. С. Е. К р ю ч к о в, Л. Ю. М а к с и м о в, Современный русский язык. Синтаксис сложного предложения, М., 1977, გვ. 70.

¹³ ზოგი მკვლევარი ამგვარ კონსტრუქციას (ეს ხმა უფრო კენესისა იყო, ვიდრე კუკუკისა და მხიარულებისა) ერთგვარწევრებად (შერწყმულ) წინადადებად მიიჩნევს. იხ. ნ. ბ ა ს ი ლ ა ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 53.

მოტანა შეუძლია. ან: პასკევიჩს უწყლობისა, სიცხისა და ხოლერისა. უფრო მეტად შეეშინდა, ვიდრე სპარსეთის „უძლეველ“ ხმლისა (მ. ჯავ., 276); შდრ.: პასკევიჩს უწყლობისა, სიცხისა და ხოლერისა სპარსეთის „უძლეველ“ ხმალზე უფრო მეტად შეეშინდა და კიდევ ერთი მაგალითიც: მირჩევნია კარგი მუშა ან კოლმეურნე ვიყო, ვიდრე უხეირო ინტელიგენტი (ლ. მრელ., 804); შდრ. უხეირო ინტელიგენტობას მირჩევნია კარგი მუშა ან კოლმეურნე ვიყო.

როგორც ჩანს, ამგვარი დაქვემდებარებული კომპონენტი ვითარების გარემოებითს დამოკიდებულში ვერ გაერთიანდება, ვერც დამატებითს დამოკიდებულს მივაკუთვნებთ, რაკი ფუნქციითაც და სტრუქტურითაც განსხვავდება მისგან. ამგვარი კონსტრუქცია შედარება-დაპირისპირებითი ქვეწყობის ცალკე სახეა, რომელიც, ვარაუდობენ, მწერლობის გზით უცხოენოვანი წყაროებიდან უნდა იყოს შემოსული ქართულში¹⁴.

¹⁴ კ დ ა ნ ე ლ ი ა, ვიდრე უდებრიანი კონსტრუქციები ძველ ქართულში. გვ. 100; მისივე, უცხოენოვანი გრამატიკული ელემენტები ძველ ქართულ წერილობით წყაროებში: კრებული: პირველი საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები, თბ., 1988, გვ. 32-33.

ზოგი ფრაზეოლოგიური შესიტყვებისათვის

ზეპირი მეტყველებისათვის ნიშანდობლივია ე. წ. მყარი გამოთქმების უხვად მოხმარება. ზოგი ასეთი გამოთქმა აგებულია თავისებური მოდელით, სახელდობრ, იგი შექმნილია დამხმარე სიტყვისა და „ყოფნა“ ზმნის მონაწილეობით, სუბსტანტიური კომპონენტის ადგილას არის ნაცვალსახელი (ეს, ის, ვიღაცა, რაღაცა) და ზმნისართი. გვაქვს ასეთი შეხამებები: ეს არის (//ეს-ეს არის), ის იყო (//ის-ის იყო), ვიღაცა არის (ვიღაცაა), რაღაცა არის (რაღაცაა), სადაც არის (//საცაა), სადაც იყო... ამათგან ზოგიერთს ერთი სიტყვის—ზმნისართის—მნიშვნელობა მიუღია. მაგალითად. სადაც არის (საცაა) ნიშნავს: „ძალიან მალე, ახლავე“¹; ეს არის (//ეს-ეს არის) — „სულ ახლახან, სულ ცოტა ხანია, რაც: სწორედ ახლახან, ამ წუთას², ის იყო (//ის-ის იყო). — „სწორედ მაშინ, სწორედ იმ მომენტში (როდესაც რამე უნდა მომხდარიყო)³.

რაკი ასეთი შეხამება ლექსიკურად შემოფარგლულია, მყარია, სემანტიკურად დაუშლელია, ზმნისართის ეკვივალენტია, წინადადებაში ერთი წევრის — დროის გარემოების — ფუნქციას ასრულებს, ჩვენ მას. პირობითი ფრაზეოლოგიურ ერთეულს (ან ფრაზეოლოგიურ შესიტყვებას) ვუწოდებთ⁴.

ამგვარი ფრაზეოლოგიური ერთეულები გვხვდება სხვადასხვა სტრუქტურის წინადადებაში. მასში შემავალი ზმნა უპირატესად ანგარიშს უწევს იმ ზმნის დროს, რომელთანაც გვხვდება, და, შესაბამისად, ხან ახლანდელი დროის ფორმით არის წარმოდგენილი და ხან წარსულისა.

1) სადაც არის (საცაა), ჩვეულებრივ, მყოფადისა და ქვეშირებითის ფორმებთანაა. მაგ.:

1 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (შემოკლ., ქვგლ), VI.

2 იქვე, III.

3 იქვე, IV.

4 პირობით — იმიტომ, რომ მისი შედგენილობა ფრაზეოლოგიურ შესიტყვებად მიჩნეული სიტყვათშეხამების მსგავსი არ არის, მას არ ქმნის სრულმნიშვნელოვანი სახელი და ზმნა. დაწვრ. იხ. ა. თაყაიშვილი, ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები, თბ., 1961, გვ. 83.

საცაა ხონთქარიც შემოგვიტევეს (მ. ჯავახ., 19,92); ვანო სადაცაა მოვა (ნ. ლორთქ., II, 279); ალი სადაცაა ზევით ამოიჭრება (რ. ჯავ., II, 145); /კაცობრიობა/ სადაც არის სხვა პლანეტაზე გაფრინდება (ა. ბაქ., 47), საცაა მამლები იყილებენ (ა. ფურც., 450); საცაა ხომლი მოკვდება ცაზე, საცაა ნისლი გაიფანტება (გ. ტაბ., რჩ., 431); სადაცაა მანქანა უნდა წამოგვეწიოს (გაზ. „კომ.“, 21, I, 1981, 2).

ამ გამოთქმას კორელატივიც — დროის ზმნისართები (აგერ, აგერ-აგერ, ახლა, მალე...) ახლავს ხოლმე. მაგ.:

ცეცხლი მეკიდება, აგერ, სადაც არის, გული შემიწუხდება (აკაკი, 524); ეხლა კი, სადაც არის. გამოჩნდება ჩვენი თებერა (ვ. ბარნ., III, 39); საცა არის, სწავლაც მალე დაიწყება (ლ. ქიაჩ., III, 100).

ასეთი მაგალითები ცხადყოფს, რომ სადაც არის ჰიპოტაქსური კონსტრუქციის დამოკიდებული ნაწილია, რომელიც თავისუფალი შესიტყვება იყო აღრე (და ახლაც არის ზოგიერთ შემთხვევაში)⁵ და შემდეგ მყარ შესიტყვებად ქცეულა. ამასვე ადასტურებს ის ფაქტიც, რომ მისი ზმნა „არის“ „იყო“-დ იცვლება ძირითადი ზმნის წარსული დროის ფორმებთან. მაგ.:

შტო უფრო და უფრო იხრებოდა. სადაც იყო გატყდებოდა (ნ. ლორთქ., II, 298); ცოტნე თავს ველარ ერეოდა, სადაც იყო მასაც ტირილი წასკდებოდა (გრ. აბ., 14): /წაბლის თავზე/ თანდათან შავდებოდა და სადაც იყო დაიწყებდა ლობძას (რ. ქვიშ., 173); სადაც იყო მზის სახეც იელვებდა (ლ. ქიაჩ., III, 133); საცა იყო ის საშინელება ნაიას საფარ ზესაც მოადგებოდა თავისი კოლოკა კუდით (იქვე, 131), გამყოლები საცა იყო ვაგონის კარებს გაალებდნენ (დ. შენგ., 318).

მაგრამ არის შემთხვევები, როცა ზმნათა ეს შეფარდება დაცული არ არის და სადაც არის // საცაა გვხვდება ძირითადი ზმნის წარსული დროის ფორმებთანაც. მაგ.:

მტერი ცეცხლის რკალს არტყამდა ლტოლვილთ და სადაცაა აქამდეც მოაღწევდა (რ. ჯავ., III, 120); შეთქმულთა სულიც დღითიდღე ჰბერავდა ხუფს და საცაა ააგლეჯდა მას და ვილაცას დაღეწავდა (მ. ჯავახ. 19, 533) /ხანჯალი/ საცაა ქარქაშიდან უნდა ამოშიშვლებულიყო (იქვე, 478); საცაა ზვართანაც მივიდოდნენ (რ. ინან., შორი..., 227);

ეს მოულოდნელი არ არის, რაკი თანამედროვე ქართულში სადაცაა უკვე ფრაზეოლოგიურ ერთეულად არის ქცეული. ენა ცდილობს

⁵ მაგ.: სადაც არის, იქვე დარჩეს. ან: სადაც იყო, იქვე გაათევა ღამეს.

ერთ სიტყვად წარმოადგინოს ის (სადაცაა, საცაა). მაგრამ ასოციაციური კავშირი ჰიპოტაქსთან ჯერ კიდევ ისე ძლიერია, რომ მარტივ წინადადებაში, რომელშიც ეს ფრაზეოლოგიური შესიტყვება მონაწილეობს, როგორც ერთი წევრი, მას ზოგჯერ მძიმეებით გამოყოფენ (მაგ.: საცაა, მოვა; სადაც არის, გამოჩნდება...), რაც მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია.

ქართულ ზებირ მეტყველებაში დამოკიდებული წინადადება (სადაც არის) ფრაზეოლოგიურ შესიტყვებად იქცა, სხვა ქართველურ ენაში, მაგალითად ზანურში, — სიტყვად. გამოკვლეულია, რომ ზანური სონი (= „სადაური“) ასეა მიღებული: სო-რე-ნი („სადაც რომ არის“), სადაც „რე“ ზმნური კომპონენტი გაუჩინარებულა და მხოლოდ -ნი კავშირ-ნაწილაკია დარჩენილი⁶.

ეს არის // ეს-ეს არის დროის ზმნისართის მნიშვნელობით გვხვდება და წინადადებაში დროის გარემოებაა. იგი შეიძლება შეეწყოს ზმნის თნობითი კილოს ფორმებს და, წესისამებრ, ზმნის წინ დგას⁷. მაგ.

მე ეს არი მივალ და მშვიდობითამც ხართო (რუსულდ. 437,15); /სანთელი/ ეს არის ქრება (ნინ., 20); ეს არის ცხენიდან ჩამოვვარდები (ბარნ., 443); ბრმას ეს არის სახვევი მოხსნეს (რ. ჯაფ. III, 127); ესაა შენთან წამოსვლას ვაპირებდი, არჩილ (ქიაჩ., 58); ეს-ეს არის უუუუნა წვიმამ გადაილო (ვაჟა, 124); ეს-ეს არის ქვეყნის ღერძს ხელი ჩავკიდეთო (ილია, 273); /ანა/ ეს-ესაა დაქალებულიყო თითქოს, ეს-ესაა დაპპატრონებოდა საკუთარი სხეულის სითბოს და სინაზეს (ო. ჭილ., ყოველმან... 113); ეს-ეს არის გაილება კარი (ჭ. ლომთ., I, 196); ეს-ეს არი ტირილს დაიწყებს (ტ. ტაბ., 421).

ზოგჯერ ეს შესიტყვება ახლავს ნაზმნარ სახელსაც. მაგ.: ეს-ეს არის ჩვენების მიერ ბელში ჩაგდებულ მცირე პლაცდარმზე უნდა გადავიდეს (გაზ. „ლიტ. საქ.“, 26, IV. 1985, გვ. 8).

იშვიათად, მაგრამ მაინც არის შემთხვევები, როცა ამ შესიტყვებას მომდევნო ზმნა უერთდება რომ კავშირით. ამ დროს ეს არის ჰგავს მთავარ კომპონენტს ქვეწყობილ კონსტრუქციაში. მაგ.:

წავედი სიმურღთან და ეს არის, რომ თქვენს წინაშე შემოვიყვანე (შპნმ, III, 438, 13—14); მე ასრე მართებს. რომე სანიადაგოდ გამოსვენებასა და სიკარულში ვიყო, მაგრამ ეს არის, რომე გზა წინა გვიცს და ვერა მოვიცალი (იქვე, 535, 31—32); კიდევ მარ-

6 გ. როგავა, არქაული ტიპის ჰიპოტაქსის გადმონაშთები ქართველურ ენებში, ივე, XXVI, 1987, გვ. 48.

7 წინადადების ბოლოს მოქცეული ეს შესიტყვება სხვა მნიშვნელობის მქონეა. მაგ., ცულლუტობ და ეს არის (დ. კლდ., II, 238).

თლა გათენდა. მოვიდა ჩქარად ბულბული; ეს არი, რომ გაულე-
ძნია ხელმწიფი-შვილსა (რუსულ., 438, 10—11).

ამგვარ აზრს კიდევ უფრო აძლიერებს ის მაგალითები, როცა ეს
არის გავრცობილია დროის ზმნისართით (აწ, ახლა...):

აწ ეს არი, რომ მივალ გზასა ძნელსა და მეგულების ჩემ-
თვის მრავალი მძლავრი მტერი გამზადებული (რუსულ., 518, 8—10);
აწ ეს რე არის, რომ შენმან შვილმან თავიც მოგკვეთა და სახ-
ლიც შეგირცხინა (თეიმ. II, 156, 5—6); ახლა ეს არის, ნია-
ხურიდამ მოვდივართ (იოანე ბატონ., 156).

ზმნისართი ახლა შესიტყვების ბოლოს მას შემდეგ შეიძლებოდა
გადასულიყო. როცა ეს არის ფრაზეოლოგიურ ერთეულად გადაიქცა
და მან იკისრა დაეზუსტებინა დროის ზმნისართის მნიშვნელობა:
ეს-ეს არის, ახლა, სწორედ ახლა, ამ მომენტში. მაგ.:

ეს არის, ახლა ჩემი ხელმწიფის წიგნი მომივიდა (ალ. ორბ., 31);
ეს არის, ახლა აბდია უნდა ენახათ (ყაზბ., ელ., 182); მან. ეს-ეს არის,
ახლა სახანჯლოდ გაიხადა საქმე (მ. ჭავჭავ., 19, 72); /კატომ შემოიტანა/
ისეთი მშვენიერი ყურძენი, თითქო, ეს არის, ახლა ჩამოუკრეფიათ ვა-
ზიდანაო (ანტ. ფურც., 548); პოლკოვნიკ საევაჩოვს, როგორც ჩანდა,
ეს არის. ახლა გავლიძებოდა (დ. შენგ., 379); ეს არის, ახლა უნდა
ყელში სწვდეს და წაახრჩოს ბერიკაციო (შ. დად., II, 250); თითქოს,
ეს-ესაა, ახლა ჩამეყაროს უბეში ის სველ-სველი კაკლები (რ. ინან.,
შორი... 69).

ამემად ეს არის სემანტიკურად სიტყვის ეკვივალენტია. ასე რომ,
მძიმით — სასვენი ნიშნით — ამ შესიტყვების გამოყოფა წერის
დროს გაუმართლებელი ჩანს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მას მოს-
დევს დროის ზმნისართი, რომლის მნიშვნელობასაც ეს შესიტყვება
აზუსტებს. მაგ.: ბავშვს ეს არის გაპლვიძებოდა. მაგრამ: ბავშვს, ეს
არის, ახლა გაპლვიძებოდა.

ის იყო // ის-ის იყო⁸ ზმნის წარსული დროის ფორმებს უკავშირ-
დება და მასაც დროის ზმნისართის მნიშვნელობა აქვს. მაგ.:

ის იყო ჩემი საქმე გათავდა (დ. ჭონქ., 247); ის იყო მთვარე ქრე-
ზოდა, გორის პირს ეფარებოდა (ბაჩანა. 517); ის იყო შენს დაგვიანე-
ბაზე ვფიქრობდი (ბანოვ., 46); ის იყო მზეც დაწვერა (ვაჟა, 12, 132);
ის იყო გასამართლეს ძე კაცისა (ჭ. ლომთ., I, 54); ის იყო. მაშინ შე-
ვირთე ჩემი პირველი ცოლი (გამს., V, 830); დილის საბანი ის იყო
გადაეძრო მიდამოს (ტ. ტაბ., 402); გიორგი ის იყო დგებოდა საწო-

⁸ „იყო“ ზმნისთან „ეს“ იშვიათად გვხვდება (ეს იყო ან ეს-ეს იყო), ისე-
ვე, როგორც „არის“ ზმნისთან „ის“ (ის არის). სათანადო მაგალითები ის.
შ. ძ ი ძ ე უ რ ი, კავშირები ქართულ ენაში, გვ. 343—344.

ლიდან (შ. დად., II, 256); ის-ის იყო გამოძყავდა დაქერილი ორაგული (აკაკი, 565).

უპირატესად ეს შესიტყვება გვხვდება ერთგვარშემასმენლებიან შერწყმულსა და რთულ თანწყობილ წინადადებებში, რომლებშიც მოქმედებათა თანამიმდევრული დროული მიმართებებია ნაჩვენები და ან მაგრამ კავშირებით, ან მათ გარეშე. მაგ.:

ის იყო... და

დღე ღამეს ის იყო ეყრებოდა და კოცონთ ცეცხლი თვალს უსალბუნებდა (შ. დად., II, 216); ის იყო ბნელში თავი შეჰყო და ტოტია ეცა (გრ. აბ., 370); ის იყო მედიდურად ამოჰყო თავი მთვარემაც და გაანათა დედამიწა (აკაკი, 329); /კაქკაქი/ ის იყო დააფრინდა ყველის ნაჭერს და დიამბეგმაც სწორედ ამ დროს არ შეასწრო თვალი! (ვაჟა, 12, 396); ის-ის იყო ღვინჯუამ პირველი ჯამი გაავსო და... კარებში შემოყო თავი შარვალგამოლადრულმა თლოშიაურმა (გ. ლეონ., ნატვ., 137); თვალი მივლულე ის-ის იყო და კივილი მესმის ჩემი მეუღლის (მ. ელიოზ., 220); /მაჩვმა/ ის იყო სოროში დინგი შეყო და ერთხელაც დაიჭექა (რ. ინან., შორი... 270).

ის იყო... მაგრამ

ის იყო უნდა დაეძახნა..., მაგრამ უმაღვე გაახსენდა (მ. ჯავახ., 29); შემოსილი მღვდელი ის იყო წირვას იწყებდა, მაგრამ მზია არ ჩანდა (ბანოვ., 162); ეს იყო ვაპირებდი სიხარულის გამოთქმას მისი პირადად გაცნობის გამო, მაგრამ მან დამასწრო (ქიაჩ., III, 152); ის იყო ზარის ზონარი უნდა ჩამოეწია..., მაგრამ რაღაც გუმანის კარნახით თავისი განზრახვის შესრულებაზე ხელი აიღო (რ. ჯავ., III, 72); ის-ის იყო შეილი უნდა დაეჭირა, მაგრამ მტრედებმა ტყეში შეასწრეს (ვაჟა, 361).

უკავშირო შეერთება

ბოლოს ის იყო თვლენა წაეპოტინა მის ქუთუთოებს, ხმადაბლა ორთა საუბარი მისწვდა საძილო ოთახიდან მის სმენას (გამს., V, 410); ის იყო ბერლინს დაბრუნებას აპირებდა, იგი შეიპყრეს (იქვე, 878).

ძალიან ხშირად ის იყო ჩანს ჰიპოტაქსური კონსტრუქციის მთავარ კომპონენტში, რომელსაც მოჰყვება „რომ-“ და „როდესაც“-კავშირებიანი დამოკიდებული წინადადება. მაგ.:

ფეფენა ის იყო ვიწრო ორლობიდან ფართო შარავზაზე გამოვიდა, რომ რაღაც ხმაური მოესმა (დ. კლდ. II, 23); ნატომ თვალი გაუსწორა ცისკარს და ის იყო საწოლისაკენ დააპირა წასვლა, რომ უცბად ღია კარებში დედამთილის ლანდს მოჰკრა თვალი (მ. მრევლ., 48);

თამარი ცხენიდან გადმოეშვა და ის იყო ძირს უნდა დაცემულიყო, რომ ლაშამ თვალი შეასწრო და ხელი შეაშველა (გრ. აბ., 140); /ქაიხოსრომ/ ალათიას ხმები გამოიცილო... და ის იყო კარებს უნდა მოშორებოდა, რომ ამ დროს ვილაცამ გაიციანა უცხოლ, შემაწუნებლად (ო. ჭილ., ყოველმან..., 283); ის იყო შინ შემოვედი, რომ ტელეფონი აწკრიალდა (ვახ. „ლიტ. საქ.“, 14, IX. 1984, გვ. 8); ის იყო მოვათვალისრეთ იქაურობა, რომ უცებ არხენიამ ხელი წამკრა, არ წამოდგეო (იქვე); ის-ის იყო დაქრილი გარეული ღორი უნდა მცემოდა, რომ ოქრომქედელმა უკანა ფეხებში ხელი სტაცა (ნ. ლორთქ., II, 302).

დროული თანამიმდევრობის ზედმიწევნობით გადმოსაცემად დამოკიდებულში „რომ“ კავშირთან ერთად გამოყენებულია სათანადო ლექსიკური საშუალება (ამ დროს...). მაგ.:

ის იყო კარავში დასაძინებლად წასვლა დავაპირე, რომ ამ დროს გადმიდან საბას ძახილი მომესმა (დ. შენგ., 227); ის იყო ნაიასთვის უნდა დაეძახნა, რომ ამ დროს ქალაღი გამოიცილო და თავი შეიკავა (ლ. ქიაჩ., 128); ის იყო გიგლას კიდევაც უნდა მოეკურცხლა შინისაკენ, რომ ამ დროს კატომ ხელი წაავლო და შეაყენა (არაგვ. I, 152); ის-ის იყო შემწვარი გოჭებისა და კათხაში სავსედ აფუცხუნებული ღვინის ეშხში შეველი, რომ ამ დროს ხუცესმა ჯორს სადავე დაუჭირა და ერთბაშად შემაჩერა (დ. შენგ., 207).

დამოკიდებულში კავშირი „რომ“ ზოგჯერ არც არის:

ის იყო უნდოდათ აეკუწათ ის ყმაწვილი კაცი, ამ დროს ასეთი კივილი მოისმა (ალ. ორბ., 14); ის იყო მოღერებულთ ხმლიანებსა უნდოდათ შესვლა სიონის ღვთისმშობლის ეკლესიაში, ამ დროს ერთი მაღალი ხმა მოესმათ უკანიდგან (იქვე).

დამოკიდებულ წინადადებაში დროთა თანამიმდევრობის აღმნიშვნელი სათანადო ლექსიკური საშუალება („ამ დროს“) არ არის საჭირო, თუ დამოკიდებულს მთავართან აერთებს დროის კავშირი „როდესაც“ („როცა“). მაგ.:

ის იყო კერძებს აწყობდნენ ჯამებში, როდესაც ცელ-მხარზედ გადებული ერთი მთიბელი მოვიდა (ყაზბ., I, 32); /ქალი/ ის იყო მიუხალოვდა კლდის ნაპირს და გადავარდნას აპირებდა, როდესაც ვილამაც ხელი გაავლო და გულში ჩაიკრა (იქვე, 315); ის იყო გათენდა, როცა თავგებმა სათაგური თავიანთ საძრომ-სათარეშო ხვრელთან მიათრიეს (ვაჟა, 12,418); /მხედარმა/ მეორე უფრო მსხვილ შტოს წამოავლო ხელი და ის იყო მიწაზე უნდა დამხტარიყო, როცა ტახის ხმა გაიგონა (ნ. ლორთქ., II, 298); ტყიდან მომავალი ბეკო ის იყო უახლოვდებოდა წისქვილს, როცა ცეცხლის ალი ეცა თვალში (ლ. ქიაჩ., III, 44).

ქვეწყობილ წინადადებაში, შ. ძიძიგურის აზრით, ამ შესიტყვებას „კორელატის ფუნქცია აქვს ენის განვითარების თანამედროვე საფეხურზე“⁹. ზემოთ დასახელებული ტიპის პიპოტაქსურ კონსტრუქციებში ის იყო, მართლაც, კორელატის ფუნქციას ასრულებს. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს მაშინ, როცა ეს შესიტყვება იწყებს ქვეწყობილ კონსტრუქციას და მას მოსდევს უშუალოდ დამოკიდებული კომპონენტი. მაგ.:

ის იყო, ტყის პირთან რომ მივიდნენ, ტყიდან ბერი აბელი და მისი დიაკონი სეხნია გამოვიდნენ (ბანოვ., 520); ის იყო, განთიადმა ოდნავ თვალი გაახილა თუ არა, ონის საბრძანებელი თოფებიც ამეტყველდნენ (იქვე, 531); შდრ.: სწორედ მაშინ, ტყის პირთან რომ მივიდნენ, ტყიდან ბერი აბელი და მისი დიაკონი სეხნია გამოვიდნენ.

კორელატის ფუნქცია ამ შესიტყვებამ მას შემდეგ შეიძინა, რაც ფრაზეოლოგიურ ერთეულად იქცა და დროის ზმნისართის მნიშვნელობა მიიღო. ზმნისართად იგი გვხვდება, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ყველა ტიპის წინადადებაში (მარტივში, შერწყმულში, რთულში).

ეგვე ვითარებაა დიალექტებშიც. მაგ.:

ისრ-ას, ნათლის სული ცოტად დგას კიდე, ბნელობის ხანია და ამ დროს დადგა თოფების ქუხილი საჯახის მალღებში (ბ. გაბ., 194, 32); /თინა/ გაფითრებულ მივიდ კახებსთან, ცნეს იუჭ უნდ ჩასულიყუჭ კიბეზედ. მაგრამ იმ დროს გულ წუჭვიდ. გადავარდ უკვენ (დიალ., თუშ., 107,32); შორ მანძილის შემდეგ, ის იყო ღამდებოდა, დაინახა სინათლე (დიალ., ქვემორაჭ., 507, 28).

განსაკუთრებით საგულისხმოა ის შემთხვევები, როცა ის იყო თავისუფალი შესიტყვებაა და რომ კავშირით იერთებს დამოკიდებულ წინადადებას, ე. ი. მთავარ კომპონენტად გვევლინება¹⁰. მაგ.:

მიმხვდარიყო, ვინ ვიყავი და ის იყო კიდევაც, რომ მოჩვენებასავით გამომეტხადა (აკაკი, 210); ის იყო, რომ ნესტან დარეჯანმაც სხვათა შორის მისწერა (იქვე, 542); ეს იყო, რომ ბრუნდებოდა საბერძნეთით ქართლის ჭარი (აკაკი, 1948, 211); ღამდებოდა. ის-ის იყო, რომ ზღვის იქიღამ დაღლილ-დაქანცული ორი მტრედი მო-

9 შ. ძიძიგური, კავშირები ქართულ ენაში, თბ., 1969, გვ. 343—344.

10 საყურადღებოა ის ფაქტი, რომ რუსული სკოლისათვის განკუთვნილი ქართული ენის სახელმძღვანელოს შემდგენლებს — ა. დავითიანსა და გ. კაკაბაძეს უკავშირობს ქვეწყობილ წინადადებად მიუჩნევიათ ამგვარი კონსტრუქცია (იხ. ა. დავითიანი, გ. კაკაბაძე, ქართული ენა, რუს. სკოლის X კლასისათვის, თბ., 1981, გვ. 124).

ფრინდა (ვაჟა, 12, 356); ხელი ხელს დაუკრა ყოყოლომ. ის-ის იყო, რომ დედაკაცმაც მოაკითხა ბედობა დღის გემრიელი, მცირე ტაბლით (მ. ელიოზ., გაზ. „ლიტ. საქ.“, 27. XII. 1985, 8).

როგორც საილუსტრაციო მასალიდან ჩანს, ის (-ის) იყო ფორმალური საშუალებაა, რომელიც უშუალო დროული თანამიმდევრობის გამომხატველ ორ წინადადებას უკავშირებს ერთმანეთს. მაგ. დამდებოდა.(1) ის-ის იყო, რომ ზღვის იქიდან დაღლილ-დაქანცული ორი მტრედი მოფრინდა.(2) ამათგან პირველი მარტივი წინადადება ადრე დამოუკიდებელი იყო, მეორე — ქვეწყობით გაფორმებული. ის-ის იყო აზრობრივ კავშირს ამყარებდა პირველთანაც: სწორედ მაშინ, დადამების დროს მოფრინდა ზღვის იქიდან დაღლილ-დაქანცული ორი მტრედი. ამგვარი მჭიდრო კავშირის შედეგად ის იყო მიეკედლა წინმავალ წინადადებას და გაფორმდა ასე: დამდებოდა ის-ის იყო, რომ... ან კიდევ: ხელი ხელს დაუკრა ყოყოლაშ.(1) ის-ის იყო, რომ დედაკაცმაც მოაკითხა ბედობა დღის გემრიელი, მცირე ტაბლით.(2). შეერთებით: ხელი ხელს დაუკრა ყოყოლომ ის-ის იყო, რომ დედაკაცმაც მოაკითხა ბედობა დღის გემრიელი, მცირე ტაბლით; ან გადასმით: ის-ის იყო ხელი ხელს დაუკრა ყოყოლომ. რომ...

ე. ი. ჰიპოტაქსური კონსტრუქციის ოდინდელი მთავარი კომპონენტი გადაიქცა შეკავშირების ფორმალურ საშუალებად, რაკი სიტყვას, ზმნისართს, გაუტოლდა. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ მოგვაგონდეს ამგვარი გავრცობილი შესიტყვებები: ეს დრო არის — ეს არის, ის დრო იყო — ის იყო ან ასეთი: ეს ის დრო არის; ეს ის დრო იყო, რომლებიც ძალიან ხშირად გვხვდება ქვეწყობილი წინადადების მთავარ კომპონენტად. მაგ.:

ის დრო იყო, რომ წაეიდა (არჩილიანი, 4. 180); ის დრო იყო ჩემთვის, რომ... ან უნდა მოვეკალ და ან მეც ხელი გამომელო და დავკარგულიყავ (იესე ბარ., 650); ეს ის დრო იყო, როდესაც მთასა ლოცავდა ბარია (ვაჟა, 12, 246); ეს ის დრო იყო სწორედ, როდესაც მაციმ გაიცნო ეკა (ა. ფურც., 469).

დიალექტებშიც გავრცელებულია ასეთი შესიტყვებები. მაგ.:

მაშინ ბატონებს უფიქრიათ — დრო ეს არიო — და მიუციათ წამალი (დიალ., მესხ., 365, 6); ერჯელ ჯდებიან საკმელზე იი დროია და ქარ მუა გლახუნე! (დიალ., ქვემოფურ., 418, 4).

ისმის კითხვა: ზემოთ დასახელებულ შესიტყვებებში ხომ არ

დაკარგულა საზღვრული „დრო“¹¹. ის დრო იყო აქედან ხომ შეიძლებოდა მიგველო: ის იყო; ან: ეს ის დრო იყო—ეს ის იყო—ეს-ეს იყო; ან კიდევ: ეს დრო არის—ეს არის; ეს ის დრო არის—ეს-ეს არის. დროის აღმნიშვნელ სხვა სიტყვას აქ ვერ ვიგულისხმებთ. რადგან, როგორც გამოკვლეულია, ზღვარდება არის სიტყვა „დრო“-ს სემანტიკის ის კომპონენტი, რომლის მიხედვითაც იგი არის მარკირებული¹². ამასვე უჭერს მხარს ზემოთ დასახელებული საილუსტრაციო მასალაც. შეიძლება დავუშვათ, რომ ხშირი, ავტომატური ხმარების შედეგად მთავარი წინადადებიდან „დრო“ ამოვარდა, წინადადება ფრაზეოლოგიურ შესიტყვებად იქცა და დროის ზმნისართის მნიშვნელობა მიიღო, რის შედეგადაც ყველა ტიპის წინადადებაში მოხვდა. ამ ვარაუდს ბაღებს, ჯერ ერთი, ეს არის, ის იყო ფრაზეოლოგიური შესიტყვებების პარალელურად ასეთი წინადადებების არსებობა: ეს დრო არის, ის დრო იყო, მეორე მხრივ, საანალიზო შესიტყვებებში ნაცვალსახელთა განმეორება: ეს-ეს არის, ის-ის იყო (შდრ. ეს ის დრო არის: ეს ის დრო იყო).

მეორე ვარაუდიც შეიძლება: ეს არის, ის იყო შესიტყვებებს იმთავითვე ეს სახე ჰქონოდათ, არც რომელიმე ლექსემა აკლდეთ. საყრდენი სიტყვები, ჩვენებითი ნაცვალსახელები, ეს (რაც I პირთან ახლოსაა), ის (რაც III პირთანაა), თავიანთი მითითებითი მნიშვნელობით, შეუღლებულნი შესაბამისი დროის ზმნასთან (არის—ახლა, იყო — მაშინ), შექმნიდნენ პირობას ფრაზეოლოგიური მნიშვნელობის განვითარებისათვის¹³. ზემოთ დასახელებულ შესიტყვებებში გამოთქმის სემანტიკური ცენტრი რომ ნაცვალსახელია, ამას, სხვათა შორის, ისიც ადასტურებს, რომ აქ ზმნა ხშირად იკვეცება. ხოლო მეგრულში, აგრეთვე ქანურშიც, ამგვარ შესი-

11. მსაზღვრელ-საზღვრულის შეკუმშვა ქართულში ხშირად ხდება. ჩვეულებრივ, საზღვრული იკარგება და მსაზღვრელი იღებს მის ფორმანტსაც და ფუნქციონსაც (მაგ. ფრიდონისით წამოსრულმან, წავე ძებნად, კვლა ვიარე (რუსთ., 641). ხაზგასმულ სიტყვას აკლავ საზღვრული—მოქმედებით ბრუნვაში დასმული სახელი და მისი ნიშანი (ით) მსაზღვრელსა აქვს. შესიტყვებათა ამგვარი კუმშვა, ძირითადად, სუბსტანტიური მსაზღვრელის შემცველ სინტაგმებში ხდება, თუმცა ატრიბუტული მსაზღვრელის შემცველი წყვილიც შეიძლება ამგვარად შეიკვალოს. დწვრ. იხ. ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953, გვ. 93—94. ა. დავითიანი, ქართული ენის სინტაქსი, გვ. 177—182.

12 ლ. აბულაძე, ეამი, დრო და ხანი ძველ ქართულში, ივე, XXVII, 1988, გვ. 159.

13 არლი თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 81—85; არ. მარტიროსოვი, ნაცვალსახელი ქართველურ ენებში, თბ., 1964, გვ. 67, 132—133. ნ. ჩართოლანი, ჩვენებით ნაცვალსახელთა სისტემები ქართულში სხვა ქართველურ ენებთან შეპირისპირებით, თბ., 1985, გვ. 117.

ტყეებში ზმნა საერთოდ ქრება. რჩება მხოლოდ სახელი (ამის შესახებ იხ. აქვე „ვილაცა არის“ შესიტყვებასთან დაკავშირებით).

ასეა თუ ისე, ერთი რამ ფაქტია: ეს შესიტყვებები ამჟამად დროის ზმნისართის ფუნქციისანი არიან.

ზემოთ დასახელებულ სამსავე შემთხვევაში რთული წინადადების ერთი კომპონენტის — დამოკიდებულის (სადაცაა) ან მთავრის (ეს არის, ის იყო...) ფრაზეოლოგიურ შესიტყვებად გადაქცევასთან გვაქვს საქმე.

3. განსხვავებული ვითარებაა, როცა შესიტყვებები შექმნილია განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელებისა (ვილაცა, რაღაცა) და „არის“ ზმნის საშუალებით.

ვილაცა არის (ვილაცაა), რაღაცა არის (რაღაცაა) ზეპირ მეტყველებებში ფრიად გავრცელებულია. ესენი ფრაზეოლოგიური შესიტყვებებისაგან იმით განსხვავდებიან, რომ კომპონენტებს თავისთავადი მნიშვნელობები აქვთ, ე. ი. შესიტყვების მნიშვნელობა უდრის შემადგენელი სიტყვების მნიშვნელობათა ჯამს. და მაინც თავისუფალ შესიტყვებად მათ ვერ ჩავთვლით, რადგანაც ისინი ლექსიკურად შემოფარგლული, მყარი სიტყვათშეხამებებია. ვილაცაა, რაღაცაა უკავშირდება წინადადებაში ნაცვალსახელით ან არსებითი სახელით გადმოცემულ (ან ნაგულისხმევ) წევრებს, უფრო ხშირად — ქვემდებარე-დამატებებს და ხაზს უსვამს იმას, რომ შესაბამისი სახელი განუსაზღვრელია, მის შესახებ არაფერი იციან, უცნობია. წინადადება, რომელშიც ვილაცაა, რაღაცაა გვხვდება, ჰგავს უკავშირო ქვეწყობილ კონსტრუქციას, რომელშიც დამოკიდებულ ნაწილად ეს შესიტყვებები გვევლინება. საყურადღებოა, რომ დამოკიდებულის კომპონენტის ზმნა „არის“ პირში, რიცხვსა და დროში უთანხმდება მთავარი წინადადების ზმნასა და ასახსნელ სახელს. მაგ.:

აქედან გაგვეცალე, ვილაცა ხარო (შპნმ, III, 309,4); ერთი ააჩქარე, თორემ შეგვეკამს ეს, ვილაცა არი (მ. ელიოზ., 369); ეს კი, ვილაცა არი, ბუზადაც არ მაგდებსო (აკაკი, 9,30); ამ ოჯახკეტანებმა, ვილაცები იყვნენ, ცისქვეშ როგორ გამოათრიეს (რ. ჯაფ., III, 59).

ამგვარი ქვეწყობა განსხვავდება ჩვეულებრივისაგან, აქ დაქვემდებარება სუსტია. დამოკიდებულის კომპონენტის ამოღება სტრუქტურაზე გავლენას არ ახდენს. მაგ.: ის ცხენოსანი, ვილაცა არის, თუ ფათერაკს არ გადაჰკიდებია, სწორედ გიყი უნდა იყოს (აკაკი, 9,128); შდრ.: ის ცხენოსანი თუ ფათერაკს არ გადაჰკიდებია, სწორედ გიყი უნდა იყოს. მაშინ რა ფუნქცია აქვს მას? — მხოლოდ ემფატიკური! ხაზს უსვამს, რომ წინადადებაში სათანადო სახელი ცნობილი არ არის, განუსაზღვრელია და მის მიმართ გამოვლენილია გარკვეული ემოცია (უფრო ხშირად უარყოფითი, იშვიათად დადებითი). მაგ.:

მინერას დევი, ვილაც არის, რა უქნია, რომ ამდენ ქებას ბრძანებო (შპნმ, III, 317, 18); მეხი კი დაასკდა მაგასა, ვილაც მგელა არისო (ვაჟა, VII, 414); რას დამცქერებია, ი ვილაც ოხერია?! (შ. არაგვ., I, 174); სულელი ყოფილა, ვილაცაა (ბანოვ., 423); ბატონის ლაფშას ქვაბში არა გნაბო ჩაართალ-ჩანიახურებული, ვილაცა შენა მყევხარ! (მ. ელიოზ., 472); გამოსულულებულა, ვილაცაა, და რევოლუციას რეზოლუციას ეძახის (დ. შენგ., 270); საშველს არ მაძლევდა, ვილაცა იყო (იქვე, 22).

რა მშვენივრად უკრავს, ვილაცა არის! (ტ. ტაბ., 353); შენ, ვილაცა ხარ, ჩემო ბიძია, კარგი ბიჭი ხარ! (ნ. დუმბ., მე, ბებია... 79).

თქვი და გაათავე, რალაცაა (ბანოვ., 427); მაწუხებს. რალაცაა; მომიტანეს, რალაცა იყო, ხელმოსაწერი. კამეს, რალაცა იყო.

ამგვარი კონსტრუქციები გვხვდება დიალექტებშიც:

აქ მევიდეს თავისი ირმებინა ეს კაცი, ვილაცა არის (დიალ., ზემომიერ., 454); მიბრძანე, რაცხა არი (იქვე, 458).

მეგრულში ამგვარი უსიტყვების შემცველი წინადადებები გაფორმებულია, ჩვეულებრივ, ჰიპოთაქსურ კონსტრუქციად. რომელშიც დამოკიდებული ნაწილი მაქვემდებარებელი -*ნო* კავშირ-ნაწილაკით არის წარმოდგენილი მაგ.:

მუდგარენი ქობილუნს (მ. ტ., 64)¹⁴ — რალაც რომ არის, მკლავს; მუდგარენი სარკო ორდუ თითი თუთაშფერ თუთაშხას (იქვე); — რალაც რომ არის, საოცარი იყო იმ მთვარისფერ ორშაბათს. ჭიმალურელ, მუდგარენი, ჩქიმი ღურას ანჭუაფუ (იქვე, 57). — ის ოხერი, რალაც რომ არის, ჩემს სიკვდილს ესწრაფვის. თე ჟოლორი ჯგირი ჟოლორი ქორე მიდგაშირენი (პ. ხუბ., 97, 23) — ეს ძალღლი კარგი ძალღია ვილაცისაა (ვილაცის რომ არის).

ზოგჯერ დამოკიდებული წინადადების განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი მთავარი წინადადების ზმნის მიერ არის მართული ბრუნვაში:

მიდგაქი რენ მომისაჯუ (მ. ტ. 108) — ვილაცამ არის მომისაჯა; მუდგასრენი მოცილჯნი (იქვე, 87) — რალაცას რომ არის მიშლის.

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელებისა და ზმნისართების ანალიზისას მეგრულში იოსებ ყიფშიძემ გაარკვია, რომ ზოგი მათგანი დამოკიდებული წინადადებისაგან მომდინარეობს (მიგიდარენი // მიგდენი // მიდგარენი // მიდგენი „ვილაც რომ არის“. მიგიდა-

¹⁴ მაგალითები დამოწმებულია წიგნიდან: ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, I, პოეზია, თბ., 1975.

რენი//მუდგარენი// მუდგენი—„რალაც რომ არის“. სოგიდარენი//სო-
 'დგარენი//სოდგენი//სოგდენი—„სადაც რომ არის“)15. ზოგ განუსა-
 ზღვრელ ნაცვალსახელსა და ზმნისართში ზმნური ნაწილი არ ჩანდა
 (მაგ., მითინი, მუთუნი, სოთინი...), ამიტომ მათი შედგენილობის შესახებ
 მკვლევარმა გადაჭრით არა თქვა რა. შემდგომ გ. როგავამ გაანა-
 ლიზა ეს განუსაზღვრელობითი სიტყვები და დაასაბუთა, რომ ესე-
 ნიც „წარმომავლობით დამოკიდებული წინადადებებია, რომელთა-
 შედგენილობაში შემავალი „ყოფნის“ აღმნიშვნელი რე-(ნ) („არის“);
 ზმნის მყოფადის ფორმა იფი-(ნ) „იქნება“ ფონეტიკურად გაუჩინა-
 რებულაია: მითინი—მითიფი-ნი—მით(ი)-იფი-(ნ)ნი ზედმიწვ.: „ვინც რომ
 იქნება“. ასევეა: მუთუნი—მუ-თ(ი)-იფინი—მუთ(ი)-იფი-(ნ)-ნი: „რაც;
 რომ იქნება“. ასევეა განუსაზღვრელობითი ზმნისართი სოთინი („სა-
 დმე“) — სოთ-იფი-ნი.

ამგვარად, ზანური ენის მეგრულ კილოში მითინი // მუთუნი და.
 მიდგარენი // მიდგენი, მუდგარენი // მუდგენი რიგის განუსაზღვრე-
 ლობითი ნაცვალსახელები არსებითად ერთგვარი შედგენილობი-
 საა“16. რაც მთავარია, გ. როგავამ -ნი კავშირ-ნაწილაკის არსებო-
 ბა დაადასტურა ჭანურშიც. კერძოდ, განუსაზღვრელობითი ნაცვალ-
 სახელები ჭანურში „მითხანი“ (მი-თ(ი)-ხა-ნი — ვინ-ც(ა)-ლა-რომ),
 „მუთხანი“ (მუ-თ(ი)-ხა-ნი — რა-ც(ა)-ლა-რომ) ისეთივე აგებულები-
 საა, როგორიცაა მეგრულის „მიდგენი“ და „მუდგენი“. ჭანური განუ-
 საზღვრელობითი ნაცვალსახელებიც მომდინარეობენ ნი-კავშირ-ნა-
 წილაკიანი დამოკიდებული წინადადებისაგან: „მი-თ-ა-ნი „ვილა-
 ცა“—*მი-თ-ხა-რე-ნი „ვილაც რომ არის“ და „მუთხანი“ „რალაცა“
 —*მუ-თ-ხა-რე-ნი „რალაცა რომ არის“17.

ფართო ემპირიული მასალის ანალიზით მკვლევარი მივიდა იმ
 დასკვნამდე, რომ დამოკიდებული წინადადებები, რომლებიც აგებუ-
 ლია ამგვარი მოდელით: სრულმნიშვნელოვანი სიტყვა (სახელი, ზმნი-
 სართი) + „არის“ + მამკვემდებარებელი კავშირ-ნაწილაკი „საერთო-
 ქართველური სისტემის უნდა ყოფილიყო“18. ამას მხარს უჭერს ქარ-
 თულის ჩვენებაც. ზანურის „ვილაც რომ არის“, „რალაც რომ არის“
 ეკვივალენტი ქართულში არის „ვილაცა“, „რალაცა“. კავშირი აქ არ
 ჩანს. ფუნქცია კი ამგვარი დამოკიდებულისა ყველგან ერთია: მოახ-
 დინოს ნაცვალსახელის აქტუალიზაცია (ემფაზა) „არის“ ზმნის სა-

15 И. К и п ш и д з е, Грамматика мишггельского (иверского) языка. С.—
 Пб., 1914, გვ. 043, 319.

16 გ. როგავა, არქული ტიპის ჰიპოტაქსის გაღმონაშთები ქართველურ
 ენებში. გვ. 46.

17 გ. როგავა, დასახ. ნაშრ., გვ. 46—47.

18 იქვე, გვ. 50.

შუალეზით ქართულში (ზმნითა და მაქვემდებარებელი კავშირითაც: ზანურში). ეს ნათლად ჩანს, თუ შევადარებთ ერთმანეთს შემდეგ წინადადებებს: 1. მუდგარენი ქოპილუნს -- 2. რალაცაა მკლავს. ორსავე შემთხვევაში ხაზგასმულია ის, რომ მოქმედების სუბიექტი (მი-ზეზი) ცნობილი არ არის. ან კიდევ: შენ, ვილაცა ხარ, ჩემო ბიძია, კარგი ბიჭი ხარ. აქაც ხაზგასმულია ის, რომ II პირი, ბიჭი, რომელსაც I პირი მიმართავს, მისთვის უცხოა, უცნობია. ამდენად, სტილისტიკურად ერთნაირი ღირებულების არ არის ასეთი წინადადებები: 1. ვილაცა მოვიდეს და 2. ვილაცაა მოვიდეს. პირველში ჩანს, რომ საერთოდ ნებადართულია ვილაცის მოსვლა. მეორე კი გულისხმობს: მოსვლის ნება ეძლევა კონკრეტულ პირს, რომელიც იქვე არის, მაგრამ მთქმელისათვის უცნობია, ამასთან ერთად გამოხატულია ერთგვარი უარყოფითი ემოციაც მთქმელისა ამ უცნობის მიმართ.

დასკვნა: ზეპირ მეტყველებაში გავრცელებული შესიტყვებები, რომლებიც შედგენილია ნაცვალსახელისა (ეს, ის) და „არის“ („იყო“) ზმნისაგან, თავდაპირველად რთული ქვეწყობილი წინადადების მთავარ კომპონენტად გვევლინებოდნენ, შემდეგ ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებად იქცნენ და ზმნისართს გაუტოლდნენ.

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის შემცველ შესიტყვებებს (ვილაცაა, რალაცაა) დღესდღეობით ქართულში სტილისტიკური დანიშნულებაა აქვთ. რამდენადმე განსხვავებული ვითარებაა კითხვითი სიტყვებისა (ნაცვალსახელისა და ზმნისართის) და „არის“ („იყო“), ზმნის შემცველ ჰიპოტაქსში, რომელსაც ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ.

ზოგი კითხვითი წინადადების შედგენილობისა და ფუნქციონისათვის კართულში

კითხვითი წინადადებები ქართულში საფუძვლიანადაა გამოკვლეული¹. ჩვენ განვიხილავთ ზოგ თავისებურ ჰიპოტაქსურ კითხვითს კონსტრუქციას, რომლებიც უპირატესად ზეპირ მეტყველებაში გვხვდება და ყურადღებას იქცევენ არა მარტო შედგენილობით, არამედ მთავარი და დამოკიდებული ნაწილების აზრობრივი მიმართებითაც. მათ, ჩვეულებრივ, აქვთ ძლიერი ემოციური ელფერი. გამოვყოფთ ამგვარი კონსტრუქციების სამ ჯგუფს: 1. კითხვითსიტყვიანი, 2. კითხვითნაწილაკიანი, 3. კითხვითი სიტყვის ან ნაწილაკის გარეშე.

მთავარ წინადადებას, რომელშიც კითხვითი სიტყვაა (კითხვითი ნაცვალსახელი ან კითხვითი ზმნისართი), დამოკიდებული უერთდება „რომ“ კავშირით. ჰიპოტაქსის შემქმნელი სტრუქტურული ელემენტებია, ვინ... რომ, რა... რომ, რომელი... რომ, სად... რომ, როდს... რომ...

ლექსიკური მასალა, რომლითაც კონსტრუქციის შევსება ხდება, ნაირგვარია და, აქედან გამომდინარე. რთული წინადადების ნაწილების აზრობრივი მიმართებაც — სხვადასხვაგვარი.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ კითხვითი სიტყვა ხან პირდაპირი მნიშვნელობით არის ნახმარი, ხან კი უარყოფითი მნიშვნელობით (ე. წ. რიტორიკული კითხვა). თუ კითხვითი სიტყვა პირდაპირი მნიშვნელობით არის მთავარში, ე. ი. კითხვას გამოხატავს, მაშინ მასთან შეიძლება გაჩნდეს საკორელაციო ნაცვალსახელიც. ამგვარ კონსტრუქციას ქმნის უპირატესად ერთი ჯგუფი ზმნებისა, რომლებიც დაშავება-დამართებას, წახდენას... აღნიშნავენ და სუბიექტური ან ობიექტური პირის ფარდად შეიწყობენ კითხვითს რა-ს². საკორელაციო

1 მხოლოდ ვასახელებთ ზოგიერთ ნაშრომს ამ საკითხზე: ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწ. II, სინტაქსი, თბ., 1949; ა. კიხიარია, მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბ., 1963; ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1966; ა. დავითიანი, ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1966; ნ. ბასილაია, წინადადების ტიპები მტკიცებისა და შინაარსინტონაქსის ანუ მოდალობის მიხედვით, თბ., 1983; შ. აფრიდონიძე, სიტყვათგანლაგება ახალ ქართულში, თბ., 1986.

2 ასეთივე ქვეწყობა სხვა ქართველურ ენებშიც არის, მაგ., სვანურში: მჰჰ ხამგჰკჰ ე ვ ჯ ვ არ აღმჰრს, ე'ჩუ დოშ ხნთედ? (რა სკირთ ისეთი ამათ, რომ ვერ ინაწილებთ? (სვ. ტ. I, 279).

ნაცვალსახელი ხან კითხვითს სიტყვასთანაა, ხან დაცილებულია მის-
გან. მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

რა მოხდა ასეთი, რომ ერთი უსუარის ყმაწვილის სასიკვდი-
ლოდ სიტყვა გაგისწირებია? (თეიმ. II, 179); ჭერსა მამაგისო რა
გვემართება, რომ განვისყიდოთ თავისუფლება? (ნ. ბარ., 58); ამ
თქვენს ჭადარს რა დამართია ეს, რომ ფოთლები გასცენია?
(აკაკი. 9, 186); რა გაჭირვება გადგა მისთანა. რომ განსაცდელ-
ში იგდებდა თავს? (იქვე, 131); შენ რაღა დაუშავე დიამბეგს ისე-
თი, რომ მაგრე დაუწიოკებიხარ? (ვაჟა, 12, 403); განა ისეთს
რას სჩადიოდა, რომ ვერ დამალა? (მ. ელიოზ., 55); რას
ვშვრები ამისთანას, გზას რომ მიკრავთ ყოველ მხრიდან?
(დ. კლდ. II, 83); მაინც რა სწერია შიგ ისეთი, რომ გაცოფდი
(ნ. დუმბ., გლად., 152); განა იმდენი რა უნდა წაელო ზურგითა
ხნოვან ქალსა, რომ იქაობას დასტუობოდა? (მ. ელიოზ., 171).

ზოგჯერ საკორელაციო ნაცვალსახელი არ ჩანს, მაგრამ მისი აღ-
დგენა შეიძლება. მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

მღვდელმთავარო, რა დაგიშავე, რომ ცოლ-შვილი ტყვედ წა-
მოაყვანიხო? (აკაკი, 492); რა სასიხარულო საქმე მოხდა, რომ
ქუჩებში სიმღერით იაროთ? (დ. კლდ. II, 254); რა დაგიშავე საბრა-
ლო დედაჩემმა... რომ მოჰკალი და უპატრონოდ დამაგდე? (ვაჟა,
12,33).

ამგვარი კონსტრუქცია იქმნება ვინ-ის მონაწილეობითაც:

ამ ვაჟეაცს ძუძუ ვინ მოაწოვა, რომ სამარეც კი აქვს ახოვა-
ნი?! (გ. ლენ., 115); ჩონთა ვინ გდია, რომ მაგას ასმევე მარტო-
კას? (ვაჟა, 12, 528); თვითონ შენ ვინა ხარ, რომ მაგრე ოხრავ და
კენესი-მეთქი? (აკაკი, 412).

დამოკიდებული წინადადება, რომელიც მიემართება მთავარში
პირდაპირი მნიშვნელობით ნახმარ ვინ-ს და რა-ს, სინტაქსური ფუნ-
ქციით განსაზღვრებას უტოლდება.

სხვაგვარია რთული წინადადების ნაწილთა აზრობრივი მიმართე-
ბა, თუ კითხვითს სიტყვას უარყოფითი მნიშვნელობა აქვს. მაშინ ში-
ნაარსით უფრო ზოგადი და მტკიცებით უარყოფითი მთავარი გამო-
რიცხავს იმას, რაზედაც დამოკიდებულშია საუბარი. დამოკიდებული
გამომდინარეობს მთავრისაგან, როგორც კერძო შემთხვევა, და ასე-
ვე უარყოფითია. ე. ი. თუ შინაარსს გავეუწევთ ანგარიშს, დამოკი-
დებული წინადადება შედეგობით-გამორიცხვითად შეიძლება მივიჩი-
ნოთ. მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

ამ წუთისოფელში ვინა აქვს მეტი ლუკმა. რომ შენც ვაძ-
ლიოს?! (ილია, 238). ან აღრე ვინ რას სთხოვდა მაგათ და ან ახლა
ვინ რას ესაყვედურება, რომ პირაქეთ მკვდარს მამტყუნებენ? (აკა-

კი, 406); სიცოცხლეში ვინ ამისრულა სურვილი, რომ სიკვდილის შემდეგ გამიგონონ-მეთქი (იქვე, 411); სასმელ-საჭმელი ჩვენ რა გვქონდა ბევრი, რომ მისთვისაც ბევრი მიგვეცა? (იქვე, 111); შენ როდის დარგე, შე ოხერო, ემად კენწეროზე რომ წამომქდარხარ? (თ. აბულ., „ლიტერ. საქ.“ 21, II, 1986, გვ. 8).

მსგავს შემთხვევებში „კითხვითი ნაცვალსახელები ან ზმნიზედები ნახმარია უარყოფითი მნიშვნელობით, რითაც გადმოიცემა როგორც კითხვა, ისე ემოციაც“³. ე. ი. კითხვა რიტორიკულია. ჰიპოტაქსს თუ სხვა კონსტრუქციას შევეუნაცვლებთ, ეს ხელშესახები გახდება. მაგალითად: ამ წუთისოფელში ვისა აქვს მეტი ლუკმა, რომ შენც გაძლიოს?! შენაცვლებით: ამ წუთისოფელში მეტი ლუკმა არავისა აქვს და შენ რა გაძლიოს?!

თუ რთული წინადადების ნაწილებში ერთი და იგივე ან სინონიმური ზმნებია გამოყენებული, კონსტრუქცია მკვეთრ დაპირისპირებასაც გამოხატავს. მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

ერთი მუქა ცერცვისთვის კაცი ვის მოუქლავს, რომ შენ მოგაკვლევინოთ?! (აკაკი, 575); უსისხლოდ გამარჯვება ვის მოუპოვებია, რომ ჩვენ მოვიპოვოთ?! (დ. შენგ., 264); სიცოცხლეში ვის ესმოდა, რომ მკვდარს გაუგონონ? (ტიც. ტაბ., 342); თავისუფალი ნომერი აბანოში სხვას ვის დახვედრია, ფიფიას რომ დახვედროდა?! (ნ. მგელ., გაზ. „თბილისი“, 10, III, 1986, გვ. 4). ზეპირად რა გაკეთებულა, რომ ეს გაკეთდეს?! (ვაჟა, VII, 300); თვითონ რა აქვს, რომ მე მარჩინოს? რა ჰმოსია, რომ მე ჩამაცვას? რა შეუძლია, რომ გამაძლიეროს და თვითონ რა სახელგანთქმულია, რომ მე გამომარჩინოს?! (აკაკი, 9.230); ჭკუაზე როდის იყო, რომ ახლა გაგიყებელიყო? (მ. ჯავ., 22); როდის ვიყავით თანასწორნი, რომ ახლა ვიყვნეთ?! (იქვე, 279), როდის გხლებიათ ნაკული, შენი ჰირიმე, რომ ეხლა იყოს?! (მ. ელიოზ., 122).

ზოგჯერ „რომ“ ჩაეარდნილია:

მუშტი-კრივით ვის რა გაუტიგებია, თქვენ გაარიგოთ?! (ვაჟა, 12, 408).

უარყოფიდან გამომდინარე უარყოფა კიდევ უფრო საგრძნობია ისეთ მაგალითებში, როცა კითხვითი ნაცვალსახელი (რა, რომელი) არსებით სახელთან გვხვდება მთავარ წინადადებაში. მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

არა, რა გულბათი შენ ხარ, რომ ალავერდს მიდიხარო?! (აკაკი, 102); რომელი ვარსკვლათმრიცხველი ან ბედისმწერელი მე ვარ, რომ ამ სიმაღლეზე ამოვსულვარ და თავი ცაში გამიყრია?! (დ. შენგ., 128).

³ ნ. ბასილაია, დასახ. ნაშრ., გვ. 50.

კითხვითნაწილაკიან მთავარ წინადადებაში გამოყენებული კითხვითი ნაწილაკები: ხომ, განა, თუ... ხომ შეწყვილებულია არ უარყოფითს ნაწილაკთან. კონსტრუქციის სტრუქტურული ელემენტებია: ხომ არ... რომ (ზოგჯერ „რომ“ არც არის). მთავარი მტკიცების მიხედვით უარყოფითია. თუ იგი უკუთქმითი ფორმის დამოკიდებულს შეიერთებს. მას დადებითს მნიშვნელობას მისცემს, თუ დადებითს შეიკავშირებს, უკუთქმითს მნიშვნელობას შესძენს. მაგალითები: ჭირკი ხომ არა ვარ, რომ არ ვიფიქრო? (დ. შენგ., 289) — ნიშნავს: ჭირკი არა ვარ და ვიფიქრებ. ან კიდევ: გიყები ხომ არ ვართ, რომ (სისხლი) ტყუილუბრალოდ დავღვაროთ?! (მ. ჭავჭავაძე, 529) — ნიშნავს: გიყები არა ვართ და სისხლს ტყუილუბრალოდ რად დავღვრიოთ?!

დამოკიდებულ წინადადებაში ნაჩვენები მოქმედება შესაძლებელია მხოლოდ მთავარში პრედიაკატით უარყოფილი სიტყვისათვის. კონსტრუქცია კითხვით-ძახილისაა, კითხვა აქაც რიტორიკულია. მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

მე ხომ ჩემი შვილიშვილი არა ვარ, რომ დავარდნილი ვიყო და ურმით მეჭირვებოდეს სიარული?! (აკაკი, 536); შენ, ჩემო ბიძია, ვირი ცხენი ხომ არ გგონია, საითაც დაუწყაპუნებ, იქით რომ გამოგყვება?! (ნ. დუმბ., მე, ბებია... 287); რომ დამუნჯებულხარ, გამოცდაზე ხომ არ ხარ? (იქვე, 156); დუქანში ხომ არ ხართ, ეგ ღარიბული სუფრა რომ გაგიშლიათ?! (დ. შენგ., 149); რომ არ მეწყინოს საწყენი, ხომ არ გგონივართ ბაღლია?! (ვაჟა, 12,323); ხალხი მართლა ბრმა და ყრუ ხომ არ არის, ვერ იცნოს თავის კეთილისმყოფელი, თავის მოყვარე და მტერი ერთმანეთში აურიოს?! (ვაჟა, VII, 284); გრაფ ტოლსტოი მართლა ტრედიაკოვსკი ხომ არ არის, რომ მისი სიტყვა ერთ ყურში შევეუშვათ და მეორეში გავცილოთ?! (იქვე, 370); /დაუდევნელობა/ გრძნეული ეშმაკი ან დევი ხომ არ არის, რომ კაცს არ ძალ-ედვას მისი მორევნა?! (იქვე, 420); /საყდარი/ ბოსელი ხომ არ არის, რომ აქეთ-იქით გადაიტან-გადმოიტანონ ხოლმე პრისტავის ბრძანებით? (აკაკი, 433); ჰაერზე ნათქვამი ნოტარიუსთან ბეჭედდასმული დოკუმენტი ხომ არ არის, რომ მერე ბრალდებად წაუყენო ვინმეს? (გ. შატბ., II, 327); /მანქანა/ კარუსელი ხომ არ არის, რომ გამოვითიშო და ჩავაქვავო?! (მ. ელიოზ., 73).

განა ნაწილაკი მთავარ წინადადებაში დადებითს პრედიაკატსაც იგუებს და უარყოფითსაც, ოღონდ უკუთქმითს ფორმაში დადებითი შინაარსისა ნაგულისხმევი და, პირიქით, დადებითს ფორმაში — უარყოფითი⁴. მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

4 ნ. ბასილია, დასახ. ნაშრ., გვ. 64.

/ეს ქული/ განა შენს ხაჩანის ფაფანაკსა ჰგავს, რომ მაგრე ბრიყ-
ვად ექცევი? (ვაჟა, 12,379); განა თქვენ ქადრაკის ფიგურა ხართ,
რომ, სადაც მოეპრიანებათ, იქ გადაგაგდონ? (გ. ფანჯ., 416), რომ
არ ვიგრძნო, განა ხე ვარ? (ი. გრიშ., 65); განა მე ჩემი ცეცხლი და
გაგანია არ მეყოფა, რომ შენ თაკარას მიკილებ კიდევი? (დ. შენგ.,
116).

კითხვითი თუ მაცალკეებელი კავშირითაა და კითხვასაც გამო-
ხატავს: ოთარაანთ ქვრივი დედაა შენი, მამა, თუ შენი მოვალეა,
რომ შეგინახოს? (ილია, 238).

სინონიმური შენაცვლებით ეგვე შეინარსი ასეც გადმოიცემა:
ოთარაანთ ქვრივი არც დედაა შენი, არც მამა, არც შენი მოვალეა
და რად შეგინახოს?!

მთავარი წინადადება კითხვითი სიტყვების ან კითხვითი ნაწი-
ლაკების გარეშეც არის, ოღონდ დადებითი ფორმით აქაც უარყოფ-
ფაა გამოხატული, უარყოფითი ფორმით კი — წართქმითი მტკიცე-
ბა. მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

ქორი ვარ. სხვას რომ მოვსტაცო? (აკაკი, 93); თქვენში ნამდვი-
ლი პური არ მოდის, რომ ხონჩაზე ოქრო დაგილაგებიათო? (აკაკი,
9,531); ჭია კი ცოცხალი არსება არ არის, რომ გადაპყლაპავთ ხოლ-
მე. აგრეთვე ბუზი? (ვაჟა, 12, 365).

სინონიმური შენაცვლებით გვექნება:

ქორი არა ვარ და სხვას რად მოვსტაცო?! ან კიდევი: თქვენში
ნამდვილი პური მოდის და ხონჩაზე ოქრო რად დაგილაგებიათო?!

ყველა ზემოთ დასახელებულ შემთხვევაში მთავარი წინადადე-
ბა გამოხატავს ერთგვარ პირობას. საიდანაც გამომდინარეობს, რო-
გორც შედეგი, ის, რაზედაც დამოკიდებულ წინადადებაშია საუბარ-
ი. ნიშანდობლივია, რომ მთავარი წინადადება მტკიცების მიხედ-
ვით თუ წართქმითია, მნიშვნელობა უკუთქმითი აქვს და, პირიქით,
უკუთქმით ფორმას შეეფარდება დადებითი მნიშვნელობა (გამონა-
კლისს შეადგენს ხომ არ ნაწილაკებიანი მთავარი წინადადება.
რომელსაც ფორმაც უარყოფითი აქვს და მნიშვნელობაც). ჰიპო-
ტაქსურ კონსტრუქციას უპირატესად ქმნის ორი უარყოფითი ან უარ-
ყოფით-დადებითი მნიშვნელობის კომპონენტის დაქვემდებარე-
ბა.

ქართულში ძალიან გავრცელებულია კითხვითი წინადადებები,
რომელთა მთავარი ნაწილი შედგება კითხვითი სიტყვისა და „არის“
ზმნისაგან. ამგვარი ჰიპოტაქსური კონსტრუქციები უფრო ხშირად
კითხვით-დახილისაა. მთავარი კომპონენტი მოკლეა და იგი, წესისა-
მებრ, პირველ ადგილზეა. მას მოჰყვება დამოკიდებული. რომელიც
ძირითად ინფორმაციას იძლევა. ამ შემთხვევაშიც დაცულია წინადა-

დების ის წონასწორობა („მსუბუქი“ + „მძიმე“), რაც მარტივ წინადადებაშია შემჩნეული? მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი:

ვინ არის, რომ არ გმონებდეს?! (ა. ჯ. 25); რა არის, რომ დღეს ჩემს გვერდით დიდ თორნიკეს ვერ ვხედავო? (აკაკი, 30); სხვა რომელია, რომ ათასთ წელთ ბრძოლა მედგარი გამოველოს და სრულიად მტკრად არ აღგვილიყოს?! (ილია, 144); რატომაა, რომ თქვენი წყლები მსოფლიო ბაზარზე არსად ჩანსო? (ს. ღურმ., 329).

რა არის მნიშვნელობით უდრის ზოგჯერ რად არის? (რატომ არის?): აწე რა არის, რომელ შენ სამართალსა ბრძანებ და შენი ვაზირები კი მოშლიან? (თეიმ. II, 189); რა არის, რომ ყოველთვის ამ ყვითელ სანთელს დაათრევს? (აკაკი, 430); რა არის, რომ შენს პირზედ ღიმილი არ დაგვინახავს? (იქვე, 443).

დამოკიდებული შეიძლება რომ კავშირის გარეშეც შეუერთდეს მთავარს:

რა არის, ვინც მოვა შენს სანახავად, მაშინვე მაგას წაუკითხავ? (იოანე ბატონ., 82); რა არის, ამოდენა ხანია სულ მოწყალებაზე დადიხარო? (ილია, 233), რისაგან არის, გაგიბედნია? (გრ. რჩეულ., 89).

რა არის სინონიმური გამოთქმები: რა ამბავია, რამიზეზია:

რა ამბავია, რომ დაიგვიანე? (აკაკი, 518); რა მიზეზია, რომ ასე გაგიჭაერებია ეს მასწავლებელი? (იქვე, 70).

რა არის ზოგჯერ შეკვეცილია და გვაქვს რაა:

რაა, რომ შურით გისკდებათ გული?! (ტიც. ტაბ., 381), რაა, დედაკაცო, სულ რომ კრიჭაში მიდგახარ?! (დ. შენგ., 17); რაა, შეკაცო, რომ დააყარე ამდენი კითხვები?! (ნ. ღუმბ., მე, ბებია... 293).

რა არის ენაცვლება რა იყო:

რა იყო, რომ არ ისვენებ ლოგინში? (ტიც. ტაბ., 419).

სხვა გამოთქმებს, როგორცაა: რა ვუყოთ (მერე), რა ვქნათ (მერე), რა მოხდა (მერე), რომლებიც მთავარ კომპონენტად გვხვდება. კითხვითი შინაარსი თითქმის აღარ აქვთ, ისინი ერთგვარ დათმობას გამოხატავენ და ძლიერ ემოციურ ელფერს სძენენ კონსტრუქციას. მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი:

რა ვუყოთ მერე, რომ გავიკაწრე?! (ტიც. ტაბ., 113); რა ვუყოთ, რომ ფული გაძვირდა?! (აკაკი, 455); რა ვუყოთ მერე, ასე თავი რომ გადააკლა ვილაცა ოხერ ფაშისტ ნობილეს?! (გ. ფანჯ., 264).

რა ვქნათ, რომ ჯანდი გვეხვევა?! (ვაჟა, 12, 70); რა ვქნა მერე,

რომ იცანი?! (აკაკი 134); რა ექნა, რომ ამ გასატიალებელ ბორანზე გული აღარ იცდის?! (დ. შენგ., 223).

მთავარ კომპონენტში ლოგიკური, მახვილი კითხვით სიტყვას -რა-ს აქვს, ამიტომ ხშირად მასთან ზმნა „არის“ იკარგება და გვაქვს ე. წ. ნულოვანი პრედიკაცია. მაგ.:

მერე რა, რომ მას სამოცდაათი წელი შეუსრულდა? (გ. გეგეჭ., გაზ. „ლიტ. საქ.“, 10, IV.1987, 7); მერე რა, რომ ახლოსაა სოფელი! (მ. ელიოზ., 267); მერე რა, რომ თუჯი ნაჩქარევად ჩაეასხმევინე! (გ. ფანჯ. 261); მერე რა, რომ დროს თავისი გააქვს?! (თ. ბიბილ., „ლიტ. საქ.“, 17, I, 1986, გვ. 10).

საინტერესოა კითხვითი სიტყვებისა და „არის“ ზმნის შემცველი მთავარკომპონენტისანი ჰიპოტაქსის ჩვენება სხვა ქართველურ ენებში. მაგალითად, სვანურში, როგორც ჩაწერილი ტექსტებიდან ჩანს, ვ ი ნ ა რ ი ს და რ ა ა რ ი ს დამოკიდებულს უმეტესად უკავშიროდ იერთებს. კავშირიანი დაქვემდებარება შედარებით ნაკლებია. მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

აწრ ესერ ლი, სანაფს ხეფშედ ალი? (ქრესტ. 229,33) / ვინ არისო, სინაფს / რომ / ესერის, ესო? /; აწრ ესერ ლი, ლიფუსდ მოდე ხაკუ ი ლიგურ ხაკუ. ალი? (სვ. ტ. II, 325, 16) / ვინ არისო, თავადობა არ უნდა და ყმობა უნდა, ესო? /; აწრ ლოქ ლი, ერე მიჩა კერს ლოქ ხობედაწვი ლიტულის? (სვ. ტ. III, 249, 2) / ვინ არისო, რომ ჩემს კერატს უბედავს დაძახებასო? /.

რ ა ა რ ი ს ასევე უკავშიროდ იერთებს დამოკიდებულს მეტ შემთხვევაში. მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

მაა ლი, ჰამს უ'ახგე ი მურყეამს ჯიკისგა ხაგ ი ხოსჯდი უბოვ? (სვ. ტ. II, 62,21) / რა არის, დილას ადექი და კოშკის ძირას დგახარ და ზევით იცქირებით? /; მაა ესერ ლ' ალა: ამჩუნ ხოლა ქვინ ესერ მიჩკან? (ქრესტ. 88,37) / რა არისო ეს: აქ რალაც ცუდი სუნი / რომ / დგასო? /; მა ლოქ ლი, ალ წელალს ბერევი უღვა ლოქ ერ ხაგხ? (სვ. ტ. III, 199, 26) / რა არის, ამ სახედრებს რკინის უღელი რომ ადგათო? /.

კითხვითს ჰიპოტაქსს სვანურშიც ხშირად ქმნის მთავარ წინადადებად გამოყენებული გამოთქმები: მაა ამბაწ ლი? (რა ამბავია?), მაა მიზეზ ლი? / რა მიზეზია? / . მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

მაა ანბაწ ლი, ღორი ფიცარ ხაკუ ხეხე-ჰაწ/შ/ს, სგაა კადა ლა-ღარკი ხაყერედ? (სვ. ტ. I, 228, 35) / რა ამბავია, ორი ფიცარი უნდა ცოლ-ქმარს, თქვენ ცულის ტარზე წევხართო? /; მაა მიზეზ ლი, ფუსდ კასარ, ერე ლო ხეესს დრმ ხიკედ? (სვ. ტ. I, 338, 1). / რა მიზეზია, ბატონო მეფევე, რომ მერე ხემსს არ იღებ? /.

ჩანს, ადრე ქართველურ ენებში უკავშირო შეერთება იყო ჩვე-
ულებრივი, სევანურთან ერთად მეგრულ-ქანურიც ამას უჭერს მხარს.
იოსებ ყიფშიძემ მეგრულში დაადასტურა უკავშირო შეერთე-
ბის ასეთი შემთხვევები: მუსუ რე, ორთუქი? (რას არის, აკეთებ?)
და ასე ახსნა: უნდა იყოსო: მუ(მო) რე, ნამუსუ ორთუქი? — რა
არის, რომელსაც (რასაც) აკეთებ? ამგვარ ამხსნელ კომპონენტს შე-
მოკლებული განსაზღვრებითი დამოკიდებული უწოდა⁶.

ახლა მეგრულში ამგვარი ქვეწყობა კავშირიანი უფრო ხშირად
არის, დამოკიდებული უერთდება მთავარს მაქვემდებარებელი ნი
კავშირით მეგრულში. ქანურში არის ნა. მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი:

მინ რე მიდამილანსენი, ჩქიმი შურიშ(ი) ოსხუნურს? (მეგრ. ტ.
73)⁷. ვინ არის, რომ მართმევს ჩემს სულზე უკეთესს?; ლევა, მუ
რე, მეილუნი? (იქვე, 259) /ლევა, რა არის, რომ მიგაქვს?;/ მუ რე,
შოლვარანცია? (იქვე, 341) /რა არის, რომ მობლავისო?;/ ნამუ რექ, მე-
ურაქუნი? (იქვე, 262) /რომელი ხარ, რომ მიდიხარ?/.

ი. ყიფშიძემ მიაქცია ყურადღება იმ ფაქტსაც, რომ მე-
გრულში მთავარი წინადადების ქვემდებარე (კითხვითი ნაცვალსა-
ხელი) დგას იმავე ბრუნვაში, რომელშიც უნდა ყოფილიყო მიმარ-
თებითი ნაცვალსახელი, მაგალითად: შუქუ რე, მუგაწყუნეს? (რამ
არის გაწყენინათ?). ე. ი. კითხვითს ნაცვალსახელს ბრუნვაში მარ-
თავს არა მთავარი წინადადების შემასმენელი, არამედ დამოკიდებუ-
ლი წინადადებისა. წინადადების ბოლოს მოქცეული მაქვემდებარე-
ბელი კავშირიც ხელს ვერ უშლის მთავარი და დამოკიდებული კომ-
პონენტების ამგვარ გადაკვანძვას. მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი:

ბოში, მუქ რე თე ზომამა ჩქიმ ცოროფა სი მერჩუნი? (მეგ. ტ.
118). /ბიჭო, რამ არის, რომ ამ ზომამდე ჩემი სიყვარული შენ მო-
გცა?;/ მუ კოსი რე, ვაჩხონუანს სქანი სახე, პიჯი ვარდი (იქვე, 110)
/რა კაცს არის არ აცხონებს შენი სახე, პირი ვარდი/.

მთავარსა და დამოკიდებულს შორის მიჯნების დარღვევა მარ-
ტო ამით კი არ იგრძნობა, არამედ მთავრის პოზიციის შერყევითაც:
მთავარი ზოგჯერ დამოკიდებულში იჭრება: ცას მუიე გიმახენი?
(მეგრ. ტ., 13) /ცაზე რაა რომ ზის?/. ორივე ეს მოვლენა სასაუბრო
(ზეპირი) მეტყველებისთვისაა ნიშანდობლივი.

მთავარი და დამოკიდებული ნაწილების ამგვარი შერწყმის ნი-
შეშები გვხვდება სევანურშიც. მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი:

⁶ И. К и п ш и д з е, Грамматика мингрельского (иверского) языка, С.-Пб.,
1914, გვ. 0141—0142.

⁷ მაგალითები დამოწმებულია წიგნიდან: ქართული ხალხური სიტყვიერება,
მეგრული ტექსტები, I, პოეზია, თბ., 1975.

⁸ საილუსტრაციო მასალა მომწოდეს მეცნიერმა თანამშრომლებმა ე. გაზდე-
ლიძემ და რ. ჭკადუამ, რისთვისაც მათ უღრმეს მადლობას მოვახსენებ.

იმნემ ლი-ა, ამგვარიშ აიხირნე ალი? /რამ არის-ეს, ასე /რომ/ გაგაბრაზა?;/ იმნემ ლი-ა, ამგვარიშ ლასკორათე აკვარ? /რამ არის ეს, ასეთ საგონებელში ჩაგადლო?;/ ანს ლი, ერ ხაგვრგალი? /ვის არის, რომ ელაპარაკები?;/ ანს ლი-ა, ხეშიწლ ალი? /ვის არის ეწ, ეხხუბები?/.

ამასვე ვადასტურებთ ქართული სასაუბრო მეტყველების დასავლურ არეალშიც და აქედან მწერლობაშიც არის გაყონილი. ერთია მხოლოდ: ასეთი წინადადებები უფრო ხშირად ძლიერ ემოციას გამოხატავენ, ვიდრე კითხვას. მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი:

ვისაა რომ უყვირი?! — იქაჩება ილარიონი (ნ. დუმბ., მე, ბე-ბია... 101); ვისაა რომ უყვირი და ვის სახლშია რომ ბლავი?! — თქვა ჩემმა ცოლმა (ნ. დუმბ., გლად., 152); ვის ლუქმასაა რომ ითვლი და ანაწილებო. — გადაიროა ბერიკაცი (რ. ქეიშვი., 95); რასაა რომ დამსგავსებხარ?! (ნ. დუმბ., მე, ბე-ბია... 150); რასაა რომ მიბედავს ეს მამაძალი (იქვე, 94).

უახლეს ქართულში გავრცელდა კითხვითი წინადადებები. რომლებშიც კითხვითი რა არის ჩართული. ასეთი წინადადებები აგებულების მიხედვით სხვადასხვაგვარია (მარტივიცაა და რთულიც). რა გამოყოფს და ააქტიურებს პრედიკატს, რომლისკენაც კითხვაა მიმართული. მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი:

შენ რა, კაკლის მურაბა გინდა? (მ. ელიოზ., 520); შენ რა, წაყითხული არა გაქვს, კაცო? (გურ. რჩეულ.. 129); შენ რა, ვეგეტარია-ნელი ხარ? (გ. ფანჯ., 265); შენ რა, ლაპარაკი არ იცი? (ს. დურმ., 289); თქვენ რა, მე ფოტოგრაფი ხომ არ გგონივართ? (იქვე, 289); თქვენ რა, იცნობდით ლევან გზირიშვილს? (გ. ფანჯ., 773); მე მიყვარს ყაჩაღები. თქვენ რა, არ გიყვართ? (გურ. რჩეულ., 111); ჩვენ რა, ვქეიფობთ? (გ. ფანჯ., 262); ჩვენ რა, შენზე ნაკლები უჯიშო ძალები გვყავდა, თუ შენ ჩვენზე გულჩვილი გამოდქი?! (ნ. დუმბ., მზე, 75); დედამიწა, რა, საზამთრო არის? (მ. ელიოზ., 114); გაიქცეს, რა, გოჯია?! (გ. ფანჯ., 910); დავიფიცებ, მაგრამ, რა, არ მენდობით? (იქვე, 437).

რა პაუზით არის გამოყოფილი მომდევნო სიტყვებისაგან და ინტონაციურად წინმავალ სიტყვას, ერთმარცვლიანს, ეკედლება. ასე რომ, წარმოთქმის მიხედვით, ჩვეულებრივ, რა-ს შემდეგ წერენ მძიმეს. ორ-და მეტმარცვლიანი წინმდგომი სიტყვისაგან კი რა პაუზითაა გამოყოფილი და წერისას მძიმეებით გამოცალკევდება.

რა ამგვარი კითხვითი წინადადებებისათვის აუცილებელი სტრუქტურული ელემენტი არ არის. მისი ამოღებით კონსტრუქცია არ ირღვევა. კითხვის გამოხატვა მას არ ევალება. კითხვის ინტონა-

ცია შემასმენელზეა განფენილი⁹. რა მხოლოდ აქტუალიზატორია¹⁰. ეს რა ნაწილი ჩანს მთელი გამოთქმისა „რა არის“, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჰიპოტაქსური კითხვითი კონსტრუქციების ასაგები ბლოკია. ეგვე „რა არის“ განზოგადდა და იხმარება არა მარტო ჰიპოტაქსურ კითხვითს, არამედ თითქმის ყველა სახის კითხვითს წინადადებაში, ოღონდ ჰიპოტაქსური კონსტრუქციისათვის იგი აუცილებელი შემადგენელი ნაწილია, სხვაგან კი შეიძლება არც იყოს. მაგალითად:

რა არის, ბიჭო, ამ ჩანთების მეტი არაფერი გაქვს? (გ. ფანჯ., 538). შეიძლება ასეც: რაა, ბიჭო, ამ ჩანთების მეტი არაფერი გაქვს? მააქტიურებელი რა-ს გამოყენებით: ბიჭო, შენ რა, ამ ჩანთების მეტი არაფერი გაქვს? ან საერთოდ რა-ს გარეშე: ბიჭო, ამ ჩანთების მეტი არაფერი გაქვს?

ჩვენი აზრით კითხვითს წინადადებაში ჩართული გამოთქმა რა არის შეკვეცით გვაძლევს რა-ს („არის“ იკარგება)¹¹.

ასეთივე შეკვეცა ხდება ბრძანებითს წინადადებაში. სალიტერატურო ქართულს, როგორც ვიცით. კატეგორიული ბრძანებისა და თხოვნა-ვედრების თუ სხვა ნიუანსის გამომხატველი ფორმები გარჩეული არა აქვს. ამგვარი გარჩევა მხოლოდ ლექსიკური საშუალებებით და ინტონაციით ხერხდება. გამონაკლისს შეადგენს ფშავ-ხევსურულის ე. წ. თხოვნითი ბრძანებითი. რომელიც არქაული ნამყო-უსრულია, -იდ ან -ოდ სუფიქსებით ნაწარმოები¹². უკანასკნელ პერიოდში ძალიან გავრცელდა ე. წ. თხოვნითი ბრძანებითის აღწერიითი გზით გამოხატვა: ბრძანებითის ფორმა + რა¹³. მაგალითები:

ამოდი, რა! ანიკოს მოშივდა, ტირის (ნ. ლორთქ., II, 218); მოდი, რა!

9 ნ. კიზირია, თხრობითი და კითხვითი შინაარსების ინტონაციური გამოხატვის შესახებ სალიტერატურო ქართულში; საქ. მეცნ. აკად. ენათმ. ინსტიტუტის XLIV სამეცნიერო სესია, 1986 წ., 11-13 ივნისი, თეზისები, გვ. 22.

10 აქტუალიზაციისა და აქტუალიზატორების შესახებ იხ. Ш. Б. а. л. и. Общяя лингвистика и вопросы французского языка, М., 1955, გვ. 90—98; Русская разговорная речь, М., 1973, გვ. 347—355; შ. ა ფ რ ი დ ლ ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ. გვ. 92—94.

11 რა არის ზოგ მწერალთან მაქვემდებარებელი კავშირის მაგიერობასაც სწევს, მაგ.: თითო-ორილა რუსულს სიტყვას წარმოვისროდი, რა არის, მეჩვენებინა იმათთვის, რომ რუსული ვიცი-მეთქი (ვაჟა, 12, 345).

12 არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერ-კავკ. ენებში, I, თბ., 1948, გვ. 80—96.

13 გავრცელებას უთუოდ შეუწყო ხელი იმ ფაქტმა, რომ ეგვე სიტყვა (что) აქტუალიზატორია რუსულ სასაუბრო მეტყველებაშიც იხ. Русская разговорная речь, გვ. 348—352.

მოდი, დაჯექი, დაჯექი-მეთქი! (დ. შენგ., 312); დედა, გამიშვი, რა, ეზოში, ვითამაშებ (ნ. ღუმბ., გლად. 139); ნუ წაველთ, რა! (გურ. რჩეულ., 206); მაპატიე, რა! გადმოხტი, რა! (მ. ელიოზ. 63); უსუნე, რა, მამიდა, უსუნე! (რ. ინან., „ლიტ. საქ.“ 28, II, 1986, გვ. 8).

ამგვარ ბრძანებითს რომ თხოვნის მნიშვნელობა აქვს, ამას კონტექსტის მიმყოლი სიტყვებიც წშირად ავლენს:

გავუშვათ, რა, დიდედ, იადონები, გავუშვათ, რა! — ეხვეწება ზურა დიდედას (მ. ელიოზ., 320); დაიძინე, რა, გეხვეწები, დაიძინე (ლ. ბრეგ., 11).

ინტონაციით გამოყოფილი ეს რა ნაწილია მთელი გამოთქმისა— რა არის (//რა იქნება// რა მოხდება)¹⁴, რომელიც სრული სახით არის წარმოდგენილი ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში, როგორც მთავარი ნაწილი, და დამოკიდებული წინადადების ზმნას კავშირებითის ფორმით შეიგუებას¹⁵. მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

ეხლა, რა არის, ერთხელ მეც დამითო (ილია, 203); შდრ. დამითმე, რა! გრიგოლ, რა იქნება, რომ ერთი კიდევ დააწკარუნო ამდენი ხნის დადუმებული შენი სანთური (ნ. ბარ., 96); შდრ. დააწკარუნე, რა! რა იქნება, რომ თქვენც შათთან ერთად წახვიდეთ! (გაზ. „სახ. განათლ.“ 21. XII, № 102, 1984, გვ. 4); შდრ. წადით, რა! ამ ბიჭმაც შოითმინოს ერთ ზაფხულს, რა იქნება (გ. შატბ., II, 322); რა მოხდება, რომ ინებოს და ერთხელ ჩვენკენაც ჩამოანათოს! (მ. ელიოზ., 225).

ამ გამოთქმების ხმარებას გასაქანი მიეცა ყველა პირის ბრძანებითთან:

ერთხელ მეც გამიგონეთ, რაა! (დ. შენგ., 313); ჰოდა, გადმომიგდე ერთი სამიანი, ღმერთო, რა იქნება! (ნ. ღუმბ., მე, ბებია... 83); რა იქნება, სინჯოს ბავშვმა! (ნ. ღუმბ., გლად., 193).

უფრო მეტიც, თხოვნის რა გეხვედება არა მარტო ბრძანებითის ფორმებთან, არამედ სხვა შემთხვევებშიც:

მეც დაწვერ, რა! სულ შენ უნდა წერო? (ნ. ღუმბ., გლად., 193).

ერთხელ ჩვენც ვიქნებით წითლები, რა! (ნ. ღუმბ., მე, ბებია... 276).

14 ნ. კიზირიამ ექსპერიმენტის გზით დაადასტურა, რომ ამგვარ ლექსიკურ საშუალებებს ეფინება დამავალი მოტივი, იხ. მისი, სალიტერატურო ქართულის ინტონაციის საკითხები, თბ., 1988, გვ. 98.

15 რა არის, რა იქნება თხოვნას აღნიშნავს სხვა ქართველურ ენებშიც და იმგვარადვე არის გამოყენებული, როგორც ქართულში. მაგ.: ეშახთათ დო დომხვამათ-ნა, მუ იყვენ! (ვ. ტექსტ., 112) (რომ ახვიდეთ და დამლოცოთ, რა იქნება!).

დასკვნა: ზოგი ჰიპოტაქსური კითხვითი წინადადების ნაწილების აზრობრივი მიმართება ნაირფეროვანია (დაპირისპირება, გამორიცხვა, პირობით-შედგობითი მიმართებები...), ამიტომ მათი ცალსახა განმარტებაც არ ხერხდება. ასეთი კონსტრუქციები ნეიტრალურ კავშირს („რომ“) იგუებენ.

კითხვითი ჰიპოტაქსური კონსტრუქციები, რომელთა მთავარი კომპონენტიც შედგება კითხვითი ნაცვალსახელისა და „არის“ ზმნისაგან, ავლენენ „გამარტივების“ ტენდენციას, რაც გამოიხატება, ერთი მხრით, მთავარი წინადადების ნულოვან პრედიკაციაში, მეორე მხრით, დამოკიდებული წინადადების ზმნის მიერ მთავარში წარმოდგენილი კითხვითი ნაცვალსახელის ბრუნვის მართვაში. ეს პროცესები საერთო-ქართველური ჩანს.

რთული წინადადების კომპონენტთა განლაგებისათვის

ზეპირი მეტყველებისთვის ნიშანდობლივია რთულ წინადადებაში კომპონენტების (შემადგენელი ნაწილების) სპეციფიკური განლაგება, რასაც კომუნიკაციის მიზანდასახულება განაპირობებს. სახელობრ, ქვეწყობილი წინადადების დამოკიდებულ კომპონენტში ჩაერთვის ხოლმე მთავარი¹, ან კიდევ: ერთგვარშემასმენლებიანი წინადადება შეიძლება გაიკვეთოს ერთ-ერთ შემასმენელთან და მასში მოთავსდეს მეორე კომპონენტი. შედეგად ვიღებთ თავისებურ თანწყობას. ქვემოთ განვიხილავთ ამ შემთხვევებს ცალ-ცალკე.

საერთოდ, ინტერპოზიციაში მთავარი კომპონენტი ხვდება, თუ: 1. ის მოკლეა (ერთი სიტყვა ან ორ-, იშვიათად — სამსიტყვიანი შესიტყვება); 2. ინფორმაციის თვალსაზრისით მას განსაკუთრებული მნიშვნელობა არა აქვს, მაშინ, როცა დამოკიდებული წინადადება „დატვირთულია“ და კომუნიკაციის აქტში ვადაწყვეტ როლს ასრულებს. ამიტომ მთავარს პირველად კი არ წარმოთქვამს მოსაუბრე, არამედ შემდეგ, საჭიროების მიხედვით, ჩართავს გამონათქვამში.

ინტერპოზიცია დადასტურებულია ზოგიერთ კერძო შემთხვევაში: 1. თუ მთავარი კომპონენტი აღნიშნავს დროის გარკვეულ მონაკვეთს, რომლის განმავლობაშიც მიმდინარეობს დამოკიდებულში ნაჩვენები მოქმედება. ამგვარი მთავარი, ჩვეულებრივ, ლექსიკურად შემოფარგლულია: მასში შედის დროის აღმნიშვნელი რომელიმე ლექსემა და ერთ-ერთი ზმნა გარკვეული სემანტიკური ჯგუფისა („არის“, „იქნება“, „იყო“, „გახდა“, „შესრულდა“, „გავიდა“...), განსაკუთრებით ხშირად გვხვდება „არის“ (მონაცვლე ზმნებით: „იყო“, „იქნება“); 2. თუ მთავარი კომპონენტი (ზმნა ან ზმნური შესიტყვება) გამოხატავს მოქმედის დამოკიდებულებას გამონათქვამის მიმართ (ვიცი, ვხედავთ, მესმის, მჭერა...), ან აღნიშნავს თანამოსაუბრისადმი მიმართვას ყურადღების მისაპყრობლად (იცი, ნახე, გეითხარ, ბრძანე...).

ჯერ განვიხილოთ პირველი შემთხვევა: 1) მთავარი წინადადების კომპონენტებია: სუბიექტი (დროის აღმნიშვნელი ლექსემა) + პრე-

¹ ასეთი რიგი უცხო არ არის არც სხვა ენებისთვის, კერძოდ, დადასტურებულია რუსულ ზეპირ მეტყველებაშიც. იხ. Русская разговорная речь, გვ. 397—402.

დიკატი („არის“ ზმნა და მისთ.). ამგვარი მთავარი შეიძლება შეგვხვდეს პრეპოზიციური ან პოსტპოზიციური რიგითაც. კომპონენტების შეერთება ხან კავშირიანია, ხანაც — უკავშირო.

კ ა ვ შ ი რ ი ა ნ ი შ ე რ თ ე ბ ა

ოთხმოცდასამი წელიწადია, რომელ სვიანი ხელმწიფე ვარ (ვისრ., 55); ესე მეექვსე თვე არის, რათგან ქვე წოლილ ვარ და ავად ყოფილვარ (იქვე, 333, 16); დიდი ხანია, რომ თქუენსა სახლშიგან არა ყოფილხარ (შპნმ, I, 1556₂); ესოდენი ხანია, რომ შენი საზრდოთი მზრდი (სულხან-საბა, 39); ათასი წელიწადი უფრო არის, რომ ჩვენი ნათესავი აქ დასახლებულა (თეიმ. II, 158,5); ხუთი წელიწადი შესრულდა, რომ შენ წასულხარ (შპნმ, III, 347, 10—11); დღეს მეშვიდე დღეა, რომ სძინავს (რუსუდ., 56, 13); არა დიდი ხანია, რომ ციფრებითაცა სმენრიცხვებსა (იოანე ბატონ. 166.7) რა ხანია, რომ ეზოს გადაღმა არსად ფეხი არ გადუღგამს (დ. კლდ., II, 52); ეს ერთი კვირაა თითქმის, რომ მთელი ლაშხეთი და ორივე ჩემი შვილი საქებრად წასული არიან (ბანოვ., 336).

XIX—XX საუკუნეების მწერლობა ასეთ ჰიპოტაქსში „რომ“ კავშირზე უფრო ხშირად იყენებს მიმართებით ნაცვალსახელს „რაც“:

დიდი ხანია, რაც მოვშორდი იქაურობას და კახეთში ვარ (აკაკი, IV, 48); ჯერ სულ ერთი კვირაა, რაც მე წუთისოფელს ვხედავ (ვაჟა, 12, 331); ხუთი წელი აგვითავდა ჩვენ, რაც ქალაქში ვიყავით (ილია, 8,74); ოცი წელიწადია თურმე, რაც ლუარსაბი და დარეჯანი ერთს უღელში შებმულან (იქვე, 157); ერთი ხანია, რაც მათ შორის სიტკბომ იკლო (მ. ჯავახ., 111); რამდენი ხანია, რაც ქვეყანა გადატრიალდა, დრო გამოიცვალა (ლ. ქიაჩ., 123); ორმოცი წელიწადი კი იქნება, რაც საქმე სწარმოებს და საშველი არაფერი მიეცა (ნ. ლორთქ., II, 53); /პარბენა/ ათ წელზე მეტია, რაც გადაკარგულია (იქვე, 182); მე ხომ, ათი წელია, რაც ამ სოფელში აღარ მიცბოვრია (გ. შატბ., II, 297); დიდი ხანია, რაც თუთიყუშების ჟინი მაქვს გულში (გამს., V, 632); დიდი ხანია, რაც ამ მონასტერში ბერად მოღვაწეობ? (გრ. აბ., 109).

როცა მთავარი წინადადება უკუთქმითია, მას დამოკიდებული წინადადება უმეტეს შემთხვევაში კავშირით უერთდება. მაგ.:

სულ არ იქნება სამი წელიწადი, რაც ამ ქვეყანაში ვარ (ილია, 8,17); ბევრ ხანს არ გაუვლია, რომ გიორგის ხელით მომივიდა ცხელი ხაჭაპური, შამფურის შიშინა მწვადი, თეთრი პური და წითელი ღვინო (აკაკი, 9,373); უკანასკნელი შემთხვევის შემდეგ დიდ ხანს არ გაუვლია, როდესაც საქართველოში დაბინავდნენ (ყაზბ., 220); დიდი ხანი არ არის, რაც ჩამოვიდა (ნ. ლორთქ., II, 282); ჯერ ორი კვირაც

არ გასულიყო, რაც ლოგინიდან ავდექ (დ. შენგ., 23); დიდხანს არ გაუვლია რომ სუფრას ვუსხედით გვერდზე და ბუხარში შელის მწვადები შიშინებდა (ვაჟა, 12,351); დიდი ხანი არ არის, რაც შენობა კაპიტალურად შეკეთდა (გაზ. „კომ.“ 22.XII.84 წ., 4):

შედარებით იშვიათია შემთხვევები, როცა დამოკიდებული წინადადება მთავარ კომპონენტს უსწრებს. შეერთება მეტწილად უკავშირობა.

აწ რომ ჩავდეგ, მეცხრე თვეა (შპნმ, I, 17992); ცხვრები გაგვეპარა, აგერ ორი დღეა (ნ. ლორთ., 11, 100); შენისა სიბილწისა ასახოცლად მოვალო, სამი წელიწადია (რუსუდ. 57.2—3);/ ეს/ იმან იცოდა, დიდი ხანია (დ. ჰონქ., 5,252); /დავითი/ ყანაშია, ეს ორი დღეც იქნება (ილია, 8,139).

საერთოდ, პრეპოზიციურ მთავარ კომპონენტს დამოკიდებულთუფრო ხშირად უკავშიროდ უერთდება. მაგ.:

ამოდენა ხანია, თქვენი მოწონებული მაისი მოღრუბლულია. (გრ. რჩეულ., 71); ოცდამეათი წელი არის, არ მხვედრია მე ცის ნამი (რ. ერისთ., 162); ეს მესამე დღეა, ბავშვს რაღაცა ახრჩობს (გამს., V, 534); აგერ უკვე მთელი კვირაა, ნაპურალებს წვავენ (ო. ჰილ., ყოველმან... 444); ოცდახუთი წელია, უშენობა გეტკივა, ოცდახუთი წელია, მოგონებებში ცხოვრობ (გაზ. „თბ.“, 11, IV, 84, 3).

განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ ამგვარი მთავარი კომპონენტი დამოკიდებულში ექცევა. ინტერპოზიცია მისთვის ნორმალური ჩანს, მაგ.:

კ ა ვ შ ი რ ი ა ნ ი შე ე რ თ ე ბ ა

ფერიდუხტ, დიდი ხანია, რომ ნაპანგალ დევს მივეციტო (შპნმ, III. 348, 13); რომაელი პატრი, ჯერ სამი წელი არ არის გასული, რომ აქ მოსულა (იოანე ბატონ., 3,38); ქალაქიდან ძია ესტატე, დამელა იყო, როცა სახლში მოვიდა (ვაჟა, 12, 407); მე იმას, ეს ოცდახუთი წელიწადია, რაც ძალიან დაახლოებით ვიცნობ (აკაკი, 209); ნაჩალნიკი, დიდი ხანია, რაც ხედავდა იმათ (ყაზბ., 113); ჩიტებმა, კარგა ხანია, რაც თავისი საალიონო ყრიაშული დაასრულეს (დ. შენგ., 222); მე და ჩემი უმცროსი ძმა, ათი დღეა, რაც დავბრუნდით (მ. ჯავ., XIX, 122); ამან, არ არის დიდი ხანი, რაც დაიწყო ნაქურდალი ცხენების ცვლა (ა. ფურც., 457); მე, კაი ხანია, რაც შენი ნახვა მინდოდა, ყმაწვილო (გამს., V, 382); დაბადების ფაქტები, უკვე დიდი ხანია, რაც სპეციალური განმარტების საგნად იქცა (ს. ჯან.,

III, 63); პირის მთვარიანობა, დიდი ხანია, რაც ჩაქრობოდა (გ. ლეონ., ნატერის ხე, 31); კარის მკურნალი ხოსია გოგიბერიშვილი, მეორე კვირაა, რაც წურბლებს ასხამს /როსტომ ერისთავს/ (რ. ჯაფ., III, 80); აბუბექრი, აგერ მესამე წელიწადია, რაც ბიძას არგაქარებია (შ. დად., II, 323); გოგო-ბიჭები, კარგა ხანია, რაც კევრზე ისხდნენ (გ. ლეონ., ნატერის ხე, 28).

დაქვემდებარების ფორმალური მაჩვენებლები (კავშირები და საკავშირებელი სიტყვები) ინტერპოზიციის შემთხვევაში მეტწილად აღარ ჩანს, ე. ი. უკავშირო შეერთება უფროა ნიშანდობლივი ამგვარი ჰიპოტაქსისათვის. მაგ.:

ჩვენი ხელმწიფე/ნი/, შვიდი წელიწადია, ძაძა-ფლასით ნაცართა ზედა სხენან (რუსულ., 525, 26); შენ, ამდენი ხანია, ჯაფაში და სისხლისღვრაში იყავ (შპნმ, III, 432); მე, ორმოცი წელიწადია, უდაბნოში ვარ და ანგელოზი საზრდოს მიზიდავს (სულხან-საბა, I, 135); ფშავში და ხევსურეთში, ეს თხუთმეტი წელიწადია, შკოლა აღარ არის (ვაჟა, VII, 429); მე აქ ჩემთვის, აგერ ოთხმოცი წელიწადია, მარტოდმარტო ვწევარ (აკაკი, 9, 412); სოფელს, დიდი ხანია, ეძინა.. გულიანის ძილითა (ილია, 330); დაც კი, ერთ თვეზე მეტია, არ უნახავს (ლ. ქიაჩ., III, 48); მე კი, აგერ თხუთმეტ წელზე მეტია, კოლხეთის ღრუბლის დანახვა მენატრება (გრ. აბ., 226); ბერი, კარგა ხანია, დაეკარგა (მ. ჯავახ., XIX, 69); ვარა, კარგა ხანია, ეშაადებოდა მედიკოს ახალ ოჯახში ხანგრძლივად სტუმრობისათვის (გამს., V, 239); მეც, დიდი ხანია, ჩამიძვრა იგი გულში და მღრღნის ნელ-ნელა (ჭ. ლომთ., I, 71); რაჰის ერისთავის დიდებულ სასახლეს, რამდენი ხანი იყო, აღარ სწვეოდა ერთად შეკრებილი ასე ბევრი სტუმარი (რ. ჯაფ., III, 334).

ჩემოთ დასახელებულ მაგალითებში დაქვემდებარება არც ფორმალურადაა გამობატული და არც აზრობრივად: ამხსნელ-ასახსნელის საზღვრები წაშლილია, ოდინდელი მთავარი კომპონენტი ღროის გარემოებას გასტოლებია, ზოგ შემთხვევაში მყარ შეხამებად ქცეულა (რა ხანია, კარგა ხანია, დიდი ხანია, ერთი ხანია...) და ღროის ზმნისართის ფუნქციასლა ასრულებს. მაგ.:

ცხენსა შეჯდა შუბოსანი, ჯერ არ იყო დამე, ბინდი; მაიდანსა ჩამოვიდა, გულს არ ჰქონდა დასარიდი (შპნმ, I, 398.3); ჩაიცვა ლურჯი შილის პერანგი, შავი კაბა, თავზედ შავი მანდრილი მოიხვია და, აი ეს ოცი წელიწადია, მზიარული ფერი არ მოუქარებია (ილია, II, 244); რქა ეხლა და უკვე დიდი ხანია ვაზის ტოტების აღმნიშვნელ სიტყვად არის ქცეული (ივ. ჯავახ., ეკ. ისტ., 298); მე რიგითი პედაგოგი ვარ და მრავალი წელია ვასწავლი რუსულ ენასა და ლიტერატურას (ვახ. „თბ.“, 16, IV,

84 წ. გვ. 3); ღამე გაფრინდა მარაგი, კარგა ხანია ინათა (რ. ერისთ., 139).

ესენი ერთგვარწევრებიანი ან პარატაქსული კონსტრუქციებია, და მათში ხაზგასმული შესიტყვებები აღარ აღიქმება, როგორც მთავარი კომპონენტი ჰიპოტაქსისა, დაქვემდებარების კვალი აქ წაშლილია. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ზოგ შემთხვევაში ამგვარ შეხამებას ადვილად შეიძლება შეენაცვლოს ჩვეულებრივი დროის გარემოება. მაგ.:

სოფელს დიდი ხანია ეძინა... გულიანის ძილითა (ილია, 262): შდრ. სოფელს დიდ ხანს ეძინა... /ხატი/ თავადი №-ის სახლში ეკიდა კედელზე. აგერ ექვსი წელიწადი იყო (ნინოშ., 137); შდრ. ხატი თავადი №-ის სახლში ეკიდა კედელზე ექვს წელიწადს; ერთი კვირაა მაძებრები მთასა და ბარს ჩხრეკენ (ბანოვ. 395); შდრ.: ერთი კვირაა მაძებრები მთასა და ბარს ჩხრეკენ: ოცი წელია, მწყემსად ვარ თუშეთს, უცხოთა მხარესა (ვაჟა, 12,215); შდრ.: ოც წელს მიწა მაქვ ლოგინად (იქვე).

ერთი რამ ფაქტია. ამგვარი შენაცვლება ყოველთვის ზუსტად არ გადმოსცემს შინაარსს. განსხვავება მათ შორის ზოგჯერ აზრობრივი ხასიათისაა. მაგ.: „ერთი კვირაა ჩხრეკენ“ ნიშნავს: ერთი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც ჩხრეკა დაიწყო და ეს ჩხრეკა ახლაც გრძელდება. ე. ი. „არის“ ზმნის შემცველი შესიტყვებით გადმოცემული დროის გარემოება აღნიშნავს მოქმედების დასაწყისსაც და მიმდინარეობის ხანგრძლიობასაც. ამ ნიუანსების გადმოცემა კი ჩვეულებრივს (სახელური შესიტყვებით გამოხატულ) გარემოებას არ შეუძლია. ამიტომ ქართულში ფართოდ არის გავრცელებული გარემოების პრედიკატული შესიტყვების სახით წარმოდგენა. ამგვარი შესიტყვება სრულფასოვან მთავარ კომპონენტს რომ არ უტოლდება, ამას სწორედ ისიც ასაბუთებს, რომ ინტერპოზიციაში ადვილად ექცევა: ეს პოზიცია მისთვის, შეიძლება ითქვას, ნორმალური არის. მიუხედავად ამისა, აღნიშნული სახის შესიტყვების შემცველი კონსტრუქციები, თუნდაც მათში მაქვემდებარებელი კავშირიც არ იყოს, არ შეიძლება მარტივად მივიჩნიოთ. ამის უფლებას არ იძლევა ორი ზმნის არსებობა მასში და პაუზა, რომელიც პრედიკატულ ერთეულთა შორის ჩნდება; მით უმეტეს, თუ დროის აღნიშვნელი შესიტყვება ვრცელია (სამი ან მეტი სიტყვის შემცველი). ამიტომ მწერლობაში ამგვარ წინადადებებში სასვენი ნიშანი — მძიმე, ჩვეულებრივ, იხმარება, რაც წარმოთქმის ადეკვატურია. მაგ.: ნინო, ორი თვე გავიდა, წასულია; ორი თვე გავიდა, რაც ნინო წასულია: ნინო, ორი თვე გავიდა, რაც წასულია; ნინო რაც წასულია, ორი თვე გავიდა (ეს უკანასკნელი შედარებით იშვიათად იხმარება). ან კიდევ: არჩილი, უკვე მეექვსე თვეა, არ მი-

ნახავს; არჩილი, უკვე შეექვსე თვეა, რაც არ მინახავს. უკვე შეექვსე თვეა, არჩილი არ მინახავს. არჩილი არ მინახავს, უკვე შეექვსე თვეა.

თუ შესიტყვება მოკლეა და ფრაზეოლოგიურ შეხამებას ქმნის, შეიძლება მაშინ „მიიმეც“ არ დაისვას: მაგ.: დიდი ხანია გვაქვს ჩვენ ერთობა (ნ. ბარ. 58); რა ხანია ცელქმა სიომ ვენახები დაირბინა (შ. მღვ., 360);

დიალექტებიც იმგვარსავე ვითარებას გვიჩვენებს, რაც სალიტერატურო ენაშია დადასტურებული. მაგ.:

ჩვენა თქვენ, დიდი ხანი ას, მტერობა არ გვაქვავ (ბ. გაბ. 182, 16); მოვიდეს ეს ქისტები ჭუთის ახლოს, — შუალამის ხანი ას, — და დახტეს სოფლისკენ, დაეცნეს ჭუთას (იქვე, 166, 4—5); სამიოთხი წელი ას, აკვათავ სრუ ეწად ჩვენთან ლაშქრით მოსვლა (იქვე, 185, 25); აკვათავ და არხოტიონთავ. რამთვენ ბანიავ, რაც ერთმანეთსი ზავი აქვავ (იქვე, 183, 13): ოცი წელია მას შემდეგ, რაც ეგ ამბავი მახდა, მაგრამ ის ბიჭი დღემდე ისევ ცოცხალია (დიალ., გულამ., 88, 24).

2. ჩართული ზმნები ან ზმნური შესიტყვებები, რომლებიც I პირის დამოკიდებულებას გამოხატავენ გამონათქვამის მიმართ. მოდალური სიტყვების რიგში დგებიან. სპეციალურ ლიტერატურაში მათ მორფემოიდებს აკუთვნებენ. ასეთებია, მაგალითად: ვგონებ. ვფიქრობ, ვეჭვობ (ვეჭვ); ვთქვათ, მგონი (მგონია)...² ზოგი ზმნა სამივე პირის ფორმით შეიძლება იქნეს ინტერპოზიციაში (მაგ.: ვიცი. იცი, იცის; ვნახე. ნახე. ნაწა; ვხედავ. ჰხედავ. ხედავს...), ზოგიც — ერთ-ერთისა. მთავრისა და დამოკიდებულის შეერთება ხან უკავშიროდ ხდება, ხანაც — კავშირით. ამ მიზნით უპირატესად „რომ“ არის გამოყენებული. მაგ.:

ვიცი (თ); იცი (თ); იცის

ესოდენი ხანია, ძე ჩემი, არ ვიცი, ვითარის სწავლის პატრონია (სულხან-საბა, 48); ჩემი თბილისი და ფიროსმანი. არ ვიცი, ასე რამ შემაყვარა (ლ. ასათ., 21); ციხელის სახლი, თითქმის ყველამ ვიცოდით, საცა იდგა (ვაჟა. 12. 435); გიორგი ნაკაშიძეც. ხომ ვიცით, რაც ცხენოსანია (აკაკი, 9, 85); ძველად ქართველი მებატონე, ყველამ ვიცით, რასაცა სჯერდებოდა (ა. ფურც., 304); თამარ ბრძენი, ვიცი, ამაზედაც ზრუნავს (შ. დად., II, 127).

მე კი, იცით, რას ვიზამ? (შატბ., II, 363); წამბლარ გუნებას,

² ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988, გვ. 165, 172, 165. 169, 285.

ხომ იცით, რაც უხდება (იქვე, 485); ადამიანი კი, იცი, რამდენ ხანს სძლებს მშიერ-მწყურვალი? (ფანჯ., 482).

უკეთუ ადამიანი მიჰყვა ფიქრს, ვინ იცის, სადამდის მიიყვანს. (ვაჟა, VII, 247); ამ ორ ბიჭს შორის, კაციშვილმა არ იცის, ვინ არის ბედნიერი (ფანჯ., 462).

კ ა ვ შ ი რ ი ა ნ ი შ ე ე რ თ ე ბ ა

... ეგ შენი ნარჩევი, ვიცით, რომ უარესია (არჩილიანი, I, 160); ერთი სროლა, არ იცით თქვენ განა, რო მილიონი ღირს ალაგსა. (ვაჟა, VII, 40); /გიორგის/ სხვა ძმები წაართმევენ ტახტს და მაშინ, თქვენც იცით, რომ კარგი ბოლო აღარ ექნება საქართველოსა (აკაკი, 9, 457); ჩვენი მტერი, თქვენც იცით, რომ ძლიერია (დ. შენგ., 264); ღმერთზე დიდი, ხომ იცი, რომ არავინ არი (გ. ლეონ., 227)-
ვ ნ ა ხ ე, ნ ა ხ ე, ნ ა ხ ა...

ერთი კაცი უკულმართად, ვნახე, ერქვანთ ასხამს ფრთებსა (დ. გურ., 47); აქ მთოვარე, ჩემის თვალით ვნახე, მთის გადაღმევ როგორ ჩაესვენა (გრძ. 40); მებრძოლი, ბევრჯერ მინახავს, ჩუქურთმის ნატებს საყვარელს ომის დროს უბით ინახავს (იქვე, 38).

ამა საქმითა შენზედა, ნახავ, რა მოიწევისა (შპნმ, I, 1225); სასი-
მინდე, ნახე, როგორ მოხრილა (გ. ტაბ., რჩ., 62)1: შენი სახლ-კარი, ხო-
ნახე, რა დღეშია; (მ. ელიოზ., 432); ექვსი რამე ცხენოსანი, ნახა,
მისკე მოვიდოდეს (რუსთ. 197,2).

ვ ხ ე დ ა ვ, [ჰ] ხ ე დ ა ვ, [ჰ] ხ ე დ ა ვ ს

ავი და კარგი გარჩევით; ვნედავ, რომ ახლოს გიწყევია (დ. გურ. 21); მაგის ტოლა ბიჭები, ორი-სამი, ხომ ხედავ, სხვაც არისო (აკაკი, 9, 22); რა ყოფილა, ხედავთ, ბრყვი მურია (აკაკი. II, 181); /დო-
ლოს/ სათნო სახე, მისი დარიგება, თაფლო ჰხედავს ახლა, როგორ გამოადგა (შ. დად., II, 325); მაგრამ ძალი და ხრიკები, ჰხედვენ, ამო არია (ვაჟა. 38).

ბ რ ძ ა ნ ე, გ ვ ი თ ხ ა რ (ი), თ ქ ვ ი, ი ტ ყ ვ ი ს...

ულვთოდ თავისა სიკვდილი, ბრძანე, ვის გაუბედავსა (ნ. ციცი, 161); მტრის მუქარას ერი შენი, გვითხარ, როდის ვაჰქცევია (ილია, I, 193); ღამღამ ჰაობით, იტყვიან, ისმის ოხვრა და ტირილი (ვაჟა, რჩ., 200); არ ვარგა, იმიტომ თქმულა, კაცი ქალებში მკვებარი (იქვე, 249); ჩემობას თორმეტი ათასი თათრის ტყვე, თქვეს, რომ იყო (სულხან-საბა, 281); სიკვდილის წინეთ, ამბობენ. აჰიკვიკდება გელიო (აკაკი II, 215); კათალიკოსსაც თავისი ლოცვა-კურთხევა, მითხრეს, ამ რუსზე შეუჩერებიაო (შ. დად., II, 80).

ვგონებ // მგონია, ვფიქრობ, ვცდილობ...

შენ, ვგონებ, რომ ლობემძვრალასაც კი ვერ გაუმკლავდები (ვაჟა, 12, 46); რუსეთის ახალგაზრდობის აღზრდაზე, ვგონებ, რომ იმდენი ღვაწლი არც ერთს მწერალს არ დაუღვია, რამდენიც ამ მწერალმა დასდვა (ვაჟა, VII, 378); ახლა ამ მოთხრობაში, ასე მგონია, ვალი მოვიხადე მათი აჩრდილების წინაშე (გ. ლეონ., ნატერის ხე, 98);

და ქვეყნად მეფეთ დიდებაც, ვფიქრობ, რომ მოსავონია (ვაჟა, 12, 178); ეს ღუმილი, ვფიქრობ, არასდროს არ დაირღვევა (გ. ტაბ, 347).

ახალი დროის ქალ-ვაჟებს, ამოდ ცდილობ, რომ გაერევი (ლ. ასათ., 71); საერთოდ მომიჯნავე მფლობელთა მთავრებთან, აკი მუდამ ვცდილობთ, კარგ განწყობილებაში ვიყოთ (შ. დად., II, 220).

მიკვირს, მესმის, მახსოვს, მრწამს, მჯერა...

სოფელო, მუდამ ტრელობით, მიკვირს, არ სცხრები რად არა? (არჩილიანი, I, 193), ჩემი სიმაღლე, მახსოვს, ტკბილად განაზრახებდა (ი. აბ., 18); ჩემს სახლშიც, არ მახსოვს, რომ დავმთვრალიყავი (იესე ბარ., 580); შენს თოვლდაბუმბულ ხეებშიც, მესმის, მაისი შრიალებს (გ. ლეონ. 35); ჩემს ნათქვამს, მრწამს, დაიხსომებ; შენი გავლენა და სიყვარული, გვჯერა, ჩვენკენაც არის (შ. დად., II, 101).

ჩვენ დავასახელეთ ძირითადად ის ზმნები, რომლებიც უფრო ხშირად არიან ჩართულნი, თორემ ამგვარი პოზიცია შეიძლება ჰქონდეს ბევრ სხვასაც (ჩანს, ეტყობა, მართებს, დადგეს...). საერთოდ, სპეციალურ ლიტერატურაში ჩართულად მიჩნეული ზმნა ან ზმნის შემცველი ყოველგვარი შესიტყვება (უეჭველია, რასაკვირველია, რა თქმა უნდა. შესაძლებელია, შეიძლება, იქნება...) ამოსავლად ვარაუდობს ჰიპოტაქსს, რომლის მთავარი ნაწილი მყარ სიტყვათშეხამებად იქცა დროთა განმავლობაში ხშირი, ავტომატური ხმარების გამო³. ამიტომ მისი ამოღებით ძირითად წინადადებას არა აკლდება რა.

³ ნ. ცქიტიშვილი, ჩართული, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, VIII, თბ., 1988, გვ. 245, 268. შენიშნულია, რომ გარკვეული სემანტიკის ზმნები (ვიცი, ვხედავ, მესმის...) უკავშირო (თავისუფალი) შეერთების წესით ემბის მეორე კომპონენტს რუსულ ზეპირ მეტყველებაშიც, მაგ.: А комаров | ты была там | много? აღნიშნავენ, რომ ორი პრედიკატული ერთეულის ამგვარი შეერთება მთავარ ნაწილს (ე. წ. თავისუფალ კონსტრუქციას) ამსგავსებს ჩართულს, მაგრამ ჩართულისაგან განსხვავდება: 1) წარმოთქმის ტექსტით; 2) იმით, რომ ჩართული ადვილად ეთიშება ძირითად კონსტრუქციას. რადგან არაპირდაპირ კავშირშია მასთან. თავისუფალი კონსტრუქცია კი ქმნის ძირითადისაგან განუყოფელ აზრობრივ მთლიანობას და მას ვერ გამოეყოფა. დაწერ. იხ. Русская разговорная речь, გვ. 318-325,

ჩართულის გავრცობა სხვა სიტყვებით ძნელად ხერხდება. ჩვენი აზრით, ეს განასხვავებს ჩართულსა და ინტერპოზიციაში მოქცეულ მთავარ კომპონენტს. რომელიც ზმნა ან ზმნის შემცველი შესიტყვება. მაგ. „მშვიდობის ჩანგი, რა თქმა უნდა, მდიდარს არ უნდა“ (გ.ტაბ., 125). რა თქმა უნდა ჩართულია, რომელიც შეიძლება წინადადების წინაც შეგვხვდეს და შემდეგაც (რა თქმა უნდა, მშვიდობის ჩანგი მდიდარს არ უნდა; მშვიდობის ჩანგი მდიდარს არ უნდა, რა თქმა უნდა). რა თქმა უნდა-ს ვერ გავავრცობთ. ახლა ავიღოთ ასეთი მაგალითი: ყველა ხევსური, ვიცი, დანტეა (გ. ლეონ., 53); აქ „ვიცი“, ჩვენი აზრით, მთავარი კომპონენტია. მართალია, მისი ამოკვეთით ძირითადი წინადადება არ ზიანდება (როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ). მაგრამ მისი გავრცობა ადვილად ხერხდება (მაგ.: ყველა ხევსური, მე კარგად ვიცი, დანტეა), „რომ“ კავშირსაც ხშირად იგუბებს (ყველა ხევსური, ვიცი, რომ დანტეა: ან: ყველა ხევსური რომ დანტეა, ვიცი: ვიცი. რომ ყველა ხევსური დანტეა...). და მიუხედავად ამისა, ყველა ამ ტიპის მთავარი კომპონენტი, რომელიც ინტერპოზიციაშია, ჩართულად ქცევის გზას ადგას⁴.

თუ მთავარი კომპონენტი მოთავსებულია კითხვითი სიტყვის შემცველ დამოკიდებულში, მაშინ იგი რთული წინადადების აუცილებელი ნაწილია და მისი ამოღებით წინადადების სტრუქტურაც იცვლება და მოდარობაც. მაგ.: „ღედა, არ ვიცი, სად არის“. მთავარია „არ ვიცი“, რომელიც ირიბი კითხვის შემცველ დამოკიდებულშია მოთავსებული. თუ მას ამოვიღებთ, რთული წინადადება მარტივად გადაიქცევა, თხრობითი — კითხვითად: ღედა სად არის? სხვა მაგალითი: თქვენ, ვინ იცის. რა გგონიათ! (ვაჟა, 12, 343).

ყოველი მოკლე მთავარი წინადადება შეიძლება მოექცეს დამოკიდებულ კომპონენტში. მაგ.:

ესღენ ნამსახურს ქვეყნის კაცს, გ ვ მ ა რ თ ე ბ ს, რომ ვაქებდეთ (იოანე ბატონ., 75): გაზეთებმაც, დ რ ო ა, პირველს თავი დაანებონ და მეორეს მიაპყრონ თვალი (ვაჟა, VII, 209); წყალში და ცეცხლში, მ ზ ა დ ა რ ი ს, გადავარდეს (ლ. არდაზ., 131); შენებრ ღვთისმოყვარე და ღვთისმოსავი ღედუფალი, და დ გ ე ს, თუ სმენოდეს ჩემს ყურს (ა. ფურც., 574).

ზემოთ ნაჩვენები კონსტრუქციები, ჩვენი აზრით, ჰიპოტაქსურია, რადგანაც:

⁴ ინტერპოზიციაში ზმნა ზოგ რუს ავტორს მიაჩნია ჩართულად. ხოლო სხვა პოზიციაში — მთავარ კომპონენტად. მაგ., ა. გ ვ ო ზ დ ე ვ ი ს აზრით, Вот в этом я, признаюсь, тебе завидую. ხაზგასმული ზმნა ჩართულია. მაგრამ: Я признаюсь, что в этом завидую тебе—აქ კი—მთავარი წინადადება. იხ. А. Н. Г в о з д е в, Очерки по стилистике русского языка, М., 1965, გვ. 331-332.

1. უკავშირო დაქვემდებარების პარალელურად დადასტურებულა კავშირიანი ქვეყნობა:

ამა ქალისა ამბავსა, მომკალ, თუ არ ეკრძალები (რუსთ., 164.3); შდრ.: სხვას მეშველსა გარეგანსა, მომკალ, ვისცა ვინატრიდე (იქვე, 569); და ქვეყნად მეფეთ დიდებაც, ვფიქრობ. რომ მოსაგონია (ვჯა, 27); შდრ.: ან ეს, ან ისა, ვფიქრობდი, მიშველის, შამიბრალეზსა (იქვე, 35); დღეს თუ არა, გწამდეს მტკიცედ, რომ მომავალ გაზაფხულზე მეც ხანდაზმით ვარსკვლავებში ავენთები ობოლ სხივად (ი. გრიშაშ., 38); შდრ.: ჩემსავეითო, გწამდეს, ვერვინ გიერთვულებს (იქვე, 87).

2. ირიბი კითხვის გამომხატველ დამოკიდებულ კომპონენტში ჩართული მთავარი იმდენად აუცილებელი ნაწილია, რომ კონსტრუქცია მისი ამოღებით იცვლება ან საერთოდ ირღვევა:

წყლისა პირსა, არ ითქმოდა, შამბი იყო თუ რასდენი (რუსთ. 220,3); რაჰველი ღურგლის მადლიან მარჯვენას, ვინ მოთვლის, რამდენი კოპწია ოდა აუშენებია თვით რაჰაში და იმერეთში, გურიაში და სამეგრელოში (რ. ჯაფ., გაზ. „კომ.“, 9, VII, 1988, 3); ეს მორალი, მაინც ვერ გავიგე, რაა! (ნ. დუმბ., მე, ბებია... 311).

: მრავალსაუკუნოვან ქართულ მწერლობაში არცთუ იშვიათია ინტერპოზიციაში მთავარი კომპონენტის არსებობის შემთხვევები. დავასახელებთ მაგალითებს „ვეფხისტყაოსნიდან“:

ა) კავშირიანი დაქვემდებარება

მაშინ მათგან ნაუბარნი, დადნეს, ვინცა მოისმინეს (950,2); ჩემი ზრახვა სიძუნწისა, ტყუის, ვინცა დაიყბედნა (62,4); წყლისა პირსა, არ ითქმოდა, შამბი იყო თუ რასდენი (220,3). უცხო ფერთა საქურჭლეთა, დავშვრები, თუ მოვსთვალვიდე (463,6); რასაც-ღა სამსახურსა, ვტყუევი, თულა ვერიდები (385,4); წა. მაგრა მომხვდეს, რალა ექნა, თუ სიშორისა გრძელობა (1217,3). სხვად მეშველსა გარეგანსა, მომკალ, ვისცა ვინატრიდე (569,4).

ბ) უკავშირო დაქვემდებარება

ექვსნი რამე ცხენოსანნი, ნახა, მისკე მოვიდოდეს (197,2); სევდასა, მითხარ, რა მოუეგვაროთ? (1021,2); მაგრა ქაქნი უხორცონი რას აქმნევენ, მიკვირს, ქალსა?! (124,2); მას, არა ვიცი, შევკადრო შესხმა ხოტბისა შე რისა (3,3); მე გულსა შენსა ეზომსა, არ ვიცი, გარდვიხდი რითა? (1317,2).

სამწერლო ენაში გამოყენებული ამგვარი განლაგება ჰიპოტაქსური კონსტრუქციის კომპონენტებისა, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენებ-

ნები, ზეპირ მეტყველებაში ჩნდება და უცხო არ არის ქართული მეტყველების ბუნებისათვის.

ჩართული მთავარი კომპონენტი ინტონაციით არის გამოყოფილი ძირითადი ნაწილისაგან, ამიტომ იგი მძიმეებით გამოცალკედება წერისას⁵.

ე. ი. ზეპირ მეტყველებაში რთული წინადადების ნაწილების განლაგება ხდება იმის მიხედვით, თუ რომელი არის უფრო მნიშვნელოვანი გადმოსაცემი აზრის აუცილებლობის მიხედვით: მოკლე და ინფორმაციის თვალსაზრისით არც თუ მნიშვნელოვანი მთავარი ექცევა დამოკიდებულში და ფაქტობრივად დაქვემდებარებული ხდება.

რთულ წინადადებაში ერთი კომპონენტი მეორეში ისე ჩაერთვის, რომ ჩართული ნაწილი გარემომცველის წევრებს არ უკავშირდება: მაგ.: ეს აზრი, ალბათ, მიხვდი, რატომაც დამებადა (გ. ფანჯ., 430). აქ სიტყვა „აზრი“ ვერ დაუკავშირდება მომდევნო ზმნას „მიხვდი“, რომელიც სუბიექტად აუცილებლად II პირის ნაცვალსახელს მოითხოვს, ობიექტად კი — მიცემითში დასმულ სახელს. ამიტომ გაცვეთის შედეგად გაგებინება არ „ზარალდება“.

იშვიათად გვხვდება რთული წინადადების კომპონენტების იმგვარი განლაგება, როცა ჩნდება საერთო წევრები, რომლებიც ორსავე პრედიკატს შეიძლება მივაკუთვნოთ სემანტიკურად და სინტაქსური კავშირის მიხედვით. ორი პრედიკატული ერთეულის ასეთ შეერთება-შეზრდას სპეციალურ ლიტერატურაში ინტერფერენციას უწოდებენ. ინტერფერენცია ნიშანდობლივია. ძირითადად, ზეპირი მეტყველებისათვის. ქართული ზეპირი მეტყველება ამჟობინებს, წინადადების წინ დასვას ის სახელი, რომელიც შეიძლება ორსავე პრედიკატს დაუკავშირდეს. მაგ.: ეს მორალი, მაინც ვერ გავიგე, რაა! (ნ. დუმბ., მე. ბებია... 311); ოვსთ თავადთ შორის, ჩემო გოდერძი, შენც შეამჩნევდი, უფრო თვალსაჩინო დავით სოსლანია (შ. დად., II, 83).

ქართულისათვის დამახასიათებელია პრედიკატულ ერთეულთა სრულიად სხვაგვარი შეერთება-შერწყმა. სახელდობრ, ამგვარი შეერთების ერთი ნიმუშია ისეთი წინადადებები, რომლებიც შეიცავენ ორ ზმნას (მოღალური ზმნა+ძირითადი ზმნის კავშირებითის ფორმა:

⁵ დამოკიდებულში მთავარი წინადადების ჩართვის ფაქტი „ვეფხისტყაოსანში“ შენიშნული აქვს გ. კარტოზიასაც. იხ. მისი; „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის საკითხები, თბ., 1978, გვ. 23—24; პოემის სტროფებს ვუთითებთ ა. შანიძისა და ა. ბარამიძის შემდეგი გამოცემით: შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ტექსტი და ვარიანტები, ორტომად, I, თბ., 1966.

მინდა ვიყო ბავშვი; მე მინდოდა სიტყვა მეთქვა), რომელთაც ერთი სუბიექტი აქვთ. ამათგან მოდალური ზმნა მართავს (იქვემდებარებს) მეორე ზმნას კილოს კატეგორიის მიხედვით. ამგვარი ორზმნიანობა ამოსავლად ქვეწყობას ვარაუდობს. ამეამად ჰიპოტაქსური სტრუქტურა გამქრალია, გვაქვს თავისებური სახის მარტივი წინადადება, რომლის შემასმენელი ორი ზმნით გადმოიცემა, ანუ ე. წ. ბივერბალური წინადადება. ჰიპოტაქსის „გამარტივების“ პროცესი კიდევ უფრო შორს არის წასული სხვა ქართველურ ენებში⁶.

ქართულ პოლიპერსონალურ ზმნაში, სუბიექტური პირის გარდა, ობიექტური პირიც აღინიშნება. ეს მოვლენა იძლევა იმ ნაირგვარობას, რაც სინტაქსში გვაქვს პრედიაკატულ ერთეულთა შეკავშირებისას, კერძოდ, ხდება სხვადასხვა სუბიექტის მქონე ზმნათა შერწყმა ობიექტის მიხედვით (მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის), რის შედეგადაც ვიღებთ პირმიმართ დამატებათა მიხედვით შერწყმულ წინადადებას⁷.

ამასთან ერთად, ისიც შეიძლება, რომ პირველი ზმნის სუბიექტი მომდევნო ზმნასთან ობიექტად იქნეს და პირიქით. ასეთი შეერთების შედეგია სპეციფიკური რიგის თანწყობილი წინადადებები, რომლებიც ზეპირ მეტყველებაშიც გვხვდება და მწერლობაშიც. მაგ.:

აჰა, შეგზვდი, გიცანი, მიცანი, გაგიცანი, და ბასტა! (დ. კლდ., 16, 236); სასურველი აღამიანი დაგესიზმრება, მეორე დღეს გაიხედავ და წინ შემოგეყრება (გამსახ., V, 428); შენ ხარ უკვდავი ვენახი; გჩეხეს და მაინც ვენახობ (შატბ., 48); მოვიდა, მაგრამ შინ არ დავხვდი და უკან გაბრუნდა; ჰკითხე, ის თავისას გეტყვის, შენ შენი უთხარი და გააკვევ სიმართლეს (საუბრიდან).

ასეთი შეერთებისას ზმნები, ჩვეულებრივ, გამოხატავენ თანამიმდევრულ, მიზეზ-შედეგობრივს ან პირობითს-შედეგობრივს მიმართებას, რის გამოც რიგი მტკიცეა და მისი შეცვლა არ ხერხდება. ამგვარ რთულ წინადადებებს საერთო წევრებიც აქვთ. შეიძლება პირველი ზმნის ქვემდებარე (სუბიექტი) მეორესთან პირდაპირი ან ირიბი დამატება იყოს. მაგ.:

6 ნ. აბესაძე, გრძნობისა და თქმა-ბრძანების გამოხატველ ზმნათა შემცველი ქვეწყობილი წინადადება სვანურში, თსუ შრომები, ტ. 200, ენათმეცნიერება, თბ., 1978, გვ. 15.

6 კოტინოვი, კილოს კატეგორია და სინტაქსის ზოგიერთი საკითხი ქართულში, თბ., 1986, გვ. 98—103.

7 გ. ბურჭულაძე, წინადადებათა შერწყმა პირმიმართ დამატებათა მიხედვით: კრებ. „ფილოლოგია“. I. სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისის სახ. უნივერსიტეტი, 1975, გვ. 31—32. ლ. ენუქიძის აზრით, ეს თანწყობილი წინადადებაა. ამის შესახებ იხ. ქვემოთ, გვ. 73.

ა) პირველი კომპონენტის ქვემდებარე მეორეში პირდაპირ და-
მატებად იგულისხმება:

პირველში შემკრთალი ყაზახები გარბოდნენ და მათია თავისუ-
ფლად ხანჯლავდა, მაგრამ მალე გონს მოვიდნენ, შემოეხვივნენ, ჩაი-
გდეს შუაში და ხმლები დაუშინეს (ა. ყაზბ., I, 204); ბიჭმა მცირე
მანძილის გავლის შემდეგ მოიხედა, მაგრამ მოხუცის დაჟინებულმა-
მზერამ შეაერთო, უხერხულად შეიშმუნა, თვალი მოარიდა და გზა-
განაგრძო (გ. შატბ., 161); მხევალმა შემთხვევით მედეას ოთახის წინ
ჩაიარა, მაგრამ რალაცამ შეაწუნა და ისევ გამობრუნდა (ო. ჭილ.,
გზაზე.. 135); შენ ხარ უკვდავი ვენახი, გჩხეს და მაინც ვენახობ-
(შატბ., 48); სიკო არც ჭიდაობას აპირებდა, არც ჩხუბს, არც ნიკოს
უეცარი დამარცხება ახარებდა. შუბლშეკრული და თავჩაღუნული
კვლავ მოწყენილი იდგა (იქვე, 485).

ბ) პირველი კომპონენტის ქვემდებარე მომდევნოსათვის (ან მომ-
დევნოებისათვის) ირიბი დამატებაა (ნაგულისხმევი):

პეპია საცოდავად გახდა, თვალები ჩაუძვრა, ლოყები ყბებშუა-
ჩაეკეცა და სულ მოიშალა (ილია, II, 90); ოყაჯადო წინასწარ ზეი-
მობდა გამარჯვებას და თვალწინ მიწისი ედგა... მაგრამ შიშისაგან
ფერი კი არ მისდიოდა, მუხლი კი არ ეკვეთებოდა, თანატოლივით
თამამად შესცქეროდა სახეში (ო. ჭილ., გზაზე..., 602); ფრიქსე ტირო-
და, ცრემლი და ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა, მაგრამ მაინც ჩიუ-
ტად მიიწევდა წინ (იქვე, 155); წამოსულა დემობილიზებული ტან-
კისტი, გზაში იარები გახსნია, ნატყვიარიც ასტკივნია, მაგრამ არ გა-
ტეხილა, არც არავისთვის გაუნდვია თავისი გაჭირვება (თ. დონე.,
14); ლიტა უარობდა, მეც გადმომხედა მუდარისა თუ პატიების თვა-
ლით, მაგრამ მამაკაცი არ მოეშვა და იძულებული გახდა დამჯდარი-
ყო (რ. ინან., 193); /იაგორა/ იგონებდა ვერისა და ორთაჭალის სალ-
ხინო სახლებს და გულზე მუშტს იბაგუნებდა, მაგრამ აღარც ჯანი
მოსდევდა, აღარც წელი, აღარც ჯიბე; ველარც გლახურ ცაოვრებას
მიუდგა (გ. ლეონ., ნატვრის ხე, 51).

როგორც მაგალითებიდან ჩანს. ამგვარი თანწყობილი წინადა-
დებები მიღებულია ერთგვარშემასმენლებიანი შერწყმული წინადა-
დების გაკვეთის გზით. მეორე პრედიკატული ერთეული კვეთს შერ-
წყმულ წინადადებას პირველ შემასმენელთან. თუ ჩართულ კომპო-
ნენტს ამოვიღებთ, გვრჩება ერთგვარშემასმენლებიანი შერწყმული
წინადადება. მაგ.: ჯერ ახვალ მუხიანში,⁽¹⁾ მერე და მერე ღვიაც გა-
მოერევა⁽²⁾, წაგიცდება ხელი,⁽³⁾ მოგლეჯ ჩხვლეთანაწიწვებიან ტოტს,
გასრეს იმ წიწვებს⁽¹⁾ და მთელ დღეს აღარ მოგშორდება ღვიის საა-
მური სუნი⁽⁴⁾ (რ. ინან., შორი..., 289). აქ I ზმნას (ახვალ) მოჰყვება
მე-2 და მე-3 კომპონენტები, რომლებიც თანამიმდევრულ მოქმედე-

ბებს გადმოგვეყენ. მეორე სუბიექტური პირი ქვემდებარედ არის ნაგულისხმევი სამ ზმნასთან (აზვალ, მოგლეჯ, გასრეს), რომლებიც ერთმანეთისაგან დაცილებული არიან ჩართული კომპონენტებით და სამ სხვადასხვა სიტუაციას წარმოადგენენ. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამგვარი წინადადებები (აზვალ, მოგლეჯ, გასრეს) შერწყმული კი არ არის, არამედ რთული თანწყობილი წინადადების ერთი ქვეტიპია, კერძოდ, „ერთქვემდებარეანი რთული თანწყობილი წინადადება“⁸. თუ ამ მოსაზრებას გავიზიარებთ. მაშინ ზემოთ დასახელებული რთული წინადადება 6 კომპონენტისაგან იქნება შედგენილი, რაკი ამდენივე ზმნაა, რომლებიც თანამიმდევრობით არიან განლაგებული რთულ კონსტრუქციაში და არა — ჩართვის წესით.

ამგვარი თანწყობილი წინადადების ერთი კომპონენტი შეიძლება იყოს ფრაზეოლოგიური შესიტყვება: რომელიც შედგენილობით ცალკე წინადადებაა, მაგ.:

უმცროსმა უფრო შეიკრა წარბი და რისხვამ ელვასავით გაურბინა სახეზედ, მაგრამ მალე თავი შეიკავა (ილია, II, 88); ამგვარ საუბარს ჩვენი პირველი ხარისხის ლოთი კიდევ დიდხანს გააჰიანურებდა, მაგრამ მუხლისთავებმა ველარ იმაგრეს და გაკოტრიალდა ტალახში (აკაკი, VII, 199); გონს მოვიდა მთვრალი, სიწითლემ იფეთქა მის სახეზე, ავაზას ლეშზე გადააბოტა და მიმართა ღამეს (გამს., II, 622); მე წასასვლელად მოვემზადე, მაგრამ გულმა ველარ გამიძლოდა ეთერთან შევეტრიალდი (ა. კუსრ., 24); თვით მე შევეციდი, საომარხერხს დავაკეღ, სურვილებმა გამიტაცა და წავაგე (შ. დად., II, 308).

თითოეული ფრაზეოლოგიური შესიტყვება მნიშვნელობით ზმნის ტოლფარდია (რისხვამ ელვასავით გაურბინა სახეზედ იგივეა, რაც განრისხდა; მუხლისთავებმა ველარ იმაგრეს — წაიქცა: სიწითლემ იფეთქა მის სახეზე — გაწითლდა და ა. შ.) და, ამგვარად, სხვა შემასმენელთა რიგში დგას, როგორც ერთი წევრი⁹.

ერთგვარშემასმენლებიან შერწყმულ წინადადებაში ჩართული მარტივი წინადადება მთავარი წევრებით გამიჯნულია შერწყმულისაგან, როცა მასში ერთპირიანი ზმნით გადმოცემული პრედიკატია. მაგ.:

ის მიიპარებოდა ღობესთან, გასცქეროდა აღზნებულის თვალებით ნუნუს სახლს, მაგრამ იქ არავინ მოჩანდა და იმედგაწყვეტილი ბრუნდებოდა ისევ მაღალ ბალახებში (ყაზბ., I, 30); მზალოს მო-

⁸ ლ. ენუქიძე, ძირითადი სინტაქსური თეორიები თანამედროვე საზღვარგარეთულ ენათმეცნიერებაში, თბ., 1987, გვ. 125—128.

⁹ დაწვ. იხ. არლითაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 96.

ტაცებისათვის სვიმონს განსაკუთრებული ყურადღება არ მიუქცევია და თვითონ მღევარი... ხალხის თვალად იყო გაგზავნილი და ამისთვის მღევრის მოთავედ მათია დაენიშნა (იქვე, 126): რამდენიმე ცხენოსანმა სცადა დაღვენება, მაგრამ ნაბუქ ფერდობზე ცხენები კისრამდე შეიჭრნენ თოვლში და ამიტომ იძულებული გახდნენ უკან დაბრუნებულიყვნენ (ა. ბვლ., 393).

ასეთი რთული წინადადებების ბოლო კომპონენტთა შორის მიზეზ-შედეგობრივი მიმართებაა, ამიტომ მათი გადაადგილება არ ხერხდება.

მაშასადამე, ზეპირ მეტყველებაში წინადადების საკომუნიკაციო მიზანდასახულების მიხედვით შესაძლებელია: ა) მთავარი წინადადების დამოკიდებულში შეჭრა ქვეწყობილ კონსტრუქციაში, ბ) ერთგვარშემასმენლებიანი წინადადების მარტივი წინადადებით გაკვეთა ერთ-ერთ შემასმენელთან, როცა მიზეზ-შედეგობრივი მიმართებაა ვადმოსაცემი პარატაქსული კონსტრუქციით.

ერთი პარატაქსულ-ჰიპოტაქსური კონსტრუქციისათვის

ზეპირ მეტყველებაში გავრცელებულია თხოვნითი ბრძანებითი აღწერითი წარმოება. ამ მიზნით ზმნის ბრძანებითი ფორმას ემატება რა (წაიღე, რა! მითხარი, რა! ნუ იტყვი, რა!)¹.

თხოვნა, სურვილი, ნატვრა გადმოიცემა აგრეთვე „ოლონდ“ კავშირ-ნაწილაკის საშუალებითაც (ოლონდ მომეცი... ოლონდ ნუ წახვალ...), რომელიც, ჩვეულებრივ, რთულ წინადადებაში გვხვდება (ოლონდ იმისი ჭავრი კი ამომაყრევენ და მერმე თუნდა მამკალ: ილია, 8, 186; ზედ დავაკვლები, შენ ოლონდ ეგ სამადლო საქმე მიყავი: იქვე, 43). ასეთ წინადადებებში ნაჩვენებია ის შედეგიც, დათმობაც, რაც შეიძლება მოჰყვეს ამ თხოვნის, სურვილის შესრულებას.

„ოლონდ“ კავშირის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. ზოგი მკვლევარი მას მაპირისპირებელ კავშირებს მიიკუთვნებს, ზოგიც კიდევ — მაქვემდებარებელს. საინტერესოა ამ სიტყვის ეტიმოლოგიაც და ფუნქციებიც. ანგარიშგასაწევია ის ფაქტიც, რომ „ოლონდ“ ფრიად გავრცელებული სიტყვაა, ამიტომ ჩვენ საგანგებოდ შევჩერდებით მასზე.

ოლონდ (ოლონ, ოლონც, ოლომც, ოლონდაც) გამოხატავს პირობას, ნატვრას, — როგორმე, რამენაირად, ნეტავ, მხოლოდ, მაგრამ². თავს იჩენს საშუალო საუკუნეების ქართულის გვიანდელ ძეგლებში („შაჰნამე“, „რუსუდანიანი“, „არჩილიანი“, „დავითიანი“, „თიმსარიანი“...). ამოსავალი ფუძით და სემანტიკურად, ფიქრობთ, უკავშირდება ამავე პერიოდის მწერლობაში ხშირად ხმარებულ ზმნისართს — ულონდ (უ-ლონე-ო-დ³ // უ-ლონ-ი-ო-დ-ო-ლონ-დ), რომელიც მრავალ თხზულებაში („ამირანდარეჯანიანი, „ვისრამიანი“, „ვეფხისტყაოსანი“, „აღბუღას სამართალი“...) გვხვდება აუცილებლობისა და უეჭველობის დადასტურების მნიშვნელობით („უეჭველად“, „უცილოდ“, „მართლაც“). მაგ.:

1 ამის შესახებ დაწვრ. იხ. აქვე: ზოგი კითხვითი წინადადების შედგენილობისა და ფუნქციისათვის, გვ. 57—58.

2 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VI, თბ., 1960.

3 ეს ფორმა დადასტურებულია ძველ ქართულში (იხ. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973.

ხელე ულონიოდ წავალ, იცოდი (ამირდრჯ., 158,11); ულონიოდ იგი ეამი დაგუიწყებია, რომელ მიჯნურობისაგან თმობა აღარ გქონდა (ვისრ., 217, 13—14); ულონიოდ არის სადმე ჩემი ცეცხლთა მომდებარი (რუსთ., 1284, 3); ულონიოდ მართალ იყვნეს, რომელთაცა ქაჯად თქვიან (იქვე, 192, 3); მიუწერა: „ულონიოდ მე მოვკულები, მნახე მალე“ (შპმ., I, 1790, 1); ფიცი ულონიოდ უნდა (აღბუღას სამართალი, 85, 15).

ოლონდაც (ოლონდა, ოლონ) ავლენს ამგვარსავე მნიშვნელობას. მაგალითები.

ზავარ გაიცინა: „ოლონ არ ავი ხუმრობა იქნებაო“ (რუსულ., 311, 21); მე მოვახსენე: ოლონ ცუდად არ გთხოვა და უჭიროდ (იქვე, 466, 30); ერევანს და ოლთის შუა მთებსა შეპკრავს, ვთქვიო, ოლონდა (არჩილიანი, I, 93), გამოდნობა კარგად იცი? — ოლონდაც (იოანე ბატონ., 76, 7);

XVI და მომდევნო საუკუნეების ბევრ ძეგლში ულონიოდ და ოლონდ პარალელურად გვხვდება დადასტურებითი ზმნისართის მნიშვნელობით:

მიუწერა: „ულონიოდ მე მოვკულები, მნახე მალე“ (შპმ, I, 1790,1); შდრ.: ოლონ დევი ეს არის, შიშითა ზარსა კდებოდა (იქვე, 980,2); ულონიოდ ესე როსტომ არის (შპმ, III, 540, 41); შდრ., ამ ბერსა თოიჯსა სულსა ოლონ ამოვართმევ (იქვე, 575, 40); ულონიოდ დევი არის (იქვე, 600, 3); შდრ.; ოლონ ორი რიგი ლაშქარნი შებმულან (იქვე, 600, 10); რა მზე საწუთროსა მოეფარვის, ულონ საღამო იქნების (იქვე, 525, 15); გაუსინჯავი კაცი ულონიოდ ფათერაკსა დაების (სულხან-საბა, ქ. პ. 5, 72); შდრ.: ამას ოლონ დაგიწერ (იქვე, 191).

ასეთი ცვლილება (ულონიოდ // ულონოდ → ოლონდ) რეგრესულ ასიმილაციასა ჰგავს და ზეპირ მეტყველებაში იგი შეიძლებოდა მას შემდეგ მომხდარიყო, როცა უპრეფიქსად აღარ გაიანზრებოდა სიტყვის ეტიმოლოგიის დაბნელების გამო. ამ ვარაუდს, ზემოთ დასახელებული საილუსტრაციო მასალის გარდა, მხარს უჭერს ზევსურულში დადასტურებული „ულომც“, სალიტერატურო ენის „ოლონდ“ სიტყვის ეკვივალენტი⁴.

საგულისხმოა, რომ „ულონიოდ“ ზმნისართის ქრობა და „ოლონდ“ კავშირის თანდათანობითი გავრცელება ენაში ერთდროულად მიმდინარე პროცესები ჩანს.

⁴ ცნობა მოგაწოდა ავთ. არაბულმა, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვახსენებთ.

ზეპირ მეტყველებაში გავრცელებული ო ლ ო ნ დ მწერლობაშიც შემოდის:

წამოვდეგ ფეხზე, გავიხედე, ო ლ ო ნ დ ა ც ეს მგელი დასჯაჯგურებია ამ ჰედილას ღუმაზე, ეზიდება პირთავევე (ვაჟა, 12: 484); დავტუქსავ იმისთვის, რომ შიში და კრძალვა ჰქონდეს, თორემ შენი მტერი! — ო ლ ო ნ დ ა ც შენი მტერი, ო ლ ო ნ დ ა ც (ილია, II, 111); ნასადილევს თვალის მოტყუება ო ლ ო ნ დ ა ც რომ საჭიროა (მ. ჭავჭავაძე, VII, 179); ო ლ ო ნ დ ა ც ბედნიერია, ვინც სიკვდილით სიკვდილსა ამარცხებს (შატბ., 223).

ახალ ქართულში ზმნისართად ო ლ ო ნ დ თითქმის აღარ გვხვდება. მას კავშირისა და ნაწილაკის მნიშვნელობა აქვს⁵. როგორც ნაწილაკი, დადასტურებას ან გამორჩევას გამოხატავს, დადასტურების აღნიშვნა მის ამოსავალ ფუძესთანაა დაკავშირებული, ხოლო გამორჩევის სემანტიკა მერმე განუვითარებია. საბა წერს: ო ლ ო ნ დ „ოღენსავით რამ არის“:

გამოჩნდა ვინმე მოსარჩლე, ო ლ ო ნ ქაქუთის გუარისა (ვარიანტში: ო დ ე ნ; შპნმ, I, 1781); ხელოვნებით ხელოვანთა რვალი ოქროდ შეიქნება, რაც მე მინდა, თუ ის მოხდა, მაშინ ო ლ ო ნ შეიქნება (არჩილიანი, II, 109).

ეს მნიშვნელობა კიდევ უფრო ხელშესახებია ისეთ რთულ კონსტრუქციებში, რომლებშიც არის პირობით-შედევობითი კავშირი „თორემ“ (თორე, თვარა, თვარემ...). მაგ.:

საამ ფალავანი ო ლ ო ნ არ მოსულიყო, თუარამ მას გარეთ ყუელი მოსრულიყო (შპნმ, III, 256, 32); ო ლ ო ნ სუნთქედა, თვარა მართლა მკვდარი ეგდო (რუსულდ.. 436, 15); ო ლ ო ნ დ სული არ ამომსვლია, თვარემ სხვა ასო მთელი აღარ მაქვსო (თეიმ. II. 161); ო ლ ო ნ ხორცი მოშავებოდა, თორემ არც ცხვირი, არცა რა არა წახდომოდა (სულხან-საბა, 5, 263, 8); ო ლ ო ნ დ ერთი ყური მოეკრა, ერთი ჩაეგონებინა რამე, თორემ შეუთვისებელ-გაუგებელი არა დარჩებოდა (ვ. ბარნ., I, 213); ო ლ ო ნ დ სიტყვის გატანა საჭირო ხალხში, თორემ უცხვროდ მატყლი ვინ ნახა?! (ლ. მრელ., 548).

ზემოთ ნაჩვენებ მაგალითებში ო ლ ო ნ დ გამორჩევითი ნაწილაკია და სხვა ამგვარი ნაწილაკების, განსაკუთრებით კი „მხოლოდ“ სიტყვის ბადალი ჩანს, ამდენად ისინი ადვილად შეენაცვლებიან ერთმანეთს. ერთია მხოლოდ: ახალ ქართულში „ოღონდ“ და „მხოლოდ“ თითქოს მაინც განაწილებულნი ჩანან: ო ლ ო ნ დ ზმნასთან (ან ნაზმ-

5 ამგვარ სიტყვებს მორფემოიდებს უწოდებენ სპეციალურ ლიტერატურაში. იხ. ბ. ჭორობენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოღალური ელემენტების ლექსიკონი, გვ. 355—356).

ნარ სახელებთან) გვხვდება, მხოლოდ — სხვებთან. მაგ.: დიდხანს ეწამებინათ ბერი ზაქარია, მისგან ამას მოითხოვდნენ, დაედასტურებინა ოლონდ: მართლაც გაეგზავნოს თითქოს წითელი წაღები კომნინისათვის გიორგი მეფეს (გამს., II, 586); მე ყველაფერი ვიცი. შენ ოლონდ დამიწერე, რაც გინდა (ა. ბელ., 457). შდრ.: მხოლოდ ნიავი მთისა მოლხენით ტყეში ფოთლებთან ლაზღანდარობდა (ილია. I, 158); მხოლოდ ვარსკვლავთა თანამაველთა ვამცნო გულისა მე საიდუმლო (ნ. ბარ., 25).

მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ენაში ეს მიჯნები არ ირღვეოდეს. მხოლოდ ზმნასთანაც ჩანს არცთუ იშვიათად. ეს შენიშნულია სალიტერატურო ქართულშიც და, განსაკუთრებით, დიალექტებში⁶.

გამორჩევითი მნიშვნელობა „ოლონდ“ სიტყვას უახლოებს მაპირისპირებელ კავშირებს, რის გამოც ახალ ქართულში ოლონდ // ოლონდაც მაპირისპირებელ კავშირებსაც ეკედლება⁷. ე. ი. ოლოდ ნაწილაკიც არის და კავშირიც.

მაპირისპირებელი ოლონდ აერთებს ერთგვარ წევრებს და ერთგვარ წინადადებებს. მაგ.:

კათალიკოსი გულში ნაწყენი იყო მეფეზე, ოლონდ ეს ამბავი ვერავისთვის გაემხილა (გამს., II, 486); უზომოდ დანაღვლიანებული და ნამტირალევი თინათი ახლაც უარზე დადგა, ოლონდ თავისი უარის მიზეზს არ ამბობდა (რ. ჯავ., I, 73); მითრიდატე ნამდვილი ვაჟკაცი იყო, ოლონდ უიღბლო (ლ. მრელ., 641); ესენიც ხორბლის სხვადასხვა ჯიშებია, ოლონდ სელექციით მიღებული (იქვე, 618). თოკის ყველა ნაკუწს პირველყოფილი ფერი დაებრუნებინა, ოლონდ უფრო მობოშებულიყო (ო. ქილ., გზაზე... 496).

იქ ვერავინ შევა, ოლონდ ჩვენ პაპის ბრძანება გვქონდა და მისი კაცი დაგვიძლოდა (სულხან-საბა, 5, 230); გარემოც პირვანდელ სახეს იბრუნებდა, ოლონდ ხალხს უფრო დიდხანს რჩებოდა გულის ფრიალი და გადატანილი ზაფრის ყინული (ო. ქილ., გზაზე, 238); ანუკას მის გასაგონად არც არავინ აქებდა, ოლონდ... მოხუცებიც კი წამოიწვედნენ ხოლმე ადგილის დასათმობად (თ. დონე., 8).

ზემოთ დასახელებულ მაგალითებში „ოლონდ“ თავისუფლად შეიძლება შეიცვალოს მაპირისპირებელი „მაგრამ“ კავშირით.

ოლონდ კავშირი შეუერთებს ხოლმე წინადადებას განკერძოებულ სიტყვას ან სიტყვათა ჯგუფს:

6 შ. ძიძიგური, კავშირები ქართულ ენაში, გვ. 280.

7 ა. შანიძე, ლ. კვაქაძე, ქართული ენის გრამატიკა, სახელმძღვანელო VII—VIII კლასებისათვის, თბილისი, 1973, გვ. 58.; შ. ძიძიგური, დასახ. ნაშრ., გვ. 53.

სახლის გასწვრივ, ოღონდ უფრო ზემოთ; მოჩანდა თარხნიანთა საგვარეულო საყდარი და სასაფლაო (შატბ., 161); შორიახლოს ვილაც-მასავით მარტო, ოღონდ ნელა, სულ ნელა, მოჩვენებასავით მოაბიჯებდა (იქვე, 322); მოლალურები ჩვენთანაც ასე იძახდნენ, ოღონდ, სამწუხაროდ, არა ასეთი საამო ხმით (რ. ინან., ბარისაკენ... 285); ზამთარსაც აქვს თავისი ვენებები, ოღონდ უფრო ღრმა და დაფარული, ვიდრე წელიწადის სხვა დროებს (გურ. რჩეულ., 328); დაე, უბრად მსხდარიყვენ საათობით, თევობით; წლობით, ოღონდ ერთად, ერთ ჰერქვეშ, ერთმანეთის სიახლოვეს (ო. ქილ., გზაზე... 354).

ოღონდ-კავშირიანი შერწყმული და თანწყობილი წინადადებები მრავლად გვხვდება დიალექტებშიც. მაგ.:

უნდილი ჰურჰელი ზაფხულში ციე წყალს ინახამს, ოღონც ფუყეა და მალე ტყდება (დიალ., ქიზ., 219); წამყვანს გოუშვია ეს ქალი, ოღონდ დაურიგებია, რომ არავის ეჩვინოო (დიალ., ლეჩხ., 496); ძროხა მაკეთაა, ოღონდ ხბოს კუდის წვერი აქ თეთრი და შუბზე აქ კუდი მიდობილიო (დიალ., ქვემოიძ., 472).

ხაზგასამელია, რომ მასპირისპირებელი კავშირის ფუნქცია ამ სიტყვას აქვს მხოლოდ ზმნის თხრობითი კილოს ფორმებთან, რომლებიც, ჩვეულებრივ, ფაქტის კონსტატაციას ახდენენ.

ეგვე სიტყვა, შეხამებული ბრძანებითა და კავშირებითი კილოს ფორმებთან, პირობის კავშირაც გვევლინება, იგი ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში დამოკიდებულ კომპონენტს აერთებს მთავართან. ამხსნელი წინადადება ზოგჯერ მთავარი წინადადების წინ დგება. მაგ.:


შენ ოღონდ იბეჯითე, ნურც წიგნზედ ინაღვლი, ნურც არაფერზედ, ყველაფერი გექნება (ილია, 8, 54); ოღონდ კი უშრომლად შეიძინონ რამე, აქეთაც არიან და იქითაც (აკაკი, 9, 552); ოღონც იარაღს ნუ ამყრი, რა ვქნა, გაგიწევ ყმობასა (ვაჟა, რჩ., 390); ოღონდ დღეს გამიშვი შინ, სხვა დროს გავეპარები პატრონს, მთელი ღამით მოვალო თუგინდ (გამს., II, 631).

დამოკიდებული კომპონენტი მთავარი წინადადების შემდეგაც გვხვდება. მაგ.:

... მომკალ ხორცითა, ოღონდ ნუ წამწყმედ სულითა (დ. გურ., 90); ცრემლს მოვიწმენდ და დავდინჯდები. ოღონდ მიშველე რამე, შენი კვნესამე, შენი (ილია, II, 77); ნათესავი ნათესავს აღარ ზოგავდა, ოღონდ კი ჩამორჩენოდა რამე (აკაკი, VII, 153).

საინტერესო სურათს გვაძლევს ზმნათა შეფარდება ამგვარ რთულ წინადადებებში. მაგ.:

1. აწმყო



I კავშირებითი (—აწმყოსა და მყოფადისა), II კავშირებითი; წყვეტილი და მყოფადი (ბრძანებითი კილოს გამოხატავად)

შეგალითები:

ამ მდებარეობა აქვთ თავისი იდეალები, თავისი სანატრელები, ოღონდ კი კაცს მადლი ჰქონდეს ამეების დანახვისა (ილია, II, 321); ლამაზი ქალი მინდა, ოღონდ ცოტა იცოდეს რამე და მიხვრა-მოხვრა ჰქონდეს, ფულს არ დავეძებ (ბარნ., I, 16); ახალგაზრდები ხშირად თავის სპეციალობაზეც კი უარს ამბობენ, ოღონდ კი დარჩნენ (თ. ღონე., 294); აქ, ჩიტის რძეს რომ იტყვიან, ისიც იშოვებთ, ოღონდ ხელი გასძარ, გაისარჯე, იმხნევე, მუცელსა და გულთაქმას ბატონად ნუ გაიხდი (ილია, II, 344).

2. მყოფადი



მყოფადი (ბრძანებითისათვის)
I კავშირებითი
II კავშირებითი
წყვეტილი (ბრძანებითისათვის)
III კავშირებითი (იშვიათად)

შეგალითები:

ყველაფერს შენ შეგწირავ, შენ განაცვალე, შორენა, ჩემს გულის სისხლს, ჩემს სუნთქვას, უკანასკნელს. ოღონდ ნუ დამტოვებ მარტო (გამს., II, 716); ოღონდ ბატონიშვილი მობრძანდებოდეს, ქულზე კაცი გამოვალთო (ა. ბელ., 613); ქათამს და ბატს სამიღღმჩიოდ დავეთმობ, ოღონდ კი მაგას პატრონს მოვუნახავდე (დ. კლდ., II, 63); ყველაფერზედ ხელს მოგიწერთ, ოღონდაც იმათ ჩამოეხსენით (ყაზბ., ელგ., 231); აი, ვეთაყუა, ცრემლს მოვიწმენდ და დავდინჯდები, ოღონდ მიშველე რამე (ილია. II, 77); ყველას ერთ თვეში დავაბრუნებ, ოღონდ არსენა დამშვიდდესო (მ. ჯავახ., II, 548); ამ არეულ-დარეული მატარებლების მოლოდინში სიციხით გათანგული მგზავრები უცნობსაც; გამოესაუბრებინ, ოღონდ ვინმე მოიხელთონ („ლიტ. საქ.“, 13, IX, 85, 8); საჩუქარს თავის დროზე მიიღებთ, ოღონდ მალე დაგედალოთ მტერთა და მოღალატეთა ზურგი (შატბ., 504).

3. წარსულდროიან ფორმებს (უწყვეტელი, ხოლმეობითი, წყვეტილი, I თურმეობითი) დამოკიდებულ წინადადებაში უპირატესად ვგუება II თურმეობითი (III კავშირებითის ფუნქციით)². მაგ.:

უწყვეტელი — II თურმეობითი:

ყოჩები ერთმანეთს თავს აღარ ანებებდნენ, ოლონდაც სატრფოს მოწონებით და არჩევით გაბედნიერებულ იყვნენ (ყაზბ., I, 133); არავითარ სიმდაბლეს და ქუჭყეს არ ერიდებოდნენ, ოლონდ შეეძინათ რამე (ბარნ., I, 304).

მყოფადის ხოლმეობითი — II თურმეობითი:

ბერი წულუკიძე ნახევარ სიცოცხლეს დათმო ბდა, ოლონდ მეფისა და ბესიკის საუბარს დასწრებოდა (ბელ., 603); დროთა განმავლობაში ყველას მიეზღვებოდა თავისი, ოლონდ მეფეს ახლა უმსხვერპლოდ, ანდა უმნიშვნელო მსხვერპლის ფასად გაემარჯვა, ტახტი დაებრუნებინა და დაკარგული ხელისუფლება ხელში აედო (რ. ჯაფ., I, 273); სიცოცხლეს მოიკლებდა და იმას მიაშავებდა, ოლონდ ამ დღეში არ ჩავარდნილიყო (ო. ქილ., გზაზე... 373).

წყვეტილი — II თურმეობითი:

ღენერალმა კი რამდენჯერმე პირჯვარი გადიწერა და ხატებს მანეთიანი კელატრები აღუთქვა, ოლონდაც არის მშვიდობით გადარჩენილიყო (ყაზბ., I, 167); ფარსადანი შეურიგდა ცხრა ქალიშვილის ყოლას, ოლონდაც ახლა, ამ არეულ დროში, შესძენოდა ვაჟიშვილი (ბელ., 82).

I თურმეობითი — II თურმეობითი:

წყალს წაუღია ყველაფერი, ოლონდ ერთი ბალღი ღირსებოდა ამ გამოყრუებულ სახლ-კარს (თ. დონე., 102).

ზემოთ დასახელებულ შემთხვევებში მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენელი თხრობითი კილოს ფორმითაა გადმოცემული. შესაძლებელია კავშირებითის ფორმითაც შეგვხვდეს. მაშინ დამოკიდებულში ოლონდ კავშირს ეხამება ბრძანებითის ფორმები ზმნისა. მაგ.:

ვძულდე, ვეძაგებოდე, ყოველგვარი სისაძაგლით აივსოს ჩემზე გული, ოლონდ სხვას, სხვას ნუ შეამჩნევინებს (კლდ., II, 48); მაგ ნახევარს ჯანი გავარდეს, ოლონდ საქმე არ გამოაშკარავდეს (ილია, II, 147); სიცოცხლე გავწიროთ,

² შ. ძიძიგური, დასახ. ნაშრ., გვ. 375—380.

ოლონდ კი გამოვიყვანოთ წარმატებისა და თავისუფლების ნათელ გზაზე (ბარნ. I, 249); ყველაფერი წაიღონ, ოლონდ კი თავი დაგვანებონ (მ. ჯავახ. XIX, 123); მე მოვკვდე თქვენზე უწინა, მე მიმიბაროს მიწამა, ოლონდ ნუ დავეგმოთ იმ რაჭულსა, რაც კი ჩვენგანმა იწამა (ვაჟა, რჩ., 270); საშვილიშვილად დამედვას შენი წლისთავზედ კურატი, ოლომც კი ნუ გამიიწყრები, ნუ დამალონებ ნურათი (იქვე, 338).

„ოლონდ“-კავშირიანი ქვეწყობილი წინადადება სპეციალურ ლიტერატურაში თითქმის არც არის განხილული, რაკი ოლონდ მხოლოდ მაპირისპირებელ კავშირად მიაჩნია მკვლევართა უმრავლესობას⁹. ლ. კვაქაძე აღნიშნავს: „პირობით-დათმობითი შინაარსისა დამოკიდებული წინადადება, რომელიც მთავარს უერთდება კავშირით „ოლონდ“ (ოლონც, ოლონდაც კი)“¹⁰. დასახელებული სამი მაგალითიდან ერთი ასეთია: „მიქელა ჯანს არ იზოგავდა, ოლონდ თავისი გაწყობილი ოჯახი არ დანგრეოდა“. იქვე შენიშნავს: „ამ ტიპის წინადადება უახლოვდება მაპირისპირებელკავშირიან რთულ თანწყობილ წინადადებას“.

გასარკვევია: არის კი ოლონდ მაქვემდებარებელი კავშირიც? ამ კითხვაზე, ვფიქრობთ, შეიძლება დადებითი პასუხის გაცემა მას შემდეგ, რაც დავინახეთ ზემოთ დასახელებული ნიმუშებიდან, რომ ზმნის კავშირებითი და ბრძანებითი კილოს ფორმებთან შეწყობილი ოლონდ მართლაც გამოხატავს სასურველ პირობას და აუცილებლად გვაუარაულებინებს ასახსნელ წინადადებას; ე. ი. ქვეწყობილი წინადადების კომპონენტების აზრობრივი მიმართება (პირობით-შედეგობითი) ისეთივეა, როგორც სხვა პირობითი კავშირის შემცველ ქვეწყობაში. მაგ.: არ მინდა დიბა-ატლასი⁽¹⁾, მემღერებოდეს ოლონდ⁽²⁾ (მ. კახ., 47) ეს იგივეა, რაც: არ მინდა დიბა-ატლასი, თუ მემღერება. პირველი მთავარ კომპონენტად ჩანს. მეორე — დამოკიდებულად; ან კიდევ: „ოლონდ დამშვიდდი⁽¹⁾, ყოველივეს გაიმბობ წერილად⁽²⁾“ (გამს., II, 62). აქ კი პირველი კომპონენტი დამოკიდებულია, მეორე — მთავარი. ე. ი. შინაგანი ჰიპოტაქსური კავშირი ხელშესახებია, კომპონენტების რიგი — თავისუფალი.

და მიუხედავად ამისა, არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ოლონდ კავშირთან ერთად ქვეწყობილ წინადადებაში ჩნდება კავშირი „და“, რის შედეგადაც კონსტრუქცია პარატაქსულ-ჰიპოტაქსური ხდება. „და“ კავშირი ჩნდება, ჩვეულებრივ, დამოკიდებული კომპონენტის პრეპოზიციის შემთხვევაში. მაგ.:

⁹ შ. ძიძიგური, დასახ. ნაშრ., გვ. 52, 430.

¹⁰ ლ. კვაქაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 415.

ო ლ ო ნ დ შ ე ნ წ ა მ ო მ ე ე და მ ე ვ ი ც ი მ ი ს ი ს ა ხ ლ ი ც და ა ლ ა გ ი ც ო (თეიმ. II, 175); ო ლ ო ნ დ ის კ ი და გ ვ ი თ ვ რ ე ო და ნ ა ხ ე ვ ა რ ი მ ე რ ე თ ს მო გ ე ც მ თ ო (ილია, II, 182); ო ლ ო ნ დ შ ე რ ი გ დ ი თ და ს ა დ ი ლ ი ჩ ე მ ი ი ყ ო ს (ვაჟა, 12, 408), ო ლ ო ნ დ ი მ ც ხ ვ ა რ ს უ ე ქ ი მ ე თ და ს ა ე ქ ი მ ო ჩ ე მ - გ ა ნ მ ი ი ლ ე თ ო (აკაკი, 9, 257); ო ლ ო ნ და ც შ ე ნ მ შ ვ ი დ ო ბ ი ა ნ ა დ ი ყ ა ვ და მ ა ლ - მ ა ლ შ ე გ ა ტ ყ ო ბ ი ნ ე ბ ხ ო ლ მ ე ე ლ გ უ ჯ ა ს ა მ ბ ა ვ ს (ყაზბ., I, 88); ო ლ ო ნ დ ღ მ ე რ თ მ ა წ ყ ა ლ ო ბ ი ს თ ვ ა ლ ი თ გა დ მ ო ხ ე დ ო ს ჩ ე ვ ე ნ ს ბ ე ლ მ წ ი - ფ ე ს და ყ ვ ე ლ ა ნ ი ი მ ი ს ქ ი რ ი ს ს ა ნ ა ც ე ლ ო ე ბ ი ი ყ ვ ე ნ ე ნ (ბარნ., I, 47); ო ლ ო ნ დ და ვ ი თ ი გა დ ა ა რ ჩ ი ნ ო ს, ო ლ ო ნ დ და რ ო ს ა ც ჩ ა მ ო ე რ ე ც ხ ო ს ს ი რ ც ხ ე ვ ი ლ ი და შ ა ა ლ ი ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ს ა ნ ა ც ე ა ლ ე ბ ს — ს ა ხ ლ - კ ა რ ს ა ც, მ ა - რ ა ბ დ ა ს ა ც, ქ ა ლ ა ქ ი ს მ ა მ ო ლ ს ა ც და თ ა ვ ი ს თ ა ვ ს ა ც (მ. ჯ ა ვ ა ხ ., II, 402); ო ლ ო ნ დ მ ა ს წ ა ვ ლ ე და მო გ ე ც მ - მ ე თ ქ ი (ნ. ლ ო რ თ ქ ., II, 18); ო ლ ო ნ დ ც ხ ე ნ ს ნ უ გა მ ო მ ი კ ლ ა ე ვ ე ნ ბ რ ძ ო ლ ა შ ი და მ ე მ შ ა დ ა ვ ა რ თ ა ვ ა დ შ ე ვ ე უ - შ ვ ი რ ო მ ტ რ ი ს ის ა რ ს მ ე კ ე რ დ ი (გამს., II, 608); ო ლ ო ნ დ ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ბ ა ქ ა რ ი ს ძ ე მ ო ბ რ ძ ა ნ დ ე ს და მ თ ე ლ ი ქ ა რ თ ლ ი ფ ე ხ ზ ე და დ გ ე ბ ა ო (ბელ., 592); ო ლ ო ნ დ წ ყ ა ლ ი და გ ვ ა ლ ე ე ი ნ ე და შ ე ნ ი ყ მ ე ბ ი გა ვ ზ დ ე ბ ი თ ო (ო. კ ი ლ ., გ ზ ა ზ ე... 250); ო ლ ო ნ დ გა კ ვ ე თ ი ლ ს ნ უ ჩ ა მ ი შ ლ ი თ და შ ე ს ვ ე ნ ე ნ ბ ა ზ ე კ ე ნ ქ ო ბ ა ნ ა ს გ ე თ ა მ ა შ ე ბ ი თ ო (ნ. დ უ მ ბ ., მე, ბ ე ბ ი ა... 196).

ამგვარი წინადადებები უზვად გვხვდება ქართული ენის დიალექტებშიც:

ო ლ ო ნ ც შ ე ნ გა ი ტ ა ც ე ის ქ ა ლ ი ო და ჩ ე ვ ე ნ გა ვ ა ც ი ლ ე ბ თ ს ა ზ - ლ ო რ შ ი ო (დიალ., მოვ., 43), ო ლ ო მ ც წ ა დ ი თ ო და თ ქ უ ე ნ ს ს ა ქ მ ე ს შ ე ვ ე ა ს რ უ ლ ე ბ თ ო (იქვე, 37); ო ლ ო ნ დ გა მ ა რ თ ე და ა თ ი უ რ ე მ ი ხ ო რ - ბ ა ლ ი და უ დ ო უ რ ე მ ზ ე და გა მ ო ვ ი გ ზ ა ვ ე ნ ო (დიალ., ქ ა რ თ ლ ., 320); ო ლ ო ნ დ მ ა ს ნ უ მო კ ლ ა მ თ ო და ე მ ო რ შ ა უ რ მო გ ე ც მ ე ყ ე ო (დიალ., შ ი გ ნ ი კ ა ხ ., 192); ო ლ ო ნ დ ნ უ მო კ ვ დ ე ბ ი, დ ე დ ი ო, და წ ა ვ ა ლ და მო - გ ი ყ ვ ა ნ ო (დიალ., გ ა რ ე კ ა ხ ., 192); ო ლ ო ნ დ ე გ ჯ ა რ ი გა მ ი ც ო ც ხ ლ ე და მ ე ც გა მ ა ც ო ც ხ ლ ე ო და შ ე ნ ი ყ მ ა ვ ი ქ ე ნ ბ ი ო (დიალ., მ თ ი უ ლ ., 63), ო ლ ო ნ ც ე რ თ ი შ ვ ი ლ ი მო მ ე ც ი და ე მ ძ რ ო ხ ა ს მ ი ს ნ ა თ ლ ა ზ ე და ვ - კ ლ ა მ ო (დიალ., ზ ე მ ო ი მ ე რ ., 444).

ო ლ ო ნ დ (|| თ ე ქ შ ე) კ ა ვ შ ი რ ი გ ვ ზ დ ე ბ ა მ ე გ რ უ ლ - ქ ა ნ უ რ შ ი ც:

თ ე ქ შ ე ს ი ჯ ა ჩ ქ ი მ ი კ ა ი ტ ა ს ა ო ქ ს ე, ხ ო ლ ო ვ უ ზ ბ ე ვ ე ნ უ ფ დ ო მ ე უ - მ ე რ (ჭ ა ნ ., III, 5) — ო ლ ო ნ დ ჩ ე მ ი ს ი ძ ე კ ა რ გ ა დ ი ყ ო ს და კ ი დ ე ვ გა ვ ე უ - კ ე თ ე ბ და წ ა ვ უ ლ ე ბ; ო ლ ო ნ დ მ ა ს ი ქ ო რ წ ა ნ დ ე დ ო მ ა თ ი ფ ხ ო ნ ე ჩ ხ ო რ ო დ ღ ა ს (მ ე ვ რ ., ტ ე ქ ს ტ ., 86) — ო ლ ო ნ დ მ ე შ ე ნ გ წ ა მ დ ე და მ ე ც ვ ი მ ა რ ხ უ ლ ე ბ ც ნ რ ა დ ღ ე ს.

ო ლ ო ნ დ + ... და გა ვ ა ვ ა ხ ს ე ნ ე ბ ს ი მ მო ვ ლ ე ნ ა ს, რ ო მ ძ ე ვ ე ლ ქ ა რ თ უ ლ - შ ი ბ ე ვ რ ო რ ი გ ი ნ ა ლ უ რ ს ა და თ ა რ გ მ ნ ი ლ ძ ე გ ლ შ ი და მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ი წ ი - ნ ა და დ ე ბ ი ს პ რ ე პ ო ზ ი ც ი ი ს დ რ ო ს მ თ ა ვ ა რ ი და და მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ი კ ო მ - პ ო ნ ე ნ ტ ე ბ ი ს შ ე ს ა ე რ თ ე ბ ლ ა დ მ ა ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ ე ბ ე ლ ს ი ტ ყ ვ ე ბ თ ა ნ ე რ თ ა დ

გამოჩნდება ხოლმე მავრთებელი კავშირებიც (და, ხოლო...). გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს მოვლენა ქართულ ნიადაგზეა წარმოშობილი და „ქართული ენის განვითარების ერთ-ერთ ეტაპზე ძალაში იყო“¹¹. ვფიქრობთ, ეს ფაქტი პარატაქსიდან ჰიპოტაქსის განვითარების მიჩვენებელია. იგი დადასტურებულია სხვა ქართველურ ენებშიც¹².

საგულისხმოა, რომ ადრე პირობითი დამოკიდებული წინადადების დაკავშირება მთავარ კომპონენტთან ზეპირ მეტყველებაში მხოლოდ და-საც შეეძლო: „ლაპარაკობს-და, ილაპარაკოს!“ „მიდის-და, წავიდეს“. ამგვარ მაგალითებში და ჩვეულებრივს და კავშირს არ წარმოადგენს,¹³ და „აქ ნაწილაკის შთაბეჭდილებას ახდენს... ამ ნაწილაკში ენის უძველეს საფეხურზე ჩანასახის სახით მოცემულია დაკავშირების ფუნქცია. ამიტომ, რომ იგი პირველ ხანად წინამავალ სიტყვას ეკვროდა; ზემოხსენებული ტიპის წინადადების რიტომოლოგიკა ამის უტყუარი დამამტკიცებელია“¹⁴.

ფიქრობენ, რომ მოძრავი და სუფიქს-კავშირის მეშვეობით წარმოდგენილი პირობითი დამოკიდებული წინადადება გადმონაშთია ქართულში და, საერთოდ, ქართველურ ენებში ინდოევროპულ ენათა სისტემის ჰიპოტაქსის ჩამოყალიბებამდე არსებული ე. წ. ზანური სისტემის ჰიპოტაქსისა, რომელშიც დამოკიდებული წინადადება გამოხატულია ზმნის ან ნაზმნარი სახელის სისტემაში შემავალი სათანადო მიმართებითი ნაწილაკებით¹⁵.

პირობითი დამოკიდებული წინადადებისთვის პრეპოზიციისა ნიშანდობლივი. ამიტომ კონსტრუქციები, რომლებშიც ოღონდ-კავშირის პირობითი დამოკიდებული მთავარი წინადადების წინ დგას, უფრო ადრინდელია და დამახასიათებელიც ზეპირი მეტყველებისათვის. ამ შემთხვევაში ნათლად ჩანს, რომ კავშირად ქცევის პროცესში მყოფ ოღონდ ზმნისართს „ეხმარება“ და, რომელიც ოდინდელი კავშირ-ნაწილაკის ფუნქციას ავლენს.

პოსტპოზიციის გულისხმობს უკვე განმტკიცებულ დაქვემდებარებას და განხორციელებულია განვითარების მომდევნო საფეხურ-

11 ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ერთი უცნობი სინტაქსური მოვლენისათვის ძველ ქართულში: ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. IX, 1949, გვ. 112—116.

12 ნ. ა ბ ე ს ა ძ ე. ჰიპოტაქსის წევრ-კავშირები და კავშირები სვანურში, თბილისის სახ. უნ-ტის შრ., 93, 1960, გვ. 129; მისივე, ჰიპოტაქსის წევრ-კავშირები და კავშირები მეგრულში, იქვე, 114, 1965, გვ. 251.

13 ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, კანურის გრამატიკული ანალიზი, თბ., 1936, გვ. 185.

14 შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, კავშირები... გვ. 450.

15 გ. რ ო გ ა ვ ა, ზანური -ნი კავშირ-ნაწილაკის კვალი კანურ დიალექტში, იბ.-კავკ. ენათმ., XXVII, თბ., 1988, გვ. 221.

ზე, როცა „ოლონდ“ უკვე კავშირად იქცა. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ჰანს ფოგტი წინადადებაში: „ოლონდ ნუ მომკლავ და შენი ყმა ვიქნებიო“ ოლონდ-ს თელის ზმნისართად, რომელიც გვხვდება მთავარ (დამოუკიდებელ) წინადადებაში. ხოლო ეგვე სიტყვა, მკვლევრის აზრით, პირობის კავშირია პოსტპოზიციური წყობის დროს. მაგ.: არაინ არ დაგძრახავს, ოლონდ კი ოჯახს კარგად მოუარე¹⁶.

ოლონდ-კავშირიან რთულ წინადადებაში სასურველი პირობა დამოკიდებულ კომპონენტშია წარმოდგენილი ოლონდ სიტყვითა და მასთან შეწყობილი ბრძანებითისა ოუ კავშირებითი კილოს ზმნის ფორმებით, ხოლო შედეგობით-დათმობითი მნიშვნელობა აქვს მთავარ კომპონენტს. რომელშიც საამისოდ სპეციალური ნაწილაკები, სიტყვები და გამოთქმები ჩნდება¹⁷. (მაგ.: თუნდ, გინდ, რაც უნდა, დაე...). დამოკიდებული წინადადება შეიძლება იყოს მთავრის წინ:

ოლონდ იმისი ჭავრი კი ამომაყრევინე და მერმე თუნდა მამკალ (ილია, II, 166); გენაცვალე, მართა, ოლონდ ზურაბი სადმე შემაზვედრე და, რაც გინდა, მთხოვე (მ. ჭავჭავ., V, 28); ოლონდ კაცი გამოჩნდეს, ვინც ამას ითავებს, და სიამოვნებით გავილებდი თუნდაც ასი ათასს (ლ. მრელ., 730); ოლონდ იმერეთიდან სოლომონი მოაშორე და მთელი ეს მხარე თუნდაც შენი იყოსო (ბელ., 399); ოლონდ ხმა ამოელო და თუნდაც გაელანძღა, გაეთათხა, დაემცი-რებინა (ო. ჭილ., გზაზე... 312); ოლონდ შენ გესიამოვნოს და თუნდაც დილაამდე ვილაპარაკებ-მეთქი (რ. ინან., ბარისაკენ... 144).

მეტად იშვიათად, მაგრამ მაინც არის შემთხვევები, როცა ოლონდ-კავშირიანი პირველი კომპონენტი მეორეს უერთდება და კავშირის გარეშე:

ოლომც იარაღთ ნუ ამყრი, რა ვქნა, გაგიწევ ყმობასა (ვაჟა, რჩ., 346); ოლონდ დღეს გამიშვი შინ, სხვა დროს გავეპარები პატრონს, მთელი ღამით მოვალო თუგინდ (გამს., II, 63); ოლონდ შენ შვილი ჰშობე, თუნდაც ენასაც მოვიკვნეტ (ილია, 8, 187);

დამოკიდებული წინადადება მოსდევს მთავარს:

დაე, თუნდ გაჰყიდონ, ოლონდ ნივთი კარგი რამ იყოს (ილია, II, 60); დეე ბალღებმა თავი შეიქციონ, ოლონდ კი ნუ იტირებენო (იქვე, 297); თუნდ მთელი ქართლი აიკლოს, კახეთიც გაანიავეს და

¹⁶ H. Vogt, Grammaire de la langue géorgienne, გვ. 212 (2, 189, 2.190).

¹⁷ შდრ. ლ. კვაჭაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 416.

იმერეთიც მიაყოლოს, ოლონდკი ჩემს საბრძანებელში აღარ გამოჩნდეს (მ. ჯავახ., XIX, 323); მტყუანი იყოს მის ქმარი, თუნდ ხალხს სცარცვაედეს შარასა, ოლომც იქნევდეს ფრანგულსა, არ ჰალა-ტობდეს ბარასა (ვაჟა, რჩ., 342); თუ გინდა წისქვილის ქვა მაბრუნებინე, ოლონდ წამიყვანე შენთან, მომაშორე ამ უღეთოს (ბელ., 596); რაც უნდა დაემართოს, ოლონდ შიგ ცოცხლობდეს ის პატარა იმედი (დონე., 505); ჩემთვის ებრაელი, ელიინი თუ რომელი სულ ერთია, ოლონდკი ირწმუნოს ის, რასაც ვქადაგებდი (ბარნ., I, 257); რაც გინდა, უთხარი, ოლონდ დააწყნარე (თ. დონე., 470); დაარქვით ამას, რაც თქვენ გინდათ, ის, ოლონდ ეს პატარა სურვილი ამისრულეთ (რ. ინან., ბარისაკენ... 112); შენ, თუ გინდა, მარტო წყალი დალიე, ოლონდ ჩამომყევი (იქვე, 95); რაც უნდოდა, ის ეთქვა, ოლონდ მოერჩინა ავად-მყოფი შვილი (ო. ჭილ., გზაზე... 237); მოკედეს, არ დასდეეს, ოლონდაც დაიხსნას გაჭირვებული (ვაჟა, რჩ., 224).

მაშასადამე, როგორც საილუსტრაციო მასალიდან ჩანს. ოლონდ ხან მაერთებელი კავშირია (უფრო ზუსტად: მაპირისპირებელი), ხან კიდევ — მაქვემდებარებელი. ისმის კითხვა: როგორ გავარჩიოთ ისინი ერთმანეთისაგან?

ჩვენი აზრით, არსებობს მათი განმასხვავებელი ნიშნებიც. მაპირისპირებელი ოლონდ 1) ეგუება ზმნის თხრობითი კილოს ფორმებს; 2) იწყებს დაპირისპირებულ წევრს ან წინადადებას, ე. ი. მეორე ადგილზეა, 3) ოლონდ-კავშირიანი კომპონენტის წინ დასმა შეუძლებელია. მაგალითად: ესენიც ხორბლის სხვადასხვა ჯიშებია, ოლონდ სელექციით მიღებული (მრელ., 64); გარემოც პირვანდელ სახეს იბრუნებდა. ოლონდ ხალხს უფრო დიდხანს რჩებოდა გულის ფრიალი და გადატანილი ზაფრის ყინული (ო. ჭილ., გზაზე... 238). ასეთ შემთხვევებში „ოლონდ“ კავშირს თავისუფლად შეიძლება შეენაცვლოს „მაგრამ“.

მაქვემდებარებელი ოლონდ 1) ეგუება კავშირებითი და ბრძანებითი კილოს ფორმებს ზმნისას; 2) ოლონდ-კავშირიანი წინადადების პოზიცია მტკიცედ განსაზღვრული არ არის: იგი შეიძლება იყოს მთავარი წინადადების წინაც და შემდეგაც; 3) ადგილის შეცვლის შემთხვევაში კავშირი გადაჰყვება დამოკიდებულ წინადადებას. მაგალითად: ყველას ერთ თვეში დავაბრუნებ, ოლონდ არსენა დამშვიდდესო (მ. ჯავახ., II, 542). რიგის შეცვლით: ოლონდ არსენა დამშვიდდეს, ყველას ერთ თვეში დავაბრუნებო. ან კიდევ: ოლომც

შენ ნუ ასტირდები, ცრემლით ნუ გაიბანები, აღარას გეტყვი, ლამაზო, წავალ და დავიკარგები (ვაჟა, რჩ., 378); რიგის შეცვლით: აღარას გეტყვი, ლამაზო, წავალ და დავიკარგები, ოლომც შენ ნუ ასტირდები, ცრემლით ნუ გაიბანები.

„ოლონდ“ კავშირის მაქვემდებარებელი ფუნქციით გამოყენება შედარებით ახალი პროცესი ჩანს და ბუნებრივია, თუ ქართულ ენაში, სხვა ენების მსგავსად, თანაწყობიდან ქვეწყობაზე გადასვლისას ჩნდება განუმტკიცებელი ჰიპოტაქსური კონსტრუქციები¹⁸, რომლებიც ჯერ კიდევ პარატაქსის „ხარაჩოში“ არიან (ოლონდ+და).

ოლონდ-კავშირიანი პირობითი დამოკიდებული წინადადება ზმნის სათანადო ფორმით გამოხატავს თხოვნას. სურვილს, ვედრებას, ხვეწნას, რომლის შესრულებაც გარკვეული სახის დათმობას, შედეგს ითვალისწინებს მთავარ წინადადებაში.

ოლონდ+ II თურმეობითი (III კავშირებითი ფუნქციით) ან II კავშირებითი გარკვეულ მიზანსაც გვაგვარაუდებინებს. ამიტომ აქ თითქოს პირობითსა და მიზნის დამოკიდებულ წინადადებებს შორის შიჯნა აღარ ჩანს.

მაგ.: /მასპინძელი/ სისხლის დაქცევასაც არ დაერიდება, ოლონდ სტუმარი შეურაცხყოფისაგან დაიცვას (ვაჟა, VII, 148). შდრ.: /მასპინძელი/ სისხლის დაქცევასაც არ დაერიდა. ოლონდ სტუმარი შეურაცხყოფისაგან დაეცვა. „ოლონდ“ აქ „რომ“//„რათა“ კავშირის ეკვივალენტი ჩანს.

სხვა შემთხვევაში [ოლონდ+ უნდა ნაწილაკიანი II კავშირებითი (ჩემთან წამოხვალ, ოლონდ საკმელი ხელით უნდა ჰამო — (ნ. დუმბ., მე, ბებია... 314)] „ოლონდ“ მაპირისპირებელი „მაგრამ“-ის ბადალია (ჩემთან წამოხვალ, მაგრამ საკმელი ხელით უნდა ჰამო).

ზემოთქმულიდან შეიძლება გამოვიყვანოთ ასეთი დასკვნები:

1. ოლონდ ზეპირ მეტყველებაში გავრცელებული პოლიფუნქციური სიტყვაა, რომელიც საშუალო საუკუნეების გვიანდელ წერილობით ძეგლებში იჩენს თავს. ამოსავალი ფუძით და სემანტიკით უკავშირდება ამავე პერიოდში გავრცელებულ ზმნისართს „ულონოდ“//„ულონოდ“.

¹⁸ А. М. Пешковский, Русский синтаксис в научном освещении, М., 1938, гл. 473. В. А. Богородицкий, Общий курс русской грамматики, М.-Л., 1935, гл. 239. Грамматика русского языка, под. ред. В. В. Виноградова и Е. С. Истриной, т. II, ч. II, изд. АН СССР, М., 1954, гл. 255.

2. თანამედროვე ქართულში ოლონდ-ს აქვს დადასტურებითი და გამორჩევითი ნაწილაკების მნიშვნელობა.

3. ეს სიტყვა გამოყენებულია კავშირადაც. როგორც მაპირისპირებელი კავშირი, აერთებს ერთგვარ წევრებს, ერთგვარ წინადადებებს, ან კიდეც განკერძოებულ სიტყვებს უკავშირებს წინადადებას. მაპირისპირებელი „ოლონდ“ ძირითადად ეგუება ზმნის თხრობითი კილოს ფორმებს და იწყებს დაპირისპირებულ წევრს ან წინადადებას.

4. ოლონდ პირობის კავშირიცაა, ე. ი. მაქვემდებარებელი სიტყვაა, ისეთ წინადადებებში, რომლებშიც ზმნა ბრძანებითი ან კავშირებითი კილოს ფორმითაა. ეს ფუნქცია ყველაზე გვიანდელი ჩანს: „ოლონდ“-კავშირიანი დამოკიდებული კომპონენტი ხან მთავარი წინადადების წინ არის, ხან — შემდეგ. პრეპოზიციის შემთხვევაში გამოვლინდება ხოლმე და კავშირიც (ოლონდ + და), რაც იმის ნიშანია, რომ ამ სიტყვას ჯერ კიდეც აქვს შერჩენილი ზმნისართული მნიშვნელობა.

დაქვემდებარების ზოგი თავისებურების შესახებ ქართულში

დაქვემდებარების ის შემთხვევები, რომლებზედაც ახლა შეეჩერდებით, იმდენად საყურადღებოა, რომ საჭიროა თითოეული მათგანის საგანგებოდ შესწავლა. აქ კი მათ შესახებ მეტად ზოგადად, სქემატურად ვმსჯელობთ, — მხოლოდ იმ აზრით, რომ მათი გაღრმავებული კვლევის ინტერესი აღვძრათ.

ა) დამოკიდებული წინადადება ერთგვარი წევრების ფუნქციით.

სამწერლო ენაში გვხვდება შემთხვევები, როცა შერწყმული წინადადების ერთგვარ წევრთაგან ერთ-ერთი დამოკიდებული წინადადების სახითაა მოცემული და ეს დამოკიდებული თანწყობის წესით (თანწყობის კავშირით ან უკავშიროდ) არის შეერთებული მეორესთან. უფრო ხშირად შეერთება შერწყმულ წინადადებასთან ხდება საკორელაციო სიტყვის (ნაცვალსახელის ან ზმნისართის) საშუალებით, იშვიათად — უშუალოდაც. ერთგვარ წევრებად ასეთ კონსტრუქციებში გვხვდება ქვემდებარე-დამატებები და გარემოებები. მაგ.:

ო მ მ ა და ი მ ა ნ , რ ო მ ყველას ცალი ფეხი მაინც სოფელში გვედგა, ჩვენი ცხოვრების გზა ერთმანეთს დაამგვანა (გ. გეგუქ., გაზ. „ლიტ. საქ.“, I, I, 1987, 7); შავარდენს ლ ა პ ა რ ა კ ი ძალიან უხდებოდა და ყველაზე მეტად ის, რომ საუბრის დროს მშვენიერ თვალებს მოხდენით აფოფინებდა (ვაჟა, 12, 463); უხაროდა იმასაც გაზაფხულის მოსვლა და ის, რომ მშვიდობით ნახა ისევ ნაცნობი ადგილი (იქვე, 338); შევხარი დილის ორთქლიან პურებს, ახალ სართულთა წითელ აგურებს, ვარდის საპალნეს ტაბახმელადან და მ ა ს , ამ ვარდებს ვ ის ა ც არგუნებ (გ. ლეონ., 183); ზემოდან რომ გადაიხედავ, ხ ვ ი ნ ქ კ ა ს დაუნახავ ფსკერზე და ი მ ა ს ა ც . კუთხის ღარიანი ფილა რომ ჩავარდნია ამწეს (კ. კობ., გაზ. „ლიტ. საქ.“ 29. VII. 1988, 9); ვასოს ისიც კი ვერ გაეგო, რა უფრო სწყინდა. ლექსოს დასახეჩრება თუ ის, რომ ლევანზე რწმენა შეერყა (გ. ფანჯ. 266); ამ ნიადაგზე და ი მ ი ს გა მო ც . რომ სალდათებს ესასტიკებოდა, მრავალი უსიამოვნება ხვდებოდა ამ ადამიანს

(დ. კლდ., II, 217); ხალხი უკვე დარბის აკადემიაში და იქ, სადაც საჭიროა (გ. ფანჯ., 636).

ყველა შემთხვევაში დასახელებულ შემთხვევაში ერთგვარ წევრთა შესაერთებლად გამოყენებულია მარჯვნივთა კავშირი, შეიძლება სხვა კავშირიც გამოჩნდეს, სახელდობრ, მაპირისპირებელი. მაგ.: (ეპისკოპოზი გაბრიელი) უყვარდა ხალხს მისი კლერიკალური მიმართულების გამო კი არა, არამედ იმიტომ. რომ იგი იყო ნამდვილი გულწრფელი საზოგადოებრივი მოღვაწე (დ. კლდ. II, 188).

„ამირანდარეჯანიანში“ ერთი შემთხვევა აღმოჩნდა ისეთი, როცა ერთგვარი წევრის ფუნქციით გამოყენებული დამოკიდებული წინადადება საკორელაციო სიტყვის გარეშე, უშუალოდ უერთდება წინმდგომ ერთგვარ წევრს. მაგ.:

ასწავლიდა აბუტარ ოროლითა მღერასა და მშვილდოსნობასა და რაცა საჭაბუკო საქმე იყო (ამირანდრჯ., 3,50).

ეს მაგალითი იმაზედაც მეტყველებს, რომ ამგვარი კონსტრუქციები ადრე გაჩენილა. ზეპირ მეტყველებაში მაინცდამაინც ხშირად არ ისმის (მაგ.: შენც წაგიყვან და, ვინც შენ გინდა, იმასაც). საკლევია: მწერლობაში ზეპირი გზით შევიდა, თუ პირიქით მოხდა. რუსულში, როგორც ვარაუდობენ. ზეპირი მეტყველებისთვისაა ნიშანდობლივი ეს მოვლენა და მწერლობაში აქედანაა შესული¹.

ბ) დამოკიდებული წინადადება ნაზმნარი სახელებით (მასდარი, მიმღეობა), აბსტრაქტული სახელებითა და ზედსართავეებით გადმოცემულ წევრებთან.

დამოკიდებული წინადადება როგორც ზმნისაგან წარმოებულ, ასევე პირველად მასდარებთანაც გვხვდება და უბრალო დამატების ფუნქციას ასრულებს. მაგ.:

წამოვედით იმედით, რომ სულ მალე თბილისში შეგხვდებოდით (რ. ინან., 80): არ ვიცი, როგორ მოხდა, იქნებ უიშით, რომ არ წასულიყო და მარტო არ დავეტოვებინე, მხრებში ხელი შემოვხვიე და ადგომა არ დავანებე (დ. შენგ., 104): მოაპარსიანეს უღვაშები, მაგრამ იმ პირობით კი, რომ იმ უღვაშების პირიკი გაიკეთოს (აკაკი, 9, 545): მათი რჩევა, რომ დაწყნარდეს, კიდევ უფრო უკარგავს მოსვენებას (დ. შენგ., 194); იმის შეგანებით, რომ, როგორც იყო, მოსვენება მეღირსებოდა, მაზარა წინდაწინვე გავიხადე (იქვე, 322).

¹ Г. П. У х а н о в. Придаточное в сочетании с однородным ему членом предложения. Сб. „Синтаксис и стилистика“. М., 1976, гл. 236.

დამოკიდებული წინადადება მიმღეობასა და ზედსართავ სახელთან:

შეშინებული, რომ არ მოეკლათ, ნამალევად ჩამოიყვანეს ბათუმში (დ. კლდ., II, 517); წაქეზებული, რომ ნაშრომები კარგად იქნა მიღებული, შეეუდღე მესამე მოთხრობის წერას (იქვე, 353); კმაყოფილმა, რომ საქმეს მოერჩი და სადმე ჩემთვის მივეგდებოდი, მაზარას ხელი დავავლე (დ. შენგ., 322); მე ვიძინებდი ვარდისფერ ნისლში უზომოდ ბედნიერი, რომ კვლავ ვხედავდი ჩემი ბავშვობის ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ სიზმარს (ნ. ღუმბ., მზე, 133).

მიმღეობა და ზედსართავი სახელი, რომელთაც დამოკიდებული წინადადება ახლავს, მთავარ წინადადებაში პრედიკატული განსაზღვრებაა. ამიტომაც არის შესაძლებელი მასთან „რომ“-კავშირიანი დაქვემდებარებული წინადადების შეერთება. დამოკიდებული კომპონენტი აქაც უბრალო დამატების ფუნქციას ასრულებს [შეშინებული (რით?), რომ არ მოეკლათ...].

ზოგჯერ დამოკიდებული „რომ“-კავშირიანი სხვათა სიტყვაა. მაგ.: ზარს იმის სოფელში სეტყვის მოსვლაზე დაუწყეს ხშირი რეკვა იმ იმედით, რომ სეტყვას გადიღებსო (შ. არაგვ: ქ. პ. 17.27).

უფრო ხშირად შეერთება უკავშირობა: სხვათა სიტყვა უკავშიროდ უერთდება მთავარ წინადადებას. მაგ.:

იქნებ შიშო. მკვლეელი არ გავხდეო, გააფერმკრთალებდა კარიერის დაღუპვის შიშს? (გ. ფანჯ., 651); შეშინებული, აქ არ დამტოვოსო, დედას არ სცილდებოდა; იმ იმედით, მალე დავბრუნდები-მეთქი, წავედი.

„რომ“ აღარ არის საჭირო სხვათა სიტყვის ნაწილაკთან.

გ) სხვათა სიტყვა დამოკიდებული წინადადებას ფუნქციით.

ცალკე უნდა გამოვეყოთ ის შემთხვევები, როცა შერწყმულ წინადადებაში ერთგვარ შემასმენელთაგან ერთ-ერთს ან ყველას ახლავს დამოკიდებული კომპონენტი, რომელიც სხვათა სიტყვაა და საამისო ნაწილაკებიც ახლავს (მეთქი თქო, ო). მაგ.:

მე ჩემთვისაც არ ვლოცულობ, ღმერთი არ შევაწუხო-მეთქი, და თქვენთვის სად ვილოცებდი! (ილია, 8, 265); დარეჯანმა დაინახა თუ არა ლუარსაბი, ეგონა — მე გამომიღგაო, იშვირა ფეხი და ეცაკიბეს (იქვე, 193); ყაზახებს უნდათ თქვენთან მოსვლა, საქმეები ეგებ მიიღოთო, იხვეწებიან (დ. კლდ., 16, 219); შეეშინდა, ქუჩაში არ დამეძინოსო, და თვალებს სასაცილოდ აქყეტდა (გ. ფანჯ., 246); მინდოდა მეკითხა: ვინ-მეთქი. მაგრამ ვფიქრობდი: ვაითუ სხვა ვინმე იყოს და მეკი

საუკუნო სასოწარკვეთილებამ მიმსხვერპლოს-
მეთქი (აკაკი, 9, 348); /მოხუცი/ წინ სიფრთხილით ადგამდა ბიჯს:
ფეხი არსად წამოვკრაო, და უკანაც ხშირად იხედებოდა,
ერთი კიდე დავინახო, ჩემი შვილები რას
შვრებიანო (იქვე, 405).

ხაზგასმული წინადადებები აზრობრივად მკიდრო კავშირში არიან
ზმნასთან, რომელთანაც დაქვემდებარებულ ურთიერთობას ქმნიან.
ისინი უპირატესად დამატებებისა და მიზნის გარემოების ფუნქციას
ასრულებენ. (მაგ. /დარეჯანს/ ეგონა (რა?) — მე გამომიდგაო; შეე-
შინდა /რისი?/ — ქუჩაში არ დამეძინოსო; უკანაც ხშირად იხედებო-
და /რისთვის?/ — ერთი კიდე დავინახო, ჩემი შვილები რას შვრე-
ბიანო).

სხვათა სიტყვა დამოკიდებული კომპონენტის ფუნქციით შეიძ-
ლება შეგვხედეს არა მარტო შერწყმულ, არამედ მარტივსა და თან-
წყობილ წინადადებებშიც:

თვალთ ანიშნა: გარეთ გამოდიო; ხიდაშელმა შესთავაზა: მანქა-
ნით წაბრძანდითო, მაგრამ ელიზბარმა ცივი უარი განაცხადა
(გ. ფანჯ., 304).

ავტორისეული ნათქვამისა და სხვათა სიტყვის ამგვარი შერწყმა
ქმნის თავისებურ დაქვემდებარებას. სხვათა სიტყვის სახით მოცემუ-
ლი დამოკიდებული წინადადება ფორმით განსხვავდება ჩვეულებრივი
ამხსნელი წინადადებისაგან (მას ყოველთვის ახლავს სხვათა სიტყვის
ნაწილაკი). ასეთი სხვათა სიტყვა ერთგვარი შუალედური საფეხურია
პირდაპირსა და ირიბ ნათქვამს შორის. მას სპეციალურ ლიტერატუ-
რაში სხვადასხვა ტერმინით აღნიშნავენ. ქართულში ხმარებული „არა-
საკუთრივ პირდაპირი ნათქვამი“ თარგმანია შესაბამისი რუსული
ტერმინისა². ავტორისა და პერსონაჟის ნათქვამის ამგვარი დაახლოე-
ბა, ანუ სუბიექტურ-ობიექტურ პლანთა კონტამინაცია, ექსპრესიული
სინტაქსის სტილისტიკური ხერხია, რომელსაც ჩვენი მწერლები იყე-
ნებდნენ თუ უფრო ადრე არა, XI—XII საუკუნეებში მაინც³. მაგ.:

კაცმან თავისი საქონელი მპარავსა შეჰვედროს, უკეთ შეინახავ-
სო (ვისრ., 2, 395), შერმადინსცა ახარებდეს, ფიცბლა კაცთა თავნი
არნეს: „მოვიდაო, აქანამდის ვისთვის ღხინნი გაგვემწარნეს“ (რუსთ.
675); „რად მიმეცო ამა ჰირსა?!“ ბედსა ამას უზრახვიდა (იქვე, 861);
ამიკლებს და ანუ მომკლავს: „ეგე სიტყვა ვითა სთქვიო?!“ (იქვე,
746).

2 იხ. ნ. ბაბალიკაშვილი, არასაკუთრივ-პირდაპირი ნათქვამის ფორმის
ვეოლუცია სხვადასხვა ეპოქის მხატვრულ პროზაში, ჟურნ., „მაცნე“, ენისა და
ლიტერ. სერია, № 3, 1986, გვ. 122—131.

3 შდრ. დასახ. ნაშრ., გვ. 123.

დ) დაპირისპირება-გამორიცხვითი ქვეწყობა.

დაპირისპირება-გამორიცხვითი ქვეწყობა ქართულში, ჩვეულებრივ, გამოიხატება თანწყობის წესით და, შესაბამისად, მაპირისპირებელი კავშირებით, მაგრამ ზეპირი მეტყველება ამ მიზნით იყენებს ჰიპოტაქსსაც.

დაპირისპირება-გამორიცხვითი მიმართება გამოხატულია ლექსიკური საშუალებებითა და ნეიტრალური „რომ“ კავშირით. წინადადებები ნეიტრალური არ არის, კითხვითი, ძახილის ან კითხვით-ძახილსაა. მაგ.:

/ღმერთო/ ყველაფერი სამართლიანად გაგიწესებია ქვეყანაზედ, რომ თვითონ კაცი კაცს არ უშლიდეს ხელს და ძმა ძმის მტერი არ იყოს (აკაკი, 9, 215); ვიყავით ყველანი ბედნიერი და დიდებული დიდხანს, რომ ბოლოს არ ჩაგვმწარებოდა (იქვე, 257); იმ დღეს რომ კინაღამ დაჰამეთ ერთმანეთი, ახლა გინდათ ხუროებად დამისხდეთ აქა?! (მ. ელიოზ., 421); აქ რომ დიდგულობ, ბაზარში მიბრძანდი და ნახე, რა ღირსო (ნ. მგელ., გაზ. „თბ.“, 3.X.1985, 4); იმხელა სახლში რო ხარო და ცივდებო, პატარა ოთახს გაგიკეთებო (დიალ., ზემოიმ., 444).

გამორიცხვითი დამოკიდებულება ნაჩვენებია მაშინაც, როცა მთავარ წინადადებაში არსებობს მისათითებელი სიტყვა „მეტი“, რომელსაც ან გამორიცხვითი თანდებულის („გარდა“) მნიშვნელობა აქვს, ან განსაზღვრებითი ნაცვალსახელისა („სხვა“). მაგ.:

ამაზედ მეტი რაღა უბედურება იქნება გლეხისათვის, რომ ჯერ არაფერი მოუხნავს და რაღა უნდა მომკოს! (ვაჟა, VII, 392); ე კლდეებისა და ამ ტყეების მეტი რა ხეირი გვაყრია, რომ აქაც თავის ნებაზედ კაცს ფეხი ვეღარ გადაუდგამს?! (იქვე, 292); წყეულმც იყოს შემოქმედი, თუკი მეტი ვერაფერი მოუგონია. რომ ჩვენს ტანჯვაზედ იცინოს!... (ტ. ტაბ., 360); დედამიწის ზურგზედ იმის მეტი სიხარული და ლხენა არა ჰქონდა რა, რომ შვილისათვის ეცქირნა, შვილისთვის ეცოცხლნა (ილია, 8, 246), მეტი გზა აღარ დაურჩათ მეთაურებს, რომ რედაქტორად გამოეწერათ გიორგი წერეთელი და მისთვის მიენდოთ გამოცემა (აკაკი, 9, 106); სხვა არაფერი არ გამოდის იმის მეტი, რომ ამ ჩვენს სარდიონ ქველიძეს ხან ერთი უწიკავს ხაჭაპურებს და ქათმებს და ხან — მეორე (დ. კლდ. 16, 235)..

როგორც ვხედავთ, ამ კონსტრუქციებს აქვთ უარყოფითი მნიშვნელობა, რომელიც გამოხატულია უარყოფითი სიტყვებით, ან ნაწილაკებით, ანდა რიტორიკული კითხვით, საბოლოოდ რომ უარყოფით პასუხს გულისხმობს.

უფრო აღრე, საშუალო ქართულში, ასეთ წინადადებებში თუ კავშირი იყო. მაგ.: მაგის მეტი ვინ რა მიყოს, თუ არ მომკლას მუხთლად, ღადრად (რუსთ., 3, 757).

ზოგჯერ დამოკიდებული წინადადება მნიშვნელობით უდრის „ნაცვლად“, „მაგიერ“ თანდებულებას სახელს. მაგ.: მაგ ჩაის რომ დააცუნცულებ, მაგის მაგიერაჲ, შე ქალო, ერთი ბოთლი ღვინო შემოიტანო, ის სჯობია (დ. კლდ., 16, 135), ასე გეთქვა, შეილო, იმხელა მოხსენება რომ წაგვიკითხე (ნ. ღუმბ., მე, ბებია... 42);

დაპირისპირება-გამორიცხვითი ურთიერთობა გადმოიცემა კოარას-ს შემცველი თანწყობილი და შერწყმული წინადადებებითაც. მაგ.:

თანწყობილი წინადადება: ასეთი შეთქმულება არალოვმა კი არ აღმოაჩინა, იგი თავისთავად გასკდა (მ. ჯავახ., 19, 539); მშვიდობიანი ცხოვრებით მარტო ხმალს კი არ ეკიდება ჟანგი, რაინდის გულსაც ჯავრი და მოწყენა სჭამს (გრ. აბ., 160).

შერწყმული წინადადება: ილია ქავჭავაძემ ქართულ ენას კი არა დააკლო რა, ბევრიც შესძინა (ნ. ნიკ., II, 37); ბნელში კარში გამოვიდოდი კი არა, ოთახშიაც ვერ ვრჩებოდი მარტო (აკაკი, 9, 49); უყვარდა კი არა, თავს ერჩია ორივე (გრ. აბ., 227); ეზოზე გადაგატარებ კი არა, თავს ორად გაგიპობ (ლ. ქიაჩ., 28); ბაწარს გაგიხსნი კი არა, ამ ხანჯლით დაგკლავ და ხრამში გადაგადგებ (რ. ჯაფ., III, 68).

როგორც ვხედავთ, კო არა ახლავს პირველ კომპონენტს. უფრო ხშირად მოსდევს ზმნას (მაგ.: წამოვა კი არა, გამოიქცევა!), იშვიათად წინაც არის (მაგ.: კი არ გემასხრები, საქმეს გეუბნები: დ. კლდ., 16, 157).

სახელებთან კო არა მომდევნო პოზიციას იჭერს (მაგ.: მამინაცვალმა კი არა, თქვენ ყველამ გაგვძარცვეთ ჩვენ: ილია, 8, 224).

კო არა-ს შემცველ ერთპრედიკატიან წინადადებაში ზმნა უპირატესად წინადადების ბოლოს გვხვდება, დაპირისპირებულია ორი წევრი, ასეთი წევრები შეიძლება იყოს ქვემდებარებებიც, დამატებებიც. განსაზღვრებებიც, პრედიკატივი და გარემოებებიც. ერთგვარ წევრთაგან კო არა პირველს მოჰყვება. მაგ.:

მაგისთვის ცოდნა კო არა, რწმუნება და ნდობაა საჭირო (ყაზბ., 216); გული კო არა, ცხელი თონეა (გ. ლეონ., 120); ო, მე კო არა, გული ხარხარებს (ა. კალ., 24);

მსგავს მაგალითებში არა გამოტოვებული შემასმენლის ბადალია (გული კი არა, ცხელი თონეა—გული კი არ არის, ცხელი თონეა).

დაპირისპირებულია ა) შემასმენლების სახე-

ლადი ნაწილები და ქვემდებარეები: თქვენ ხალხი კი არა, ცხვრის ფარა ყოფილხართ (მ. ჯავ., 491); რუსის ჯარს თქვენ კი არა, ხუთი ხელმწიფეც ვერას დააკლებს (იქვე, 534);

ბ) დამატებები: ისინი ამაში დიდ ცოდვას კი არა, დიდ სიყვითეს ხედავენ (ა. ფურც., 7, 618); მასწავლებლები აუდიტორიას ლექციებს კი არა, გულში ჩამწვდომ საუბრებს უმართავენ (გაზ. „თბ.“ 16. IV, 1984, 3); სამზითვო ფულს კი არა, ლუკმაპურს ძლივს ვშოულობთ (დ. კლდ. 16, 79).

გ) განსაზღვრება და გარემოება: ამ ასპარეზიდან გაქცევა მარტო სამშობლოს ღალატისა კი არა, ქრისტეს სჯულისაგან განდგომის სწორი იქნებოდა (გრ. აბ., 120); ვიღაცამ ჩურჩულით კი არა, ხავილით უპასუხა (რ. ჯავ., III, 63); ლევანი პირს ქუთაისისკენ კო არა, ბაღდადისაკენ იზამდა (იქვე, 143).

კი არა-ს შემცველი კონსტრუქციები ზეპირ მეტყველებაში გამოყენებულია უპირატესად დიალოგის საპასუხო რეპლიკაში, რომელიც მძაფრი რეაქციის გამომხატველია. აქ მეორდება პირველი რეპლიკის ის სიტყვა, რომელიც თანამოსაუბრის ძლიერ რეაქციას იწვევს, და მას ემატება კი არა, თანაც მოსდევს საპირისპირო წევრი, რომელიც ნათქვამს კიდევ უფრო ამძაფრებს. მაგ.:

— მშიერი რომ ვკვდებოდე, მშიერი, და ასი ურემი მებმებოდეს, მე მაგას არ ვიკადრებდი, თავი არ მაძიკვდება. შენა, ჩემო რძალო! — უი, უწინამც დღე გამჭრობია! ვიკადრებდი კი არა, თავს მოვიკლავდი იხხად დარჩეს ქირით შემოტანილი ქონება! (ილია, 8, 144); — მერე არ შეგეცოდა? — შემეცოდა კი არა, კინაღამ მეც ვიტირე (აკაკი, 9,65): — ასი მანეთის გულისათვის კარგავ ახლა იმისთანა სასიძოს? — წამოხტა სოლომონი. — თითქოს შენ თვითონ არ იცოდე, რა ძნელი საშოვარია ასი მანეთი კი არა, ასი კაპიკი (დ. კლდ., 16, 70); — გამყიდე, შე წყეულო, ვიცი, გამყიდე და ის მაინც მითხარ, როგორ შემაფასე... — გაყიდვას რას გემართლები. შე კაცო, შენისთანა წყეული ფასად კი არა, მუქთად არ უნდა არავის (დ. შენგ., 216).

ეგვევ კონსტრუქცია გვხვდება მოსაუბრის გაბმულ თბრობაშიც, როგორც ერთი კომპონენტი მთლიანი ტექსტისა. მაგ.: ისე გამიფუჭდა ხასიათი, რომ ბნელში კარში გამოვიდოდი კი არა, ოთახშიაც ვერ ვრჩებოდი მარტო (აკაკი, 9.49). ან: შე კურთხეულის შვილო, არ იცი, რა დრო მოგვეწრო. რა საცოდაობაში ვართ ერთიანად ჩავარდნილი?!... სამზითვო ფული კი არა, ლუკმა პურს ძლივს-ძლივს ვშოულობთ (დ. კლდ., 16, 79).

კი არა მაპირისპირებელი კავშირის ფუნქციას არ ასრულებს, მაჭგუფებელი კავშირის მნიშვნელობა აქვს, თუ პირველი კომპონენტის წინ დგას გამორჩევი ნაწილაკები „მხოლოდ“, „და“, „მარტო“.

/მეფის/ სამსახური მარტო საქართველოს სამსახური კი არა, უფლის სამსახურიცაა (გრ. აბ., 117); /ის/ მხოლოდ ამქვეყნიურ ბედნიერებას კი არა, საუკუნო ცხოვრებასაც იმკვიდრებს (იქვე, 118).

თუ გამორჩევი ნაწილაკი პირველ წევრს არა ახლავს, მაგრამ მომდევნოს აქვს ც(ა) დართული, მაშინაც ერთგვარ წევრთა შეერთება-დაჭგუფება ხდება და არა დაპირისპირება. მაგ.: წამომყევით და თევზებს კი არა, კაცებსაც ბევრს დაგაჭერინებთო (აკაკი, 9,44); (= დაგაჭერინებთ თევზებსაც და კაცებსაცო); განათლებით ფრანგი რაინდები კი არა, რომის ეკლესიის მსახურნიც ვერ დაიკვეხნიან (გრ. აბ., 155) (=ვერც რაინდები და ვერც მსახურნი ვერ დაიკვეხნიან).

კი არა-ს გამოყენება ზემოთ დასახელებულ შემთხვევებში ახალი მოვლენაა, ზეპირი მეტყველებიდან შემოსული. საშუალ საუკუნეებში ამგვარ წინადადებებში კი არა-ს ეკვივალენტი „არათუ“ გვხვდებოდა, იგი მწერლობაში ახლაც ჩანს. მაგ.:

ამისთვის კოქაობაც არ დაითმობის, არათუ ბურთობა (რუსულ., 26,6—7); გამწყრალი დააწყნაროს, არათუ მხიარული გააწყნაროს (სულხან-საბა, 5,11); მე შენსა პირისპირ ჰვრეტასაც არა ღირს ვარ, არათუ ეგეთსა წყალობასა (იქვე, 83);

შენის პირისაგან თქმულს ღეთის რისხვასაც ავიტან, არამცთუ უბედო ბედის წყრომასა (ილია, 8,83); ქვეყნის მოყვარულმა გვარიც კი დააწინაურა, არათუ თავისი სახლი (აკაკი, 9, 139).

ზოგჯერ წინადადება იწყება „არათუ“ კავშირით. მაგ.:

არათუ კაცთა, სასჯელი ქვათაცა შესაძრწუნია (რუსთ., 3, 850₂)⁴, შენს ღროში ართუ ღარიბნი, მეფენიც ვერ გაძლებიან (თეიმ. I, 4,68); არამცთუ მიწყინა, გამიღიმილა კიდევც (ილია, 8,83); იმ სიშორეზე, ხორასნის გულში, არამცთუ ქართველთა ლაშქარს, ჩვენს ნათესავსაც იშვიათად დაუდგამს ფეხი (გრ. აბ., 85).

დაპირისპირების გასაძლიერებლად ერთგვარ წევრთაგან მეორის წინ სამწერლო ენაში არის მაპირისპირებელი: „არამედ“, „კი“, „განა“, ჩართული სიტყვა „პირიქით“... მაგარ.:

4 შებრუნებული რიგით „თუ არა“ შეხამება იხმარება მარტივ წინადადებაშიც, რომელიც თავისთავად შერწყმულ წინადადებაში ერთ-ერთი შემასმენლის ელიფსის შედეგია. დაწერ. იხ. შ. აფრიდონიძე, ნაწილაკების განლაგება „ზოგად კითხვებში“, იკე, XXVI, 1987, გვ. 94.

და უბოძა საბოძვარი დიდი არათუ მეფემან, გარნა ყოველ-
მან კაცმან (ამირდრჯ., 2,52); არათუ გალანძღვის ღირსი ხარ ნსო-
ლოდ, არამედ გალახვისაცა (იოანე ბატონ., 6,546): /სპარსელები/
არათუ სოფლებში ველარ დაფარფაშობდნენ ადრინდულად, ცბე-
დარბაზშიაც კი შიშის ქარი უქროდათ (აკაკი, 9,152); მას აქეთ ომარ-
მა არამცთუ აღარ გაატარა შერვაშიძე ნაბაყევსა და საბერიო-
ში, პირიქით, დაუწყო საშინელი შეწუბება დანაშთენს სამურზა-
ყანოს (ა. ფურც., 7,493); თქვენს წინ კაცი კი აღარ იდგა, არა-
მედ დაკემსილი, გატრეცილი ღამე (გ. ლეონ., 235); იმისგან წყენა
სოფელში პირუტყვსაც კი არ მოაგონდებოდა, განაღამც ადა-
მიანს (ვაჟა, 12,407).

ე. ი. არათუ, არა მართო, არა... არამედ ძირითადად მწერლო-
ბაში დარჩა. უახლეს ქართულში, ზეპირ მეტყველებაში მეტი ექ-
სპრესიული ძალის მქონე კი არა დამკვიდრდა.

5 დაწერ. იხ. შ. ძიძიგური, კავშირები ქართულ ენაში, გვ. 46—47,
ლ. კვაკაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 239.

აპტუალიზაციის ზოგიერთი შემთხვევა ქართულში

აქტუალიზაცია, ანუ ენის მეტყველებაში გადაყვანა (შარლ ბალი), ხორციელდება სხვადასხვა საშუალებით, როგორცაა: 1) ინტონაცია, 2) სიტყვათგანლაგება (პოზიცია), 3. სპეციალური ლექსიკური ერთეულები, ანუ ლექსიკური აქტუალიზატორები. აქტუალურად დაყოფას ქართული ენის მასალაზე განიხილავენ ს. გორგაძე, ა. დავითიანი, რ. ასათიანი, შ. აფრიდონიძე, ლ. ენუქიძე, ვ. სერგია¹.

ქვემოთ ჩვენ ვეხებით აქტუალიზაციის კერძო შემთხვევებს:

ა) აქტუალიზაციის ზოგიერთ ლექსიკურ საშუალებას („არის“, „რომელია“);

ბ) ემფატიკურ პრეპოზიციას (ე. წ. ინიციალურ სახელობით);

გ) სიტყვათა განმეორებას.

ზოგი ლექსიკური აქტუალიზატორისათვის

1) ზეპირ მეტყველებაში ლექსიკურ აქტუალიზატორად გვხვდება „არის“, რომელიც გამოყოფს მოსაუბრის თვალსაზრისით საყურადღებო სიტყვას წინადადებაში. იგი ყოველთვის მოსდევს იმ წევრს, რომელიც ხაზგასმულია. ასეთი შეიძლება იყოს ქვემდებარე, დამატებები, განსაზღვრება და გარემოება. მაგ.:

ქვემდებარე-დამატებებთან

თქვენც არის გებრალებოდეთ (იესე ბარ., 587); უბრძანა: წადიო და ფალავნისა ეგების შენც არის ჰსენა რამეო (შპნმ, III,

¹ ს. გორგაძე, ქართული სადასიტყვაობა, ტფ., 1915, გვ. 22—38; ა. დავითიანი, ქართული ენის სინტაქსი, გვ. 142—166; რ. ასათიანი, მარტივი წინადადების ტიპოლოგიური ანალიზი, თბ., 1982, გვ. 64; შ. აფრიდონიძე, სიტყვათგანლაგება ახალ ქართულში, თბ., 1986, გვ. 92—97; ლ. ენუქიძე, წინადადების აქტუალური დანაწევრება და მისი მიმართება სინტაქსური და სემანტიკური ანალიზის თანამედროვე მეთოდებთან: კრ. „თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები“ VI, თბ., 1981, გვ. 96—111; მისივე, ძირითადი სინტაქსური თეორიები თანამედროვე საზღვარგარეთულ ენათმეცნიერებაში, თბ., 1987, გვ. 53—63; ვ. სერგია, სიტყვათა რიგი და წინადადების აქტუალური დანაწევრება ქართულ სალიტერატურო ენაში, თხუ შრ., „ენათმეცნიერება“, 187, თბ., 1977, გვ. 96—110.

384,1); ორიოდ-სამი პურიც არის წაიღეო (სულხან-საბა, 14); შემოსავალი არა აქვს რა და ეგების ცხენებიც არის დაარჩინოსო (იესე ბარ., 586,2); იმას თავისი ეკა დემალეზოდა სადმე და ნახევასაც არის ვერ მოაგვარებდა (ანტ. ფურც., 582); /ონისეს/ პირმოკუმულს სუნთქვაც კი ველარ გაებედა, რათა ჰაერის მცირედის მოძრაობითაც არის მისთვის მყუდროება არ დაერღვია (ყაზბ., 294); სიკვდილით მაინც არის ეხსნა ამ მწუხარებისაგან (ანტ. ფურც., 503).

გ ა ნ ს ა ზ ღ რ ე ბ ა ს თ ა ნ

ეგების ერთმაც არის შვილმა შეიძლოს... კარგი მდივნობა (იესე ბარ., 696); არ იქმნების, რაგინდ ბრძენი იყოს, ერთიც არის საქმე არ დაიციდინოს (სულხან-საბა, 53); სად არის... ამოდენა ღონისძიება, სახელმწიფოში დავაყენოთ თვითოც არის სწავლული (ანტ. ფურც., 624); თუ თქვენთან ერთად სამიც არის შეგნებული ქართველი ამას იტყვის ჩემზე... მაშინ მე კალამს ვაგდებ ხელიდან (ვაჟა, VII, 258); თუ რაც ხალხი ჰყავს, ნახევარიც არის იმის საზრდო მივეც, ჩემი ეკლესიის შემოსავალი იმას მოუნდება (იესე ბარ., 657).

გ ა რ ე მ ო ე ბ ა ს თ ა ნ

გასწიეს ანაკლიის გზისკენ იმ იმედით, რომ იქაც არის იქნება შევხვდეთ გემსაო (ანტ. ფურც., 631); რა პირს ცოტასაც არის გააღებს, ფერხს შეუყოფს, ნელ-ნელა შევა შიგ (სულხან-საბა, 55); ამ დროს ღმერთსაც ნუ ექნა, რომ მახამეთას ოღნავადაც არის ცხენები გაებრუნებინა (ყაზბ., I, 23); ერთხელაც არის ქეთინოს ნაზი გულიც დაიქუხებდა (შატბ., 311).

როგორც დასახელებული მაგალითებიდან ჩანს, „არის“ გამოყოფს, ყურადღებას ამახვილებს იმ სიტყვაზე, რომელიც მის წინ დგას და, ამდენად, ასრულებს გამორჩევითი, გაძლიერებითი ნაწილაკის (მაინც, კი...) ფუნქციას. „არის“ რომ ნაწილაკია ამ შემთხვევაში, ეს ჩანს შემდეგიდან:

1. იგი სინტაქსურ კავშირში არ არის სხვა სიტყვებთან, მისი ამოღებით სტრუქტურა არ ირღვევა. მაგ.: ნეტა ერთიც არის მეგობარი მომცა! (ვაჟა, 12,371); შდრ.: ნეტა ერთი მეგობარი მომცა!

2. „არის“. ჩვეულებრივ, გვხვდება ც-ნაწილაკიან სრულმნიშვნელოვან სიტყვებთან, ე. ი. ამ ნაწილაკის მნიშვნელობას კიდევ უფრო აძლიერებს. მაგ.:

ღიად, ცოტასაც არის ეს მართალი და პატიოსანი ენა ამართლებს იმას და აფრთხილებს (ვაჟა, VII, 94); იმას უნდოდა ერთი

დ ლ ე ც ა რ ი ს გაეტარებინა თავის მშობლების სახლში (ანტ. ფურც., 599).

3. „არის“ არ სცილდება გააქტიურებულ სიტყვას, მისი ადგილის შეცვლა შეუძლებელია. მაგ.: I. რა პირს ცოტასაც არის გააღებს, ფერხს შეუყოფს (სულხან-საბა, 55); შღრ.: II. ფარსაგი სახლი, ძვირად არის, არ გამოდიოდეს (იქვე, 196).

პირველ მაგალითში „არის“ ნაწილაკის როლშია და მას წინ ვერ გადავსვამთ, მისი ამოღებითაც კონსტრუქციას არა მოუვა რა. მეორე მაგალითში „არის“ სრულმნიშვნელოვანი ზმნაა, რომელსაც ვითარების გარემოებაც ახლავს. „არის“ თუ ამოვიღეთ, კონსტრუქცია დაირღვევა (აქ ქვეწყობილი წინადადების მთავარი კომპონენტი დამოკიდებულშია ჩართული). შეიძლებოდა ასეც: ძვირად არის, ფარსაგი სახლი არ გამოდიოდეს.

დადასტურებით-გაძლიერებითი მნიშვნელობა „არის“ ზმნისა მისი სემანტიკიდან გამომდინარეობს², ამიტომ ზეპირმა მეტყველებამაც იგი ამ მიზნით თავისუფლად გამოიყენა; აქედან შემოვიდა მწერლობაშიც. ერთია მხოლოდ: „არის“ გაძლიერებითი ნაწილაკის ფუნქციით ც ნაწილაკთან ერთად გვხვდება. იშვიათად „არის“ სხვა გაძლიერებით ნაწილაკთან ერთადაც ჩანს. მაგ.:

სიკვილით მ ა ი ნ ც ა რ ი ს ეხსნა ამ მწუხარებისაგან (ანტ. ფურც., 503): ფიქრადაც არ მოუვიდა ეხლა მ ა ი ნ ც ა რ ი ს სახლის მოგონება (იქვე, 705), იმათთან ერთად სხვებიც ირეოდნენ, რომ თვალით ა რ ი ს მ ა ი ნ ც გამოეცხადებინათ ერთმანეთისათვის გრძნობა (არაგვ., 135).

„არის“ სემანტიკურად ქარბი ჩანს „მაინც“ ნაწილაკის გვერდით. ამგვარივე სიქარბე იგრძნობა, როცა სხვა დადასტურებით-გაძლიერებითს ნაწილაკებს დაერთვის: კი არის—კია; ლამის არის—ლამისაა. მაგ.: ლ ა მ ი ს ა რ ი ს გავიფიჩხე (დ. შენგ., 347): გამოიხრუკა კ ი ა საკრამიტეში ეგ საცოდავი (მ. ელიოზ., 108).

ამგვარივე ფუნქციით „არის“ მონაცვლე „იყო“ დადასტურებული აქვს ინგილოურ კილოში გრ. იმნაიშვილს³. მაგ.:

ჩონ ხუთ ყაზში ერ კაპიცი იყო არ მოგვცა. ალიბეგლო („ერთი კაპიცი კი არ მოგვცა“); ჩემ ყისმათზე ერ ქალსაც იყო მოყონავთ („ჩემს ბედზე ერთ ქალს მაინც მოვიყვანთ“); ერთიც იყო აატან! („ერთი მაინც აილე!“); უიბეთაც იყო წააღ! („ჯიბით მაინც წაილე!“); დინეაც იყო წუაღლით („ნელა მაინც წავიდოლით“).

2 ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974, გვ. 134.

3 გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, თბ., 1966, გვ. 131.

ინგილოურში არ ჩანს ნაწილაკად „არის“, რომელიც ფართოდაა გავრცელებული ამ ფუნქციით ქართულში. აქ არ შეიძლება არ მოგვეგონდეს მ. ჭანაშვილის ჩაწერილი ტექსტები, რომლებშიც, ზოგან, დამოკიდებული წინადადების ბოლო სიტყვას ერთვის ა, როცა ეს დამოკიდებული მთავრის წინ დგას (მაგ.: „ვერკლებთან ჰუმ მისულანა. ყოვს დაუჩხავლნი“ და მისთ.). ამ ფაქტზე ქეთევან ლომთათიძემ პირველმა გაამახვილა ყურადღება⁴ და ჩათვალა იგი იმავე რიგის შოვლენად, როგორცაა გურულსა და აჭარულ დიალექტებში იმავე პოზიციაში ბოლო ხმოვნის გაგრძელება (მაგ., გურული: თქვენ რო ხელც არ მიშლიდნ, ყოლიფერს მუახერხეფ: უმ ვადიარს აქიდან, მერე მიეცემა დიდი გული... აჭარული: ის ტყე რო მოჩანს შავნ, იმის ძირში არის (სოფელი); ახლა უმ აქ ქალი იყრ, იმას აქ ჭახრაკი...)⁵. მკვლევრის აზრით, ინგილოური უფრო აღრინდელ ვითარებას გვიჩვენებს. გურულსა და აჭარულში ეს ა დაკარგულა და ამის გამო გაგრძელებულა ბოლო სიტყვის უკანასკნელი ხმოვანი. თვით ეს ა არის ნაშთი ან „არის“ ზმნისა, ან დადასტურებით-ჩაკითხვითი „არა“ ნაწილაკისა ე. წ. განსაზღვრულობის ფუნქციით. ე. ი. ფორმები „რომ მივიდნ“ და „რუმ მივიდა“ მომდინარეობენ ან „რომ მივიდა არის“-ისაგან, ან კიდევ „რომ მივიდა არა-საგან⁶. მკვლევარი მიუთითებს, რომ, როცა დამოკიდებულ წინადადებაში ჩანს ასეთი დადასტურებითი ნაწილაკები, მაშინ ბოლო ხმოვნის გაგრძელება გურულსა და აჭარულში არ ხდება. დასახელებულია საილუსტრაციო მაგალითები: „იქიდან ქ' არ დაბრუნდება, მაშინ უნდა იკითხო მისი ამბავი“; „იქიდან რომ დაბრუნდება არა, მაშინ უნდა იკითხო მისი ამბავი“. „ორივე ამ ტიპის წარმოების ფუნქციური ახსნა საერთო საფუძველს ეყრდნობა. ესაა: განსაზღვრულობის, ფაქტის „ცნობილობის“ დადასტურების გახაზვის საჭიროება“⁷. შესაბამის შემთხვევაში იმერულ დიალექტში გამოყენებულია დადასტურებითი ნაწილაკი ქე: „ქე რო დევეცი. მერე ასე მაქ ფეხი“. „ასეთ შემთხვევებში. — აღნიშნავს ქ. ლომთათიძე — ქე დადასტურებითი ნაწილაკის გამოყენება იმავე

4 ქ. ლომთათიძე, დამოკიდებული წინადადების ერთი თავისებურება ზოგ ქართულ დიალექტში, იმერულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, 1946, გვ. 307—344.

5 მაგალითები აქაც და ზემოთაც დამოწმებულია დასახელებული შრომის მიხედვით.

6 დასახ. ნაშრ., გვ. 342. შდრ. შ. ძიძიგური, კავშირები ქართულ ენაში, გვ. 448—450.

7 ქ. ლომთათიძე, ქართულ დიალექტებში დამოკიდებული წინადადების თავისებური გამოხატვის ფუნქციური საფუძველი: რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია (ქ. თელავი, 1988 წლის 20—21—22 ოქტომბერი), მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1988, გვ. 44.

მიზანს უნდა ემსახურებოდეს, რასაც ხმოვნის სიგრძე გურულ-აჭარულში და ა-ს დართვა ინგილოურში“.

დამოკიდებული წინადადება ყველა ამ დიალექტში განსაზღვრული ხასიათისაა. მასში „იგულისხმება იმ ვითარებაზე მითითება, რაც თანამოსაუბრისათვის უკვე ცნობილია“⁸. ხაზგასმულია ის ფაქტიც, რომ აღნიშნულ საშუალებებს ხსენებული დიალექტები მხოლოდ მაშინ იყენებენ, როცა მაქვემდებარებლად რომ კავშირი გვევლინება (ან კიდევ: თუ და მისთ.), ე. ი. როცა გამორიცხულია ც(ა) ნაწილაკის დართვის შესაძლებლობა⁹.

„არის“ ზმნის გამოყენება დადასტურებითი ნაწილაკის მნიშვნელობით ქართულში და „იყოს“ გამოვლენა ამავე ფუნქციით ინგილოურში მხარს უჭერს იმ მოსაზრებას, რომ დამოკიდებული წინადადების ბოლო სიტყვაზე დართული ა ინგილოურში კითხვითი ნაწილაკი კი არ არის, არამედ „არის“ შეკვეცით მიღებული მსაზღვრელი ნაწილაკია („არის“ ზმნისათვის ასეთი კვეცა დამახასიათებელია). კითხვით ნაწილაკთან ამ ა-ს დაკავშირება გაძნელება იმიტომაც, რომ კავშირთა ჩვენების მიხედვით ა-ს შემცველი ჰიპოტაქსი ახალი წარმოებისა ჩანს, გაანალიზებული წინადადებები შინაარსით კითხვითი არ არის და, ასეთიც რომ იყოს, მაშინაც კითხვით ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში, ჩვეულებრივ, კითხვითად ფორმდება მთავარი წინადადება და არა დამოკიდებული (მაგ. იხ. აქვე, გვ. 60—61).

და რაც უმთავრესია, ა-ს დაკარგვით გამოწვეული ხმოვნის გაგრძელება მარტო ქვეწყობილ წინადადებაში კი არ ხდება, არამედ სხვა ტიპის წინადადებაშიც¹⁰. ე. ი. „არის“, როგორც დადასტურებითი ნაწილაკი, ფართოდაა გამოყენებული. ეს ბუნებრივიც უნდა იყოს, რაკი ეს სიტყვა ასრულებდა ლექსიკური აქტუალიზატორის როლს. ლოგიკური ხაზგასმისათვის იგი ყველა ტიპის წინადადებაში შეიძლება ყოფილიყო. ამასვე უჭერს მხარს ზანურის ჩვენებაც.

მეგრულშიც „რე“ („არის“) და „რდუ“ („იყო“) ენაცვლება ერთმანეთს. „არის“ ზმნა აწმყო-უწყვეტლის ფორმით ლექსიკური აქტუალიზატორის ფუნქციას ასრულებს, ოღონდ, ძირითადად, ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში, რომელშიც დამოკიდებული შეკავშირებულია მთავართან უფრო ხშირად მაქვემდებარებელი კავშირით, იშვიათად — უკავშიროდაც. მაგ.:

მეგრული: სი რე მომიკონტე (მ. ტ. 33, 59) — შენ არის გამაბრუე; ათეს რდუო მნატრედინი (იქვე, 164, 227) — ამას იყო, რომ

⁸ მისივე, დამოკიდებული წინადადების ერთი თავისებურება... გვ. 344.

⁹ მისივე, ქართულ დიალექტებში დამოკიდებული წინადადების თავისებური გამოხატვის ფუნქციური საფუძველი, გვ. 45.

¹⁰ მისივე, დამოკიდებული წინადადების ერთი თავისებურება, გვ. 342.

ენატრობდი; მა თეშა რე მოშქურუნი, საწმობონოთ ვეყუენი (იქვე, 105, 197) — მე ამისა არის რომ მეშინია, სამერმისო რომ არ იქნე.

ყველა დასახელებულ მაგალითში „არის“ („რე“, „რდუ“) ვერ მართავს ბრუნვაში მთავარი წინადადების სახელს, არამედ მას მართავს დამოკიდებული წინადადების ზმნა. ასე რომ, თუ ამ კონსტრუქციებიდან ამოვიღებთ „არის“ და მაქვემდებარებელ „ნი“ კავშირს, მივიღებთ მართვ წინადადებას, აზრს არა დააკლდება რა. მაგ.: სი /რე/ მომიკიონტე—სი მომიკიონტე; ათეს /რდუო/ მნატრედი/ნი/ — შდრ.: ათეს მნატრენდი.

სალიტერატურო ქართულში დიდად გავრცელებულმა „მაინც“ ნაწილაკმა თანდათან გამოდევნა „არის“, როგორც აქტუალიზატორი, ხმარებიდან, მეგრული კი, ჩანს, ამ დანიშნულებით „რე“-ს ახლაც აქტიურად იყენებს.

ქანურში აგრეთვე გავრცელებულია ჰიპოტაქსური კონსტრუქციები, რომლებშიც დამოკიდებული ასეთი შედგენილობისაა: სრულმნიშვნელოვანი სიტყვა + მაქვემდებარებელი კავშირი + „არის“ ზმნა (უფრო ხშირად შეკვეცილი სახით). ამგვარი დამოკიდებული ინფორმაციის თვალსაზრისით ახალს არაფერს იძლევა, ხაზგასმას ახდენს მხოლოდ იმ სიტყვაზე, რომელიც დამოკიდებულშია წარმოდგენილი. ეს ხაზგასმული სიტყვა შეიძლება იყოს წინადადების ყოველი წევრი. მაგ.:

ფათიშიაქ-ნაბ, კეტი ქაკოტახენ დო ია ბადის (ლ. ტ., 45, 12,8) — ხელმწიფემ რომაა, კეტი გადაუმტვრევია იმ ბერიკაცისათვის; ნოსეინა ჯუმაქ-ნა ენ, კოჩი ქიშიყონუ ტკობაშაშე (იქვე, 99, 53, 10) — ჭკვიანი ძმამ რომ არის, კაცი ამოიყვანა ჩუმად; კულანის-ნა ენ, ჩქინისთეი თოლი უღუტეენ (იქვე, 154, 97,5) — გოგოს რომ არის, ჩვენისთანა თვალი ჰქონია; არ დღას, ნა ენ ბაშკა ძეიში ფათიშიაქ, მექთუბი მუჰაელეენ-ქი (იქვე, 153, 96,4) — ერთ დღეს, რომაა სხვა ქვეყნის („ადგილის“) ხელმწიფემ, წერილი მიუწერია; ია ქოსა-ნაი ამახთეენ დო ია კოჩის-ნაი არგუნი გოჯინეენ (იქვე, 48, 12, 162) — ის ქოსა რომაა, შესულა და ის კაცი რომაა, იმისთვის ნაჯახი დაუკრავს.

როგორც საილუსტრაციო ნიმუშებიდან ჩანს, დამოკიდებულ ნაწილში წარმოდგენილი სიტყვები (სახელები) ბრუნვაში იმართვიან მთავარი წინადადების ზმნის მიერ. აქაც „არის“, „რომ“ (ენ, ნა, ნაი) სიტყვების ამოღებით დაიშლება ქვეწყობა. ჰიპოტაქსის შემქმნელი ელემენტები (ენ, ნა, ნაი) სხვა ფუნქციას არ ასრულებენ, მხოლოდ მსაზღვრელი ნაწილაკის დანიშნულებით გვევლინებიან. ქართულში,

ზემოთაც იყო აღნიშნული, „არის“ ზმნამ ეს ფუნქცია დაკარგა, უმწერლობო ენაში კი შემოინახა¹¹.

მთავარი და დამოკიდებული წინადადებების საზღვრების მოშლა, დამოკიდებული წინადადების ზმნის მიერ მთავარი წინადადების სახელის მართვა, ან, პირიქით, — მთავარი წინადადების ზმნის მიერ დამოკიდებული წინადადების სახელისა, „არის“ ზმნის სინტაქსური კავშირიდან ამოვარდნა და ოდენ მსაზღვრელი ნაწილაკის ფუნქციით აღჭურვა ერთი, კერძო შემთხვევაა ჰიპოტაქსური კონსტრუქციის „გამარტივება“-„გამკვირვების“ ტენდენციისა, რაც მეტ-ნაკლებად ყველა ქართველურ ენაში მოქმედებს. განსაკუთრებით შორს წასულა ეს პროცესი ზანურში. ჯერ კიდევ ადრე პროფესორმა იოსებ ყიფშიძემ აღნიშნა, რომ ზოგი განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი მეგრულში დამოკიდებული წინადადებისაგან მომდინარეობდა¹². შემდგომი კვლევა-ძიებით გიორგი როგავამ დაადგინა, რომ არა მარტო ზოგიერთი, არამედ ყველა ნი სუფიქს-ნაწილაკის მქონე განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი ამგვარივე წარმოშობისაა. მანვე დაადასტურა, რომ ზანური ნი კავშირ-ნაწილაკის კვალი ჰანურ დიალექტშიც არის¹³, რომ ზანური ენის ორსავე კილოში დასტურდება -ნი კავშირ-ნაწილაკიანი დამოკიდებული წინადადებებისაგან მიღებული როგორც განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები, ასევე ზმნისართები და ზედსართავი სახელები. ზანურში ადგილი ჰქონია, ერთი მხრივ, რე („არის“) ზმნური კომპონენტის გაუჩინარების გზით ნი კავშირ-ნაწილაკიანი დამოკიდებული წინადადების ა დ ი ე ქ ტ ი ვ ი -ზ ა ც ი ა ს /ზან. ვალე-ნი („გარეთა“, „გარეული“) ზედსართავი — ვალე-რე-ნი („რომელიც გარეთაა“...)/, მეორე მხრივ, — იმავე რე კომპონენტის გაუჩინარებით -ნი კავშირ-ნაწილაკიანი დამოკიდებულის ა დ ვ ე რ ბ ი ა ლ ი ზ ა ც ი ა ს /ზან. ჰუმანი („დილა“. „დილას“, „ხვალ“) დროის ზმნისართი ნი დაბოლოებიანი—ჰუმან-რე-ნი („დილას რომ არის“) — დამოკიდებული წინადადება. ნაწარმოები ჰ უ მ ა „დილა“, „დილას“ მარტივი სახელ-ზმნისართისაგან; ასევე: ლომა-ნი//ლუმა-ნი („ღამე“, „ღამეს“) დროის ზმნისართი, ნაწარმოები ლომა//ლუმა მარტივი სახელ-ზმნისართისაგან/. მკვლევარი ბაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ ტიპის დამოკიდებული წინადადება ს ა ე რ თ ო -

11 ქვეწყობაში გამოვლენილია გამაძლიერებელი მითითებითი ნაწილაკი აქვ სვანურშიც. იხ. ნ. აბესაძე, ჰიპოტაქსის წვერ-კავშირები და კავშირები სვანურში, გვ. 128—129. აუცილებელია ამ თვალსაზრისით სვანურისა და ზანურის მონაცემების საგანგებოდ შესწავლა.

12 И. К. Пшндзе, даსх. ნაშრ., გვ. 043, 319.

13 გ. როგავა, ზანური -ნი კავშირ-ნაწილაკის კვალი ჰანურ დიალექტში, იყვ, XXVII, გვ. 221—225.

ქართველური სისტემის უნდა ყოფილიყო. მიუთითებს, რომ „ნა კავშირ-ნაწილაკის სისტემისაა ქართ. და და ქან. -ნა კავშირ-ნაწილაკები, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მეგრულისთვის ამჟამადაც დამახასიათებელი -ნა კავშირ-ნაწილაკი უფრო პოლიფუნქციური ჩანს, თუმცა ქანურ ნა კავშირ-ნაწილაკსაც საკმაოდ ფართო გამოყენება აქვს“¹⁴. მხოლოდ ქართულს არ შემორჩა პოლისემანტური კავშირი, მეგრული -ნა, ქანური ნა-ს ეკვივალენტი. ქართული და ძველ ქართულშივე საკოორდინაციო-მაერთებელ კავშირებშია წარმოდგენილი. და-ს მაქვემდებარებელი ფუნქცია, როგორც პირობის კავშირ-ნაწილაკისა, მეტად იშვიათად გამოვლინდება და ისიც ზეპირ მეტყველებაში¹⁵.

ქართულში დამოკიდებული წინადადების ადიექტივიზაციის, ადვერბიალიზაციის თუ სუბსტანტივაციის იმგვარ პროცესებს, რაც ზანურშია დადასტურებული, უთუოდ აფერხებდა სამწერლობო ენა, რომელსაც უკვე ძველ ქართულშივე მტკიცედ დადგენილი ჰიპოტაქსის სისტემა ჰქონდა (მიმართებითი ნაცვალსახელებით, ზმნისართებით და საკორელაციო სიტყვებით გამოხატული). გ. როგავას აზრით, ეს ე. წ. ინდოევროპული ჰიპოტაქსის სისტემა ქართულ სასაუბრო ენასა და დიალექტებში მკვიდრდება სალიტერატურო ენის გზით და თანდათან ზღუდავს დაქვემდებარების გამოხატვის ადრინდელ, არქაულ სისტემას, რომელიც და, ნა, ნა კავშირ-ნაწილაკების საშუალებით ხორციელდებოდა¹⁶. (უცხო ენობრივმა სამყარომ ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით დიდი გავლენა მოახდინა ქანურზე)¹⁷.

მიუხედავად ამისა, ქართული ზეპირი მეტყველება, როგორც ზემოთ ნაჩვენები ნიმუშებიდან ჩანს, ავლენს იმ ტენდენციებს, რაც მძლავრი და შეუბოჭავია სხვა ქართველურ ენებში.

2. ლექსიკურ აქტუალიზატორად გვევლინება აგრეთვე მთელი გამოთქმა რომელია (—რომელი არის). იგი ერთვის ზმნას და აძლიერებს მის მნიშვნელობას. ეს კარგად ჩანს დიალოგში. ზმნა რომელია, ჩვეულებრივ, გვხვდება მეორე რეპლიკაში, რომელიც პირველ რეპლიკაში მოცემულ ზმნას იმეორებს და ხაზგასმისათვის ურთავს გამოთქმას რომელია. ეს მხოლოდ დადასტურება კი არაა წინა ნათქვამისა, არამედ მოქმედების ან მდგომარეობის „მაღალ ხარისხში აყვანა“. მაგ.:

14 გ. როგავა, არქაული ტიპის ჰიპოტაქსის გადმონაშთები ქართველურ ენებში, იკე, XXVI, თბ., 1987, გვ. 49—50.

15 არნ. ჩიქობავა, ქანურის გრამატიკული ანალიზი, თბ., 1936, გვ. 185.

16 გ. როგავა, დასახ. ნაშრ., გვ. 43—44.

17 იქვე, გვ. 17.

— „ჯერ კიდევ ადრეა, ალავ, რა გაჩქარებს?“ — „რა გვაჩქარებს რომელია?!.. ერთი ჩქარა წავიდეთ, ის სისხლის მღვრელი არსენა მართლა არსაიდგან გამოგვიჩნდეს!“ (ყაზბ. III, 423);

„ჩვენ დავებრდით, ბატონო შალვა, თქვენ კი არ შეცვლილხართ“.

„— ცუდლუტობ, ძვირფასო, გულს მიკეთებ. დავებრდი რომელია! დავჩაჩანაკდი“ (ალ. დავითაძე. გაზ. „ლიტ. საქ.“, 19. VI, 1987; 9); — ხაბაზი, ხარაზი, ხურო, შოფერი და ხარატი არ გვინდა? ყველამ უმაღლესები დავამთავროთ და გავმეცნიერდეთ?“ — „გვინდა რომელია! ეგენი უფრო გვინდა, მე რომ კაცმა მკითხოს“... (ო. იოსელი., გაზ. „ლიტ. საქ.“, 11. IX. 1988. 8); „თქვენ არ მოგიწევთ შორს მათი წაღება /ლაპარაკია ჯართის წაღებაზე — ლ. კ./ ეს ხომ გარკვეულ სიძნელეებს და ხარჯებს იწვევს“. — „იწვევს რომელიაო, — გაიფიქრა ამგვარი ზრუნვით გულაჩუყებულმა ქალმა (ნ. მგელ., გაზ. „თბ.“, 15. III, 1988, 3); — „იტყვის, რომ დავუძახოთ, სიმართლეს?“ — „იტყვის რომელია! სიტყვას არ გადააბრუნებს“. — „წამოპყვება, საქმე საქმეზე რომ დადგეს?“ — „წამოპყვება რომელია! გა-მ.ფ.რ.ინ.დ.ე.ბ.ა!“.

ეს გამოთქმა იხმარება არა მარტო რეპლიკა-რეაქციაში, II რეპლიკაში, არამედ მოსაუბრის გაბმულ საუბარშიც განსაკუთრებით ხაზგასასმელი მოქმედების გამოსაყოფად. მაგ.:

შინ დედა მეხმარება. მე ხმარება რომელია! მთელი ოჯახი მის კისერზეა, რადგან მე მთელ დღეს სამუშაოზე ვარ, გვიან ვბრუნდები.

ინიციალური სახელობითი

სიტყვის აქტუალიზაცია ხდება პოზიციითაც: სახელობით ბრუნვაში დასმული სახელის მოთავსებით გამონათქვამის (წინადადების) დასაწყისში. ამგვარი სახელობითი მეტყველებაში ინტონაციით არის გამოყოფილი, იგი გამონათქვამის თემაა. ინიციალურ სახელობითს ხშირად შეეფარდება გამონათქვამში საკორელაციო სიტყვა (უპირატესად ნაცვალსახელი), ზოგჯერ განმეორებულია იგივე სახელი. იშვიათად კორელატი არც არის. მაგ.:

დედოფალი. ზღვასა შეიქმს, მას რომ ცრემლი დაუღვრია (რუსთ. 352,4); პატრონი ჩემი გამზრდელი, ღმრთისაგან დიდად ცხოველი, მშობლური, ტკბილი, მოწყალე, ცა, წყალობისა მთოველი. მას ვუორგულე, წამოვე, მართ დავივიწყე ყოველი (იქვე, 857); სინანული?! ცოდვილთათვის არ არსებობს იგი (ვაჟა, VII, 287); შვილი?! მასაც მობეზრდა ავადმყოფი (საუბრიდან).

ვარსკვლავთა სტუმრობა?! ამასაც ეკონომიკა განსაზღვრავს (გაზ. „თბ.“ 22, VIII, 1989, 4), რბენა?! სრულიად აუცილებელია (გაზ. „თბ.“ 7. IV, 1988, 8).

ინიციალური სახელობითი გვხვდება დიალოგშიც, კერძოდ. მეორე რეპლიკაში, რომელშიც გამოყოფილია პოზიციით ის სიტყვა პირველი რეპლიკისა, რომელიც თანამოსაუბრისათვის ბაზგასასმელია. მაგ.:

„მე წყნეთის ქუჩაზე გეახლები“. — „წყნეთი, ეს მცხეთასთან არ არის განა?“ (ნ. ლორთქ., II, 1959, 455); „მაშ, გული ქვეყანაზედ აღარ არის! მოჰყვდა, გამოეცალა ადამიანს!“ — „გული... გული, ესე იგი, ის მადლი, რაც ენას და ხელს უნდა ასაქმებდეს, მართლა რომ აღარ არის (ილია, 8, 292).

ინიციალური სახელობითის შემცველი წინადადებები „ვეფხისტყაოსანში“ სპეციალურად განიხილა ივ. გიგინეიშვილმა. მან გამოთქვა მოსაზრება, რომ ასეთი სახელობითი არის დამოკიდებული წინადადების ბადალი, მთავარი კი არის მომდევნო წინადადება, რომელშიც საკორელაციო სიტყვა ჩანს (თუმცა არა ყოველთვის). დამოკიდებული წინადადება არის ან ცალკე სიტყვა სახელობითის ფორმით (მაგ.: დედოფალი. ზღვასა შეიქმს, მას რომ ცრემლი დაუღვრია), ან სახელური შესიტყვება (ფრიდონ ხელმწიფე, მეფე მულდაზანზარისა. იგი ნადირობს, შეუკრავს ნაპირი ველ-შამბარისა, 978). ინტონაციით გამოყოფილი სახელი (ან სახელური შესიტყვება), რომელიც დამოკიდებულ წინადადებად მიიჩნევა, წერტილით უნდა განცალკევდესო მომდევნო მთავარი წინადადებისაგან. მკვლევარი თვლის, რომ ზემოთ დასახელებულ შემთხვევებში საქმე გვაქვს თავისებური სახის ჰიპოტაქსთან. თუმცა შენიშნავს: ამგვარ ქვეწყობილ წინადადებაში „ამხსნელი“ წინადადება“ არსებითად არცაა წინადადება. იგი წინადადების ეკვივალენტად თუ შეიძლება იქნეს მიჩნეული. საქმე ისაა, რომ მასში არ მოიპოვება ზმნა და სიტყვათა მთელი ეს ნაერთი პრედიკაციას მოკლებულია. აქ პირველ რიგში დასახელებულია საგნის სახელი. არსებითი სახელია წარმოდგენილი სახელობითი ბრუნვის ფორმით¹⁸ თანაც ამ „ამხსნელ“ „წინადადებაში“ „არაა კავშირი ან საკავშირებელი სიტყვა, ურთიერთობა წინადადებათა შორის ფორმალურად მხოლოდ იმ კორელატი სიტყვით ხორციელდება, რომელიც მთავარის ბადალ წინადადებაში არის“¹⁹. ბოლოს ასკვნის: „რაკი ეს კონსტრუქცია ლე-

¹⁸ ივანე გიგინეიშვილი, რთული წინადადების ერთი თავისებური სახეობა „ვეფხისტყაოსნის“ ენაში: გამოკვლევები „ვეფხისტყაოსნის“ ენისა და ტექსტის კრიტიკის საკითხების შესახებ, თბ., 1975, გვ. 324.

¹⁹ იქვე.

ქსის ენაში გვხვდება უპირატესად, უნდა გვეფიქრა, რომ იგი ვარკვეული სტილებრივი მიზნებითაა გამოყენებული, მაგრამ ეს ვარაუდი არ გამორიცხავს იმას, რომ ეს კონსტრუქცია რთული დაქვემდებარებული წინადადების განვითარების გარკვეული საფეხურის ამსახველი იყოს და ამგვარი კონსტრუქციები „ვეფხისტყაოსანში“ ხალხური მეტყველებიდან მომდინარე იყოს“ (ხაზგასმა ჩვენია — ლ. კ.)²⁰. ამის დასასაბუთებლად მკვლევარი იმოწმებს ფშაური დიალექტის მასალას. მაგ.: „სა შუ ბი. ის კი ზოკან-ზოკან კინკუჭიანიია, მალალი“. ბოწახი. ის კი ძალიან კარგი ადგილია, სამოვარი“.

ამგვარი მაგალითების გამრავლება შეიძლება სხვა დიალექტების მონაცემებითაც, რაც ექვემოთნანუს ხდის მოსაზრებას ასეთი კონსტრუქციების ხალხური მეტყველებიდან მომდინარეობის შესახებ. ყველა ზემოთ დასახელებულ შემთხვევაში სახელი გამოყოფილია ინტონაციით გამონათქვამის თემის ხაზგასასმელად. ინიციალურ სახელობითს შეიძლება მოჰყვებოდეს მარტივი წინადადებაც და რთულიც. თუ სახელობითში დასმულ სახელს და მის კორელატს ერთნაირი ფორმა აქვთ და წინადადებიდან კორელატს ამოვიღებთ, ინიციალური სახელობითი მაშინვე შეუერთდება წინადადებას და არააქტუალური წევრი ხდება. მაგ.: სინანული! ცოდვილთათვის არ არსებობს იგი. შეცვლით: სინანული ცოდვილთათვის არ არსებობს. ან კიდევ: ფრიდონ ხელმწიფე, მეფე მულღაზანზარისა. იგი ნადირობს, შეუკრავს ნაპირი ველ-შამბნარისა. შეცვლით: ფრიდონ ხელმწიფე, მეფე მულღაზანზარისა, ნადირობს, შეუკრავს ნაპირი ველ-შამბნარისა.

ანალოგიისათვის აქ შეიძლება დავასახელოთ უახლეს ქართულში ძალიან გავრცელებული გამოთქმა „რაც შეეხება“, რომელიც ასევე გამოყოფს გამონათქვამის თემას ხაზგასასმელად. ამ გამოთქმის შემცველი წინადადება კიდევ უფრო მეტად ჰგავს ქვეწყობილს, ვიდრე ინიციალური სახელობითის მქონე. მაგ.:

რაც შეეხება ბაში-აჩუკს, ან ბაში-აჩუკის ნაშიერს, — ისინი უფრო გამრავლებულიც არიან ღღეს (აკაკი, 8,188); რაც შეეხება ავიკაცის ხელს, ოდიშარიამ იცოდა ამათი მოვლაც (ა. ფურც., 458).

აქაც არ არის ქვეწყობა. I კომპონენტი მეორეს კი არ ხსნის, არამედ ხაზგასმით გამოყოფს იმ სიტყვას, რომელიც გამონათქვამის თემაა და მომდევნო კომპონენტში განმეორებულია ნაცვალსახელის

20 ი. გიგინეიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 334.

სახით. გამოთქმა „რაც შეეხება“ კალკი ჩანს²¹. ქართულ ზეპირმეტყველებაში უფრო გამოყენებული ინიციალური სახელობითია, რომელიც გვხვდება დიალოგებში²².

გ ა ნ მ ე ო რ ე ბ ი ს ა თ ე ი ს

აქტუალიზაციისათვის მიმართავენ განმეორებასაც²³. ქართულში განმეორებისას ერთი და იგივე სიტყვა წარმოდგენილია უცვლელად ორჯერ ან მეტჯერ. შეიძლება მას შეენაცვლოს ნაცვალსახელიც. ახლავს დამხმარე სიტყვებიც (ნაწილაკი, კავშირი). მყარი გამოთქმები, ენობრივი ფორმულები და ა. შ. აი ზოგიერთი მათგანი:

გ ა ნ მ ე ო რ ე ბ ა რ ა ა რ ი ს მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ი თ

გამოთქმა რა არის ახლავს განმეორებულ სიტყვათაგან პირველს. განმეორებული სიტყვის, როგორც შესაძლებელიდან ყველაზე ჩვეულებრივის, უმნიშვნელოს, უმცირესის გამოორიხებით გამძაფრებულია ფრაზის შინაარსი (ფრაზა, ჩვეულებრივ, უარყოფითი მნიშვნელობისაა). მაგ.:

წყალი რა არის... წყალი! უბრალო მდინარეც კი ვერ ასცდენია ამ საყოველთაო წესსა და რიგს (აკაკი, 9, 7); მუჭზე დაყრა რა არის, მუჭზე დაყრაც არ მომივიდა (ა. ფურც., 7, 638); ის მართლაც არგასანძრევი ამდენი ხნის განმავლობაში ერთხელ რაა, ერთხელაც არ განძრეულა (დ. შენგ., 233); ერთი თვე რაა, ერთი თვეც უმისოდ ვერ გამიძლია (ტ. მეზურ., გაზ. „ლიტ. საქ.“. 7. XI. 1985, 7); მისი მჭერმეტყველება სადღაც გვერდით მირაკრაკებს, ისე, რომ შხეფი რაა, შხეფიც არ გეპყურება (ნ. მეელ. გაზ. „თბ.“. 24. XII, 1985, I).

აქტუალიზებულ სიტყვას უთუოდ ახლავს ც ნაწილაკი. ხაზგასასმელი სიტყვა მეორდება ნაცვალსახელის სახითაც. მაგ.:

ეს ოხერი თევზი ისე გამწყვარა, რომ, ერთი ჭიქყინა რა არის, ისიც ვერ ვიშოვეთო (აკაკი, 9, 440); ფრინველი რა არის, ამასაც კი არ შეეძლო გადმოფრენა ჩრდილოეთიდან საქართველოში ხევსურის ნებადაურთველად (ვაჟა, VII, 162); ჩითი და მა-

²¹ Ш. Б а л л и, Общая лингвистика и вопросы Французского языка, М., 1955, გვ. 76. С. Е. К р ю ч к о в, Л. Ю. М а к с и м о в, Современный русский язык. Синтаксис сложного предложения, М., 1977, გვ. 104.

²² ინიციალური სახელობითი შეიძლება სხვა ენებშიც იყოს. მაგ. რუსულში, იხ. Русская разговорная речь, გვ. 241-266.

²³ განმეორების მაქტუალიზებელი როლის შესახებ იხ. შ. აფრიდონიძე, სიტყვათგანლაგება ახალ ქართულში, გვ. 95-97.

რილი რა არის, ესეც კი გამოილია (მ. ჯავახ., IV, 76); ერთ-
ქალადღი, ერთი ასანთის ღერი რაა, იმასაც ვერ
დანიხავ უკრაინის მშვენიერი ქალაქების ქუჩებში (ნ. მგელ., გაზ.
„თბ.“, 24. XII, 1981, 1); ბინის აზომვა რა არის და ესეც
კი არ აღირეს მრავალი განცხადების მიუხედავად (ალ. შენგ., გაზ.
„თბ.“, 7. VII, 1987, 5); /ბავშვებს/ ერთი ღამე რაა, ისიც არ
გაუთენებიათ მამის სახლს გარეთ (ნ. მგელ., გაზ. „თბ.“, 29, IV,
1987, 6).

ხანდახან სიტყვაც მეორდება და მისი ბადალი ნაცვალსახელიც.
მაგ.: წყალი რა არის, ჩვეულებრივი წყალი, ისიც კი თბილი
და უგემურია (გაზ. „თბ.“, 16. VII, 1986, 5).

განმეორება „მანც“ ნაწილაკით

გამოხატავს სახელისათვის დამახასიათებელ იმ თვისებას, რაზე-
დაც მომდევნო ფრაზაშია ლაპარაკი. მაგ.:

ქალი მანც ქალია! ვეღარ გაძლო და წავიდა ქმრის სანახა-
ვად. დედა მანც დედაა! აპატია შვილს ყველაფერი და შინ მიი-
ყვანა. ავადმყოფი მანც ავადმყოფია, მორიდება სჭირ-
დება.

განმეორება „რა“ ნაცვალსახელით

გამოხატავს აღტაცება-მოწონებას. განმეორებულთა შორის შე-
იძლება იქნეს კავშირებიც (მაგრამ, და...). რიტორიკული კითხვით
ძლიერდება ფრაზა:

დედა, მაგრამ რა დედა! შვილებზე თავშეწირული! ქალი.
მაგრამ რა ქალი! თვალი უკეთესს ნახავს?! სუფრა, მაგრამ რა
სუფრა! ჩიტის რძე არ აკლია! რძე, რა რძე, უგემრიელესი! ქა-
ლია, რა ქალი! კეკლუცი, კენარი! (ი. გრიშ.).

განმეორება რა-რის (რის-რა) მსაზღვრელებიანო
სახელისა გამოხატავს უარყოფას, მაგ.:

რის ქართველობა, რა ქართველობა! ვითომ რას
გვავენებს უცხო ტომობა?! (ნ. ბარ., 39); რის ტუსადები, რა
ტუსადები? ვინ დაგატუსადათ? (დ. კლდ., II, 315); რა სახლი,
რის სახლი? (მ. ელიოზ., 132); რის სერვისი, რა სერ-
ვისი, როცა თვითმფრინავის სალონი ზოგჯერ ბოსლის ასოციაციას
იწვევს (გაზ. „თბ.“, 15. VII, 1986, 5); რის საჩექმე, რა საჩე-
ქმე! არსენა ჩემი ყმაა, რაც აქვს, სულ ჩემია (ყაზბ., III, 400).

„რომ“ კავშირიანი განმეორება

„რომ“ კავშირიანი განმეორება გვაძლევს თავისებურ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციას, რომლის მთავარ კომპონენტში უპირატესად ნაცვალსახელითაა წარმოდგენილი დამოკიდებულში განმეორებული სიტყვა. მთავარ კომპონენტში გადმოცემული აზრი თითქმის შეუძლებელს მიაწერს განმეორებულ სახელს და ამგვარი კონტრასტის გზით ხდება მთელი გამონათქვამის ერთგვარი ჰიპერბოლიზაცია:

ლომი რომ ლომია, იგიც არ შეუტევს უმიზეზოდ კაცს (გამს., დიდოსტ., 226); მგელი რომ მგელია, მგელი რომ მშვიერი არ დაძრწოდეს, მაკე ცხვარიც გაასწრებდა უთუოდ (იქვე, 197); სალამური რომ სალამურია, ხალხი იმითაც კი ცრემლებს იხოცავს (ტ. ტაბ., 172); ქათამი რომ ქათამია, არც იმას აკლია ქართული თავაზიანობა (ალ. ჭინჭ., გაზ. „ლიტ. საქ.“, 20. XII, 1985, 13); რწყილი რომ რწყილია, ისიც არ მომიკლავს (ნ. დუმბ., მე, ბებია... 258); დახველება რომ დახველებაა, ისიც ბეგლარასთანაა დაკავშირებული (იქვე); მუშა რომ მუშაა, ამ სოფელში ისიც თბილისიდან ან გორიდან მოპყავთ (მ. ელიოზ., 120); მზე რომ მზეა, ისიც კი ჩრდილს ისვრის (შატბ., II, 190).

ზოგჯერ განმეორებული სახელი მთავარ კომპონენტშია. მაგ.: ქართული როა, ქართულშიც კი ორი აქვს მიღებული (რ. ინან., ერთტ., 112).

განმეორება კითხვითი სიტყვის შემცველ წინადადებაში ხდება ზმნისა. განმეორებულ ზმნას ახლავს კითხვითი სიტყვა, დამოკიდებული კომპონენტი მთავარს უერთდება „რომ“ კავშირით. ფრაზა გამოხატავს უარყოფითს ემოციას. მაგ.:

რას კნავი, რომ კნავი?! გეწყინა? (ნ. დუმბ., მე, ბებია... 111); რაღას აფრენ, რომ აფრენ?! (მ. ელიოზ., 438); ვის უყვირი, რომ უყვირი?! რომ ჩივი, რას ჩივი?!

განმეორება მყარ გამოთქმაში თუ იყო, ის იყო ხდება ზმნისა, გამოხატულია ძლიერი ემოცია, უპირატესად დადებითი. „არის“ ზმნის გარდა ამგვარ შენაერთს ქმნის სხვა ზმნებიც, კერძოდ, „აქვს“ და „პყავს“. მაგ.:

ცეკვა თუ იყო, ის იყო (რ. ჭეიშ., 48): ქალი თუ იყო, ის იყო! აბა აქ იყო უღაბნო, თუ იყო (მ. ელიოზ., 108); აბა მე მყავს ძაღლი, თუ მყავს (ნ. დუმბ., გლად., 241); ქონება თუ აქვს, იმას აქვს!

განმეორება აქტუალიზაციის მიზნით ხდება პარონომაზიულ გამოთქმეებში, რომლებშიც მასდარი (ან აბსტრაქტული არსებითი სახელი) მოქმედებითი ბრუნვის ფორმით სინტაგმას ქმნის იმავე ფუძის ზმნის პირიან ფორმასთან. მაგ. წერით წერს, ჭამით ჭამს, სიცოცხლით ცოცხლობს და ა. შ. ასეთი სახელი უფრო ხშირად წინ უძღვის ზმნას და ხაზგასმით გამოყოფს მას. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს დიალოგებში, როცა II რეპლიკაში თანამოსაუბრე იმეორებს იმ ზმნას, რაც I რეპლიკაში იყო, და მის ხაზგასმას ახდენს სწორედ პარონომაზიის საშუალებით. მაგ.:

აგრე ბეჯითად რომ ამბობ, გინახავს შენის თვლით შენ ჭინკა? — „ნახვით არ მინახავს, მარა გაგონებით კი სწორედ გამიგონია მისი ხმა“ (აკაკი, 222); — „ქორი ჩამოეკიდა ხის წვეროზე და უნდა აუშვა როგორმე“. — „ბატონი ბრძანდებით! ასვლით ავალ ხეზე, მაგრამ იშტო რომ ვეღარ მიმაგრებს წვეროში?“ — „პო და, საქმეც ეგ არის... თვარა ასვლით განა ჩვენ კი ვერ ავიდოდით?“ (იქვე, 139); — „მაშ, რას გიჩივის, მცემპაო?“ — „ცემით კი ვცემე“ (ილია, 8, 274); — „ხომ მოხერხება შეიძლება?“ — „არა, შეიძლებით კი შეიძლება, მაგრამ თავს ვინ გამოიმეტებს?“ (იქვე, 169); — „მუსტაფა ადას ეტყობა, ქართველებს ძალიან შეუშინებიათ“. — „შეშინებით არ შევეუშინებ ივარ, მაგრამ ვაუკაცობა და სიგულადე მტრისათუ მოკეთისა საქებურია!“ (ყაზბ., III, 455); — „ქაიხოსროს შვილს ჯობია?“ — „ჯობნით სწორედ ვერ ჯობია!“ (დ. კლდ., 16, 70); — „ადვოკატი რომაა, ივანე გვერდევანიძე... გეცნობებათ“ ... — „ცნობით რავე არ ვიცნობ, ბიძაჩემია ის სულწაწყმედილი“... (იქვე, 142). — „საქმელს მაინც თუ ჭამს?“ — „ჭამით კი ჭამს ცოტას“; — „ახალი კაცი ხომ არ მოჰყავთ დირექტორად?“ — „მოყვანით ვინ უნდა მოიყვანონ?! ისეთი არავინ არის“ (საუბრიდან).

პარონომაზიული გამოთქმა შეიძლება იყოს პირველ რეპლიკაშიც და მეორეშიც, რითაც ხაზი ესმის იმ მოქმედებებს, რომლებიც ლოგიკურად არსებითია მოსაუბრისათვისაც და თანამოსაუბრისათვისაც. მაგ.:

„— გახსენებით მაინც თუ გაგხსენებია შენი შვილი?“ — „გახსენებითაც გამხსენებია და დახმარებითაც ვეხმარებოდი“.

პარონომაზია ამავე დანიშნულებით შეიძლება შეგვხედეს მოსაუბრის გაბმულ მეტყველებაშიც. მაგ.:

მანანა მოკითხვითაც აღარ მკითხულობს? (ნ. ბარ., 93); გართობით ისე გამართო ახალ-ახალ უცხო სანახაობამ, რომ დროს ველარ ვგებულობდი (აკაკი, 9, 75); იქ ხომ ხენით არავინა ხნავს, არც ვინ რას სთესავს თესითა (ვაჟა, 12, 294); გაგონით არავისა ჰქონდა გაგონილი, რომ თავზედი მტერი ოდესმე შეჰსეოდეს ამ უგზო-უკვლო და მამაცი ხალხით დასახლებულ ქვეყანას (ვაჟა, VII, 162); პოლკოვნიკმა გამოთქვა თავისი გაკვირება, აკრძალვით კი არ აუკრძალავს ამ გაზეთის ტრიალი ოფიცრობაში (დ. კლდ., II, 270); რამდენიმეს საპასუხო დილა მშვიდობისა გაუგზავნა ვაჟამ, ცნობით კი არავინ უცვნია (მ. ელიოზ., 461); გულზე ცოტა მოეშვა, დაძინებით კი მაინც ვერ დაიძინა (ფანჯ., 439); გამოძახებული ხელოსანი გაფუჭებულ ტელევიზორს ნახვით კი ნახავს, მაგრამ გაკეთებით კი ვერ გააკეთებს (ნ. მგელ., გაზ. „თბ.“ 22. X, 1985, 3).

ყველა ზემოთ დასახელებულ შემთხვევაში პარონომაზიულ გამოთქმაში მოცემული მასდარი მშრალი ინფორმაციის თვალსაზრისით თითქოს ჰარბი ჩანს, მაგრამ სტილისტიკური ფუნქციით კი დატვირთულია. და სწორედ ამის გამო პარონომაზია ძალიან გავრცელებული კონსტრუქციაა. იგი უხვად გვხვდება ძველ ქართულ ძეგლებში. ამ მოვლენას უცხო ენების გავლენით ხსნიდნენ²⁴. ივ. იმნაიშვილის აზრით, პარონომაზია ქართულ ნიადაგზეა წარმოშობილი²⁵. ამას ადასტურებს მისი გავრცელებულობა დიალექტებშიც, ქართველურ ენებშიც²⁶. საერთოდ, პარონომაზიას ცოცხალ (ზეპირ) მეტყველებაში აქვს სათავე²⁷.

ისმის კითხვა: რა სინტაქსური ფუნქცია აქვს მოქმედებითში დასმულ სახელს? აქ მკვლევართა აზრი განსხვავებულია: ზმნის

24 კ. წერეთელი, პარონომაზია ქართულში, ივე, VI, 1954, გვ. 476.

25 ივ. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნებათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957, გვ. 234—244.

26 ა. კიზირია, მარტივი წინადადების შედგენილობა ქართველურ ენებში, თბ., 1982, გვ. 180.

ა. კიზირია სამართლიანად მიუთითებდა, რომ ამ საკითხს საგანგებო შესწავლა ესაჭიროება ქართველურ ენათა შედარების საფუძველზე, მით უმეტეს, რომ მოქმედებითთან ერთად პარონომაზიულ გამოთქმებში ხანდახან ვითარებითიც იჩენს თავს. იხ. მისი, მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბ., 1963, გვ. 209. გ. კართოზიამ „ვეფხისტყაოსანში“ შენიშნა პარონომაზიის ისეთი შემთხვევებიც, როცა ზმნისთან მასდარი მიცემითს ბრუნვაშია და პირმიმართი დამატების ფუნქცია აქვს (მაგ.: სთმობდეს გაყრისა თმობასა...) იხ. მისი, რუსთველური პარონომაზია: კრ. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის საკითხები, თბ., 1975, გვ. 15—16.

27 ივ. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 242—243.

მიერ მოქმედებით ბრუნვაში მართული მისივე მასდარი, ა. შანიძის აზრით, უბრალო დამატებაა²⁸. კ. წერეთელი თვლის, რომ „პარონომაზია სხვა არაფერია, თუ არა შედგენილი შემასმენელი — ერთი ვერბალი ცნების გამომხატველი“²⁹. ა. დავითიანისათვის პარონომაზიულ გამოთქმებში შემავალი სახელი გარემოების ფუნქციის მქონეა. „სიტყვათშეხამებებში ისინი შეიძლება გამოხატავდნენ მოქმედების ინტენსიობის გაძლიერებას: სირცხვილით რცხვენოდა, სიკვდილით მოკვდა და სხვ.; მოქმედების გამორიცხვას (ამ შემთხვევაში ზმნას, საზოგადოდ, უარყოფითი ნაწილაკი ახლავს): ჭამით არ შეუჭამია, ცხოვრებით არ უცხოვრია, სიკვდილით არ მომკვდარა და სხვ. აღნიშნულია აგრეთვე მოქმედების აუცილებლობისა (აღებთ აიღეს) და განმეორება-ხანგრძლიობის (სვლით ვიდოდა) შინაარსიც“³⁰. აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ის ფაქტი, რომ პარონომაზიულ გამოთქმებში სახელის სინტაქსური ფუნქცია ნათელი არ არის³¹. იგი უბრალო დამატებას ჰგავს მხოლოდ ფორმით (მართული სახელია); შედგენილი შემასმენლის კომპონენტი მართული სიტყვა ვერ იქნება, გარემოებაც არ არის. ვითარების გარემოების ფუნქცია პარონომაზიულ გამოთქმაში შემავალ სახელს მაშინ აქვს, თუ მას ახლავს თავისი მსაზღვრელი. მაგ.:

შენ, საყვარელო, ნუ სკმუნავ ჭმუნვითა ამისთანითა (რუსთ., 1302); ავთანდილ ქვაბსა დამალა ქალმან დამალვით მალითა (იქვე, 266,1); ავთანდილ სარკმლით უჭვრეტდა ჭვრეტითა იღუმალითა (იქვე, 4); აწ შემისხვეწე, ნუ დამწვავ კვლა წვითა უცხელესითა (იქვე, 928, 1); ხმელი წიფელი ამოიკვნესებს ღრმა კვნესით (ეაჟა, 12, 327); თბილისი ახლა საგამოცდო ცხოვრებით ცხოვრობს (მ. ეპიტ., გაზ. „ახ. კომ.“, 21.VII.1982, 2); ბედშავმა დაიძინა საუკუნო ძილით; არ შეეძლო პაოლო იაშვილს იმ სიცოცხლით ეცოცხლა, რომელიც მბებზლარობისა და ჯაშუშობის ფასად იყო ნაყიდი (ვ. ხარჩ., გაზ. „ლიტ. საქ.“, 22.VII,1988,11).

28 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, II, სინტაქსი, 1948, გვ. 44.

29 კ. წერეთელი, დასახ. ნაშრ., გვ. 476.

30 ა. დავითიანი, ქართული ენის სინტაქსი, გვ. 410.

31 სწორედ ამიტომ გ. კარტოზია, როცა აანალიზებს ასეთ პარონომაზიულ გამოთქმებს — „სთმობდეს გაყრისა თმობასა“, — აღნიშნავს, რომ ჩვეულებრივ ფრაზად გადაკეთებისას მასდარის გაგება იკარგება, ხოლო ამ მასდართან დაკავშირებული უბრალო დამატება პირმიმართ წევრად იქცევა. „სთმობდეს გაყრისა თმობასა“ შინაარსობრივად იგივეა, რაც სთმობდეს გაყრას; სხვაგან: მოთმენა ჩემთა სასჯელთა: თმენისა=ჩემთა სასჯელთა მოთმენა და ა. შ. დაწერ. იხ. გ. კარტოზია, დასახ. ნაშრ., გვ. 15—16.

„ამოიკენესებს ღრმა კენესით“ იგივეა, რაც „ღრმად ამოიკენესებს“. სხვა შემთხვევაში პარონომაზიის მასდარს ვითარების გარემოების ფუნქცია, ჩვენი აზრით. არა აქვს. ე. ი. „ჭამით არ ჭამს“, „სმით სვამს“ — აქ სახელები მოქმედების ვითარებას კი არ გვიჩვენებენ. არამედ მხოლოდ მოქმედებას გახაზავენ: რაც შეეხება სმას... რაც შეეხება ჭამას... ე. ი. მოქმედებით ბრუნვაში დასმული სახელი აქტუალიზატორია.

დასკვნები

1. ზეპირი მეტყველება ექსპრესიულ-ემოციური ხასიათისაა. აქ მძლავრად მოქმედებს ეკონომიის პრინციპი, რითაც შეპირობებულ-ია შესიტყვებათა კვეცა მარტივ წინადადებაში, პრედიკატულ ერთეულთა (კომპონენტთა) კვეცა რთულ ქვეწყობილ კონსტრუქციაში. კვეცა ხორციელდება მყარი, სტერეოტიპული გამოთქმების გამოტოვებით, განმეორებულ პრედიკატთა რაოდენობის შემცირებით, კონტექსტით ადვილად საგულისხმებელი ზმნების გაუჩინარებითა და კომპონენტების შერწყმით. შერწყმის შედეგად რჩება რთული ქვეწყობილი წინადადების ერთი კომპონენტი — მთავარი ან დამოკიდებული. დარჩენილ კომპონენტში გაერთიანებულია შეკვეცილი კომპონენტის ის ნაწილი, რომელიც აზრობრივად აუცილებელია, და იგი მოთავსებულია შემასმენლის წინ, რითაც ხდება მისი ხაზგასმა, აქტუალიზაცია. ამ გზით მიიღება ე. წ. „ნაპიპოტაქსარი მარტივი“ კონსტრუქციები, რომლებიც იმით ჰგვანან ორზმნიან (ბივერბალურ), ანუ მოდალური ზმნისა და ძირითადი ზმნის შეერთებით მიღებულ კონსტრუქციებს (მინდა ვიყო ბავშვი და მისთ.), რომ ჰიპოტაქსისაგან მომდინარეობენ. შერწყმაში ვლინდება ზეპირი მეტყველებისათვის დამახასიათებელი სინკრეტიზმი გამოხატვის ასპექტში. შერწყმით კომპონენტების რაოდენობა მცირდება ერთი (იშვიათად — ორი) ერთეულით.

2. რთული ქვეწყობილი წინადადების კომპონენტების რაოდენობა მცირდება მაშინაც, როცა რომელიმე მათგანი (მთავარი ან დამოკიდებული) ფრაზეოლოგიურ (ან ლექსიკალიზებულ) შესიტყვებად გადაიქცევა, რაც, აგრეთვე, დამახასიათებელია ცოცხალი მეტყველებისათვის (ეს არის, ის იყო, სადაცაა, ვიდაცაა, რადაცაა...).

ეს პროცესი შორს წასულა მეგრულ-ქანურში, სადაც რიგი განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელებისა და ზმნისართებისა წარმოქმნილია დამოკიდებული წინადადებებისაგან, რომლებიც აგებულია ამგვარი მოდელით: განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი // განუსაზღვრელობითი ზმნისართი + „არის“ ზმნა + კავშირი-ნაწილაკი (ნო) (ი. ყიფშიძე, გ. როგავა).

კომპონენტთა კვეცას იწვევს სხვადასხვა ფაქტორი: კონტექ-

ღატაკ-სიტუაციური, ექსპრესიულ-ემოციური და მათი ამსახველად ინტონაცია. არის აგრეთვე ენის სინტაქსური სისტემისათვის დამახასიათებელი ერთპრედიკატიანი ქვექვეყნობაც. ერთპრედიკატიანი ჰიპოტაქსით, ჩვეულებრივ, გამოხატულია მსგავსებითი და სხვაობითი შედარება, დადასტურებითი და დაპირისპირებითი პირობით-შედევობითი მიმართება.

3. ზეპირ მეტყველებაში ყურადღებას იქცევს ერთი ჯგუფი კითხვითი ჰიპოტაქსური კონსტრუქციებისა, რომელთა მთავარი კომპონენტი შედგება კითხვითი სიტყვისა და „არის“ ზმნისაგან (ვინ არის, რომ... რა არის,, რომ... და მისთ.). ასეთი მთავარი კომპონენტების შემცველი ჰიპოტაქსური წინადადებებიც ავლენენ „გამარტივების“ ტენდენციას, რაც გამოიხატება, ერთი მხრივ, მთავარი წინადადების ნულოვან პრედიკაციაში და, მეორე მხრივ, დამოკიდებული წინადადების ზმნის მიერ მთავარში წარმოდგენილი კითხვითი ნაცვალსახელის ბრუნვის მართვაში (ვისაა, რომ უყვირი და მისთ.). ეს პროცესები საერთო-ქართულური ჩანს.

4. ლექსიკურ აქტუალიზატორთა შორის ძალიან დიდია „არის“ ზმნის ხვედრითი წონა. ეს სიტყვა ცალკეც და დამახასიათებელ გამოთქმებშიც გვხვდება, როგორც ემფატიკური საშუალება.

5. ზეპირ მეტყველებაში რთული წინადადების კომპონენტების განლაგება ზოგჯერ საკომუნიკაციო მიზანდასახულებას ემორჩილება და არა ფორმალურ-გრამატიკულ სტრუქტურას. ასეთ შემთხვევაში მთავარი კომპონენტი დამოკიდებულშია ჩართული. ინტერპოზიციაში ხვდება მთავარი, თუ ის ერთი ან ორი სიტყვისაგან შედგება, ე. ი. მოკლეა, და ინფორმაციის თვალსაზრისით საგულისხმოს არაფერს იძლევა. ინტერპოზიციაში, ჩვეულებრივ, ექცევიან ზმნები ან ზმნურთ შესიტყვებები, რომლებიც გამოხატავენ მოქმელის დამოკიდებულებას გამონათქვამისადმი, ან თანამოსაუბრის ყურადღების მისაპყრობად არიან მოხმობილი.

ასეთი ზმნები და ზმნური შესიტყვებები ჩართულებს ჰგვანან. მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ყველა მათგანის ჩართულად მიჩნევა გაჭირდება. ჩვენი აზრით, ჩართულად ჩაითვლებიან ისინი, რომელთაც მყარ სიტყვათშეხამების სახე აქვთ (რა თქმა უნდა, რასაკვირველია, უეჭველია, ასე გასინჯეთ და მისთ.). თუ ჩართული ზმნა ან ზმნური შესიტყვება სხვადასხვა გავრცობილი სახით გვხვდება (მაგ.: მე კარგად ვიცი, მე უკეთ ვიცი, მე ასე ვიცი...), მას, ალბათ, ჩართულებს ვერ მივაკუთვნებთ, მით უმეტეს მაშინ, თუ მისი ამოღებით კონსტრუქცია ირღვევა, ან მოდალობას იცვლის.

6. ზეპირი მეტყველებისთვის ნიშანდობლივია თხოვნითი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ი ს ა ლ წ ე რ ი თ ი წ ა რ მ ო ბ ე ბ ა : 1) ზ მ ნ ი ს ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ი ს ფ ო რ -
მ ა + რ ა (მ ო ლ ი, რ ა!). ე ს რ ა მ ო მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ს მ თ ე ლ ი გ ა მ ო თ ქ მ ი ს ა გ ა ნ
რ ა ა რ ი ს (// რ ა ი ქ ნ ე ბ ა), რ ო მ ე ლ ი ც უ ფ რ ო ხ შ ი რ ა დ შ ე კ ვ ე ც ი ლ ი ა, ხ ა ნ კ ი
ს რ უ ლ ი ს ა ხ ი თ ა ც გ ვ ხ ვ დ ე ბ ა (დ ა მ ი თ მ ე, რ ა ა რ ი ს — დ ა მ ი თ მ ე, რ ა!... მ ო -
მ ე ც ი, რ ა ი ქ ნ ე ბ ა...).

თ ხ ო ვ ნ ა გ ა დ მ ო ი ც ე მ ა ზ მ ნ ი ს ფ ო რ მ ა ს დ ა რ თ უ ლ ი „ ო ლ ო ნ დ “ კ ა ვ -
შ ი რ ი თ ა ც (ო ლ ო ნ დ დ ა მ ე ხ მ ა რ ე ...), მ ა გ რ ა მ ა ს ე თ ი შ ე ხ ა მ ე ბ ა გ ვ ხ ვ დ ე ბ ა
უ თ უ ო დ ქ ვ ე წ ყ ო ბ ი ლ წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა შ ი, რ ო მ ლ ი ს მ თ ა ვ ა რ კ ო მ პ ო ნ ე ნ ტ შ ი
ნ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ი ა ი ს შ ე დ ე გ ი, დ ა თ მ ო ბ ა, რ ა ც თ ხ ო ვ ნ ი ს შ ე ს რ უ ლ ე ბ ა ს უ ნ დ ა
მ ო ჰ ყ ვ ე ს .

ს ა ყ უ რ ა დ ლ ე ბ ო ა ი ს ფ ა ქ ტ ი, რ ო მ „ ო ლ ო ნ დ “, რ ო მ ე ლ ი ც ს ა შ უ ა ლ
ქ ა რ თ უ ლ შ ი დ ი დ ა დ გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ უ ლ ი „ ო ლ ო ნ ო დ “ („ ო ლ ო ნ ი ო დ “) ზ მ ნ ი -
ს ა რ თ ი ს ა გ ა ნ მ ო მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ს . მ ა პ ი რ ი ს პ ი რ ე ბ ე ლ ი კ ა ვ შ ი რ ი ს ფ უ ნ ქ ე ც ი ა ს ა ც
ა ს რ უ ლ ე ბ ს დ ა მ ა ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ ე ბ ლ ი ს ა ს ა ც . პ ი რ ო ბ ი ს კ ა ვ შ ი რ ა დ გ ა მ ო ყ ე ნ ე -
ბ უ ლ ი „ ო ლ ო ნ დ “ ე გ უ ე ბ ა ზ მ ნ ი ს ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ი ს (ა ნ კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი ს) ფ ო რ -
მ ე ბ ს . ა მ ს ი ტ ყ ვ ი ს შ ე მ ც ვ ე ლ ი პ ი რ ო ბ ი თ ი დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ი ს ა თ ე ი ს, რ ო -
მ ე ლ ი ც ს ა შ უ ა ლ ქ ა რ თ უ ლ შ ი ი ქ მ ნ ე ბ ა, ჩ ა მ ო ყ ა ლ ი ბ ე ბ ი ს დ ა ს ა წ ყ ი ს ე ტ ა პ -
ზე პ რ ე პ ო ზ ი ც ი ა ა ნ ი შ ა ნ დ ო ბ ლ ი ვ ი . ა მ დ რ ო ს „ ო ლ ო ნ დ “ ჯ ე რ კ ი დ ე ვ
ზ მ ნ ი ს ა რ თ ი ა, რ ი ს გ ა მ ო ც მ თ ა ვ ა რ ს ა დ ა დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ კ ო მ პ ო ნ ე ნ ტ ე ბ ს
ა ე რ თ ე ბ ს „ დ ა “ კ ა ვ შ ი რ ი ც „ ო ლ ო ნ დ “ + „ დ ა “ ნ ი შ ნ ა ვ ს გ ა ნ უ მ ტ კ ი ც ე ბ ე ლ
ჰ ი პ ო ტ ა ქ ს უ რ კ ო ნ ს ტ რ უ ქ ე ც ი ა ს, რ ო მ ე ლ ი ც ჯ ე რ კ ი დ ე ვ ზ ი ს პ ა რ ა ტ ა ქ ს ი ს
„ ხ ა რ ა ჩ ო შ ი “ . ა მ გ ვ ა რ ს ა ვ ე ვ ი თ ა რ ე ბ ა ს გ ვ ი ჩ ვ ე ნ ე ბ ს ა მ ა ე ე პ ე რ ი ო დ შ ი შ ე -
ქ მ ნ ი ლ ი მ ე ო რ ე ჰ ი პ ო ტ ა ქ ს უ რ ი კ ა ვ შ ი რ ი ს (დ რ ო ი ს კ ა ვ შ ი რ ი თ უ ა რ ა)
შ ე მ ც ვ ე ლ ი კ ო ნ ს ტ რ უ ქ ე ც ი ე ბ ი ც, რ ო მ ლ ე ბ შ ი ც თ უ ა რ ა + დ ა უ ჩ ვ ე უ -
ლო არ ჩ ა ნ ს (მ ა გ . : დ ა ბ რ უ ნ დ ე ბ ა თ უ ა რ ა დ ა ი მ წ ა მ ს ვ ე ი მ ი ს კ ი თ ხ ვ ა -
შ ი ა ... დ . კ ლ დ . II, 36) . ე . ი . ზ ე პ ი რ ი მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ა ა დ ა ს ტ უ რ ე ბ ს, რ ო მ
ჰ ი პ ო ტ ა ქ ს ი ს ა კ ე ნ მ ი მ ა ვ ა ლ ი გ ზ ა პ ა რ ა ტ ა ქ ს ზ ე გ ა დ ი ს .

7. ზ ე პ ი რ ი მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ი ს ძ ი რ ი თ ა დ ი ფ ო რ მ ა — დ ი ა ლ ო გ ი — ხ შ ი -
რ ა დ დ ა მ ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ე ლ ი ს ტ ი ლ ი ს ტ ი კ უ რ ი ფ უ ნ ქ ე ც ი ს მ ქ ო ნ ე ს ი ტ ყ ვ ა თ -
შ ე ხ ა მ ე ბ ე ბ ს ი ძ ლ ე ვ ა . ა მ ი ს ს ა ი ლ უ ს ტ რ ა ც ი ო დ ა ა მ ო ხ მ ო ბ ი ლ ი კ ი თ ხ ვ ა -
პ ა ს უ ხ ი ს ნ ი მ უ შ ე ბ ი, რ ო მ ლ ე ბ შ ი ც ს პ ე ც ი ფ ი კ უ რ ი ს ი ნ ტ ა ქ ს უ რ ი კ ო ნ ს ტ რ უ -
ქ ე ც ი ე ბ ი ი ჩ ე ნ ს თ ა ვ ს (ი ტ ყ ვ ი ს რ ო მ ე ლ ი ა დ ა მ ი ს თ .) .

РЕЗЮМЕ

1. В грузинской разговорной речи сокращаются некоторые виды сложноподчиненных предложений, состоящие как из двух, так и более компонентов (предикативных единиц). При сокращении опускается или предикат в одном компоненте, или весь компонент, или же путем слияния главных и придаточных частей образуется «опрощенная» конструкция. Сокращение осуществляется по-разному: а) пропуском стереотипных выражений; б) уменьшением количества повторяющихся предикатов; в) пропуском глаголов, легко восстанавливающихся по контексту; г) слиянием главных и придаточных частей.

В первой статье рассмотрены случаи сокращения как главного, так и зависимого компонентов, обусловленные, то контекстуальными, то ситуативно-экспрессивными факторами.

2. К сокращению следует отнести и случаи превращения одного из компонентов сложноподчиненного предложения в фразеологическое соединение, в результате которого число предикативных единиц сокращается. Процесс фразеологизации наблюдается во всех картвельских языках, особенно нагляден он в занском языке, в котором целый ряд неопределенных местоимений и наречий берет начало от зависимого компонента путем опущения в нем глагола «быть» (И. Кипшидзе, Г. Рогава).

3. В разговорной речи распространены также однопредикативные сложноподчиненные предложения, выражающие сравнение по сходству и по различию и утвердительно-положительное условие.

Сравнение по различию выражается в сложноподчиненном предложении, зависимая часть которого присоединяется к главной части союзом *vidre* («чем»).

Обязательными структурными элементами таких предложений являются степени сравнения прилагательных и наречий и глаголы, указывающие на предпочитаемое действие.

Расположение частей сложноподчиненного предложения строго закреплено: подчиненная часть следует за главной.

Однопредикативное сложноподчиненное предложение, содержащее условное придаточное, имеет особые структур-

ные показатели: в главной части вопросительные или отрицательные слова, в придаточной — частицы: ага («не») или maile («все-таки») в сочетании с союзом tu («если»).

В однопредикативных сложноподчиненных предложениях, как правило, зависимая часть без предиката, но это вызвано не контекстуально-ситуативными факторами, а синтаксической моделью предложения.

4. В разговорной речи наблюдается тенденция «упрощения» некоторых видов сложноподчиненных вопросительных предложений, а именно тех, главная часть которых состоит из вопросительного слова и глагола agis («есть»). «Упрощение» проявляется, с одной стороны, в нулевой предикации главного компонента, с другой стороны, в синтаксическом слиянии главных и придаточных частей.

5. Расположение компонентов сложноподчиненного предложения нередко обусловлено коммуникативным заданием. Главный компонент обрамляется информативно «весомым» зависимым компонентом в следующих случаях, когда: а) главная часть обозначает определенный отрезок времени, выполняя функцию обстоятельства времени при сказуемом придаточного предложения; б) глаголы и глагольные сочетания выражают отношения говорящего к высказыванию, или призывы ко второму лицу с целью привлечь его внимание. Такие «главные компоненты» от вводных слов и словосочетаний отличаются тем, что изъятием их подчинительная связь разрушается или же меняется модальность высказывания.

6. В разговорной речи употребляются предложения, являющиеся переходной ступенью от сочинения к подчинению. Такая конструкция создается при помощи союза oʻyond («только») + da l («и»). Союз oʻyond в сочетании с формами изъявительного наклонения глагола выполняет функцию противительного союза, а в сочетании с формами повелительного (gesp. сослагательного) наклонения выступает в функции подчинительного союза условия.

7. В диалогической речи поражаются специфические синтаксические конструкции, обладающие большими стилистическими возможностями. В работе рассмотрены некоторые из них.

შემოკლებათა განმარტება

- ვრ. აბ. — ვრ. აბაშიძე, ცოტნე ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება, თბ., 1975.
- აკაკი — აკაკი წერეთელი, თხზ. სრ. კრ. 15 ტომად. ტ. II, ლექსები, თბ., 1950, ტ. IV, 1948; — რჩ. ტ. VII—1958; XII — „ჩვენი საუნჯე“, 12, 1968; 9 — „ქართული პროზა“, 9, 1985; ლექსები, პოემები, თბ., 1948.
- ამირდრეჭ — მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, „ქართული პროზა“, 2, თბ., 1982.
- არაგვ. I — შიო არაგვისპირელი, თხზ., ტ. I, თბ., 1947.
- ლ. არდაზ. — ლავრენტი არდაზიანი, სოლომონ ისაკიძე მეჭლანუაშვილი, „ქართ. პროზა“, 7, თბ., 1984.
- არჩ. — არჩილიანი, თხზ. სრ. კრებული, ტ. I, თბ., 1936; ტ. II, 1937; „ჩვენი საუნჯე“, 4, თბ., 1960.
- ლ. ასათ. — ლადო ასათიანი, რჩეული, თბ., 1988.
- აღბულას სამართ. — აღბულა ათაბაგ-ამირსპასალარის სამართალი, გამოც. ი. დოლიძის მიერ: ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953.
- ბანოვ. — ბანოვანი (დესპინე გელოვანი), შორეული ლანდები, თბ., 1960.
- იესე ბარ.—იესე ბარათაშვილი, ცხოვრება-ანდერძი, „ქართული პროზა“, 5, თბ., 1983.
- ნ. ბარათ. — ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებანი, 1945; „ჩვენი საუნჯე“, 6, 1960.
- ვ. ბარნ. — ვასილ ბარნოვი, თხზ., სრ. კრ., ტ. I, თბ., 1960.
- ა. ბაქრ. — აკაკი ბაქრაძე, სულის ზრდა, თბ., 1986; ი. ქ. — ილია ქაქუაძე, თბ., 1984.
- ბაჩანა — თადლაურა, საფრთხე, „ქართული პოემა“, წიგნი III, თბ., 1986.
- ა. ბელ. — აკაკი ბელიაშვილი, მოთხრობები, თბ., 1954.
- ლ. ბრეგ. — ლალი ბრეგაძე, ბიკები, თბ., 1984.
- ბ. გაბ. — კვესტრული მასალები — ბეს. გაბუერიის მიერ შეკრებილი, პროფ. ა. შანიძის რედაქციით, — კრ. „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული, I—II, ტფ., 1923—1924.
- ტ. გაბ. — ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსვლა — „ქართული პროზა“, 5, თბ., 1983.
- კ. გამს. — კონსტანტინე გამსახურდია, ტ. II, თბ., 1959, ტ. V, 1961; დიდოსტ.— დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა, თბ., 1946.
- ი. გოგ. — იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. V, თბ., 1957.
- ი. გრიშ. — იოსებ გრიშაშვილი, ერთტომეული, თბ., 1949.
- დ. გურ. — დ. გურამიშვილი, დავითიანი, „ჩვენი საუნჯე“, 5, 1960.
- შ. დად. — შალვა დადიანი, რჩეული თხზულებანი, ტ. II, 1959.
- ლიალ. — ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, ივ. ქავთარაძე. ქართული დიალექტოლოგია, ტ. I, თბ., 1961.
- თ. დონე. — თინათინ დონეაშვილი, ალაზანზე, რომანი, თბ., 1965.
- ნ. დუმბ. — ნოდარ დუმბაძე, მე, ბებია, ილიკო და ილარიონი, თბ., 1966; მზიანი ღამე, თბ., 1967; გლადიატორი, თბ., 1969; მზე, თბ., 1874.

- ს. დურმ. — სერგი დურმიშიძე, ზოგი რამ წარსულიდან, თბ., 1985.
- მ. ელიოზ. — მერაბ ელიოზიშვილი, პიესები და კინოსცენარები, თბ., 1982.
- რ. ერისთ. — რაფეელ ერისთავი, თხზ., ლექსები, პოემები, თბ., 1974.
- ვაჟა — ვაჟა-ფშაველა, თხზ., ტ. II, 1979, ტ. VII, 1956; რჩეული „ჩვენი საუნჯე“ — 12, 1961; რჩეული — ლექსები, პოემები, პიესები, თბ., 1960.
- ვისრ. — ვისრამიანი, 1964; „ქართ. პროზა“, 2, 1982.
- თეიმ. I — თეიმურაზ I, თხზ., „ჩვენი საუნჯე“ 4, თბ., 1953.
- თეიმ. II — თეიმურაზ II, თხზ., სრ. კრებული, თბ., 1939;
- ილია — ილია ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრ. 10 ტომად, ტ. I, თბ., 1951; ტ. IV, 1955; რჩ. თხზ., ორ ტომად, ტ. II, 1948; 8 — „ქართული პროზა“, 8, 1984; „ჩვენი საუნჯე“, 7, 1960.
- რ. ინან. — რეზო ინანიშვილი, ბარისაყენ მოფრინავს ჭაფურა, თბ., 1974; შორი-თეთრი მწვერვალი, თბ., 1979; ერთტომეული, თბ., 1981.
- იოანე ბატონ. — იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, „ქართ. პროზა“, 6, 1984.
- ა. კალ. — ანა კალანდაძე, ლექსები, თბ., 1973.
- მ. კახ. — მედეა კახიძე, მემღერებოდეს ოლონდ, ლექსები, თბ., 1972.
- დ. კლდ. — დათეი კლდიაშვილი, თხზ., ორ ტომად, ტ. II, 1952; 16 — „ქართული პროზა“, 16, თბ., 1988.
- ა. კუსრ. — ა. კუსრავილი, ესე არს დღე, თბ., 1970.
- ლ. ტ. — ირინე ასათიანი, ქანური (ლაზური) ტექსტები, თბ., 1974.
- გ. ლეონ. — გიორგი ლეონიძე, რჩეული, თბ., 1958; ნატერის ხე, თბ., 1962.
- ქ. ლომთ. — ქოლა ლომთათიძე, თხზ., სრ. კრ. I, თბ., 1971.
- ნ. ლორთქ. — ნიკო ლორთქიფანიძე, რჩ. თხზ., ტ. II, 1952 და 1976.
- მ. ტ. — ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, I, პოეზია, თბ., 1975.
- მ. მრეველ. — მიხეილ მრეველიშვილი, მოთხრობები, თბ., 1953.
- ლ. მრეველ. — ლადო მრეველიშვილი, ყაბახი, თბ., 1972.
- ნ. ნიკ. — ნიკო ნიკოლაძე, თხზ. ტ. II, თბ., 1961; ტ. III—1963; ტ. V, 1966.
- ნინოშ — ეგნატე ნინოშვილი, რჩეული, „ჩვენი საუნჯე“, 13, თბ., 1961.
- ალ. ორბ. — ალექსანდრე ორბელიანი, მოთხრ., „ქართული პროზა“, 7, თბ., 1984.
- გრ. ორბ. — გრიგოლ ორბელიანი, თხზულებანი, „ჩვენი საუნჯე“ 6, 1960.
- რუსთ. — შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“ ა. შ ა ნ ი ძ ი ს ა და ა. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს რედაქციით, თბ., 1966; 3 — „ჩვენი საუნჯე“, 3, 1960.
- რუსუდ. — რუსუდანიანი, ილ. აბუ ლაძისა და ივ. გიგინეიშვილის რედაქციით, თბ., 1957.
- გრ. რჩეულ.—გრიგოლ რჩეულიშვილი, მოთხრობები, „ქართული პროზა“, 7, თბ., 1984.
- გურ. რჩეულ. — გურამ რჩეულიშვილი, მოთხრობები, პიესა, თბ., 1965.
- სვ. ტ. — სვანური პროზაული ტექსტები, I, ბალსუმოური კილო, თბ., 1939; II, ბალსქვემოური კილო, თბ., 1957; III, ლენტეხური კილო, თბ., 1967.
- სულხან-საბა — სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. I, თბ., 1959; 5 — „ქართ. პროზა“, 5, 1983.
- გ. ტაბ. — გალაკტიონ ტაბიძე, რჩ. ლექსები, თბ., 1944.
- ტ. ტაბ. — ტიციან ტაბიძე, ლექსები, პოემები, პროზა, წერილები, თბ., 1985.
- გ. ფანჯ. — გურამ ფანჯიკიძე, აგვისტოს ცხელი დღე, მოთხრობები, რომანები, თბ., 1983.

- ა. ფურც. — ანტონ ფურცელაძე, მოთხრობები, „ქართ. პროზა“, 7, თბ., 1984.
- ლ. ქიაჩ. — ლეო ქიაჩელი, თხზ., ოთხ ტომად, ტ. III, 1961; გვადი ბიგვა, თბ., 1953.
- ქრესტ. — სვანური ენის ქრესტომათია, ა. შანიძისა და მ. ქალდანიის რედაქციით, თბ., 1978.
- ა. ყაზბ. — ა. ყაზბეგი, თხზ., ტ. I, 1946; ტ. III, თბ., 1949; ელგუჯა, ხევისბერი გოჩა, 1986.
- გ. შატბ. — გ. შატბერაშვილი, თხზ. ოთხ. ტომად, ტ. II, 1972; რჩეული, თბ., 1962.
- დ. შენგ. — დემნა შენგელაია, ბათა ქეჩია, წითელი ყაყაჩო, თბ., 1954.
- შანმ I, III — შანამეს ანუ შეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, I, იუსტიცე. აბულაძის გამოცემა, თბ., 1916; III, თბ., 1974.
- ნ. ციცი. — ნოდარ ციციშვილი, ბარამგურიანი, „ჩვენი საუნჯე“, 4, თბ., 1960.
- ა. ქ. — ალექსანდრე კაკეაძე, ლექსები, თბ., 1952.
- რ. კვიციანი. — რეზო კვიციანი; მუსიკა ქარში, თბ., 1982.
- ო. კილ. — ო. კილაძე, გზაზე ერთი კაცი მოდიოდა, თბ., 1973; ყოველმან ჩემმან მპონენლმან, თბ., 1976.
- ა. კინკ. — ალექსი კინკარაული, ხევისბურღის თევისებურებანი, თბ., 1960.
- დ. კონკ. — დანიელ კონკაძე, სურამის ციხე, „ქართ. პროზა“, 7, თბ., 1984.
- ხალხ. სიტყვ. — ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, II, თბ., 1964.
- ივ. ჭავჭავ. — ივანე ჭავჭავაძე, საქართველოს ეკონომიური ისტორია, თბ., 1930.
- მ. ჭავჭავ. — მიხეილ ჭავჭავაძე, თხზ., სრ. კრებული, ტ. II, თბ., 1959; ტ. IV, თბ., 1961; ტ. V, 1962; ტ. VI-I, 1965; არსენა მარაბდელი, „ჩვენი საუნჯე“, 19, 1968.
- ს. ჯან. — სიმონ ჯანაშია, შრომები, III, თბ., 1959.
- რ. ჯავ. — რევაზ ჯავახიძე, მძიმე ჭვარი, I, 1973, თბ., II, 1975, ტ. III, თბ., 1976.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი	3
შეკვეცილნი ჰიპოტაქსური კონსტრუქციებისათვის ქართულში	7
ერთპრედიკატიანი ქვეწყობისათვის ქართულში	24
§ 1. პირობითი დამოკიდებული წინადადების შემკველი ერთპრედიკატიანი ქვეწყობა	24
§ 2. „ვიდრე“-კავშირიანი შედარებითი კონსტრუქცია	29
ზოგი ფრაზეოლოგიური შესიტყვებისათვის	35
ზოგი კითხვითი წინადადების შედგენილობისა და ფუნქციისათვის ქართულში	48
ერთი პარატაქსულ-ჰიპოტაქსური კონსტრუქციისათვის	60
ერთი პარატაქსულ-ჰიპოტაქსური კონსტრუქციისათვის	75
დაქვემდებარების ზოგი თავისებურებების შესახებ ქართულში	89
აქტუალიზაციის ზოგიერთი შემთხვევა ქართულში	98
დასკვნები	121
Резюме	119
შემოკლებათა განმარტება	121

Лейла Михайловна Кванталиани
ВОПРОСЫ СИНТАКСИСА ГРУЗИНСКОЙ
РАЗГОВОРНОЙ РЕЧИ

(на грузинском языке)

«МЕЦНИЕРЕБА»

ТБИЛИСИ

1990

დაბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
 სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 4234

გამომცემლობის რედაქტორი გ. გოგიავა
 მხატვრული რედაქტორი ი. სიხარულიძე
 ტექნიკური რედაქტორი ნ. ბოკერია
 კორექტორი ნ. მაჩაიძე
 შემომუშები ელ. მაისურაძე

გადაეცა წარმოებას 26.7.1989; ხელმოწერილია დასაბეჭდად 28.3.1990;
 ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆; ქაღალდი № 2; ბეჭდვა მაღალი;
 გარნიტურა ვენური; პირობითი საბეჭდო თაბახი 7.75;
 პირ. სალ. ვატ. 8.0; საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6.56;
 ტირაჟი 1600;

ფასი 1 მან. 30 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
 Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
 Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19